საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში

2024

სარჩევი

1. შესავალი 5

2. საქმიანობის ზოგადი და სტატისტიკური ანგარიში 7

2.1. უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის შედეგები 10

2.2. საგანმანათლებლო საქმიანობა 15

2.3. შეფერხება ინფორმაციის მიღების პროცესში 17

2.4. საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება 18

3. სიცოცხლის უფლება 18

3.1. შოვის ტრაგედიის საქმეზე მიმდინარე გამოძიება 19

3.2. თამაზ გინტურის საქმე 21

3.3. არასრულწლოვან ა. ი.-ს შესაძლო მკვლელობის საქმის გამოძიება 23

3.4. ზ.ვ.-ს სუიციდის საქმე 27

3.5. ლ. ხ.-ს საქმე 29

3.6. შ. მ.-ს საქმე 32

3.7. თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე 33

3.8. ხანძარი N17 დაწესებულებაში 35

3.9. ე.წ. ხორავას და შეწყალების საქმეები 37

4. წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა 37

4.1. არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაცია 39

4.2. ვიდეოჩანაწერები პენიტენციურ სისტემაში 40

4.3. არასათანადო მოპყრობის შესახებ მომართვები 43

4.4. ვიდეოჩანაწერები შინაგან საქმეთა სამინისტროში 48

4.5. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობა 50

4.5.1. სახალხო დამცველის აპარატის კომუნიკაცია 51

4.5.2. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის მონიტორინგი 53

4.5.3. ხელბორკილის გამოყენების წესი 63

4.6. დისკრიმინაციული მოტივი - მიხეილ მშვილდაძისა და ზურაბ გირჩი ჯაფარიძის საქმეები 64

4.7. სამედიცინო მომსახურების პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებებში 71

4.7.1. გაჭიანურებული რეფერალი და არასათანადო სამედიცინო მომსახურება 72

4.7.2. კონფიდენციალურობა 78

4.7.3. ფსიქიატრიული ექსპერტიზის გაჭიანურება 79

4.8. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო 82
4.9. არაფორმალური მმართველობა 86
4.10. სხვა მიმდინარე საქმეები, რომლებზეც გრძელდება მონიტორინგი 90
4.10.1. ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიება 91
4.10.2. ექსტრადიციის საქმეები 92
4.11. მიხეილ სააკაშვილის საქმე 93
5. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება 95
5.1. ადმინისტრაციული დაკავების კანონიერება 95
5.2. კარვის გამოყენების შეზღუდვა 96
5.2.1. ბექა გრიგორიადისის საქმე 96
5.2.2. ზ.ქ.-ს საქმე 98
5.3. საექსტრადიციო პატიმრობა 100
5.4. თავისუფალი მიმოსვლის უფლების უკანონო შეზღუდვა 101
6. სამართლიანი სასამართლოს უფლება 103
6.1. მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასება 104
6.2. ნეიტრალური მტკიცებულებები 143
6.3. დაცვის უფლება 146
6.3.1. სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის კრიტერიუმების ხარვეზი 147
6.3.2. ბრალდებულის ადვოკატთან სატელეფონო საუბრის შეზღუდვა 150
6.3.3. დისტანციურ პროცესებზე ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაცია 151
6.4. საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება 152
6.5. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები 154
7. საპროტესტო აქციების მონაწილეთა უფლებების დარღვევა 154
7.1. 2023 წლის აქციები 154
7.2. 20-21 ივნისისა და 5 ივლისის აქციებზე მიმდინარე მოვლენების გამოძიება 175
8. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება 177
8.1. ბრალდებულების/მსჯავრდებულების გარე სამყაროსთან კომუნიკაცია 177
8.2. პატიმრების მიმოწერის უფლების დარღვევა 180
8.3. მსჯავრდებულების ოჯახის წევრებისგან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსება 185
8.4. ფოსტის მეშვეობით ამანათის მიღების უფლების შეზღუდვა 186

8.5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების გაჭიანურება 189
8.5.1. ე.წ. „სუსის ფაილების“ საქმე 189
8.5.2. სალომე სამადაშვილის საქმე 190
8.5.3. ანა დოლიძის საქმე 191
8.6. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგების გაცნობის წესი 191
8.7. პოლიციის მიერ უკანონო ფოტოგადაღებისა და ვიდეომონიტორინგის ფაქტები 193
9. მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემური საკითხები 194
9.1. ექსპერტიზების ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემები 195
9.1.1. სასამართლო-სამედიცინო და სამედიცინო კომისიური/კომპლექსური ექსპერტიზები 195
9.1.2. სხვა სახის ექსპერტიზების გაჭიანურება 200
9.2. ხანდაზმული საქმეების გამოძიება 201
9.3. დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა 205
9.3.1. დაზარალებულად ცნობა 206
9.3.2. მასალებზე ხელმისაწვდომობა 212
9.4. „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ განთავსებული კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე სახელმწიფოს რეაგირების მექანიზმები 215
9.5. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობა 219
10. სისტემური გამოწვევები პენიტენციურ სისტემაში 223
10.1. ახალი პენიტენციური კოდექსი 224
10.2. საშელავათო მექანიზმები პენიტენციურ სისტემაში 226
10.2.1. ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები 226
10.2.2. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები 253
10.3. დეესკალაციის ოთახში განთავსების პრაქტიკა 263
10.4. მსჯავრდებულთა ხანგრძლივი დროით იზოლირების პრაქტიკა 269
10.5. პატიმრების უმაღლესი განათლების დაფინანსების პრობლემა 272
10.6. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ფრაგმენტული ხასიათი 274
10.7. სავარჯიშო ინვენტარი 276
10.8. ცხელი ხაზის ხარვეზები 276
11. საკუთრების უფლება სისხლის სამართალში 278

1. შესავალი

სახალხო დამცველის აპარატი უკვე მეხუთედ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშს წარმოადგენს. ანგარიში ფოკუსირებულია სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის (შემდეგში - დეპარტამენტი) - საქმიანობის 2023 წლის შედეგებზე. დეპარტამენტი პასუხისმგებელია ხსენებული თემატური მიმართულებით შეისწავლოს და გაანალიზოს მოქალაქეთა განცხადებებით იდენტიფიცირებული პრობლემები, როგორც ინდივიდუალური, ისე სისტემური უფლებადარღვევებისა თუ გამოწვევების შესახებ.

2023 წელი (შემდეგში - საანგარიშო პერიოდი) გამოირჩეოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დადებითი სიახლით. პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ ახალი პენიტენციური კოდექსის მიღება, რომელმაც მთელი რიგი მიმართულებებით გააუმჯობესა პატიმართა მდგომარეობა. მისასალმებელია, რომ ახალ კოდექსში სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაცია აისახა.

საანგარიშო წლის ბოლოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში, ახალი N1 პენიტენციური დაწესებულება გაიხსნა. დაწესებულება გათვლილია 700 ბრალდებულ/მსჯავრდებულზე და მასში გათვალისწინებულია პატიმრობის, დაბალი რისკის, ნახევრად ღია ტიპის, დახურული ტიპისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის განყოფილებები. ახალი და მცირე ტიპის პენიტენციური დაწესებულებების გახსნა წლებია სახალხო დამცველის რეკომენდაციაა და ვიმედოვნებთ, N1 პენიტენციური დაწესებულებაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დიდი ზომის პენიტენციური დაწესებულებების განტვირთვაში.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა კვლავ აქტიურად გააგრძელა სიცოცხლის უფლების, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლოს, პირადი ცხოვრებისა და საკუთრების უფლებებზე მუშაობა. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა უწყებაში გაიგზავნა, დეპარტამენტის მიერ მომზადებული, სახალხო დამცველის 50 წინადადება, რეკომენდაცია და სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

გამოქვეყნდა სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი“, რომელმაც არასათანადო მოპყრობის აკრძალვის შიდა ეროვნული კრიმინალიზაციის ხარვეზები გამოავლინა და სისხლის სამართლის კოდექსში არსებითი ცვლილებების საჭიროების შესახებ რეკომენდაცია გასცა.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა კვლავ განაგრძო უფლებების შესახებ სკოლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა. ამ დროისთვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა თემაზე „ბავშვი და პოლიცია“ ჯამში 6 030 მოსწავლეს ჩაუტარეს ტრენინგი.

2023 წელს, საუკეთესო თანამშრომლობის თვალსაზრისით, კვლავ სპეციალური საგამოძიებო სამსახური იყო გამორჩეული. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თანამშრომლობის ხარისხი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან.

მიუხედავად არაერთი დადებითი მოვლენისა, 2023 წელი საზოგადოებას დაამახსოვრდა შოვის უმძიმესი ტრაგედიით, რომლის გამოძიების მიმართ სახალხო დამცველის აპარატს არაერთი კითხვა გააჩნია. საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საგამონაკლისო დაშვების უფლების მინიჭების შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატი მასალებს უახლოეს მომავალში გაეცნობა და გამოძიების ეფექტიანობას შეაფასებს. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტურის მკვლელობამ კი კიდევ ერთხელ დაანახა ყველას საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის უმძიმესი განგრძობადი შედეგები. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ქართული მხარე გამოიყენებს ყველა სამართლებრივ შესაძლებლობას, რათა თამაზ გინტურის მკვლელობა არ დარჩეს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.

2023 წელი დატვირთული იყო არაერთი საპროტესტო აქციით და აქციის მონაწილეთა უფლებების ხშირი დარღვევით. სახალხო დამცველმა არაერთი მოქალაქის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ფაქტი გამოავლინა. არაერთი აქტივისტი პოლიციის მხრიდან ძალის არაპროპორციულ გამოყენებას და შესაძლო არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა.

დასანანია, რომ საანგარიშო წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობის ფარგლებში, რიგ შემთხვევებში გართულებული იყო აქციაზე დაკავებული პირების განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაციის სწრაფი მოპოვება (დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებამდე) და სამმართველოებსა თუ განყოფილებებში ადმინისტრაციული წესით დაკავებულ მოქალაქეებთან დაუყოვნებლივი შეხვედრის პროცესი.

პრობლემად რჩება პოლიციელების მხრიდან სამხრე ვიდეო კამერების გამოყენება; ასევე, ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნა ჩხრეკისა და ამოღების პროცესში. სასამართლოებში საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრობლემა კვლავ აქტუალურია.

არსებით გამოწვევად საგამოძიებო პროცესში კვლავ კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების ჩატარება რჩება. პრობლემაა ბრალდებულებისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზების ჩატარებისა და დასკვნების შემჭიდროვებულ ვადებში მომზადება, რის გამოც ბრალდებულებს თვეების მანძილზე უწევთ პენიტენციურ სისტემაში ყოფნა, შესაბამისი სრულფასოვანი ფსიქიატრიული სამედიცინო სერვისის სამკურნალო დაწესებულებაში მიღების გარეშე.

ასეულობით მოქალაქე კვლავ გამოძიების არაეფექტიანობასა და გაჭიანურებაზე მიუთითებს. მოქალაქეების ნაწილი კვლავ საუბრობს პოლიციელებისა და პენიტენციური სისტემის თანამშრომლების მხრიდან კანონსაწინააღმდეგო და არაეთიკურ დამოკიდებულებაზე, ხშირ შემთხვევებში განცხადებები ეხება პოლიციისა და

პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობას.

პატიმართა დიდი ნაწილი პრეტენზიებს სამედიცინო მომსახურების გაჭიანურებაზე აცხადებს. მნიშვნელოვანი ხარვეზებით აგრძელებს ფუნქციონირებას პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი.

2023 წელს, პირველად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა გააანალიზა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესი, გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი პროგრამის შედეგები და სასამართლო განხილვის პროცედურები.

საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება პატიმრებისთვის საშიშროების რისკის განსაზღვრის პრაქტიკის ხარვეზებს დაეთმო. შეფასდა დაზარალებულებისთვის სტატუსის მინიჭებისა და მათთვის მასალების გადაცემის პროცესის ხარვეზები.

განსაკუთრებულად სამწუხაროა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეო მონიტორინგის შედეგად ვიდეოჩანაწერების დაარქივების ვადა 30 დღიდან 10 დღემდე შემცირდა.

ამ და არა მხოლოდ ამ საკითხების დეტალურ მიმოხილვას დაეთმობა წინამდებარე ანგარიში, რომელიც, იმედს ვიტოვებთ, საზოგადოებას მკაფიოდ დაანახებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არსებულ გამოწვევებს და პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისთვის გახდება კარგი წყარო ადამიანის უფლებების დაცვის უფრო ეფექტური ხედვისა და მეთოდების შემუშავებაში.

2. საქმიანობის ზოგადი და სტატისტიკური ანგარიში

2023 წელს, გასული წლების მსგავსად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტში, სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, კვლავ ყველაზე მეტი განცხადება/ოქმი შევიდა განსახილველად. **სულ დეპარტამენტში შევიდა 3 264 განცხადება და ოქმი. აქედან 1 600 განცხადება - პენიტენციური დაწესებულებებიდან.** კერძოდ, ყველაზე მეტი განცხადება დაფიქსირდა N2 პენიტენციური დაწესებულებიდან - 392, 277 - N8 პენიტენციური დაწესებულებიდან, 273 – N3 დაწესებულებიდან, 244 – N6 დაწესებულებიდან, 156 – N10 დაწესებულებიდან, 95 – N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან, 88 – N5 ქალთა დაწესებულებიდან, 25 – N12 დაწესებულებიდან; ყველაზე ცოტა განცხადება კი კვლავ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებიდან შემოვიდა, კერძოდ, 19 განცხადება - N17 დაწესებულებიდან, 13 განცხადება - N15 დაწესებულებიდან, 9 – N14 დაწესებულებიდან და 9 – N16 დაწესებულებიდან.

2023 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა **წარმოება დაასრულა 7 430 საქმეზე,** აქედან 2 726 იყო უშუალოდ 2023 წელს შემოსულ საქმეზე მიმდინარე წარმოება.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2023 წელს, დაკავებული/დაპატიმრებული პირების მონახულების მიზნით, **581 ვიზიტი განახორციელეს და მოინახულეს 1 703 დაკავებული/დაპატიმრებული პირი.**[1] აქედან, 541 ვიზიტი განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებებში და მონახულებულ იქნა 1 587 პატიმარი. 16 ვიზიტი განხორციელდა შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებში და ნანახი იქნა 58 დაკავებული. 20 ვიზიტი განხორციელდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (ქუტირი), სადაც მონახულებულ იქნა 43 პაციენტი. დაპატიმრებულ პირებთან შეხვედრის მიზნით 4 ვიზიტი განხორციელდა სამედიცინო ცენტრ „ვივამედში", სადაც მონახულებულ იქნა 15 პაციენტი.

2023 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა მოამზადა 50 წინადადება, რეკომენდაცია, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება და ერთი სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი"[2].

საანგარიშო წელს დეპარტამენტმა მოამზადა სახალხო დამცველის **20 სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.** კერძოდ,

- სახალხო დამცველმა 15 შემთხვევაში სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებს 7-8 მარტისა და 2-3 ივნისის აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული მოქალაქეების საქმეებზე მიმართა;
- 2 სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს უზენაეს სასამართლოსთვის წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩხრეკის ჩატარების პრობლემურობას მიემართებოდა;
- 1 შემთხვევაში სახალხო დამცველმა სასამართლოს, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის სასჯელის შემდგომ მოხდასთან შეუსაბამობის საკითხზე, მიმართა;
- 1 შემთხვევაში სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ეხებოდა მსჯავრდებულის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლას;
- 1 შემთხვევაში - მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრის საკითხს.

დეპარტამენტის მიერ მომზადებული სახალხო დამცველის წინადადება/რეკომენდაციების (სულ 30) შესახებ არსებული ვითარება კი საანგარიშო პერიოდში ამგვარი იყო:

ოცი წინადადება/რეკომენდაციით სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს მიმართა. აქედან:

[1] სტატისტიკაში მოცემულ პირთა ოდენობაში იგულისხმება შეხვედრების ჯამური რაოდენობა და მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ერთ პატიმართან ხორციელდება რამდენიმე ვიზიტი სხვადასხვა დღეს.
[2] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/190321044913angarishebi/spetsialuri-angarishi-arasatanado-mopqrobis-zogadi-da-spetsialuri-mukhlebit-kvalifikatsiis-praktikuli-analizis-kvlevis-shesakheb >

- 5 შემთხვევაში რეკომენდაცია ეხებოდა პატიმრისთვის დამატებითი სამედიცინო სერვისის მიწოდებას ან დაგეგმილი სამედიცინო მომსახურების დაჩქარებას;
- 4 წინადადება ეხებოდა მსჯავრდებულების უფლებების დარღვევის ფაქტებს დეესკალაციის ოთახებში (კანონით დადგენილ ვადაზე ხანგრძლივად დაყოვნებას, სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დეესკალაციის ოთახში მოთავსებასა და სხვა);
- 4 შემთხვევაში სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს კონკრეტული მსჯავრდებულების, მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში, გადაყვანის რეკომენდაციით მიმართა;
- 3 წინადადება ეხებოდა მსჯავრდებულთა მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური შემოწმების დაწყებას;
- 1 სისტემური რეკომენდაციით სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს დეესკალაციის ოთახში განთავსებისას პატიმართა მდგომარეობის მართვაში პრაქტიკული ცვლილებების განხორციელების შესახებ მიმართა;
- 1 წინადადებით სახალხო დამცველმა მოითხოვა პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური შემოწმების დაწყება, რომელმაც მსჯავრდებულის შესახებ სრულყოფილი მონაცემები/დოკუმენტაცია არ მიაწოდა პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს;
- 1 რეკომენდაცია ეხებოდა მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (შინაპატიმრობა) შეცვლას და პირობით ვადამდე გათავისუფლებას;
- 1 წინადადება ეხებოდა მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური წარმოების კანონის დარღვევით ჩატარების ფაქტს.

3 წინადადებით სახალხო დამცველმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს მიმართა:

- 1 შემთხვევაში სახალხო დამცველი ითხოვდა მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყებას;
- 1 შემთხვევაში წინადადება ეხებოდა ყოფილი პატიმრის გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას;
- 1 შემთხვევაში სახალხო დამცველის წინადადება ეხებოდა მსჯავრდებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ეფექტიან წარმოებას.

1 წინადადებით სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს, ადვოკატის კანონსაწინააღმდეგოდ აცილების გამო პროკურორის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ, **მიმართა**.

სამი წინადადებით სახალხო დამცველმა მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს და მოითხოვა შსს-ს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილი თანამშრომლების მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება, ვინაიდან მათ არ ჩაატარეს მოქალაქეების

უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე ჯეროვანი სამსახურებრივი შემოწმება. მათ შორის, ერთ შემთხვევაში დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებასთან ერთად, სახალხო დამცველი ითხოვდა მოქალაქის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმების განახლებას.

ერთი რეკომენდაციით სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს და მოითხოვა კონკრეტული მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მისი გამოკითხვა და ეფექტიანი გამოძიების წარმოება.

ორი წინადადებით სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მიმართა:

- 1 საკანონმდებლო წინადადება ეხებოდა ახალი პენიტენციური კოდექსის პროექტს;
- 1 წინადადებით კი სახალხო დამცველი ითხოვდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილება-დამატების შეტანას, რომელიც მისცემდა პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს იმის შესაძლებლობას, რომ მიუხედავად მის მიმართ პროკურორის/გამომძიებლის მიერ გამოყენებული შეზღუდვის დადგენილებისა (სატელეფონო საუბრის/მიმოწერის/ხანმოკლე პაემნის შეზღუდვა), ჰყოლოდა ადვოკატი.

გაგზავნილი **სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებიდან 4 გაიზიარეს** სასამართლოებმა, **1 - ნაწილობრივ,** ხოლო **15 - არ გაიზიარეს.**

გაგზავნილი 30 **წინადადება-რეკომენდაციიდან 15 დაკმაყოფილდა, 2 - ნაწილობრივ, 1 - მიმდინარეა (დიდწილად შესრულებულია** და ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, ჯერჯერობით არ არის დასრულებული), **10 - არ დაკმაყოფილდა, 2 შემთხვევაში** - განხილვის შედეგები აპარატისთვის **ჯერჯერობით უცნობია.**

გარდა ამისა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა იმუშავა ახალი პენიტენციური კოდექსის პროექტზე და წარუდგინა საქართველოს პარლამენტს რეკომენდაციები, ასევე, კომენტარები წარუდგინა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ხელბორკილის გამოყენების წესის პროექტის შესახებ, გააგრძელა სკოლის მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო აქტივობები და სხვა.

2.1. უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის შედეგები

წინა წლების მსგავსად,[3] 2023 წლის განმავლობაშიც, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობაში უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. წინამდებარე ქვეთავი ფოკუსირებული იქნება იმგვარ საქმეებზე, სადაც მოქალაქეებისთვის დადებითი შედეგი უწყებასთან სახალხო დამცველის აპარატის წერილობითი ან/და ზეპირი კომუნიკაციის ეტაპზევე

[3] მაგ. იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 11-14, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf >

მოხდა და არ გახდა საჭირო სახალხო დამცველის რეკომენდაციით, წინადადებითა თუ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვა.

ამ მიმართულებით შეგვიძლია გამოვყოთ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტი, რომელთანაც აპარატი თითქმის ყოველდღიურად ახორციელებს წერილობით კომუნიკაციას. შედეგად, ამა თუ იმ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ არაერთ ბრალდებულს ან მსჯავრდებულს გაეწია შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. მაგალითისთვის, სამედიცინო დეპარტამენტთან წერილობითი კომუნიკაციის შემდგომ, მსჯავრდებულ მ.ს.-ს ჩაუტარდა ტრავმატოლოგის კონსულტაცია, დაესვა დიაგნოზი და მარჯვენა მუხლის სახსრის ენდოპროთეზირების ჩატარების მიზნით, დარეგისტრირდა რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში;[4] ბრალდებულ ზ.მ.-ს კლინიკა „ვივამედში" ჩაუტარდა რამდენიმე კბილის ექსტრაქცია, ცისტექტომია და შესაბამისი კლინიკო-ლაბორატორიული კვლევები, ასევე, დაენიშნა მედიკამენტური მკურნალობა;[5] მსჯავრდებული ი.ნ., რომელსაც აწუხებდა ხერხემლის ტკივილები და ესაჭიროება სპეციალური მასაჟი, აპარატის მიმართვების შემდგომ, ფიზიოპროცედურების და დაჭიმვითი ვარჯიშების ჩატარების მიზნით გადაიყვანეს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში;[6] მსჯავრდებულ რ.კ.-ს შპს „ავერსის კლინიკაში" ჩაუტარდა ალერგოლოგის კონსულტაცია, დაესვა დიაგნოზი, დაენიშნა და ჩაუტარდა მედიკამენტური მკურნალობა;[7] ბრალდებულ გ.კ.-ს, რომელსაც ჰქონდა ნევროლოგიური პრობლემები, ჩაუტარდა თავის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა, რომლის ჩატარება თვეების განმავლობაში ჭიანურდებოდა;[8] მსჯავრდებულ გ.კ.-ს სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ჩაუტარდა ოფთალმოლოგის კონსულტაცია და სხვადასხვა ოფთალმოლოგიური გამოკვლევები (ვიზომეტრია, ოფთალმოსკოპია, ბიომიკროსკოპია, ტონომეტრია), დაესვა დიაგნოზი, დაენიშნა და ჩაუტარდა მედიკამენტური მკურნალობა;[9] მსჯავრდებულ ა.ვ.-ს ჩაუტარდა პროქტოლოგის კონსულტაცია, დაესვა დიაგნოზი და შესაბამისი ოპერაციული მკურნალობის ჩატარების მიზნით დარეგისტრირდა რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში;[10] მსჯავრდებულ ბ.გ.-ს სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ჩაუტარდა ანგიოლოგის კონსულტაცია და ქვედა

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 26 იანვრის №21284/01 წერილი.
[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 10 მარტის №65321/01 წერილი.
[6] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 13 აპრილის №101715/01 წერილი.
[7] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 23 აპრილის №115111/01 წერილი.
[8] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 11 მაისის №128516/01 წერილი.
[9] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 22 მაისის №138734/01 წერილი.
[10] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 27 ივლისის №207818/01 წერილი.

კიდურების არტერიების კტ ანგიოგრაფია, დაესვა დიაგნოზი და დაენიშნა მკურნალობა;[11] მსჯავრდებულ ა.ხ.-ს ჩაუტარდა სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევები, ასევე, შესაბამისი ოპერაციული მკურნელობის ჩატარების მიზნით, გადაიყვანეს კლინიკა „ვივამედში"[12]; კლინიკა ვივამედში გადაიყვანეს ასევე მსჯავრდებული ბ.ჭ., რომელსაც არაერთი სამედიცინო გამოკვლევა, კონსულტაცია და ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა, ასევე, დაესვა დიაგნოზი და დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა;[13] მსჯავრდებული ბ.გ. - კბილის ჩარჩენილი ფესვების ექსტრაქციის, ცხვირის ძგიდის რეზექციისა და ნიჟარების კონხოტომიის ჩატარების მიზნით;[14] მსჯავრდებული ნ.ტ. - ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და შემდგომი მკურნალობის განსაზღვრის მიზნით[15] და არაერთი სხვა შემთხვევა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან წარმატებული კომუნიკაციის შედეგად, დაკმაყოფილდა არაერთი ბრალდებულისა და მსჯავრდებულის მოთხოვნა სასჯელის მოხდის პირობების გაუმჯობესების, ამა თუ იმ ნივთებით უზრუნველყოფისა და სხვა მიმართულებით. მაგალითად, აპარატის მიმართვების საფუძველზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უსაფრთხოების სამმართველოს ჯგუფი, შესაბამისი სამუშაოების ჩასატარებლად იმყოფებოდა N14 პენიტენციურ დაწესებულებაში, რის შედეგადაც აღმოიფხვრა თურქული არხების ფუნქციონირების ტექნიკური ხარვეზი, რომელზეც აღნიშნული დაწესებულების თურქულენოვანი მსჯავრდებულები მიუთითებდნენ;[16] ასევე, N3 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა ტექნიკური სამუშაოები და ჩაირთო მსჯავრდებულ რ.ი.-ს მიერ მოთხოვნილი ინგლისურენოვანი სატელევიზიო არხი - „BBC";[17] მსჯავრდებულ გ.ც.-ს შეუძინეს და გადასცეს სახატავი ტილოები და ზეთის საღებავები;[18] მსჯავრდებულ ნ.მ.-საეგზავნა კუთვნილი პირადი ნივთები, რომლებიც არ უბრუნდებოდა სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში ეტაპირების შემდგომ;[19] ანალოგიურად, მსჯავრდებულ გ.ლ.-ს გადაეგზავნა ყველა ის პირადი ნივთი, რაც

---

[11] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 3 აგვისტოს №214889/01 წერილი.

[12] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 17 აგვისტოს №228664/01 წერილი.

[13] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 10 ოქტომბრის №280963/01 წერილი.

[14] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 10 ნოემბრის №314014/01 წერილი.

[15] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 2 მარტის №58576/01 წერილი.

[16] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2023 წლის 10 აპრილის №97681/01 წერილი.

[17] სპეცილური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს 2023 წლის 8 მაისის №125164/01 წერილი.

[18] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2023 წლის 25 მაისის №142790/01 წერილი.

[19] №6 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 27 მარტის №82579/23 წერილი.

N8 დაწესებულებაში ყოფნის დროს ჰქონდა დარჩენილი;[20] მსჯავრდებულ გ.თ.-ს საცხოვრებელ საკანში კიდევ ერთხელ ჩატარდა დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია, რის შედეგადაც აღმოიფხვრა მსჯავრდებულის მიერ დასახელებული პრობლემა;[21] მსჯავრდებულებს ნ.ტ.-ს და რ.რ.-ს შეუკეთეს საცხოვრებელ საკანში არსებული დაზიანებული ინვენტარი, ასევე, გადასცეს მოთხოვნილი ნივთები;[22] მსჯავრდებულ ა.გ.-ს შეუცვალეს დაზიანებული ტელევიზორი;[23] გაითვალისწინეს მსჯავრდებულ ჯ.ჰ.-ს მიერ დასახელებული გარემოებები და გადაიყვანეს სხვა საკანში[24] და სხვა.

მნიშვნელოვანი იყო ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი უცხოენოვანი მსჯავრდებულების/ბრალდებულების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა უწყებასთან განხორციელებული წერილობითი კომუნიკაცია. მათ შორის, იურიდიული დახმარების სამსახურთან წერილობითი კომუნიკაციის შედეგად, უცხოენოვან მსჯავრდებულ ა.მ.-ს, ასევე, საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს ჟ.ს.-ს და ჯ.ჰ.-ს თარჯიმანთან ერთად შეხვდნენ სამსახურის ადვოკატები და გაუწიეს სრულყოფილი იურიდიული კონსულტაცია მათთვის საჭირო სამართლებრივ საკითხებზე.[25] ასევე, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ჟ.ს.-ს გაეგზავნა მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი განჩინების ასლი,[26] ხოლო, უცხოენოვან მსჯავრდებულ ჯ.კ-ს გაეგზავნა მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი სააპელაციო სასამართლოს განაჩენის ასლი.[27]

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმეებიდან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტთან განხორციელებული წერილობითი კომუნიკაციის შედეგად, რამდენიმე შემთხვევაში დადასტურდა მსჯავრდებულების უფლებების დარღვევის ფაქტი. მათ შორის იყო მსჯავრდებულ ზ.ს.-ს (პატიმრის განმარტებით, პროცესის გადადების შესახებ სასამართლოს მხრიდან შესაბამისი სამსახურის ინფორმირების მიუხედავად, მსჯავრდებული მთელი დღის განმავლობაში უსაფუძვლოდ იმყოფებოდა სასამართლოს მოსაცდელ ოთახში, სადაც მას არ ექცეოდნენ კანონშესაბამისად)[28], რ.შ.-ს (ზამთრის სეზონის შესაფერისი ტანსაცმლით უზრუნველყოფის თაობაზე მოთხოვნის უგულვებელყოფა)[29] და ზ.ა.-ს (არ წაიყვანეს

[20] №8 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 26 სექტემბრის № 266295/24 წერილი.
[21] №8 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 1 თებერვლის № 26333/24 წერილი.
[22] №10 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 2 მარტის №58019/25 წერილი; №6 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 29 ნოემბრის № 332207/23 წერილი.
[23] №8 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 20 მარტის № 75369/24 წერილი.
[24] №8 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 4 მაისის №121124/24 წერილი.
[25] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2023 წლის 8 მაისის №LA 5 23 00013898, 2023 წლის 22 მარტის №LA 3 23 00008496 და 2023 წლის 29 ივნისის №LA 5 23 00020520 წერილები.
[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 31 მარტის №58[1]-22 წერილი.
[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 16 ივნისის №344აპ-22 წერილი.
[28] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2023 წლის 10 თებერვლის №36652/01 წერილი.
[29] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2023 წლის 7 აგვისტოს №217359/01 წერილი.

ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე)[30] საქმეები. შედეგად, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს დაეკისრათ დისციპლინური სახდელები.

ასევე, საგამოძიებო უწყებებთან განხორციელებული კომუნიკაცია გახდა სხვადასხვა ფაქტზე გამოძიების დაწყების საფუძველი. მაგალითისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა დაიწყო გამოძიება შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" იძულებით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის რ.რ.-ს მიმართ პერსონალის მხრიდან განხორციელებული იძულების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით;[31] იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო გამოძიება მსჯავრდებულ ზ.ფ.-ს მიმართ შესაძლო ძალადობის ჩადენის ფაქტზე,[32] ასევე, მსჯავრდებულების მ.მ.-ს და ა.მ.-ს საქმეზე, ზეგავლენით ვაჭრობის ფაქტზე, სსკ-ის 339[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[33] არაერთ ფაქტზე დაიწყო გამოძიება სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმაც სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის პასუხად, რაზეც დეტალურად იქნება საუბარი წინამდებარე ანგარიშის შესაბამის თავში.[34]

საგამოძიებო უწყებებთან განხორციელებული კომუნიკაცია შეეხებოდა ასევე სხვა საკითხებსაც. მაგალითად, აპარატის მიმართვის შემდგომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მოქალაქე მ.რ.;[35] მფლობელს დაუბრუნდა ერთ-ერთ სისხლის საქმეზე ამოღებული ავტომანქანა;[36] დაკმაყოფილდა საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქე მ.მ.-ს მოთხოვდა დისტანციურად გამოკითხვასთან დაკავშირებით;[37] ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც გამოძიება ჭიანურდებოდა 2018 წლის შემდგომ, მიღებული იქნა შემაჯამებელი გადაწყვეტილება[38] და სხვა.

სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს საზოგადოების პროაქტიულ ინფორმირებას და რიგი წარმატებული საქმეების შესახებ ინფორმაციის განთავსებას ოფიციალურ ვებ-გვერდზე.[39]

---

[30] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2023 წლის 15 აგვისტოს №225345/01 წერილი.
[31] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 29 ნოემბრის №MIA 1 23 03509978 წერილი.
[32] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 31 იანვრის №962 წერილი.
[33] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 10 თებერვლის №1493 წერილი.
[34]იხ. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის თავი.
[35] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 15 მარტის №13/17072 წერილი.
[36] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 17 მაისის №MIA 7 23 01388106 წერილი.
[37] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 25 მაისის №MIA 9 23 01473400 წერილი.
[38] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 28 დეკემბრის №13/87431 წერილი.
[39] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ZFuKJK >, ბოლოს ნანახია [15.01.2024].

2.2. საგანმანათლებლო საქმიანობა

2023 წელსაც გააგრძელა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა აქტიური საგანმანათლებლო საქმიანობა. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უფლებების შესახებ საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებაა. ცნობიერების ამაღლებით მოქალაქეთა შესაძლებლობა დაიცვან საკუთარი ინტერესები და იცოდნენ უფლების დარღვევის შემთხვევაში რა ინსტრუმენტების გამოყენება შეუძლიათ, სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთ უცვლელ მიზანს წარმოადგენს.

სახალხო დამცველის აპარატის არაერთი სტრუქტურული ერთეული სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან და სხვადასხვა მიმართულებით, წლებია, ატარებს ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს. მათ შორის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, ბოლო წლებში, სკოლის მოსწავლეების ინფორმირება იყო მათი უფლებების შესახებ და რაც მთავარია, ძირითადი ფოკუსი არასრულწლოვნის პოლიციასთან ურთიერთობის ასპექტს დაეთმო. ტრენინგები ჩატარდა უფროსკლასელებთან (ძირითადად მე-9-12 კლასის მოსწავლეები).

განსაკუთრებული ყურადღება ამჯერადაც სხვადასხვა საპოლიციო მოქმედებისას ბავშვის უფლებებს დაეთმო. სკოლის მოსწავლეებს განემარტათ თუ რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ მათ ისეთი მოქმედებების განხორციელებისას, როგორიცაა გამოკითხვა, იდენტიფიკაცია (პოლიციის მიერ ბავშვებისთვის ფოტოების გადაღება), ზედაპირული შემოწმება და სხვა. მოსწავლეებს ეცნობათ იმ უფლებამოსილი უწყებების შესახებ, რომლებსაც უნდა მიმართონ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიეწოდათ დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია.

2023 წლის მანძილზე ტრენინგ-ციკლი თემაზე „ბავშვი და პოლიცია" ორ ეტაპად ჩატარდა, 15 მაისიდან - 8 ივნისამდე და 30 ოქტომბრიდან - 3 ნოემბრამდე პერიოდში. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლები, აპარატის რეგიონულ სამმართველოსთან თანამშრომლობით, ეწვივნენ გურიის, იმერეთის, აჭარის, სამეგრელოს, რაჭის, ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, კახეთისა და თბილისის საჯარო სკოლებს. ჯამში, **2023 წელს, ტრენინგი ჩატარდა 100 სკოლაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2 975 ბავშვმა, ასევე ტრენინგი ჩატარდა ერთ კოლეჯში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10-მა სტუდენტმა.**

ნიშანდობლივია, რომ ამ თემატიკის ტრენინგებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი პირველად არ ატარებს. 2017 წელს დეპარტამენტმა 12 სკოლის 450 მოსწავლე დაატრენინგა,[40] ხოლო 2022 წელს - 77 სკოლის 2 605 მოსწავლე.[41]

სულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა, **2017, 2022 და 2023 წლებში, თემაზე „ბავშვი და პოლიცია" 189 სკოლის 6 030 მოსწავლეს ჩაუტარა ტრენინგი და ასევე, 1 კოლეჯის 10 სტუდენტს.**

სახალხო დამცველის აპარატი კვლავ გააგრძელებს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვას.

---

[40] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/saxalxo-damcvelis-adamianis-uflebata-akademiis-da-sisxlis-samartlis-martlmsadjulebis-departamentis-ertoblivi-treningebi-tbilisis-sashualo-skolebshi-temaze-bavshvi-da-policia1 >

[41] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/1904110443 20siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-aparatis-tanamshromlebma-proektis-bavshvi-da-politsia-pirveli-etapi-daasrules >; <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf >, გვ. 14-15.

2.3. შეფერხება ინფორმაციის მიღების პროცესში

მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტს არ აქვს არსებითი და სისტემური შეფერხება რომელიმე უწყებასთან თანამშრომლობის პროცესში და რელევანტური ინფორმაციის მიღებას დეპარტამენტი, როგორც წესი, ახერხებს. თუმცა, **ფიქსირდება გარკვეული შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის მიღების პროცესში არის მნიშვნელოვანი გაჭიანურება, რაც აპარატს აფერხებს უფლებადარღვევის ფაქტზე ეფექტური და სწრაფი საქმისწარმოების წარმართვის პროცესში.**

მაგალითად, აპარატს თვეების მანძილზე უწევს ლოდინი რიგ შემთხვევაში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან ინფორმაციის მიღების პროცესში.[42] ფიქსირდება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მათ შორის, შსს გენერალური ინსპექციის მხრიდან პასუხის მიღების გარკვეული პრობლემა.[43] ასევე, რამდენიმე შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის დეპარტამენტიდან ინფორმაციის მიღება მხოლოდ არაერთი შეხსენების წერილის გაგზავნის შემდგომ გახდა შესაძლებელი.[44] იყო ერთეული შემთხვევები სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტიდან ინფორმაციის დაყოვნებით მოპოვების თვალსაზრისით.[45]

სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებს, რომ უწყებები სრული პასუხისმგებლობით განაგრძობენ აპარატთან თანამშრომლობას და მათზე დაკისრებული მოვალეობის - ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ - კანონის შესაბამისად შესრულებას.

---

[42] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 9 ნოემბრის N15-14/11020 წერილი. სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 15 მაისის N15-13/4698 წერილი. 2022 წლის 25 მაისის N 15-3/5371, 2022 წლის 25 ივლისის N 15-3/7591, 2023 წლის 6 თებერვლის N 15-3/1277 და 2023 წლის 14 აგვისტოს N 15-3/8002 წერილები.

[43]სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 18 ივლისის N15-15/7316, 10 ოქტომბრის N15-15/10147, 2023 წლის 11 ნოემბრის N15-15/252, 8 მაისის N15-15/4567, 8 აგვისტოს N15-15/7809 და 18 დეკემბრის N15-15/12171 წერილები. სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 სექტემბრის N15-12/9580, 2023 წლის 15 ნოემბრის N15-12/11192 და 2023 წლის 15 დეკემბრის N15-12/12112 წერილი.

[44] მსჯავრდებულ ა.ბ.-ს საქმეზე - სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 14 ივლისის N15-13/6901, 2023 წლის 14 აგვისტოს N15-13/8009 და 2023 წლის 25 სექტემბრის N15-13/9657 წერილი; მსჯავრდებულ ჯ.კ.-ს საქმეზე - სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 6 ივლისის N15-13/6493, 2023 წლის 3 აგვისტოს N15-13/7643 და 2023 წლის 25 სექტემბრის N15-13/9640 წერილი; მსჯავრდებულ ი.ო.-ს საქმეზე - სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 6 ივლისის N15-13/6515, 2023 წლის 3 აგვისტოს N15-13/7642 და 2023 წლის 25 სექტემბრის N15-13/9658 წერილი, ასევე, ამავე საქმეზე დამატებით გაგზავნილი 2023 წლის 2 ოქტომბრის N15-13/9891 და 2023 წლის 7 დეკემბრის N15-13/11891 წერილი.

[45] მაგ. დაგვიანებული პასუხები სახალხო დამცველის აპარატის შემდეგ წერილებზე: 2023 წლის 26 იანვრის N15-6/919, 2023 წლის 29 ივნისის N15-6/6248 წერილი.

2.4. საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება

სახალხო დამცველის რწმუნებულებზე ზემოქმედების შესახებ, 2021 წელს დაწყებული გამოძიება, ამ დრომდე არ დასრულებულა.[46]

2020 წლის ბოლოს და 2021 წლის დასაწყისში სახალხო დამცველის რწმუნებულებზე პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა მიზანმიმართული და სავარაუდოდ ორგანიზებული უკანონო ქმედებები პატიმართა მცირე ჯგუფის მიერ,[47] რომლის თაობაზეც პროკურატურაში გამოძიება ჯერ კიდევ 2021 წლის თებერვალში დაიწყო.

სამწუხაროდ, გამოძიება კვლავ უშედეგოდ გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა დაარქივა/გაეცნო რელევანტურ ვიდეოჩანაწერებს და პროკურატურას მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ვიდეოჩანაწერებზე აღბეჭდილი ყველა საეჭვო გარემოების შესახებ, მათ შორის, ერთ-ერთი პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მოადგილის შესაძლო მონაწილეობის შესახებ.[48]

საზოგადოებისთვის ამ დრომდე უცნობია და კვლავ ბუნდოვანი რჩება პროკურატურის პასუხი, გამოიკითხა/დაიკითხა თუ არა საქმესთან დაკავშირებული ყველა პირი და რა გარემოება უშლის ხელს გამოძიებას შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებაში.[49]

3. სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლების ჭრილში სახალხო დამცველის აპარატის განსაკუთრებული ყურადღება **შოვის ტრაგედიის გამოძიებასა** და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მხრიდან ჩვენი ქვეყნის მოქალაქის **თამაზ გინტურის სასტიკ მკვლელობას** დაეთმო.

სამწუხაროდ, კვლავ ვლინდება **სიცოცხლის უფლების არაეფექტიანი გამოძიების შემთხვევები.** მნიშვნელოვანი ხარვეზებით წარიმართა დიდ დიღომში აღმოჩენილი **12 წლის არასრულწლოვანი ბავშვის შესაძლო მკვლელობის** გამოძიება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან სიცოცხლის უფლების დარღვევა **თემირლან მაჩალიკაშვილის** საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების მოთხოვნები, რითაც სიცოცხლის უფლების პროცედურული ასპექტი დაირღვა.

---

[46] სახალხო დამცველის 2021 წლის 20 იანვრის N15-9/318 რეკომენდაცია საქართველოს გენერალურ პროკურორს.

[47] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 და 2022 წლის საქმიანობის ანგარიშები: გვ. 13-14. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > გვ. 16-17. https://ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf

[48] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 14 დეკემბრის N15-9/11922 წერილი.

[49] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 11 დეკემბრის N15-9/11956 წერილი და გენერალური პროკურატურის 2023 წლის 22 დეკემბრის N13/85981 პასუხი.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა **პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო - უსაფრთხოების ნორმების დაცვის** მიზნით პრევენციული ზომების გატარების პროცესი, რომელიც 2021 წელს N17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად ორი პატიმრის გარდაცვალების ფაქტის შემდგომ დაიწყო.

წინამდებარე თავში სწორედ ხსენებული და სხვა მნიშვნელოვანი საქმეების ანალიზი და შეფასება იქნება წარმოდგენილი.

3.1. შოვის ტრაგედიის საქმეზე მიმდინარე გამოძიება

2023 წელი, სამწუხაროდ, ქვეყნის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული სტიქიური უბედურებითა და მისი უმძიმესი შედეგებით დაამახსოვრდა საზოგადოებას. შოვის ტრაგედიას 32 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.[50]

სახალხო დამცველმა საქმის შესწავლა საკუთარი ინიციატივით დაიწყო. გარდა უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების, სამაშველო ოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებისა,[51] სახალხო დამცველის აპარატი გამოძიების მონიტორინგსაც ახორციელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით,[52] კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური მოვლენის ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის; ასევე, სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.[53] უწყების განმარტებით, საქმეზე გამოიკითხა რამდენიმე ასეული პირი, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, უშუალოდ სტიქიის არეალი. სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია/დოკუმენტაცია. დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური (დნმ), ეკოლოგიური, ტრასოლოგიური და სხვა სახის ექსპერტიზები. თითოეული დანიშნული ექსპერტიზის წინაშე დაისვა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე კითხვები მათი კომპეტენციის შესაბამისად.

გენერალური პროკურატურის განმარტებით,[54] საქმეზე დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილია 32 გარდაცვლილი პირის 22 ახლო ნათესავი. დაზარალებულის უფლებამონაცვლეების ადვოკატები, მოთხოვნის შესაბამისად, ეცნობიან სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ამ ეტაპზე, სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. სტიქიასთან დაკავშირებული გარემოებების დასადგენად, გამოძიების წინაშე

[50] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 თებერვლის №13/10446 წერილი.
[51] საკითხის შესწავლის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტოს ანგარიშში.
[52] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 28 სექტემბრის NMIA52302833838 და 2023 წლის 17 ნოემბრის NMIA42303387742 წერილები.
[53] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 116, ნაწ. 2, მუხ. 240, ნაწ. 2.
[54] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 თებერვლის №13/10446 წერილი.

ექსპერტიზის ბიუროს მხრიდან არ დასმულა საკითხი ექსპერტიზის პროცესში უცხო ქვეყნის წარმომადგენლების ჩართვის თაობაზე. შესაბამისად სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შუამდგომლობით უცხო ქვეყნისთვის მიმართვა არ განხორციელებულა.

აუცილებელია, მოცემულ საქმეზე ჩატარდეს ეფექტიანი გამოძიება: ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვით, ზედმიწევნით, კომპეტენტურად, გონივრულ ვადაში და გარდაცვლილთა ოჯახის წევრების ჩართულობით. მნიშვნელოვანია გამოძიების შესწავლის საგანი გახდეს სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესრულების/შეუსრულებლობის, რისკის/საფრთხის შემცველი სიტუაციების რეგულაციისა და პრევენციის ღონისძიებები, კერძოდ, იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ თუ არა სახელმწიფო ორგანოებს რეალური და გადაუდებელი საფრთხის შესახებ და მიიღეს თუ არა გონივრული ზომები საფრთხის ასარიდებლად; ასევე, სამაშველო ოპერაციის დროულობისა და ადეკვატურობის საკითხი; საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, გამოძიებამ უნდა გამოიყენოს სხვა ქვეყნის საექსპერტო დახმარება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სახალხო დამცველის აპარატს არ ჰქონდა საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა, ამ დროისთვის ვერ ფასდება გამოძიების მიმდინარეობის საკითხი. თუმცა, შესაძლებელია იმის ხაზგასმა, რომ **შესაძლოა იკვეთებოდეს გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა.** როგორც უკვე აღინიშნა, **გამოძიების საგანი, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სამაშველო ოპერაციის დროულად და ადეკვატურად დაგეგმვის, მართვის და განხორციელების საკითხი. ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მისივე საქვეუწყებო დაწესებულების მხრიდან შესაძლო დანაშაულის საკითხის გამოძიება ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი კრიტერიუმის – ინსტიტუციური დამოუკიდებლობის - დარღვევის თაობაზე საფუძვლიან ეჭვებს აჩენს.** ეფექტიანი გამოძიებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამოძიების მწარმოებელი უწყების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა სამართლებრივად და პრაქტიკულადაც.

სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს, სიცოცხლის უფლების ჭრილში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების გათვალისწინებით, საქმის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, საგამონაკლისო წესით საქმის მასალების გაცნობის მიზნით მიმართა.[55] 2024 წლის მარტის ბოლოს უწყებამ აპარატს საგამონაკლისო დაშვება მისცა.[56] საქმის მასალების სრულად გაცნობის შემდეგ, აპარატი შეძლებს იმსჯელოს და შეაფასოს გამოძიების პროცესი ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების შესაბამისად სრულფასოვნად.

[55] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 4 დეკემბრის N15-5/11743 წერილი.
[56] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 22 მარტის MIA 0 24 00873678 წერილი.

3.2. თამაზ გინტურის საქმე

2023 წლის 6 ნოემბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალთან, რუსმა სამხედროებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს საქართველოს მოქალაქე - თამაზ გინტური. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, საქართველოს მოქალაქის მკვლელობისა და ერთი პირის გატაცების ფაქტებთან დაკავშირებით, დაიწყო გამოძიება.[57]

სახალხო დამცველმა, საკუთარი ინიციატივით, დაიწყო მოცემული სისხლის სამართლის საქმის შესწავლა, რომლის ფარგლებშიც მან საგამოძიებო უწყებებიდან ინფორმაცია გამოითხოვა.[58]

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, გამოძიებაზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში, ასევე თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარებისთვის.[59] ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება და ამჟამად, გამოძიება კვლავ აქტიურია და გრძელდება.[60] ამასთან, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილია თამაზ გინტურის შვილი, ხოლო თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტთან დაკავშირებით, დაზარალებულად ცნობილია ლ. დ.[61]

მომხდარი მძიმე ფაქტი წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს მოქალაქის სიცოცხლის ხელყოფის კიდევ ერთ ტრაგიკულ მაგალითს და ოკუპაციის კიდევ ერთ მძიმე შედეგს. **კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მოცემულ საქმეზე წარმოებული გამოძიება იყოს ეფექტიანი. სახელმწიფომ ყველა სამართლებრივი მექანიზმი უნდა გამოიყენოს, რათა შესაბამისი პასუხი გაეცეს ჩვენი მოქალაქის მკვლელობის ფაქტს.**

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სულ ახლახანს, ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა გიგა ოთხოზორიას საქმეზე, სადაც სასამართლომ გამოკვეთა რუსეთის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ამასთან დეტალურად ისაუბრა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლზე წარსამართი გამოძიების ეფექტურობისთვის სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ვალდებულებაზე, კერძოდ: „საზღვრისპირა ან ტრანსნაციონალური საქმეების კონტექსტში, კონვენციის მე-2 მუხლი შეიძლება მოითხოვდეს ორივე სახელმწიფოს ორმხრივ ვალდებულებას, ითანამშრომლონ

---

[57] გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით.

[58] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 ნოემბრის N 15-10/11428 და 08 დეკემბრის N 15-10/11939 წერილები.

[59] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

[60] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 04 დეკემბრის MIA 8 23 03563326 წერილი.

[61] გენერალური პროკურატურის 2023 წლის 18 დეკემბრის N 13/84736 წერილი.

ერთმანეთთან. რაც გულისხმობს, დახმარების მოთხოვნის ვალდებულებას და დახმარების გაწევის ვალდებულებას (იხ.*Güzelyurtlu* და სხვები კვიპროსის და თურქეთის წინააღმდეგ [GC], No. 36925/07, § 233, 2019 წლის 29 იანვარი). ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის შემთხვევაში, თანამშრომლობის ფორმალიზებული საშუალებები უფრო წარუმატებელია და სახელმწიფოებს შეიძლება მოეთხოვოს თანამშრომლობის სხვა, უფრო არაფორმალური ან არაპირდაპირი არხების გამოყენება - მაგალითად, მესამე სახელმწიფოების ან საერთაშორისო ორგანიზაციების. ტრანსნაციონალურ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც ხელშემკვრელი სახელმწიფო და დე ფაქტო სუბიექტი იმყოფება სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეფექტურ კონტროლში, სასამართლოს ევალება, დაადგინოს, გამოიყენეს თუ არა დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა მათთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალება, რათა მოითხოვონ და უზრუნველყონ საჭირო თანამშრომლობა. გამოძიების და მთლიანად წარმოების ეფექტურობისთვის.[62]

სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს მოცემული სისხლის სამართლის საქმის მონიტორინგს, მათ შორის, ყურადღებას მიაქცევს, იქნება თუ არა გატარებული ყველა საჭირო ღონისძიება დამნაშავე პირების გამოვლენისა და მათი საქართველოსთვის გადმოცემისთვის.

ამ მხრივ, გამოსაყოფია 2024 წლის 13 თებერვალს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგნეთში გამართული შეხვედრა (ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) 117-ე შეხვედრა), სადაც განსახილველ საკითხებს შორის ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტურის მკვლელობის საქმე იყო.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, როგორც ზემოხსენებული შეხვედრის მონაწილეს, რათა მიეღო ინფორმაცია, თამაზ გინტურის მკვლელობის საქმეზე რა პოზიციები გაჟღერდა რუსეთის წარმომადგენელი მხარის მიერ.[63]

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებული პასუხის თანახმად,[64] 2024 წლის 13 თებერვალს გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრაზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააყენეს თამაზ გინტურის მკვლელობაში დამნაშავე პირის/პირების მიმართ სამართლის დაუყონებლივ აღსრულების საკითხი. შეხვედრაზე რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლის მიერ გაჟღერებული პოზიციის თანახმად, რუსეთის საოკუპაციო ძალა არ აპირებს მკვლელობის ჩამდენი პირის/პირების დასჯას.

---

[62] იხ. მატკავა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ *no.* 3963/18, §115-117, 2023 წლის 19 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/mpvV1> [ბოლოს ნანახია - 25.12.2023].
[63] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 14 თებერვლის N 15-10/1621 წერილი.
[64] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის 21 თებერვლის SSG 8 24 00040100 წერილი.

ამასთან, აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობს სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატში, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში, თამაზ გინტურის მკვლელობაში დამნაშავე პირის/პირების მიმართ სამართლის აღსრულების საკითხის მოთხოვნას.

მისასალმებელია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მზაობა და მცდელობა, ითანამშრომლოს სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატში. მნიშვნელოვანია, ხელისუფლების მიერ მოხდეს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალების რეალობაში გამოყენება, რათა მოითხოვოს და უზრუნველყოს საჭირო თანამშრომლობა, დამნაშავეთა დასასჯელად.

3.3. არასრულწლოვან ა. ი.-ს შესაძლო მკვლელობის საქმის გამოძიება

2023 წლის 17 მარტს ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, საცხოვრებელი კორპუსების უკან არსებულ ხე-ბუჩქნარში ნანახი იქნა არასრულწლოვან ა. ი.-ს გვამი.

საქმის მასალების თანახმად, არ არის დადგენილი გარდაცვლილის სხეულზე არსებული დაზიანებების მიყენების მექანიზმი და საგანი; გარდაცვლილთან ჰქონდა თუ არა ფიზიკური შემხებლობა გარდაცვალებამდე ხანმოკლე პერიოდში სხვა პირს. გამოძიების მიმდინარეობისას დაიკარგა და დაზიანდა გარდაცვლილის სხეულიდან აღებული შემდგომი საკვლევი ნიმუშები. [65]

საქმის გარემოებების მიხედვით: 2023 წლის 17 მარტს, დაახლოებით 01:50-02:00 საათზე, იოანე პეტრიწის ქუჩა N10 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხე-ბუჩქნარით დაფარულ ადგილას იპოვეს ა. ი.-ს გვამი. იმავე დღეს გამოძიება დაიწყო არასრულწლოვანის განზრახ მკვლელობის ფაქტზე.[66]

გამოძიების მიერ დადგენილია, რომ 2023 წლის 16 მარტს დაახლოებით 23:00 საათზე არასრულწლოვანი ა.ი. ტოვებს სკვერს და გადაადგილდება ფეხით. მოწმის ჩვენების თანახმად, მას სკვერიდან უკან არავინ გაყოლია. ასევე, დადგენილია, რომ ა. ი.-ს მობილური ტელეფონი გამოირთო 23:22:19 საათზე, თუმცა ექსპერტიზით ვერ დადგინდა ტელეფონის გამორთვა გამოწვეულია ჩართვა-გამორთვის ღილაკზე დაჭერით თუ ელემენტის დაცლით.[67]

---

[65] საქმის მასალები სახალხო დამცველის აპარატს წარმოუდგინა დაზარალებულის უფლებამონაცვლის მხარემ.

[66] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109, ქვეპ. „ე“.

[67] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 17 აგვისტოს N004417023 ექსპერტის დასკვნა.

წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, საქმეზე ჩატარდა არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, თუმცა **ადგილი ჰქონდა თუ არა დანაშაულის ჩადენას და ასეთის შემთხვევაში, ვის მიერ იქნა ჩადენილი, გამოძიების მიერ დადგენილი არ არის.**

მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე ჩატარებულ იქნა ასეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, საქმის მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ **გამოძიება თავიდან მიმდინარეობდა არაეფექტიანად და დროულად არ იქნა ჩატარებული სწორედ ის სათანადო საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც შესაძლოა გამოძიებას მოეპოვებინა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და რომელთა ჩაუტარებლობამ ან დაგვიანებით ჩატარებამ შესაძლოა გამოიწვია გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება და შესაბამისად, საქმის გარემოებების დადგენას შეუშალა ხელი.**

წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, გამოძიების მიმდინარეობისას ხდება სექსუალური ხასიათის დანაშაულებში გასულ წლებში ბრალდებული და გასამართლებული პირების დადგენა და მათთან სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. შესაბამისად, გამოძიება ერთ-ერთ ვერსიად განიხილავს არასრულწლოვან ა. ი.-ს მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტსაც. მიუხედავად ამისა, მაგალითად, **გამოძიების მიერ, გვამის აღმოჩენის შემდეგ მალევე (საერთოდ არ ჩატარებულა) არ იქნა დათვალიერებული შემთხვევის ადგილის (გვამის აღმოჩენის ადგილის) ახლომახლო მდებარე შედარებით დამალული ადგილები, სადაც არასრულწლოვანი ა. ი.-ს ყოფნა ჩვეულებრივ გარემოებებში ნაკლებად სავარაუდო ან საერთოდ გამორიცხულია** (სამშენებლო ობიექტი, რაგბის სტადიონი, კორპუსების სადარბაზოები, სადაც გარდაცვლილს არ ჰყავს ნაცნობები, შემთხვევის ადგილის მიმდებარედ გაჩერებული ავტომანქანები და სხვ.) და **არ უცდიათ გარდაცვლილის ბიოლოგიური მასალის ან სუნის ნიმუშის მოპოვება, მისი ასეთ ადგილას ყოფნის დადასტურების მიზნით.**

გარდაცვლილის ბიოლოგიური მასალის ან სუნის ნიმუშის ასეთ ადგილებში აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლოა გამოკვეთილიყო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა ადგილებიც და მოპოვებულიყო გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები.

საქმის მასალების თანახმად, გარდაცვლილ ა. ი.-ს მობილური ტელეფონი აღმოჩენილ იქნა გვამიდან დაახლოებით 14 მეტრის მოშორებით, ჩაღრმავებულ ადგილას, ბეტონის ნატეხებს შორის, გამორთულ მდგომარეობაში. ამასთან, ექსპერტიზით ვერ მოხდა დადგენა მობილური ტელეფონი გამოირთო ელემენტის განმუხტვის შედეგად, თუ ვინმემ განზრახ გამორთო იგი. მიუხედავად ამისა, გამოძიებას არ გამოუკითხავს გარდაცვლილი ა. ი.-ს ოჯახის წევრები და ახლობლები, მისი ჩვევის შესახებ, მაგალითად, აქცევდა თუ არა ყურადღებას **მობილური ტელეფონის ელემენტის დამუხტვის მდგომარეობას.**

დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, გამოძიების მიერ 2023 წლის 18 მარტს გამოიკითხა გარდაცვლილ ა. ი.-ს მამა, რომელმაც გამოძიებას აჩვენა, რომ როდესაც ეძებდა

დაკარგულ შვილს, შეხვდა პირი, რომელიც აღწერა და ასევე აღნიშნა, რომ ნახვის შემთხვევაში, ამოიცნობდა. ამავე ჩვენების თანახმად, მითითებული პირი მოდიოდა იმ მიმართულებიდან, სადაც შემდეგ იქნა აღმოჩენილი ა. ი.-ს გვამი და იყო, მისი შეფასებით, აღელვებული. მიუხედავად ამისა, **გამოძიებას და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს არ შეუდგენიათ მის მიერ მითითებული ნიშნების შესაბამისად, უცნობი პირის ფოტორობოტი 2023 წლის მარტიდან 20 სექტემბრამდე.**[68]

ასევე, **გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საექსპერტო დაწესებულებაში დაზიანდა და შემდგომი კვლევისთვის უვარგისი გახდა.** საქმის მასალების თანახმად, სამედიცინო ექსპერტმა, რომელმაც მოახდინა გვამის გამოკვლევა და გვამიდან შემდგომი ბიოლოგიური კვლევებისთვის საჭირო ნიმუშების აღება, არ უზრუნველყო აღებული ნიმუშების სათანადო პირობებით შენახვა, რის შედეგადაც, აღებული ნიმუშები დაზიანდა და შესაძლოა, არასათანადო შენახვის დაზიანების გამო ვერ მოხდა გამოძიებისთვის საინტერესო საკითხების დადგენა.

მტკიცებულების დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება და საქმეზე ერთ პირს წარედგინა ბრალდება სამსახურეობრივი გულგრილობისთვის, რაც გამოიხატა მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლაში, ექსპერტის მიერ გაუფრთხილებლობით საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობაში.[69] დღეის მდგომარეობით, დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად, განაჩენი გამოტანილი არ არის.

გარდა ამისა, ამავე საქმეში, **გვამის შემთხვევის ადგილზე დათვალიერებისას გადაღებულ ფოტოსურათებზე, გარდაცვლილ ა.ი.-ს მარცხენა ხელის მტევნის მე-4 (უსახელო) თითის ფრჩხილში აღინიშნება ადამიანის თმისმაგვარი ღერი, რაც საქმის მასალებსა და შემდგომ კვლევებში აღარ ფიქსირდება.**

ვინაიდან გამოძიების მიერ საქმეზე უნდა დადგინდეს, იყო თუ არა გარდაცვალებამდე ახლო პერიოდში არასრულწლოვან ა.ი.-სთან შეხებაში სხვა პირი, გარდაცვლილის ფრჩხილში არსებული საგნის (სავარაუდო თმის ღერი) გამოკვლევას და გამოძიებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე პასუხის გაცემას (იყო თუ არა ადამიანის თმის ღერი და, დადებით შემთხვევაში, შემდეგ ვის ეკუთვნის აღნიშნული თმის ღერი), შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონოდა დანაშაულის ფაქტის დადგენისა და დამნაშავის იდენტიფიცირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ნიმუშების შენახვა წესის დაცვით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე, რადგან ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით რთულია და ხშირ შემთხვევაში,

---

[68] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 2023 წლის 20 სექტემბრის ექსპერტის დასკვნა N1134/ბ.

[69] მედიით გავრცელებული ინფორმაციით, დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2024 წლის 9 იანვარს ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის პირველ ნაწილზე, < https://www.interpressnews.ge/ka/article/789838-uplebebi-sakartvelo-12-clis-ani-ianushaitites-gardacvalebis-gamoziebisas-mtkicebulebebis-dazianebis-sakmis-arsebiti-ganxilva-daicqo-prokuraturam-ekspertistvis-cardgenili-brali-shecvala >

შეუძლებელი, დამატებით იქნეს მოპოვებული მტკიცებულებები გამოძიების მიერ და შეფასდეს ჰქონდა თუ არა დანაშულის ფაქტს ადგილი ან/და ვის მიერ იქნა ჩადენილი კონკრეტული ქმედება.

ა. ი.-ს გარდაცვალების მიზეზის დასადგენად, 2023 წლის 17 მარტს დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც გამოძიებას გადაეცა 2023 წლის 24 აპრილს. ექსპერტის დასკვნის თანახმად, „ა.ი.-ს სიკვდილის მიზეზია მექანიკური (ასპირაციული) ასფიქსია, სასუნთქ გზებში საკვები მასების (კუჭის შიგთავსის) მოხვედრის შედეგად." გვამს ასევე აღენიშნებოდა სიცოცხლის დროინდელი, სიკვდილის დადგომამდე ახლო წინა პერიოდში განვითარებული მსუბუქი ხარისხის დაზიანებები სხეულის სხვადასხვა ნაწილში.[70]

2023 წლის 3 მაისს, ა.ი.-ს გვამზე არსებული დაზიანებების მიყენების მექანიზმის დადგენის მიზნით, გამოძიების მიერ დაინიშნა სამედიცინო (კომისიური) ექსპერტიზა, რომელის დასკვნაც გამოძიებას, დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად, მიღებული არ აქვს.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ და სხვა საკითხებზე, გამოძიებაში არსებული ხარვეზებისა და კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოს გენერალურ პროკურორს დასაბუთებული წინადადებით მიმართა.[71]

2024 წლის 18 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატს შორის, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, სამუშაო ფორმატის შეხვედრა გაიმართა, სადაც დეტალურად მოხდა წინადადებაში მოყვანილ გარემოებებზე მსჯელობა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სახალხო დამცველის წინადადებაში მითითებული არაერთი საგამოძიებო მოქმედება უწყებამ უკვე შეასრულა, გამოძიება გრძელდება და მხედველობაში იქნება მიღებული წინადადებაში მითითებული სხვა გარემოებებიც.

2024 წლის 19 მარტს კი გენერალური პროკურატურის მიერ აპარატს ეცნობა,[72] რომ სახალხო დამცველის წინადადება პროკურატურამ გაიზიარა იმ ნაწილში, რაც მიემართებოდა პროკურატურას და წარდგინებით მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, კანონმდებლობის დარღვევის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით.[73]

---

[70] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 27 აპრილის ექსპერტის დასკვნა N001816223.

[71] სახალხო დამცველის 2024 წლის 1 მარტის N15-2/2222 წინადადება.

[72] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 19 მარტის N13/18469 წერილი.

[73] „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

3.4. ზ.ვ.-ს სუიციდის საქმე

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების (ეფექტიანი გამოძიება) შესრულების ჭრილში შეისწავლა პატიმარ ზ.ვ.-ს საქმეც სახალხო დამცველის აპარატმა, რომლის მასალებსაც აპარატი სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში საგამონაკლისო წესით გაეცნო. მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ გამოძიების პროცესში ჩატარებული არ არის **ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩატარების შემთხვევაში მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნება გამოძიების ეფექტიანობისა და შესაძლო ბრალდებულ პირთა პასუხისმგებლობის გამოკვეთისთვის.**

საქმის გარემოებების თანახმად, 2022 წლის 9 ივლისს, ბრალდებული ზ. ვ. პენიტენციურ დაწესებულებაში შეასახლეს. 2022 წლის 10 ივლისს ბრალდებულს შეხვდა და გაესაუბრა ფსიქოლოგი, რომელმაც მისი სუიციდის რისკი შეაფასა, როგორც დაბალი (6 ქულა), თუმცა, რადგან საშუალო რისკთან (7 ქულა) მიახლოებული ქულა დაუდგინდა, გასცა რეკომენდაცია ბრალდებულის ფსიქიატრთან კონსულტაციისა და სამეთვალყურეო ვიდეოკამერით აღჭურვილ საკანში განთავსების თაობაზე. 2022 წლის 11 ივლისს, დაახლოებით 03:00 საათზე, ზ. ვ.-მა საცხოვრებელი საკნის საპირფარეშოში, სუიციდი განახორციელა.

საქმეზე მოპოვებული ვიდეომასალის შესწავლით ირკვევა, რომ 2022 წლის 11 ივლისს, ზ. ვ. საკანში ორ პატიმართან ერთად იყო განთავსებული. მან ერთ-ერთი მათგანის თაროდან ელასტიკური ბინტის მაგვარი ნივთი აიღო და 02:58:33 საათზე საკნის საპირფარეშოში შევიდა. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს თანამშრომელმა, რომელმაც, სავარაუდოდ ზ. ვ.-ს საკანში შესვლა დააფიქსირა, 03:04:18, 03:05:40 და 03:10:50 საათზე სატელეფონო ზარები განახორციელა.

ვიდეოჩანაწერისა და საქმის მასალების თანახმად, 03:09:37 საათზე, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს თანამშრომელმა ზ. ვ.-ს შემოწმება სთხოვა, მივიდა ზ. ვ.-ს საკანთან და იქ მყოფ ერთ-ერთ პატიმარს გამოელაპარაკა. ხსენებული პირების გამოკითხვის ოქმებიდან დგინდება, რომ დაწესებულების თანამშრომელმა პატიმარს საკნის საპირფარეშოს შემოწმება სთხოვა, რადგან იქ ზ. ვ. იმყოფებოდა. ვიდეო მასალით დასტურდება, რომ 03:13:52 საათზე, საკანში მყოფი პატიმარი, რომელსაც თანამშრომელი ესაუბრებოდა, მართლაც მიდის საპირფარეშოს კარებთან, თუმცა, არ აღებს მას და ისევ ტრიალდება საკნის კარისკენ. 03:14:03 საათზე, ხსენებული პატიმარი აღებს საპირფარეშოს კარს, რა დროსაც ხედავს ზ. ვ.-ს მიერ სუიციდის განხორციელების ფაქტს. პატიმარი დაუყოვნებლივ აცნობებს თანამშრომელს მომხდარის

შესახებ, ამ უკანასკნელს კი, ვინაიდან თან არ ჰქონდა, სწრაფად მოაქვს საკნის გასაღები, თუმცა, ამის შემდეგ მიღებული ზომები უშედეგო აღმოჩნდა.[74]

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ძირითადი საგამოძიებო მოქმედებები მყისიერად ჩატარდა და სწრაფად გამოიკითხნენ ფაქტთან რაიმე შემხებლობაში მყოფი პირები, რამაც გამოძიებას მისცა საშუალება საქმის ფაქტობრივი გარემოებები დაედგინა, მასალების შესწავლით გამოიკვეთა, რომ **ჩატარებული არ არის მნიშვნელოვანი შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებები,** რომელთა ჩატარება აუცილებელია საქმეზე სრული ინფორმაციის შეკრებისა და შესაძლო პასუხისმგებელ პირთა გამოკვეთისთვის, **ვინაიდან, მომხდარი ფაქტის შემთხვევაში, როდესაც პატიმარი სუიციდს სჩადის, დროის მცირე მონაკვეთსაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით სათანადო ღონისძიებათა გატარებისთვის.** სრულყოფილი გამოძიების ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაცია ნათელს გახდის, რამდენად დროულად იმოქმედეს პენიტენციური სისტემის თანამშრომლებმა, მათ შორის სამედიცინო პერსონალმა; ჰქონდათ თუ არა მათ საკმარისი დრო და შესაძლებლობა, მყისიერი რეაგირების შემთხვევაში თავიდან აეცილებინათ დამდგარი შედეგი და არსებობს თუ არა შესაძლო დაგვიანებულ რეაგირებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

მაგალითად, აპარატს აუცილებლად მიაჩნია დადგინდეს არსებობს თუ არა სამსახურებრივი ტელეფონების სატელეფონო საუბრების ისტორია ან/და აუდიოჩანაწერები; არსებობის შემთხვევაში - აუცილებელია მათი მოპოვება; აუცილებელია დადგინდეს ზუსტი დრო, თუ როდის მიიღო ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილმა პირმა ზ.ვ.-ს შესაძლო საყურადღებო ქცევის შესახებ; უნდა დადგინდეს ფაქტთან შემხებლობაში მყოფი პირები იყენებდნენ თუ არა რაციებს და ინახება თუ არა რელევანტური დროის რაციების აუდიო ჩანაწერები და სხვა.[75]

სახალხო დამცველმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წინადადებით მიმართა.[76] უწყების პოზიციით, გამოძიების ფარგლებში ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მათ შორის, მხედველობაში იქნება მიღებული და გათვალისწინებული სახალხო დამცველის წინადადებაში მითითებული საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები.[77] აპარატი გააგრძელებს საქმეზე მიმდინარე გამოძიების მონიტორინგს.

---

[74] ვიდეომასალის დათვალიერებით ირკვევა, რომ ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებებით აღჭურვილ ოთახში განთავსებული ვიდეო კამერების ჩანაწერები, დროში, დაახლოებით, 2 წუთით ჩამორჩება კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ვიდეო კამერების ჩანაწერებს.

[75] ვინაიდან გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეა, აპარატი უფრო მეტ დეტალს მიზანმიმართულად არ აკონკრეტებს საჯაროდ.

[76] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 23 თებერვლის N 15-3/1952 წინადადება.

[77] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 12 მარტის SIS 5 24 00004466 წერილი.

3.5. ლ. ხ.-ს საქმე

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, სახალხო დამცველის აპარატს, საგამონაკლისო წესით,[78] პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულ ლ.ხ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების საქმის[79] მასალების გაცნობის შესაძლებლობაც მისცა.

საქმეზე გამოკითხულია არაერთი პირი, მოპოვებულია წერილობითი დოკუმენტები (მათ შორის, სამედიცინო) და ვიდეოჩანაწერები; დათვალიერებულია შემთხვევის ადგილი; ამოღებულია ნივთები და ნივთიერებები; დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო და კომპლექსური ბიოლოგიური, ტრასოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზები. **2023 წლის 7 ივლისს დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც უნდა დაადგინოს პატიმრის გარდაცვალების უშუალო მიზეზი, 2024 წლის იანვრის მდგომარეობით (თითქმის 7 თვე) გამოძიებას მიღებული კვლავ არ ჰქონდა.** ექსპერტიზის დასკვნის მომზადების არაგონივრულად ხანგრძლივი ვადით გაჭიანურება ხელს უშლის ეფექტიანი გამოძიების წარმართვას. ხსენებულ დასკვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმისთვის, რადგან პასუხი უნდა გასცეს კითხვაზე თუ რა გახდა პატიმრის გარდაცვალების მიზეზი. ამასთან, დასკვნის შინაარსის შესაბამისად, შესაძლებელია საჭირო გახდეს შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ან/და კომისიური ექსპერტიზების დანიშვნა. გარდა ამისა, საქმეზე საწყის ეტაპზევე მოპოვებულია ვიდეოჩანაწერები, თუმცა არ არის შედგენილი დათვალიერების ოქმი.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ პროკურორის დადგენილებით, გარდაცვლილი პატიმრის დედას მიენიჭა დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი და საგამოძიებო ორგანომ მის ადვოკატს გადასცა საქმის მასალების ასლები.

ლ.ხ.[80] 2023 წლის 20 ივნისს დააკავეს. დაკავებიდან მეორე დღეს ბრალდებულის დედა გამოკითხვისას მიუთითებდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემისა (სახლიდან არ გასვლა, ჭამის შიში, ყველა სახის საკვების ვერ მიღება, დედის დახმარების საჭიროება) და ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით მკურნალობის შესახებ. აღნიშნულს ადასტურებს სამკურნალო რეკომენდაციები კონკრეტული დიაგნოზის[81] მითითების გარეშე. ხსენებულ საკითხზე საუბრობდნენ ბრალდებული და მისი ადვოკატი სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზეც. 2023 წლის 21 ივნისს ბრალდებულს დაენიშნა სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. 22 ივნისს, სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდების შემდეგ ლ. ხ. განთავსდა N8 პენიტენციურ

---

[78] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს კანონი მე-18 მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველს არ აქვს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომა.

[79] სს N199070723002 საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

[80] ადვოკატმა აპარატში წარადგინა სს N002200623001 საქმის მასალების ასლები და ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერები.

[81] ადვოკატმა აპარატში წარადგინა (ასევე საგამოძიებო ორგანოშიც) ფსიქიატრის მიერ 26.06.2023 წ. და 07.07.2023 წ. გაცემული ცნობები კონკრეტული დიაგნოზით (შიზოტიპური აშლილობა).

დაწესებულებაში, დეესკალაციის ოთახში, სადაც 1 კვირის განმავლობაში (22-29 ივნისი) იმყოფებოდა. დაწესებულებაში შესახლებისას ჩატარებული სამედიცინო შემოწმებით, ახალი ტრავმული დაზიანება არ აღენიშნებოდა, დოკუმენტში მითითებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაზე, თუმცა პატიმარი სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა, რადგან დაბალი რისკი გამოვლინდა.

23 და 24 ივნისს ლ. ხ.-ს დასჭირდა გადასხმის გაკეთება. ჩაუტარდა ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრის კონსულტაცია. იღებდა ფსიქიატრის მიერ დანიშნულ მედიკამენტებს. დეესკალაციაში მოთავსების შემდეგ მდგომაროება შედარებით გაუმჯობესდა. დაწესებულების ინფორმაციით, პატიმარს შიმშილობა გამოცხადებული არ ჰქონდა, დოკუმენტი მისი საკვებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შედგენილი არ ყოფილა. 29 ივნისს, ლ.ხ. განთავსდა საკანში სხვა პატიმრებთან ერთად. ამ პერიოდში შეხვდა ექიმს და ექთანს, რომელთა თქმით, სომატური ჩივილები არ დაუფიქსირებია. პატიმარს კონკრეტული მკურნალი ექიმი არ ჰყოლია, მის ფლიგელს ყურადღებას აქცევდა პჯდ ექიმი. ბრალდებულს ჰყავდა ფსიქიატრი.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ჩატარებულ გამოკითხვებში N8 პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პერსონალი მიუთითებს, რომ პატიმარი სომატურ ჩივილებს არ წარადგენდა, გარდა კბილების არქონისა. ისინი საუბრობენ პატიმრის ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც (შეშინებული, დათრგუნული, ჰქონდა შფოთვა, აფორიაქება, არ იყო აგრესიული); ითხოვდა მარტო განთავსებას, ჰქონდა სოციუმის შიში. ასევე აღნიშნავენ, რომ პატიმრის გადმოცემით, იგი არ გამოდიოდა სახლიდან, ვერ იღებდა საკვებს (უარს ამბობდა მყარ საკვებზე, იღებდა მცირე ულუფებით). ამის მიზეზად, ბრალდებულისვე მონათხრობის მოშველიებით, კბილების არქონასა და ყლაპვის შიშს ასახელებენ.

სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის შესწავლის შედეგებით, N8 პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო დოკუმენტაცია შევსებულია ხარვეზებით. ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში არ არის წარმოდგენილი პაციენტის სუბიექტური და ობიექტური მონაცემები (ჩივილები, ანამნეზი, არტერიული წნევა, პულსი, გულის, ფილტვებისა და მუცლის ღრუს ორგანოების მდგომარეობა და ა.შ.). პაციენტის სომატური მდგომარეობა ზოგადად აღწერილია იზოლატორისა და ექსპერტიზის ბიუროს დოკუმენტებში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოკითხული სამედიცინო პერსონალი მიუთითებდა პატიმრისთვის გადასხმის გაკეთების ფაქტზე, ამბულატორიულ სამედიცინო ბარათში არ არის ჩანაწერი, ლ.ხ-სთვის ინტრავენური გადასხმის დანიშვნისა და მიზეზების შესახებ.[82]

3 ივლისს ლ.ხ. მოთავსდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საიდანაც 5 ივლისს დააბრუნეს დაწესებულებაში. ამასთან,

[82] რინგერის ხსნარი ვიტამინებით, რაც დაფიქსირებულია მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალში და ექთნის ჩვენებაში.

ექსპერტიზის ბიურომ აცნობა დაწესებულებას, რომ პატიმარი საჭიროებდა ფსიქიატრიულ მეთვალყურეობას. 7 ივლისს პატიმარი საკანში გარდაიცვალა. საკანში ვიდეო მეთვალყურეობა ხორციელდებოდა. ბრალდებულის თანასაკნელებმა აღნიშნეს, რომ კონფლიქტი არ ჰქონიათ, გარდაცვლილი მშვიდი პიროვნება იყო. ლ.ხ.-მ დალია ჩაი და შეჭამა ორცხობილა, დაწვა საწოლზე, ერთვებოდა საუბარში. მოულოდნელად გახდა ცუდად, დაუძახეს თანამშრომლებს და მივიდნენ ექიმები, თუმცა პატიმარი გარდაიცვალა. ოქმის თანახმად, 7 ივლისს, დაახლოებით 18:42 საათზე, საკანში ითხოვეს სამედიცინო დახმარება, რადგან პატიმარი გახდა შეუძლოდ და დაკარგა გონება. 18:43 საათზე ბრალდებული ნახა სამედიცინო პერსონალმა, 18:56 საათზე გამოძახებულია სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომელიც მივიდა 19:08 საათზე. 19:50 საათზე დაფიქსირდა პატიმრის გარდაცვალება. საგულისხმოა, რომ ეს გარემოებები დასტურდება ვიდეოჩანაწერითაც.

აღსანიშნავია, რომ **ბრალდებულის გარდაცვალების შემდეგ, 24 ივლისს, გაცემული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, დადგინდა შეურაცხადობა, რადგან ლ.ხ. დაავადებული იყო შიზოტიპური აშლილობით (ახასიათებს ქრონიკული მიმდინარეობა) და არ შეეძლო სწორად აღექვა, დაემახსოვრებინა, და აღედგინა ფაქტები, ანგარიში გაეწია და ეხელმძღვანელა საკუთარი თავისთვის, არ ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. შესაბამისად, სახეზე იყო ბრალის გამომრიცხველი გარემოება[83] და შეუძლებელი იყო მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის დაკისრება. საგულისხმოა, რომ ეს გარემოება ცნობილი იყო ექსპერტიზისთვის კვლევის დროს, თუმცა დასკვნა მომზადდა და გაიცა 19 დღის შემდეგ, როცა პატიმარი უკვე გარდაცვლილი იყო.**

ყურადღებას იქცევს ხსენებული ფსიქიატრიული ექსპერტიზის კვლევით ნაწილში აღნიშნული გარემოებები: პატიმრის გადმოცემით, ბოლო წლებში სახლიდან არ გადიოდა, დახრჩობის შიშით ვერ ჭამდა, იღებდა მხოლოდ რბილ საკვებს მცირე რაოდენობით, ოჯახის წევრთან ერთად. პატიმრობაში მისი მდგომაროება გაუარესდა, ციხეში ეშინოდა უცხო გარემოში, უცხო ხალხთან, მოითხოვა მარტო ყოფნა და დეესკალაციაში მოათავსეს, მერე გადაიყვანეს საერთო საკანში, ყლაპვა არ შეეძლო, ვერ ჭამდა, დასუსტდა, აღელვებული იყო, ნერვიულობდა, გულის აჩქარებები ჰქონდა, პირი უშრებოდა, სახე და საფეთქლები დაბუჟებული ჰქონდა, ციხეში ყოფნა ძნელი იყო მისთვის, ვერ ძლებდა, ეგონა დაიღუპებოდა. დასკვნაში მითითებულია, რომ სტაციონარში საკვები მიიღო მცირე რაოდენობით, იყო უხალისო, განმარტოებული, უჩიოდა მოხრჩობის გრძნობას, რის გამოც ვერ ახერხებდა ყლაპვას, ჭამას, მიიღო მცირე რაოდენობით მხოლოდ ადვილად დასაღეჭი საკვები.

ამდენად, **ბრალდებული ლ.ხ. განსაკუთრებულ მეთვალყურეობას, ზრუნვას საჭიროებდა როგორც ფსიქიკური, ასევე, ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. მეტიც, მისი შეურაცხადობის გამო, დაუშვებელი იყო სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის**

[83] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 34.

დაკისრება, თუმცა ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე, პატიმრობაში ყოფნისას გარდაიცვალა. ეს საქმე, კიდევ ერთხელ, დღის წესრიგში აყენებს ფსიქიკური მდგომარეობის გამო განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორიის პატიმრების უფლებების დაცვის საკითხს. ფსიქიკური პრობლემების ქონის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამის გარემოში განთავსება ადეკვატური ზრუნვის სერვისებით, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დაუყოვნებლივ ჩატარება და დასკვნის გაცემა შეურაცხადობის საკითხზე.

3.6. შ. მ.-ს საქმე

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში აღნიშნული იყო 2020 წლის იანვარში, სამოქალაქო კლინიკაში ყოფილი უცხოელი პატიმრის შ. მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების გაჭიანურებისა და ხარვეზების შესახებ.[84]

გამოვლენილი გამოძიების ხარვეზების საფუძველზე, სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა, 2023 წლის 6 მარტს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა წინადადებით კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ.[85]

სახალხო დამცველის აპარატი კვლავ აგრძელებს მითითებულ საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის მონიტორინგს და შესაბამისად, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობით, საგამონაკლისო წესით, 2024 წლის 16 იანვარს გაეცნო 2022 წლის დეკემბრის შემდგომ, საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ამსახველ დოკუმენტაციას. საქმის მასალების შესწავლის შედეგად ჩანს, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გაიზიარა სახალხო დამცველის წინადადება და 2023 წლის განმავლობაში ჩაატარა და კვლავაც აგრძელებს იმ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, რაც რეკომენდირებული იყო წინადადებით.

საანგარიშო პერიოდში, გამოძიების მიერ გამოიკითხნენ სამოქალაქო კლინიკის სამედიცინო პერსონალი (ნაწილი), რომელთაც შემხებლობა ჰქონდათ გარდაცვლილის მკურნალობასთან, ასევე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტისა და რეფერალის საკითხთა კომისიის წევრები და სათანადო სპეციალისტი, მსჯავრდებულის სამოქალაქო კლინიკაში გაყვანის პროცედურებთან დაკავშირებით.

გამოძიებამ ასევე მიმართა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს კითხვით, 2023 წლის მდგომარეობით, ინახება თუ არა სამსახურებრივ სერვერზე 2019 წლის სამსახურებრივი მიმოწერა შ. მ.-ს მკურნალობასთან დაკავშირებით. თუმცა, **2023 წლის აპრილს გაგზავნილ**

[84] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, 2023, გვ. 22-23.
[85] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 6 მარტის N15-2/2294 წინადადება.

შეკითხვებზე გამოძიებას, პასუხი 2023 წლის მდგომარეობით (9 თვის გასვლის შემდეგაც), პენიტენციური სამსახურიდან არ მიულია.

როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, გამოძიების არსებითი დამაბრკოლებელი გარემოება კვლავ 2021 წელს დანიშნული სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის გაჭიანურებაა.[86]

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მოცემულ საქმეში N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულისთვის სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გაყვანა გაჭიანურდა რამდენიმე თვით, მიუხედავად იმისა, რომ პენიტენციური სამსახურის სამედიცინო პერსონალის მიერ პატიმრისთვის რეკომენდებული იყო დროის შედარებით მცირე პერიოდში სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა, შესაბამისი მკურნალობის ჩატარების მიზნით. რამდენიმეთვიანი გაჭიანურების შემდეგ მსჯავრდებულისთვის სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ჩატარებული მკურნალობა პაციენტს გაურთულდა და დასრულდა მისი გარდაცვალებით. შ.მ.-ს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე[87] გამოძიება დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თუმცა გამოძიების მიმდინარეობა არ მოიცავდა მსჯავრდებულისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების შესაძლო კავშირს მის გარდაცვალებასთან და შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამოქალაქო სექტორის კლინიკაში მის მიმართ შესაძლო გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის გამოძიებით. ვინაიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ასევე პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა ქმედებების კავშირს მსჯავრდებულის გარდაცვალების ფაქტთან, საქმეზე, სახალხო დამცველის წინადადების[88] გაზიარების შედეგად, შეიცვალა კვალიფიკაცია, გამოძიება გაგრძელდა სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია[89] და შემდგომი გამოძიების მიზნით გადაეცა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

3.7. თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

2023 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე კონვენციის მე-2 მუხლის - სიცოცხლის უფლების - პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა, რადგან სახელმწიფომ ვერ შეასრულა ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების მოთხოვნები.[90] სასამართლომ მიუთითა გამოძიების ხარვეზებზე: პირველადი საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებისა

[86] დეტალურად მიმოხილულია ექსპერტიზის პრობლემების ამსახველ ქვეთავში.
[87] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 116, ნაწ. 1.
[88] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 12 აპრილის N15-2/3379 წინადადება.
[89] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 342, ნაწ. 2.
[90] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2023 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით საქმეზე: „Machalikashvili and others v. Georgia" (განაცხადი N32245/19, საბოლოო გახდა 2023 წლის 22 მაისს) იხ. <https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22machalikashvili%22],%22itemid%22:[%22001-222413%22]}> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.].

და დამუშავების ხერხზე, ოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლის ფაზის ზედაპირულ გამოკვლევაზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების გამოკითხვის დაგვიანებაზე, განმცხადებლისთვის დაზარალებულის სტატუსის მიუნიჭებლობაზე, რამაც ხელი შეუშალა პროკურატურის გადაწყვეტილების გასაჩივრებაში.

გადაწყვეტილების თანახმად, ოპერაციის დაგეგმვა და კონტროლი გამოძიების ფარგლებს გარეთ არ დარჩენილა, თუმცა, არ არის ოფიციალური ანგარიშები ოპერაციის მომზადების და/ან განხორციელების შესახებ. სასამართლო მიიჩნევს, რომ მათი არარსებობისას გამოძიება შეზღუდული იყო ოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლის ფაზის შეფასებისას.

ამასთან, სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში, რადგან არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება, გონივრული ეჭვის მიღმა დასკვნისთვის, რომ თემირლან მაჩალიკაშვილი გარდაიცვალა სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ გარემოებებში. სასამართლოს პოზიციით, მის წინაშე არსებული მტკიცებულებები შეუძლებელს ხდის ურთიერთგამომრიცხავი ვერსიების შეფასებას და ეს ნაწილობრივ მაინც გამომდინარეობს გამოძიების ხარვეზებიდან. სასამართლოს განცხადებით, თემირლან მაჩალიკაშვილი გარდაიცვალა სასიკვდილო ჭრილობის შედეგად, რომელიც მან მიიღო მისი დაკავების ოპერაციის დროს, თუმცა, ეროვნულ დონეზე არ მომხდარა სასამართლო შეფასება იმ ზუსტი გარემოებების შესახებ, რამაც გამოიწვია სასიკვდილო გასროლა.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი[91] წლების განმავლობაში მოცემულ საქმეზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარების რეკომენდაციას გასცემდა. ხოლო 2020 წელს გამოძიება არაეფექტიანად წარმოებულად შეაფასა და გამოძიების განახლების შესახებ წინადადებაში[92] აუცილებლად მიიჩნია სპეცოპერაციის მიმდინარეობის კონტროლის ამსახველი ინფორმაციის მოპოვება. სამწუხაროდ, პროკურატურამ სახალხო დამცველის წინადადება არ გაიზიარა. ხსენებულ საკითხზე ყურადღება კი სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ[93] გაამახვილა.

სახალხო დამცველის ანგარიშში აღინიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო გახდებოდა, სახელმწიფოს ევალებოდა გამოძიების განახლება და ხელახალი ეფექტიანი გამოძიების ჩატარება და იმედი გამოთქვა, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად განახლებული გამოძიება

[91] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2017 წლის ანგარიში, გვ. 37-40; 2018 წლის ანგარიში, გვ. 32-33, 37; 2019 წლის ანგარიში, გვ. 44-47, 48; 2020 წლის ანგარიში, გვ. 36-37<https://www.ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.]

[92] საქართველოს სახალხო დამცველმა 2020 წლის 27 მარტის N15-5/3581 წინადადება.

[93] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2023 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით საქმეზე: „Machalikashvili and others v. Georgia" (განაცხადი N32245/19), პარ. 90

გაითვალისწინებდა სახალხო დამცველის წინადადებებს და ადამიანის უფლებათა შესაბამისი სტანდარტების დაცვით წარიმართებოდა.[94]

საგულისხმოა, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 2023 წლის 22 მაისს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება დანაშაულზე, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტს, თუ აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გამო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტი დადგენილია 2022 წლის 28 თებერვლის შემდეგ.[95]

2023 წლის ივნისში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციით, საგამოძიებო სამსახური ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტთან კონსულტაციებს გამართავდა, რათა 6 თვის ვადაში უზრუნველეყო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ნაბიჯების დაგეგმვა.[96] იდენტური პოზიცია დააფიქსირა უწყებამ 2023 წლის ბოლოს.[97] თუმცა, საყურადღებოა, რომ გამოძიება კვლავ არ განახლებულა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2024 წლის მარტში მიღებული გადაწყვეტილებით, მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სწრაფად ხელახლა განიხილოს საქმის მასალები, თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეში ევროსასამართლოს მიგნებების შუქზე და კომიტეტსა და მომჩივნებს შეატყობინოს გამოძიების განახლებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.[98] აპარატი გააგრძელებს საქმის აქტიურ მონიტორინგს.

3.8. ხანძარი N17 დაწესებულებაში

გასულ წელს სახალხო დამცველის აპარატმა საზოგადოებას 2021 წლის 14 ოქტომბერს, N17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრისა და შედეგად ორი გარდაცვლილი მსჯავრდებულის ფაქტის მონიტორინგის შედეგები წარუდგინა. ერთი მხრივ, აპარატმა ორი მსჯავრდებულის გარდაცვალების საქმეზე მიმდინარე გამოძიების მონიტორინგის თაობაზე დეტალური ანალიზი წარმოადგინა; მეორე მხრივ კი, როგორც გამოძიების

---

[94] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, გვ. 21-22 < https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.], საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 25-27 <https://ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.]

[95] „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 19, ნაწ. 1, ქვეპ. „ე", მუხ. 29, ნაწ. 3.

[96] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 2 ივნისის NSIS32300009541 წერილი.

[97] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 8 დეკემბრის SIS 9 23 00022533 წერილი.

[98] იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2024 წლის 12-14 მარტს გამართულ 1492-ე შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება, პარა. 4, ხელმისაწვდომია: <1492 DH decisions in Tsintsabadze group>

მასალებიდან, ისე პენიტენციური სამსახურიდან და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ანგარიშში საუბარი იყო, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არსებობდა სახანძრო-უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და მონიტორინგის სისტემური პრობლემა.[99]

სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდშიც გააგრძელა სისტემური პრობლემის აღმოფხვრის პროცესის მონიტორინგი და ასევე, კიდევ ერთხელ, საგამონაკლისო წესით მოცემულ ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მასალებს გაეცნო.[100]

გამოძიების შედეგად, დაწესებულებაში ხანძრის გაჩენისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტზე პასუხისმგებელი პირი ამ დრომდე ვერ იდენტიფიცირდება. თუმცა, გამოძიება გრძელდება.

რაც შეეხება პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო-უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს, დადებითად უნდა შეფასდეს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით აქტივობები 2023 წელსაც გაგრძელდა. კერძოდ, წარმოდგენილი ინფორმაციით, 2023 წელს დასრულდა უსაფრთხოების საევაკუაციო გეგმების განთავსება პენიტენციური დაწესებულებებსა და სამსახურის სხვა ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში. ასევე, სამსახურმა, 2023 წელს დამატებით უზრუნველყო N1 პენიტენციური დაწესებულების საევაკუაციო გეგმის შესყიდვა, რომელიც განთავსდება დაწესებულებაში უახლოეს პერიოდში. აგრეთვე, 2023 წელს N2, N6, N8, N12, N15, და N16 პენიტენციურ დაწესებულებები დაკომპლექტდა სახანძრო კარადებით (შლანგები, ლულები და ონკანები), ხოლო ეზოებში მოეწყო წყლის ჰიდრანტები. ყველა პენიტენციური დაწესებულება სრულად აღიჭურვა ცეცხლმაქრებითა და სახანძრო მოქნილი შლანგებით.[101]

შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით, სახანძრო სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადების მიზნით, 2023 წელს ჩატარებული სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული პროცედურების საფუძველზე, 2023 წლის 30 აგვისტოს, გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მიმდინარეობს პროექტის მომზადების სამუშაოები, რომლის დასრულების ვადაა 2024 წლის აპრილი. მომზადებული საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, სპეციალური პენიტენციური სამსახური ეტაპობრივად დაგეგმავს, პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო სისტემების მოწყობის სამუშაოების განხორციელებას, მოქმედი

[99] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 24-25. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf>, ბოლოს ნანახია: [24.01.2024].

[100] სპეციალურ საგამოძიებოს სამსახურში მიმდინარე სისხლის სამართლის №199141021002 საქმე.

[101] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2024 წლის 18 იანვრის № 15471/01 წერილი.

კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გათვალისწინებით.[102] სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს პროცესის მონიტორინგს.

3.9. ე.წ. ხორავას და შეწყალების საქმეები

გასული წლების ანგარიშებში სახალხო დამცველის აპარატი ამ ორ საქმეზე აქტიურად ახდენდა საზოგადოების ინფორმირებას. 2023 წელს **კვლავ არ დასრულებულა არც ერთი საქმის წარმოება.**

გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება, ქ. თბილისში, ხორავას ქუჩაზე, არასრულწლოვნების დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის მკვლელობის საქმეზე შესაძლო არასათანადო საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ფაქტზე, არც საანგარიშო წელს დასრულებულა. პროკურატურის განმარტებით, შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული იქნება, არასრულწლოვნების მკვლელობის ფაქტებთან დაკავშირებით, საერთო სასამართლოების სისტემაში სამართალწარმოების პროცესის დასრულების შემდეგ.[103]

ასევე, კვლავ შედეგის გარეშე მიმდინარეობს საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით,[104] 2019 წლის 20 სექტემბერს დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება.[105] პროკურატურამ მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მიაწოდა აპარატს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და ასევე, აცნობა, რომ გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა საქართველოს პრეზიდენტი.[106]

4. წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა

არასათანადო მოპყრობის შესახებ სახალხო დამცველს 2023 წელსაც აქტიურად მიმართავდნენ. სამწუხაროდ, **არაერთი მოქალაქე, მათ შორის პატიმარი, მიუთითებს პოლიციისა და პენიტენციური სისტემის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო**

---

[102] იქვე.

[103] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 22 დეკემბრის N13/85901 წერილი.

[104] 2019 წელს სახალხო დამცველმა სიცოცხლის უფლების დარღვევად შეაფასა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მიერ იმ მსჯავრდებულთა შეწყალება, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ განზრახი მკვლელობებისთვის და მსჯავრის მნიშვნელოვანი ნაწილის მიუხდელად პენიტენციური დაწესებულებები დატოვეს.

[105] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 22 დეკემბრის №13/86093 წერილი. გამოძიება შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[106] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 დეკემბრის №13/78621 და 2023 წლის 10 იანვრის №13/475 წერილები.

მოპყრობის შესახებ. საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა დაასრულა მუშაობა და გამოაქვეყა სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, რომელიც არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება. **კვლევამ კანონმდებლობაში არსებული არსებითი მნიშვნელობის ხარვეზები გამოკვეთა, რაც ხელს უშლის წამების პრევენციული ეფექტის განხორციელებას და რიგ შემთხვევებში მომხდარი არასათანადო მოპყრობის ფაქტების არასწორ კვალიფიკაციასა და უფრო მსუბუქი სახის პასუხისმგებლობის დაყენებას განაპირობებს.**

2023 წელს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა, მათ შორის, სხვადასხვა **საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას,** რაც, უფრო დეტალურად ანგარიშის შესაბამის თავში იქნება მიმოხილული. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლების სხვა საინტერესო ასპექტებიც, რაც ანგარიშის შემდგომ ნაწილებში იქნება განხილული.

ცხადია, არასათანადო მოპყრობის შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების საკითხი სახალხო დამცველის აპარატის ინტერესის ობიექტია, როგორც ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველი კონსტიტუციური უწყებისა და წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის. ხშირ შემთხვევაში, დანაშაულებრივი ფაქტის შემოწმების/გამოძიების პრობლემა შინაგან საქმეთა სამინისტროში **ვიდეოჩანაწერების არარსებობას** უკავშირდება, რიგ შემთხვევებში კი გამოძიება **ექსპერტიზის დასკვნების დაგვიანებით** მომზადებით ფერხდება. ამ და სხვა გამოწვევებზე, სხვადასხვა გამოძიების არაეფექტიანობაზე სწორედ წინამდებარე თავში იქნება საუბარი.

აპარატი ნეგატიურად აფასებს პენიტენციურ უწყებაში ვიდეოჩანაწერების დაარქივების ვადის 30 დღიდან 10 დღემდე შემცირებას. მიგვაჩნია, რომ ეს ნეგატიურ როლს შეასრულებს როგორც არასათანადო მოპყრობის პრევენციის პროცესში, ისე დააზარალებს ეფექტური რეაგირების პროცესს. 2023 წელს, ცალკეულ პენიტენციურ დაწესებულებებში, გამოვლინდა **არაფორმალური მმართველობის** შემთხვევები.

ამასთან, წარმოდგენილი იქნება **სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მუშაობის მონიტორინგის დეტალური შედეგები.** მისასალმებელია, რომ **საგამოძიებო უწყება კვლავ გამორჩეულია კარგი თანამშრომლობისა და გამჭვირვალეობის ხარისხით.** ასევე, რაც კიდევ უფრო მეტად ხაზგასასმელია, **უწყება კვლავ ასრულებს მასზე დაკისრებული ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს და მიუხედავად, ერთეული პრობლემებისა, არ აქვს გამოძიებაში სისტემური ხარვეზები.**

განხილული იქნება პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებისთვის **გაჭიანურებული** ან რიგ შემთხვევაში, **არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების პრობლემა.** საუბარი იქნება **ფსიქიატრიული ექსპერტიზების ჩატარების გაჭიანურებით,** პატიმრებისთვის ჯანდაცვის შესაფერისი სერვისის მიწოდების შეფერხების საკითხზე. წარმოდგენილი იქნება პატიმრებისთვის სავარაუდოდ ადეკვატური და ხარისხიანი სამედიცინო სერვისის

მიუწოდებლობის შემთხვევებზე **სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ ჩატარებული შემოწმების გაჭიანურების პრობლემებზე** და სხვა.

წარმოდგენილი იქნება **საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მართვის მონიტორინგის შედეგები.**

4.1. არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაცია

როგორც აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი.[107] კვლევის ფარგლებში სასამართლოების მიერ **2013-2019 წლებში 68 სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 131 გადაწყვეტილება იქნა შესწავლილი.**

ხსენებული სპეციალური ანგარიშით შესაძლებელი გახდა საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენა, პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებების ანალიზი და მათი აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ამასთან, სპეციალური ანგარიშის გამოყენებით შესაძლებელი გახდება საერთო სასამართლოების სწორი სამართლებრივი შეფასებისა და განმარტებების განზოგადება და საგამოძიებო ორგანოებისთვის სახელმძღვანელო რეკომენდაციების მომზადება.

შესწავლილ საქმეებში გამოიკვეთა მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით კვალიფიკაციის შემთხვევები. ამ პრაქტიკას საკანონმდებლო ხარვეზი განაპირობებს; კერძოდ, სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებებს, რაც მოხელის მიერ ძალადობით, იარაღის გამოყენებით, ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილ უფლებამოსილების გადამეტებას და ბოროტად გამოყენებას გულისხმობს, მოიცავს არასათანადო მოპყრობის სპეციალური - სსკ-ის 144^1-144^3 მუხლების საკანონმდებლო დეფინიცია. მართალია, კვლევა არ მოიცავდა სხვა მომიჯნავე მუხლებით სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების ანალიზს, თუმცა კანონმდებლობის შესწავლამ გამოკვეთა, რომ სსკ-ის 335-ე (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიღების იძულება) და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილის (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით) დისპოზიცია მოიცავს არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით აკრძალულ ქმედებებს.

შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში, საჭიროა, არასათანადო მოპყრობის პრევენციული ეფექტის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობა ნათლად, ორაზროვნების გარეშე, ამომწურავად ახდენდეს არასათანადო მოპყრობის კრიმინალიზაციას მხოლოდ სპეციალური ნორმებით (სსკ-ის 144^1-144^3 მუხლები) და

[107] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი"<https://ombudsman.ge/res/docs/2023081816200941495.pdf> [ბოლოს ნანახია: 11.01.2024 წელს]

პრაქტიკაში გამორიცხავდეს ამ დანაშაულების სხვა მუხლებით კვალიფიკაციის შესაძლებლობას.

არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის საკითხი მნიშვნელოვანია პროპორციული სასჯელის დაკისრების და აღსრულების თვალსაზრისითაც. სამოხელეო დანაშაულის ფაქტებისგან განსხვავებით, არასათანადო მოპყრობის სპეციალურ მუხლებზე არ გამოიყენება: ხანდაზმულობის ვადები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისათვის,[108] ასევე, განრიდება;[109] დაუშვებელია სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ საპროცესო შეთანხმების დადებისას.[110] თუმცა, დაშვებულია იმავე მუხლებით ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება სასჯელის შემცირებით ან პირობითი სასჯელის დაკისრებით.[111]

გარდა ამისა, **პრობლემურია კანონმდებლობა საშელავათო მექანიზმების გამოყენების მიმართულებითაც:** არასათანადო მოპყრობისთვის ამნისტიის გამოყენების საკითხზე კანონი პირდაპირ აკრძალვას არ აწესებს.[112] რაც შეეხება შეწყალებას, მას საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით დადგენილი წესით ახორციელებს.[113] მართალია, შეწყალების გამოყენებისას მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას[114] არასათანადო მოპყრობის ჩადენის ფაქტი და მისი ჩადენა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ, თუმცა პრეზიდენტი უფლებამოსილია იმავე წესით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე.[115]

4.2. ვიდეოჩანაწერები პენიტენციურ სისტემაში

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ნორმატიული ცვლილებით, **პენიტენციურ დაწესებულებებში გადაღებული ვიდეომასალის დაარქივების/შენახვის 30 დღიანი ვადა 10 დღემდე შემცირდა,** რაც მნიშვნელოვნად აუარესებს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობას მათ მიმართ არასათანადო მოპყრობისა ან/და მათი უფლებების სხვაგვარი დარღვევის პრევენციის მიმართულებით.[116]

---

[108] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 5[1].

[109] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 168[1] , ნაწ. 2.

[110] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 218, ნაწ. 8; მუხ. 73[1] .

[111] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 209-218; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 55 და 63.

[112] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 77.

[113] იქვე, მუხ. 78, პუნქ. 1.

[114] „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის N556 ბრძანებულება, ქვეპ. „ბ", „დ".

[115] „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის N556 ბრძანებულება, მუხ. 5, პუნქ. 2.

[116] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 20 ოქტომბრის N941 ბრძანება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხორციელებული ცვლილების მიზეზად სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ფინანსური და ადამიანური რესურსის ზრდის საჭიროება დაასახელა.[117]

უწყებასთან დამატებითი კომუნიკაციის მიუხედავად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან არ ყოფილა წარმოდგენილი არგუმენტაცია, თუ რა ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა ფინანსური ხარჯისა და ადამიანური რესურსის გაზრდა, რამაც ვიდეოჩანაწერების შენახვის პერიოდის 3-ჯერ შემცირება გამოიწვია.[118]

სახალხო დამცველი საპარლამენტო ანგარიშებში[119] წლების განმავლობაში მიუთითებდა, რომ დახურულ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, უნდა გაზრდილიყო ვიდეოჩანაწერების შენახვისა და დაარქივების ვადა, რაც თავდაპირველად 24 საათს შეადგენდა. პირველ ეტაპზე, ხსენებული ვადა 5 დღემდე, მოგვიანებით კი, 30 დღემდე გაიზარდა. აღნიშნული სიახლე დადებითად შეფასდა როგორც სახალხო დამცველის, ისე - ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მხრიდან.[120] აღნიშნულის გათვალისწინებით, ბრძანებაში 2023 წელს შესული ცვლილება, პატიმართა უფლებათა დაცვის პერსპექტივიდან, ვერ შეფასდება დადებით სიახლედ.

აღსანიშნავია, რომ ვიდეოგადაღება და ვიდეოჩანაწერის შენახვისა და წარმოდგენის შესაძლებლობა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრევენციულ მექანიზმს დახურულ დაწესებულებაში მოთავსებული პირების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ასევე, იგი წარმოადგენს ნეიტრალურ მტკიცებულებას არასათანადო მოპყრობის ეჭვის არსებობის შემთხვევაში და მნიშვნელოვან მტკიცებულებას გამოძიებისათვის, რაც, თავის მხრივ, არსებით როლს ასრულებს დახურულ დაწესებულებაში თანამშრომელთა თვითნებობის აღსაკვეთად და პასუხისმგებელი პირების გამოსავლენად.

აღნიშნული არ მიემართება მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე ფაქტებს, არამედ მნიშვნელოვანია პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების

---

[117] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 30 ნოემბრის № 333280/01 წერილი.

[118] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 28 დეკემბრის № 363765/01 წერილი.

[119] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, <https://drive.google.com/file/d/1Tyor20tgcN9rhR4kfRuFzVRO3CroM_Q5/view>, გვ. 43-44; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, <https://drive.google.com/file/d/1_VN-AwGDBAc-ocqskoTm0OSPXcrb9Cup/view>, გვ. 9; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, <https://drive.google.com/file/d/11H2Ywr72aNiTwurAjO3Q8fNiqCqj1JvW/view>, გვ. 20; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, <https://drive.google.com/file/d/1gcWDvqloj-PTKW5FWBczRKSLdQrKkoO9/view>, გვ. 44; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, <https://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>, გვ. 43; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2019 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, <https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf> გვ. 29.

[120] იხ. <https://hudoc.exec.coe.int/?i=DH-DD(2019)345E>, პარაგრაფი 41-42; <https://hudoc.exec.coe.int/?i=DH-DD(2019)1105E>, პარაგრაფი 31-32.

მიერ სხვა ტიპის გადაცდომების გამოვლენისა და პატიმართა კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დაცვის კონტექსტში.

ამგვარად, ჩანაწერების შენახვის ვადის შემცირებამ შესაძლოა შექმნას დაბრკოლება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების ეფექტიანად გამოვლენისა და შესწავლის/გამოძიების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3, N11 და N8 დაწესებულების ნაწილში[121], ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების განახლებამდე, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე გადაღებული ვიდეო მასალის შენახვის ვადად, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად,[122] კვლავ განსაზღვრულია არანაკლებ 120 საათი.[123]

აღსანიშნავია, რომ მითითებულ დაწესებულებებში, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების განახლებამდე, გადაღებული ვიდეო მასალის 120 საათით შენახვის საკითხთან დაკავშირებით, N35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბოლო, N941 ბრძანებაში მითითებული არ არის და არც ცალკე იძებნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ბოლო ინფორმაციით, N3 და N11 პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე N8 დაწესებულების ნაწილში, დღეის მდგომარეობით, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები კვლავ არ განახლებულა და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე გადაღებული ვიდეომასალის შენახვის ვადად განსაზღვრულია კვლავ არანაკლებ 120 საათი.[124]

მიუხედავად სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნისა, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს არ წარმოუდგენია ბრძანება ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების განახლებამდე, N3 და N11 დაწესებულებებში, ასევე N8 დაწესებულების ნაწილში გადაღებული ვიდეო მასალის შენახვის ვადის არანაკლებ 120 საათით გაგრძელების შესახებ. შესაბამისად, შეუძლებელია იმის დაზუსტებით თქმა, თუ კი გამოცემულია მსგავსი ბრძანება, რატომ არ არის ის ასახული საკანონმდებლო მაცნეზე ან რატომ არ მიეწოდება სახალხო დამცველის აპარატს.

მნიშვნელოვანია, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა დროულად გამონახოს შესაბამისი რესურსი და ხსენებულ დაწესებულებებში გადაღებული ვიდეო მასალის შენახვა მოხდეს სხვა დაწესებულებების მსგავსად. ხოლო ყველა სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში კვლავ გაიზარდოს ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა.

---

[121] N8 პენიტენციური დაწესებულების ნაწილი, რომელიც განთავსებულია ქ. თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11.

[122] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, 102-105. <https://ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf>, [ბოლოს ნანახია: 17.01.2024]

[123] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 30 იანვრის N23854/01 წერილი.

[124] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2024 წლის 9 იანვრის N5201/01 წერილი.

4.3. არასათანადო მოპყრობის შესახებ მომართვები

სახალხო დამცველის აპარატს, როგორც აღინიშნა, კვლავ მიმართავენ მოქალაქეები, რომლებიც აფიქსირებენ პრეტენზიას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, **აპარატმა შეისწავლა არაერთი პატიმრის საჩივარი, რომლებიც მიუთითებდნენ პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.** საილუსტრაციოდ, შეგვიძლია მოვიყვანოთ ორი საქმე, სადაც მსჯავრდებულები მიუთითებდნენ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ფიზიკურ ძალადობაზე.

ერთ შემთხვევაში, მსჯავრდებული რ. ი. განმარტავდა, რომ 2023 წლის 8 ოქტომბერს სრულიად უსაფუძვლოდ შეასახლეს დეესკალაციის ოთახში. დეესკალაციის ოთახში შესახლებამდე დაწესებულების თანამშრომლებმა მასზე ფიზიკურად იძალადეს. კერძოდ, გადაუგრიხეს ხელები, აგრეთვე, ისინი ხელებს უჭერდნენ ყელში და თავზე, რაც ძლიერ ფიზიკურ ტკივილს იწვევდა. სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას მსჯავრდებულმა განმარტა, რომ ფაქტის შესახებ 2023 წლის 11 ოქტომბერს შეატყობინა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა[125] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. მიღებული პასუხის თანახმად, 2023 წლის 11 ოქტომბერს შესული შეტყობინებისა და ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, 2023 წლის 13 ოქტომბერს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო,[126] სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან რ. ი.-ს მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე.[127]

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, 2023 წლის 6 იანვარს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და გაესაუბრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, იორდანიის მოქალაქე ტ.ა.-ს. მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ N6 პენიტენციურ დაწესებულებაში, ამავე დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან მასზე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, რაზეც 2023 წლის იანვრის დასაწყისში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი თარჯიმანთან ერთად შეხვდა.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ტ. ა.-ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე რეაგირების

---

[125] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 12 ოქტომბრის N15-12/10142 წერილი.

[126] სისხლის სამართლის N199131023002 საქმე.

[127] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის NSIS 3 23 00019315 წერილი.

შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით.[128] მიღებული პასუხის თანახმად,[129] 2023 წლის 5 იანვარს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელ ხაზზე სახალხო დამცველის აპარატიდან შევიდა შეტყობინება, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან მსჯავრდებულ ტ. ა.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2023 წლის 6 იანვარს ტ. ა.-სთან ჩატარდა გასაუბრება, რა დროსაც მან სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლების მხრიდან მის მიმართ ფიზიკური ძალადობის ჩადენის ფაქტი უარყო. შესაბამისად, საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება არ დაიწყო.

2023 წლის 16 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებული, თარჯიმნის თანხლებით, კვლავ შეხვდა ტ. ა.-ს, რომელმაც განმარტა, რომ N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ნამდვილად ჰქონდა ადგილი მის მიმართ ძალადობას. გამომძიებელთან შეხვედრისას უარყო აღნიშნული ფაქტები, რაც უნდობლობის მიზეზით ახსნა. თუმცა, დაადასტურა, რომ ნამდვილად გახდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი. ისურვა, აღნიშნულზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. ამასთან, აღნიშნა, რომ ამჯერად გამომძიებელს ინფორმაციას სრულად მიაწვდიდა.

ამის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატმა კვლავ მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.[130] ამავე წერილით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გადაეცა სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ ტ.ა.-სთან შედგენილი გასაუბრების ოქმის ასლი. შედეგად, 2023 წლის 22 მარტს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო,[131] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცალკეული თანამშრომლების მხრიდან ტ.ა.-ს მიმართ განხორციელებული სამსახურეობრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე.[132]

საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ სისტემაში ფსიქოლოგიური ძალადობის შესაძლო შემთხვევაც დაიდენტიფიცირდა. 2023 წლის 29 მარტს დააკავეს **ლაზარე გრიგორიადისი,**[133] რომელსაც ბრალად ედებოდა 2023 წლის 8 მარტს საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას პოლიციის მანქანის დაზიანება და შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელზე თავდასხმა, რაც გამოიხატებოდა, შესაბამისად, მანქანის დაწვასა და ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილის" სროლაში.[134]

---

[128] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 9 იანვრის N15-4/128 წერილი.
[129] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 18 იანვრის SIS 4 23 00000749 წერილი
[130] სახალხო დამცველი აპარატის 2023 წლის 21 მარტის N15-4/2839 წერილი.
[131] სისხლის სამართლის N199220323001 საქმე.
[132] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 31 მარტის NSIS 5 23 00005268 წერილი.
[133] ლაზარე გრიგორიადისის დაკავების ოქმი.
[134] დანაშაულები გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და 353[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სახალხო დამცველის აპარატმა 31 მარტს, პროაქტიულად, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოინახულა ლაზარე გრიგორიადისი, რომელიც მიუთითებდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლების შემდეგ თმა მისი ნების საწინააღმდეგოდ გადაპარსეს. მან განმარტა, რომ თმის გადაპარსვაზე რამდენჯერმე უარი განაცხადა, ხოლო დაწესებულების თანამშრომლებმა განუმარტეს, რომ „ასე იყო მიღებული" და საცხოვრებელ საკანში სხვა შემთხვევაში ვერ გადაიყვანდნენ, რის შემდეგაც, ბრალდებულის განმარტებით, სხვა გზა აღარ დარჩა და საშუალება მისცა, რომ მისთვის თმა გადაეპარსათ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, პატიმრისათვის თმის იძულებით გადაპარასვა შეიძლება წარმოადგენდეს დამამცირებელ მოპყრობას და, შესაბამისად, შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რომელიც კრძალავს წამებას, დამამცირებელ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას. ევროპული სასამართლოს განმარტებით, თმის იძულებით გადაპარსვა წარმოადგენს გარეგნობის იძულებით შეცვლის ზომას, რომელიც პირში შესაძლოა აღძრავდეს არასრულფასოვნებისა და მისი ღირსების შელახვის განცდას.[135]

აღნიშნულ საკითხზე რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა,[136] რომელმაც დაიწყო გამოძიება[137] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცალკეული თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ფსიქოლოგიური ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე.[138]

ამ ეტაპზე, ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს და, უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამოიკითხა ბრალდებულიც, რომელიც, აგრეთვე, გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს.[139]

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, აქვე შევეხებით **ლაზარე გრიგორიადისის ბრალდების საქმეს.** სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან პროაქტიული კომუნიკაციის საფუძველზე, დაცვის მხარის მიერ აპარატში წარმოდგენილ იქნა სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომელსაც სრულად გაეცნო სახალხო დამცველის აპარატი. აგრეთვე, სახალხო დამცველის რწმუნებული დაესწრო სასამართლო სხდომებს და პენიტენციურ დაწესებულებაში არაერთხელ გაესაუბრა ლაზარე გრიგორიადისს.

საქმის გაცნობის შედეგად, ამ ეტაპისათვის, სახალხო დამცველის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში სარეაგირებო საკითხი არ

---

[135] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *იანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, 2003, საჩივარი No(s). 39084/97, § 112.
[136] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 4 აპრილის N 15-4/3375 წერილი.
[137] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 13 აპრილის SIS 6 23 00006420 წერილი.
[138] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.
[139] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 22 დეკემბრის SIS 2 23 00023760 წერილი.

გამოკვეთილა. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს ლაზარე გრიგორიადისის კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დაცვაზე ზედამხედველობას და კომპეტენციის ფარგლებში, მისი უფლებების დაცვის მიზნით, მომავალშიც მიმართავს შესაბამის სამართლებრივ ზომებს.

სამწუხაროდ, 2023 წელსაც ადგილი ჰქონდა **მომართვიანობას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებულ პირთა მიმართ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით.** უმეტეს შემთხვევებში, მოქალაქეები მიუთითებდნენ დაკავებისას და პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ მათზე განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე, არაპროპორციული ძალის გამოყენებასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე.

საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ, ორ საქმეს, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ნიშნები იკვეთება მოქალაქე თ. ქ-ს მიმართ, მისი დაკავებისას და შემდგომ, პოლიციის განყოფილებაში განხორციელებულ ქმედებებში.[140] მ. ქ.-ს განმარტებით,[141] 2023 წლის 26 მაისს, ხელვაჩაურის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი მივიდა თ. ქ-სთან და მოსთხოვა ტერიტორიის დატოვება, მიზეზის განმარტების გარეშე. უარის მიღების შემდგომ, მან გამოიძახა ეკიპაჟი და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დააკავეს. დაკავებული ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და მიიყვანეს პოლიციის შენობაში. განყოფილებაში ყოფნის დროს დაკავებულს სამმართველოს დაახლოებით თერთმეტი თანამშრომელი ფიზიკურად გაუსწორდა. ისინი ხელბორკილდადებულ თ. ქ.-ს ურტყამდნენ სხეულის სხვადასხვა არეში, ემუქრებოდნენ გაუპატიურებითა და ნარკოტიკის ჩადებით. ამასთან, არ აძლევდნენ წყლის დალევის და საპირფარეშოში შესვლის უფლებას. დაკავებული, იმავე დღეს, გადაიყვანეს ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, რომელმაც დაზიანებების არსებობის გამო უარი თქვა დაკავებულის მიღებაზე. თ. ქ. სამედიცინო კლინიკაში შეამოწმა ექიმმა.

2023 წლის 30 მაისს, სახალხო დამცველის რწმუნებული ტელეფონით გაესაუბრა თ. ქ.-ს, რომელსაც გასაუბრების დროისთვის სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი ჰყავდა გამოძახებული. თ. ქ.-მ დაადასტურა მ. ქ.-ს განცხადებაში მითითებული გარემოებები და დამატებით აღნიშნა, რომ პოლიციის თანამშრომლები ხელებსა და ფეხებს ურტყამდნენ სხეულის სხვადასხვა არეში, უმეტესად ურტყამდნენ გულმკერდის არეში, რის შემდეგაც აწუხებს ტკივილები და სწორედ ამიტომ დასჭირდა სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის გამოძახება.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.[142] წარმოდგენილი ინფორმაციით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო

[140] მოქალაქე მ. ბ.-ს N5967/23 განცხადება.
[141] თ. ქ.-ს ოჯახის წევრი, მამა.
[142] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 6 ივნისის N15-15/5404, 21 ივნისის N15-15/5998, 12 ივლისის N15-15/6776, 29 დეკემბრის N15-15/12724 წერილები.

დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება,[143] შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, თ. ქ-ს მიმართ განხორციელებული, სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე.[144]

ასევე, აღსანიშნავია კიდევ ერთი საქმე, რომელიც საანგარიშო პერიოდში შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა. საქმე ეხებოდა სისხლის სამართლის წესით დაკავებულ ს.მ.-ს მიმართ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტს.[145]

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, 2023 წლის 9 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულ ს.მ.-ს შეხვდა და გაესაუბრა.

მსჯავრდებულის გადმოცემით, 2023 წლის 7 აპრილს დააკავეს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა. დაკავების შემდეგ დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს შენობის ბოლო სართულზე, ამავე სამმართველოს წარმომადგენლებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ბრალდებულის მტკიცებით, დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მთავარ შესასვლელსა და შენობის შიდა პერიმეტრზე განთავსებულია ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, რომლის ჩანაწერებიც გამოააშკარავებდა მომხდარს, თუ ჩანაწერები ამოღებული იქნებოდა საგამოძიებო უწყების მხრიდან. ს.მ. აღნიშნავდა, რომ ფაქტის შესახებ ინფორმირებული იყო სპეციალური საგამოძიებო სამსახური.

მითითებულ საქმეზე, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.[146] მიღებული პასუხის თანახმად,[147] დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან შესული შეტყობინებისა და ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, 2023 წლის 8 აპრილს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო,[148] შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან ს.მ.-ს მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობითა და პირადი ღირსების შეურაცხყოფით გადამეტებისა და ჩვენების მიცემის იძულების ფაქტებზე.[149] ამავე პასუხის თანახმად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე,

---

[143] სისხლის სამართლის N199270523001 საქმე.

[144] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 15 ივნისის N SIS 8 23 00010328, 29 ივნისის N SIS 9 23 00011238, 21 ივლისის N SIS 8 23 00012957, 2024 წლის 4 იანვრის NSIS 1 24 00000015 წერილები.

[145] სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული N8849/23 საქმე.

[146] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 14 აგვისტოს N15-2/8033 წერილი.

[147] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 22 აგვისტოს NSIS 1 23 00015317 წერილი.

[148] სისხლის სამართლის N199080423002 საქმე.

[149] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებითა და 335-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112"-იდან გამოთხოვილი იქნა პოლიციის შესაბამისი სამმართველოების ადმინისტრაციულ შენობის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეო კამერების გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდის ჩანაწერები. ამავე განჩინებით მოთხოვნილი იქნა პოლიციის სამმართველოს შენობის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები, თუმცა, აღნიშნული ჩანაწერები ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ იძებნებოდა.

სამწუხაროდ, ვიდეოჩანაწერების მოპოვების პრობლემა სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეთა შორის ერთჯერადი არ აღმოჩნდა და ამ კუთხით შეინიშნება სისტემური ხარვეზები. აღნიშნული პირველ რიგში აფერხებს გამოძიებას, დაადგინოს ან გამორიცხოს პოლიციელების მხრიდან მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, შესაძლოა, არაერთ საქმეზე შეიქმნა/შეიქმნას დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენის და მისი პასუხისგებაში მიცემის პრობლემა.[150]

სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიმართულებით აქტიურ მუშაობას.

4.4. ვიდეოჩანაწერები შინაგან საქმეთა სამინისტროში

როგორც უკვე აღინიშნა, სახალხო დამცველი გასული წლის ანგარიშში მიუთითებდა[151] არასათანადო მოპყრობის გამოძიებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნეიტრალური მტკიცებულების - პოლიციის შენობებში დამონტაჟებული და პოლიციელების სამხრე ვიდეო კამერების ჩანაწერების - მოპოვების პრობლემის შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან იმაზე მითითებით, რომ ჩანაწერები არ მოიპოვება/არ ინახება, ტექნიკური ხარვეზითა თუ სხვა მიზეზით.

2022 წლის ბოლოს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით[152] საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა, სადაც მიუთითებს, რომ პატრულ-პოლიციელის დისკრეცია, რომლის მიხედვითაც, შეუძლია, არ გამოიყენოს სამხრე კამერა, როდესაც შედის მოქალაქესთან ურთიერთობაში, არღვევს ადამიანის კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2

---

[150] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან, მსჯავრდებულ ბ. ა.-ს, მოქალაქე ნ. კ.-ს, მოქალაქე ნ. ს.-ს, უცხო ქვეყნის მოქალაქის მ. ს.-ს, უცხო ქვეყნის მოქალაქე ა. ა.-ს და მოქალაქე ბ. ო.-ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეები.

[151] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 31-32 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> [ბოლოს ნანახია: 10.01.2024 წელს]

[152] იხ. კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ, 2022 წლის 20 დეკემბერი. https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14806

პუნქტით გარანტირებულ უფლებას,[153] დაცული იყოს წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან, და, ამგვარად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია, რომ სამხრე კამერის გამოყენება და მოქალაქეებთან პოლიციის ურთიერთობისას ვიდეოჩანაწერების წარმოება ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს არასათანადო მოპყრობის პრევენციისა და გამოვლენის კუთხით და ამ საკითხზე სახალხო დამცველი წარსულშიც მიუთითებდა საპარლამენტო ანგარიშებში.[154] კონსტიტუციური სარჩელით სადავოდაა გამხდარი შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით[155] დამტკიცებული ინსტრუქციის ნორმის შინაარსი, რომელიც **პატრულ-პოლიციელს აძლევს მხოლოდ უფლებას და არ აკისრებს ვალდებულებას,** რომ გამოიყენოს სამხრე კამერა მოქალაქესთან ინტერაქციისას. მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებით გავლენას მოახდენს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ვიდეოჩანაწერების წარმოება-შენახვის პროცესის გამართვაზე, თუმცა, სამწუხაროდ, კონსტიტუციური სარჩელი წარმოებაში ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

საგულისხმოა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ანგარიშში[156] ყურადღება გამახვილებულია „112''-ის მხრიდან ვიდეოჩანაწერების დაგვიანებით მიწოდების, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილ წერილებზე დაგვიანებით ან/და არასრულად მიღებულ პასუხებზე და შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაციის შემჭიდროებულ ვადებში მოუწოდებლობისას, ვერ ხერხდება ვიდეოჩანაწერების მოპოვება, მათი შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ავტომატურად წაშლის გამო.

2023 წელსაც, აპარატის მიერ შესწავლილ, დაკავებულების მიმართ პოლიციელების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საგამოძიებო ორგანომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ვერ მოიპოვა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ვიდეოჩანაწერები. მაგალითად:

---

[153] საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.

[154] მაგალითად, სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 37 https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf აგრეთვე, საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 30. https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf

[155] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბერის №1310 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

[156] იხ. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2022 წელი, გვ. 194-196 <https://sis.gov.ge/uploads/files/642b00b19d11a_specialuri-sagamodziebo-samsaxuris-2022-wlis-saqmianobis-angarishi.pdf> [ბოლოს ნანახია: 11.01.2024 წელს]

- ი. მ.-ს საქმეში - პოლიციის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების გამოთხოვის განჩინების საპასუხოდ, მოთხოვნილი ინფორმაცია ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ იძებნებოდა;[157]
- ბ. ო.-ს საქმეში - პოლიციის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების და პოლიციელების სამხრე კამერების ჩანაწერების გამოთხოვის განჩინებების საპასუხოდ, მოთხოვნილი ჩანაწერები ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ იძებნებოდა, ხოლო შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო სამეთვალყურეო ვიდეოკამერები იყო გამორთული და ჩანაწერები ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე ასევე არ იძებნებოდა;[158]
- დ.გ.-ს საქმეში - საპატრულო პოლიციის ავტომობილის ვიდეორეგისტრატორის ჩანაწერების გამოთხოვის განჩინების პასუხად საგამოძიებო ორგანოს ეცნობა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ იძებნებოდა მყარ დისკზე.[159]

4.5. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობა

სახალხო დამცველს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური შექმნის დღიდან გამოირჩეოდა სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის საუკეთესო ხარისხით. 2022 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გაუქმდა და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომლის საქმიანობის მიმართულებად განისაზღვრა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.[160]

აღსანიშნავია, რომ **სახალხო დამცველის აპარატსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის გამორჩეულად კარგი თანამშრომლობის ხარისხი არ შეცვლილა. სამსახურის შექმნის დღიდან აპარატმა ათეულობით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო, გაეცნო ათეულობით შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეს და საგამონაკლისო წესით გაეცნო არაერთი სისხლის სამართლის საქმის მასალას. სპეციალური საგამოძიებო სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სახალხო დამცველის აპარატთან კონკრეტული ინსტრუქციებისა თუ შიდა ბრძანებების შემუშავების პროცესშიც და აპარატს ეძლეოდა მოსაზრებებისა თუ რეკომენდაციების სამსახურისთვის გაზიარების შესაძლებლობა.**

ამასთან, სახალხო დამცველის აპარატში მოქმედებას აგრძელებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდების წესი,[161] რომლის საფუძველზეც აპარატი მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში ახდენს საგამოძიებო სამსახურის

[157] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 25 მაისის NSIS523 წერილი.
[158] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 11 სექტემბრის NSIS52300016635 წერილი.
[159] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 2 ნოემბრის NSIS32300020214 წერილი.
[160] „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 2.
[161] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 26 თებერვლის N20 ბრძანება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის სავარაუდო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ".

ინფორმირებას არასათანადო მოპყრობის შესახებ დაფიქსირებულ საჩივრებთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომ უწევს მონიტორინგს საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიებას.

4.5.1. სახალხო დამცველის აპარატის კომუნიკაცია

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატი კვლავ აქტიურად მიმართავდა სხვადასხვა არასათანადო მოპყრობის საქმეზე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. 2023 წელს სულ **216 შემთხვევაში**[162] **მიმართა აპარატმა საგამოძიებო სამსახურს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევებზე,** საიდანაც **161** შემთხვევაში აპარატმა **გამოძიების მიმდინარეობის შესახებ** მოითხოვა ინფორმაცია, ხოლო **55** შემთხვევაში თავად მიაწოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ინფორმაცია, **გამოძიების დაწყების მიზნით.**

161 შემთხვევიდან, 104 მიმართვა ეხებოდა პოლიციის მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე მიმდინარე გამოძიებას, 43 - სხვადასხვა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, 4 - პენიტენციური სამსახურის ესკორტირების სამსახურის თანამშრომლებს, 3 - აღსრულების პოლიციას, 2 - დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლებს, 2 - როგორც პენიტენციური დაწესებულების, ისე ესკორტირების თანამშრომლების არასათანადო მოპყრობის შემთხვევას, 2 - პოლიციასა და შსს სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლებს, 1 - ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.[163]

18 შემთხვევაში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ აპარატს ეცნობა, რომ გამოძიება არ დაიწყო. უწყების განმარტებით, აქედან 12 შემთხვევაში, არ გამოვლინდა დანაშაულის ნიშნები და საქმეები შემდგომი რეაგირების მიზნით, კომპეტენციის შესაბამისად გადაიგზავნა სხვა უწყებებში (მაგ., პროკურატურა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი, შსს გენერალური ინსპექცია).

რაც შეეხება 55 საქმეს, რომლების შესახებაც სახალხო დამცველის აპარატი იყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის წყარო: 30 შემთხვევაში აპარატმა საგამოძიებო სამსახურს აცნობა პოლიციის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ, 19 შემთხვევაში - სხვადასხვა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან, 3 - პენიტენციური სამსახურის ესკორტირების სამსახურის, 1 - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ, 1 - პოლიციისა და შსს სპეციალური დანიშნულების რაზმის შესახებ, 1 - როგორც გამომძიებლის, ისე დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების მიმართ.

---

[162] არ ეხებოდა მხოლოდ 2023 წელს მომხდარ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.

[163] 161 მიმართვაში იგულისხმება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, გაიგზავნა ერთზე მეტი წერილი. შესაბამისად, არ იგულისხმება, რომ 161 საქმის გამოძიების მონიტორინგის მიზნით მოხდა მიმართვა.

როგორც აღინიშნა, 19 შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატმა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ, პატიმრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია აცნობა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, გამოძიების დაწყების მიზნით. საიდანაც, პატიმრების ყველაზე მეტი საჩივარი მიემართებოდა N6 პენიტენციურ დაწესებულებას და იყო 10, 4 შემთხვევაში - N2 პენიტენციურ დაწესებულებას, 2 შემთხვევაში - N10 დაწესებულებას, 2 შემთხვევაში - N3 და 1 შემთხვევაში - N8 პენიტენციურ დაწესებულებას.

55 შეტყობინებიდან 21 შემთხვევაში გამოძიება არ დაიწყო. 21-დან 12 შემთხვევაში, საქმე გადამისამართდა სხვადასხვა უწყებებში (მაგ., პროკურატურა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი, შსს გენერალური ინსპექცია). უწყების განმარტებით, ძირითადი მიზეზი მსხვერპლის შეცვლილი პოზიცია იყო.

გარდა ამისა, სახალხო დამცველმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა გამოძიების დაწყების წინადადებით,[164] ვინაიდან ვიდეოჩანაწერების დათვალიერებითა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით გამოიკვეთა, N6 პენიტენციურ დაწესებულებაში, მსჯავრდებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ დასაბუთებული ეჭვი. სამსახურმა გამოძიება დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციით დაიწყო.[165]

ასევე, 2023 წელს სახალხო დამცველმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა წინადადებით,[166] რომელიც შეეხებოდა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში წარსულში მოთავსებული პატიმრის, ლ.ტ-ს საქმეს, რომლის მიმართ სავარაუდო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე გამოძიებას სპეციალური საგამოძიებო სამსახური აწარმოებს. საქმის მასალებს სახალხო დამცველის აპარატი საგამონაკლისო წესით გაეცნო. შედეგად, გამოიკვეთა, რომ გამოძიება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შეჩერებული იყო[167] და სახალხო დამცველის აპარატი მივიდა დასკვნამდე, რომ გამოძიების ეფექტიანად წარმართვისათვის აუცილებელი იყო კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარდა დასახელებული დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები და ამ ეტაპზე სახალხო დამცველის წინადადება უმეტესწილად დაკმაყოფილებულია.[168]

---

[164] სახალხო დამცველის 2023 წლის 23 მარტის N15-10/2974 წინადადება.

[165] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3]-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშულის ნიშნები. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 7 აპრილის NSIS82300005900 წერილი.

[166] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 6 მარტის N 15-4/2290 წინადადება.

[167] 2021 წლის განმავლობაში ჩატარებული იყო მხოლოდ ერთი საგამოძიებო მოქმედება, ხოლო 2022 წლის აპრილში გამოკითხული იყო რამდენიმე პირი და ამავე წლის დეკემბრამდე სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარება არ ფიქსირდებოდა.

[168] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 24 მარტის SIS 1 23 00004760, 22 დეკემბრის SIS 7 23 00023765 წერილები.

4.5.2. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2023 წელს სამსახურის მიერ დაწყებული სისხლის სამართლის საქმეების, მათ შორის სხვა სამართალდამცავი უწყების მხრიდან სამსახურისთვის გამოსაძიებლად გადაცემული საქმეების რაოდენობის, შეწყვეტილი გამოძიების, საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართული საქმეებისა და სასამართლოში საქმეებზე დამდგარი შედეგების შესახებ.[169]

2023 წელს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო სულ 537 სისხლის სამართლის საქმეზე,[170] საიდანაც 257 საქმე შეეხებოდა სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.[171] 537-დან 59 საქმე სამსახურს უწყებრივი ქვემდებარეობით სხვა სამართალდამცავი უწყებიდან გადაეცა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეზე გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 93 პირის მიმართ. აქედან **მხოლოდ 5 პირი იყო, რომლის მიმართაც მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ჩადენილი დანაშაულის გამო დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. 5 პირიდან სამს ბრალი წარედგინა სამსახურებრივი გულგრილობისთვის, რამაც ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია.[172] ხოლო ორი პირის მიმართ წარდგენილი ბრალდება შეეხებოდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობას.[173]** ამავე პერიოდში 88 სისხლის სამართლის საქმეზე პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა.[174] შეწყვეტილი საქმეებიდან 74 შეეხებოდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევას.[175]

2024 წლის დასაწყისში **აპარატმა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, შეისწავლა მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე შეწყვეტილი 46 სისხლის სამართლის საქმე.**

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი 46 სისხლის სამართლის საქმიდან 13 საქმე იყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის

---

[169] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 29 ნოემბრის N15-4/11620 და 2024 წლის 14 თებერვლის N 15-4/1629 წერილები.

[170] იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ყველა იმ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომლებზეც „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, მე-19 მუხლის შესაბამისად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება.

[171] ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 2024 წლის 21 მარტის სამუშაო შეხვედრაზე.

[172] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[173] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი და 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

[174] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 8 დეკემბრის NSIS 2 23 00022626 და 2024 წლის 20 თებერვლის SIS 0 24 00002995 წერილები.

[175] ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 2024 წლის 21 მარტის სამუშაო შეხვედრაზე.

აღმოსავლეთ საქართველოს I სამმართველოს წარმოებაში, 9 სისხლის სამართლის საქმე იყო აღმოსავლეთ საქართველოს II სამმართველოს წარმოებაში, 6 სისხლის სამართლის საქმე იყო დასავლეთ საქართველოს სამმართველოს წარმოებაში, 2 სისხლის სამართლის საქმე იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს წარმოებაში, 12 სისხლის სამართლის საქმე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს წარმოებაში და 4 საქმე იყო კახეთის სამმართველოს წარმოებაში.

აღნიშნულ 46 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო.

გამოიკვეთა სისხლის სამართლის საქმეთა შემდეგი **კვალიფიკაცია:** 40 საქმის კვალიფიკაცია მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში - სსკ) 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით), 1 საქმის კვალიფიკაცია იყო სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით; დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით), 1 საქმის კვალიფიკაცია მოხდა სსკ-ის 335-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება), 1 შემთხვევაში გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" და „ზ" ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ), 3 საქმის კვალიფიკაცია კი იყო სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" „ე" და „ზ" ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ჯგუფურად და დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ).

გარდა შეწყვეტილი გამოძიების მასალებისა, სახალხო დამცველის აპარატმა, საგამონაკლისო წესით,[176] შეისწავლა 9 მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე. მათგან, 3 საქმის კვალიფიკაცია მოხდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით), 4 საქმის კვალიფიკაცია იყო სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილი (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი), 1 საქმის კვალიფიკაცია მოხდა სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" „ე" და „ზ" ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ჯგუფურად

[176] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს კანონი მე-18 მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველს არ აქვს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომა.

და დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ), 1 საქმის კვალიფიკაცია მოხდა ორი სსკ-ის მუხლით, სსკ-ის 342[1] მუხლის მე-2 ნაწილით (სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი) და 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი).

55-ივე (46 შეწყვეტილი და 9 მიმდინარე, საგამონაკლისო წესით გაცნობილი) სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები დროულად ატარებენ ისეთ საგამოძიებო მოქმედებებს, რომელთა დაგვიანებაც შეუძლებელს გახდიდა ან გაართულებდა მტკიცებულებათა მოპოვებას (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ვიდეოჩანაწერების მოპოვება, ექსპერტიზების დანიშვნა და სხვა). საქმეზე ჩატარებული გამოკითხვები ძირითად შემთხვევებში დეტალურია, ორიენტირებულია საქმის ირგვლივ, არ ტოვებს რომელიმე პირის პასუხისმგებლობის მიღმა დატოვების მცდელობის განცდას. ჩატარებული გამოძიებები ძირითადად აკმაყოფილებენ ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ, 46 შეწყვეტილ და 9 მიმდინარე გამოძიების საქმეებიდან **მხოლოდ ერთ საქმეში არის კონკრეტული პირი პროკურატურის მიერ ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.**[177] თუმცა **ხშირ შემთხვევაში გამოძიება ინფორმირებულს ხდის მოქალაქეს**[178] **გამოძიების მიმდინარეობისა თუ შეწყვეტის შესახებ.**[179] აგრეთვე, **იმ საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება დაიწყო 2022 წლის 27 ივლისის შემდეგ**[180] **და მოქალაქე სამართალდამცველების მხრიდან ძალადობასა და არასათანადო მოპყრობაზე აპელირებს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები უკავშირდებიან და სთავაზობენ საქმის მასალების გაცნობას.**[181] რიგ შემთხვევაში მოქალაქეები სარგებლობენ ამ უფლებით და ეცნობიან საქმის მასალებს,[182] ხოლო ზოგჯერ ისინი უარს აცხადებენ და არ ინტერესდებიან საქმის მასალების გაცნობით.[183]

---

[177] პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ (პირის გარდაცვალების შემთხვევაში) ცნობის უფლებამოსილება გამომძიებელს არ გააჩნია და პირს დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობს პროკურორი.

[178] იგულისხმება პირი, რომლის მიმართ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

[179] სს 199140723003 საქმე, სს 199180521001 საქმე, სს 199180123003 საქმე, სს 199170522002 საქმე.

[180] 2022 წელს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურის უფროსმა დაამტკიცა სპეციალური ბრძანება, რომელიც სავარაუდო მსხვერპლს უზრუნველყოფს უფლებით, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს მიმდინარე გამოძიების ეტაპზე მაშინ, როდესაც იგი ჯერ დაზარალებულად ცნობილი არ არის.

[181] სს 199270323001 საქმე, სს 199251022001 საქმე, სს 199300722001 საქმე, სს 199010822004 საქმე, სს 199040223002 საქმე, სს 199120123002 საქმე, სს199120822001 საქმე, სს 199050623002 საქმე.

[182] სს 199300722001 საქმე, სს 199010822004 საქმე, სს 199050623002 საქმე.

[183] სს 199040223002 საქმე, სს 120123002 საქმე, სს 199120822001 საქმე, 199251022001 საქმე, 199270323001 საქმე.

სისხლის სამართლის საქმეთა სრულყოფილად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ **როგორც წესი, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოძიებებს არ ახასიათებთ იმდაგვარი ხარვეზები, რაც კონკრეტულ შემთხვევებში გავლენას მოახდენდა საქმის საბოლოო შედეგზე. თუმცა, სახალხო დამცველის აპარატი მიიჩნევს, რომ დაიდენტიფიცირებული ერთეული პრობლემები მაინც ყურადსაღებია, კერძოდ, (1) რიგი გამოკითხვები ტარდება დაგვიანებით, (2) არ ხდება ვიდეოჩანაწერების მიუღებლობის მიზეზების სათანადო კვლევა, (3) არ ხდება მოპოვებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების დროული დოკუმენტირება (ოქმის შედგენა), და (4) რიგ შემთხვევებში, ქმედების სწორ კვალიფიკაციასთან რჩება კითხვის ნიშნები.**

შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოძიების საწყის ეტაპზევე გამოკითხავს სავარაუდო დაზარალებულს და სხვა ნეიტრალურ მოწმეებს, ნიშნავს ექსპერტიზებს და ცდილობს საქმესთან რელევანტური ვიდეოჩანაწერების მოპოვებას. თუმცა, **სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაში მხილებული მოხელეებისა და სხვა შესაძლო თვითმხილველი მოხელეების გამოკითხვებს ატარებს ყველა სხვა მტკიცებულების მოპოვების შემდეგ.** აღნიშნული ვლინდება სისტემურად თითქმის ყველა საქმეში და შესაძლოა აიხსნას გამოძიების სტრატეგიით (გამოკითხვისას მოწმეს მოპოვებული ჩანაწერები წარუდგინოს, საქმის ირგვლივ სრულად ფლობდეს ინფორმაციას ნეიტრალური წყაროებიდან, რათა დანაშაულებრივ ქმედებაში მხილებული პოლიციელებისა და თუ სხვა მოხელეების გამოკითხვისას დასმულმა კითხვებმა მოიცვას ყველა საკითხი და ა.შ.). თუმცა, **არის შემთხვევები, როდესაც ხსენებულ პირთა გამოკითხვები გვიანდება, ჩატარებულია გამოძიების დაწყებიდან და სხვა მტკიცებულებების მოპოვებიდან 5 თვიდან 1 წელზე მეტი დროის ინტერვალში.**[184] ბუნებრივია, გამოძიებას შესაძლოა ჰქონდეს თავისი ინდივიდუალური მიდგომა და სტრატეგია გამოკითხვების ქრონოლოგიაში, თუმცა, ხანგრძლივმა დაყოვნებამ რიგ შემთხვევებში შესაძლოა გაზარდოს იმის რისკი, რომ მათ შორის მოწმე მოხელეებმა, დროის ხანგრძლივი პერიოდის გასვლაზე მითითებით, განაცხადონ რომ აღარ ახსოვთ მომხდარის დეტალები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ისეთ საქმეებში, რომლებზეც გამოძიება დაწყებულია 2023 წელს და გამოძიების დაწყებიდან მოკლე დროში გამოკვეთილია დანაშაულის არარსებობის შესახებ (ვიდეოჩანაწერებით არ დასტურდება ფაქტი, ნეიტრალური მოწმე არ ადასტურებს, სავარაუდო მსხვერპლი თავად უარყოფს მომხდარს და ა.შ.), გამოძიება ინტენსიურ რეჟიმში, მოკლე დროის მონაკვეთში გამოკითხავს საქმესთან შემხებლობაში მყოფ ყველა პირს და საქმეზე გამოძიება წყდება, რაც მიგვაჩნია რომ არის დადებითი პრაქტიკა.

საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ **კვლავ ფიქსირდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ექსპერტიზის დაუსრულებლობის პრობლემა.**[185] მაგალითად, საქმეზე,

---

[184] სს 199060620002 საქმე, სს 199270220002 საქმე, სს 199180521001 საქმე, სს 199271220001 საქმე, სს 199020821004 საქმე.

[185] ექსპერტიზის ბიუროს მიერ დასკვნის მომზადების არაგონივრული ვადით გაჭიანურების შესახებ, რაც ხელს უშლის ეფექტიან გამოძიებას, სახალხო დამცველის აპარატი მიუთითებდა როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შეფასებისას (იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების

რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის, პატიმრის პენიტენციურ დაწესებულებაში გარდაცვალების ფაქტზე და გარდაცვალების მიზეზის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, 2023 წლის 7 ივლისს დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, 2024 წლის იანვრის მდგომარეობით - **7 თვის შემდეგაც** გამოძიებას მიღებული არ ჰქონდა.[186]

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების საწყის ეტაპზევე გამოთხოვილია/ამოღებულია საქმისთვის **რელევანტური ვიდეოჩანაწერები, მათი დათვალიერების ოქმის გაფორმება რიგ შემთხვევებში ჩანაწერების ამოღებიდან/გამოთხოვიდან 5 თვის,[187] 11 თვის[188] და 1 წლისა და 4 თვის[189] გასვლის შემდეგ ხდება.** რამდენიმე გამომძიებლის ზეპირი განმარტებით, მათ ნანახი აქვთ ვიდეოჩანაწერები და იციან, რომ ჩანაწერებით არ დასტურდება არასათანადო მოპყრობის ფაქტი, თუმცა ჯერჯერობით არ აქვთ გაფორმებული შესაბამისი ოქმები. მიუხედავად ამისა, აპარატს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ვიდეოჩანაწერებში ნანახი ფაქტების გონივრულ ვადაში დოკუმენტირება. აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევებში არ გამოიკვეთა, რომ ოქმის დაგვიანებით გაფორმება არსებით გავლენას მოახდენდა საქმის საბოლოო შედეგზე. გარდა ამისა, ორი მიმდინარე გამოძიების საქმის მასალებში, რომლებზეც გამოძიებები მიმდინარეობს სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული პატიმრის გარდაცვალების ფაქტებზე, გამოძიებას ერთ შემთხვევაში ვიდეოჩანაწერები ამოღებული აქვს 2022 წლის 15 აგვისტოს,[190] ხოლო მეორე შემთხვევაში 2023 წლის 21 ივლისს,[191] თუმცა 2024 წლის 28 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, **1 წლისა და 5 თვის,** და **6 თვის შემდეგ, ჩანაწერების დათვალიერების ოქმები საქმეებში არ დევს.**

საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ **გამოძიების წინაშე კვლავ დგას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნეიტრალური მტკიცებულების, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების მოპოვების პრობლემა,[192]** მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო ორგანო ცდილობს მოიპოვოს ისინი. პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებში/შენობებზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების

დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში). < https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > (გვ.25); ასევე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის შეფასებისას (იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში). https://shorturl.at/fxG05 (გვ.37).

[186] სს 199070723002 საქმე. მითითებულ საქმეზე გამოძიება გრძელდება.

[187] სს 199251022001 საქმე.

[188] სს 199180521001 საქმე.

[189] სს 199030522003 საქმე.

[190] სს 199110722001 საქმე.

[191] სს 199070723002 საქმე.

[192] აღნიშნული პრობლემა სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაიდენტიფიცირდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის შეფასებისას 2022 წელსაც (იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში). < https://shorturl.at/fxG05 > (გვ.38). ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველი 2022 წლის 4 მაისის N15/4736 და 2022 წლის 3 ნოემბრის N15/11047 საკანონმდებლო წინადადებებში მიუთითებდა, რომ კანონით არ არის გაწერილი დამატებითი გარანტიები მტკიცებულებების დროულად და შეუფერხებლად მოპოვების, დაცვისა და შენახვის უზრუნველსაყოფად.

მოპოვება ხშირ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება, რადგან მყარ დისკზე ჩანაწერი არ იძებნება.[193] აღსანიშნავია, რომ ამავე საქმეებში **გამოძიება არ დაინტერესებულა მყარ დისკზე ჩანაწერის არ არსებობის მიზეზების კვლევით.** გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ჩანაწერი მოპოვებული იქნა, თუმცა მასზე ასახული იყო მხოლოდ შავი ფონი და გამოუსადეგარი აღმოჩნდა გამოძიებისთვის.[194] ერთ შემთხვევაში გამოძიებამ ჩანაწერები ვერ მიიღო, რადგან აღმოჩნდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში პატიმრების განთავსებისთვის განკუთვნილ საკნებში არ არის დამონტაჟებული ვიდეოგადაღების კამერები.[195] კამერების არ ქონის ფაქტი გამოვლინდა კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთი პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაშიც.[196] გარდა ამისა, ერთ შემთხვევაში ჩანაწერების მოპოვების პრობლემა, მათი წაშლის გამო, არსებობს კერძო ობიექტების ვიდეოჩანაწერების მიმართაც.[197]

საქმეების შესწავლის შედეგად, როგორც უკვე აღინიშნა, გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში დაგვიანდა საგამოძიებო მოქმედებების (მოწმეთა გამოკითხვები) ჩატარება, თუ მოპოვებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმების გაფორმება. ხსენებულ საქმეებში, **გარდა ერთი სისხლის სამართლის საქმისა[198], პროკურორის წერილობითი მითითებები საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების დროულად ჩატარებასთან დაკავშირებით არ ყოფილა. აღნიშნულ შემთხვევაშიც პროკურორმა მითითებები გასცა საქმეში ბოლოს ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების თარიღიდან 1 წლისა და 5 თვეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ.** გარდა ამისა, ერთ შემთხვევაში გამოიკვეთა საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების დაახლოებით 8 თვით დაგვიანებით გაფორმება.[199]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე სწორი სამართლებრივი შეფასება მნიშვნელოვანია, როგორც გამოძიების დაწყების ეტაპზე, ასევე გამოძიების მიმდინარეობისას, რათა ამომწურავად იქნას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, გამოკითხვისას დაისვას სწორი და რელევანტური შეკითხვები. გარდა ამისა, ქმედების სწორი შეფასება მნიშვნელოვანია მომავალში, დამნაშავე პირის გამოკვეთის შემთხვევაში ადეკვატური დასჯის მიზნებისთვის.

როგორც უკვე აღნიშნა, საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით

---

[193] სს 199250823001 საქმე, სს 199251022001 საქმე, სს 199080720001 საქმე, სს 199030522003 საქმე, სს 199180123003 საქმე, სს 199120123002 საქმე, სს 199290622001 საქმე, სს 199201022003 საქმე. აღსანიშნავია, რომ აქედან 199250823001 საქმეში, გამოკითხულია საპატრულო პოლიციელები, და დასმულია შეკითხვები თუ რატომ არ ჰქონდათ ჩართული სამხრე კამერები, მაგრამ ამ საქმეშიც მყარ დისკზე პოლიციის შენობის კამერების ჩანაწერების არარსებობის მიზეზები არ გადამოწმებულა.

[194] სს 199270222002 საქმე.

[195] სს 199060722001 საქმე. მითითებულ საქმეზე გამოძიება გრძელდება.

[196] სს 199270323001 საქმე.

[197] სს 199041122001 საქმე.

[198] სს 199060620002 საქმე.

[199] სს 199170522002 საქმე.

კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი".[200] ანგარიშის მთავარი რეკომენდაცია არის ის, რომ კანონმდებლობა ნათლად და ამომწურავად ახდენდეს არასათანადო მოპყრობის კრიმინალიზაციას მხოლოდ სპეციალური მუხლებით (სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლები) და პრაქტიკაში გამორიცხავდეს ამ დანაშაულების სხვა მუხლებით კვალიფიკაციის შესაძლებლობას. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრამდე, სამართალდამცავმა უწყებებმა და სასამართლომ პრაქტიკაში კონკრეტულ ქმედებებს მისცენ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამ პრობლემატიკას მიეძღვნა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სახელმძღვანელოც „სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მათთან დაკავშირებული დანაშაულების კვალიფიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებით", რომელიც გამოქვეყნდა 2023 წლის 23 სექტემბერს.[201] არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეებზე, კვალიფიკაციის დამდგენი სახელმძღვანელო დოკუმენტი განსაზღვრავს, ქმედება რა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს უპირობოდ წამებად, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობად და რა შემთხვევაშია დასაშვები ქმედების კვალიფიკაცია, როგორც სამოხელეო დანაშაული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წელს შეწყვეტილი და მიმდინარე გამოძიების საქმეების შესწავლისას ქმედების კვალიფიკაციის საკითხზე ყურადღება განსაკუთრებულად გაამახვილა.**[202] მაგალითად, აპარატის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში სავარაუდო მსხვერპლი მიუთითებდა, რომ დაკავებისას მანქანიდან ძალის გამოყენებით გადმოათრიეს, ხელბორკილი მოუჭირეს ძლიერად, ავტომანქანაში ურტყამდა ორი პოლიციელი და სხეულზე ანთებული სიგარეტი ჩააწვეს.[203] აღნიშნულ საქმეზე გამოძიება, სამწუხაროდ, არა სპეციალური მუხლით, არამედ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით დაიწყო.[204] აპარატის მიერ შესწავლილ სხვა საქმეში კი მოქალაქე მიუთითებდა, რომ პოლიციის ავტომობილში ჩასმის შემდეგ, გვერდით მჯდომმა სამართალდამცავმა თავში, კეფის არეში ჩაარტყა ხელი. პოლიციის შენობაში მიყვანის შემდეგ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაზეც თავადაც უპასუხა, რის შემდეგაც სახეში, ცხვირის, ტუჩისა და თვალის მიდამოში დაარტყა მუშტი, პირველი დარტყმის შემდეგ დახარა თავი, რის შემდეგაც 1-2 წუთის მანძილზე ურტყამდნენ თავში,

---

[200] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი" (ხელმისაწვდომია: < https://ombudsman.ge/res/docs/2023081816200941495.pdf >, ბოლოს ნანახია 12.02.2024 წელი).

[201] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სახელმძღვანელო „სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მათთან დაკავშირებული დანაშაულების კვალიფიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებით" (ხელმისაწვდომია:< https://sis.gov.ge/uploads/files/wamebis-da-arasatanado-mopyrobis-faqtebis-kvalifikaciis--gamijvnis-saxelmdzgvanelo-dokumenti.pdf, ბოლოს ნანახია 12.02.2024 წელი).

[202] საქმეზე თავდაპირველ კვალიფიკაციას საგამოძიებო ორგანო ახდენს. ასევე, გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა.

[203] სს 199090622001 საქმე.

[204] სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით.

ზურგსა და წელის არეში. ტკივილს ვერ გრძნობდა, ვინაიდან იყო ნასვამ მდგომარეობაში, თუმცა ცემის შემდეგ ჰქონდა დაზიანებები და ცხვირიდან მოსდიოდა სისხლი. აღნიშნული ქმედებაც დაკვალიფიცირდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.[205] ხსენებულ საქმეებში სავარუდო მსხვერპლებმა გამოძიების დაწყებიდან გარკვეული დროის შემდეგ უარყვეს მათ მიერ მიცემული ჩვენება და საბოლოოდ ფაქტი არ დადასტურდა საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობითაც, საქმეებზე კი გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო. მიუხედავად ამისა, **აღნიშნულ საქმეებში სავარაუდო მსხვერპლების მიერ თავდაპირველად მიცემული ინფორმაციის საფუძველზე, ქმედებებს უნდა მისცემოდა კვალიფიკაცია არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით, როგორც დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.** აქვე აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საქმეებზე გამოძიება დაიწყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის „სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მათთან დაკავშირებული დანაშაულების კვალიფიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებით" სახელმძღვანელოს მიღებამდე. მომავალშიც სახალხო დამცველის აპარატი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ქმედებისთვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს.

როგორც უკვე აღინიშნა, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სახალხო დამცველის აპარატს მისცა შესაძლებლობა საგამონაკლისოდ გაცნობოდა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეს, რომელთაგან ოთხი საქმის შესწავლის შედეგები ამავე ანგარიშის „სიცოცხლის უფლების" თავშია მოცემული,[206] ხოლო მოცემული თავის მიზნებისთვის გთავაზობთ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ერთი შემთხვევის გამოძიების მონიტორინგის შედეგებს, სადაც სახალხო დამცველის აპარატი თვლის, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამოძიებას აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები და იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარდება, გამოძიება ვერ ჩაითვლება ეფექტიანად წარმოებულად:

- **გ. ს.-ს საქმე**

სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, შეისწავლა მსჯავრდებულ გ. ს.-ს მიმართ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტი.

2023 წლის 2 მარტს დათვალიერდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 პენიტენციურ დაწესებულებაში იმ დეესკალაციის ოთახის შიდა სივრცის ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც მსჯავრდებული იმყოფებოდა.[207] შედეგად დადგინდა, რომ **5 დღის**

[205] სს 199291221003 საქმე.

[206] ზ. ვ.-ს საქმე; ლ.ხ.-ს საქმე; შ.მ.-ს საქმე; ხანძარი N17 დაწესებულებაში.

[207]რელევანტური იყო 2023 წლის 04-09 იანვრის დღეები იმ საათებში, როდესაც პენიტენციური დაწესებულების მიერ ხდებოდა მსჯავრდებულთათვის საკვების ჩამოტარება. 2023 წლის 04 იანვრის ჩანაწერები გაურკვეველი მიზეზით არ დაარქივებულა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ და შესაბამისად, სახალხო დამცველის რწმუნებულმა ვერ შეძლო მისი ნახვა. ამდენად, დათვალიერდა 2023

განმავლობაში მსჯავრდებულს საკვები გადაეცა სამჯერ, პირველად საკვები მას გადაეცა 2023 წლის 7 იანვარს - მხოლოდ სადილი, მეორედ მას საკვები გადასცეს 2023 წლის 8 იანვარს - მხოლოდ საუზმე, ხოლო მესამედ - 2023 წლის 9 იანვარს - საუზმე. ამდენად, **5 დღის განმავლობაში პატიმარს მიყოლებით საკვები არ მიუღია ორი დღის განმავლობაში, ხოლო მე-3, მე-4 და მე-5 დღეს სამჯერადი კვების ნაცვლად, მან მიიღო მხოლოდ ერთი კვება.**[208]

ვიდეოჩანაწერების დათვალიერებით გამოვლინდა, რომ საკვების დარიგების ყველა ეპიზოდში პატიმარი იყო მწოლიარე პოზიციაში და სავარაუდოდ ეძინა, ხოლო როდესაც მის საკანთან მიდიოდა N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი და სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმარი, უმეტეს შემთხვევაში, **საკნის სარკმელი იღებოდა მხოლოდ 3-4 წამის განმავლობაში, იყო შემთხვევები როდესაც სარკმელი მხოლოდ 1 წამის განმავლობაში იყო ღია. ვიდეოჩანაწერიდანაც ჩანს, რომ ასეთ მოკლე პერიოდში, არა თუ პატიმრისგან პასუხის მიღება, არამედ მისთვის კითხვის დასმაც ვერ ესწრებოდა, სურდა თუ არა საკვების მიღება.**

2023 წლის 23 მარტს სახალხო დამცველმა ხსენებულ ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით[209] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა. სახალხო დამცველის წინადადება დაკმაყოფილდა.[210] აღნიშნულის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წელს გააგრძელა საქმის მონიტორინგი.

2024 წლის 16 იანვარს სახალხო დამცველის აპარატი, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, საგამონაკლისო წესით, გაეცნო მსჯავრდებულ გ. ს.-ს მიმართ, N6 პენიტენციურ დაწესებულებაში, განხორციელებული შესაძლო დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მასალებს.

სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გამოძიების ფარგლებში ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, გამოიკითხნენ მსჯავრდებულ გ. ს.-სთან შემხებლობაში მყოფი გარკვეული პირები და თავად მსჯავრდებული; დაარქივდა რელევანტური ვიდეომასალა და სხვა. თუმცა, **საგამოძიებო მოქმედებებში არ ვხვდებით იმ პატიმრის/პატიმრების გამოკითხვის ოქმებს, რომლებიც ირიცხებოდნენ სამეურნეო ნაწილში და გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში**

წლის 05-09 იანვრის ამსახველი ვიდეოჩანაწერები (5 დღე). ამასთან, დათვალიერდა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში იმ დეესკალაციის ოთახთან მდებარე კორიდორის ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც მსჯავრდებული იმყოფებოდა დასახელებულ პერიოდში.

[208] 2023 წლის 04 იანვრის ჩანაწერების არ არსებობის მიზეზით, ვერ დადგინდა, ამ დღეს მიიღო თუ არა საკვები მსჯავრდებულმა ან ხომ არ მომხდარა პატიმრის მიმართ სხვა უკანონო ქმედებებიც.

[209] სახალხო დამცველის 2023 წლის 23 მარტის N15-10/2974 წინადადება.

[210] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიება უკვე მიმდინარეობდა სისხლის სამართლის N199130123001 საქმეზე, მსჯავრდებულ გ. ს.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე. სახალხო დამცველის წინადადებაში მოყვანილი ფაქტების შესწავლა დაიწყო სისხლის სამართლის N199130123001 საქმის ფარგლებში.

პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთან ერთად ახორციელებდნენ საკვების ჩამოტარებას მსჯავრდებულებისთვის (მათ შორის გ. ს.-სთვის); არ არის აღქმადი, გამოძიებით განხორციელდა თუ არა იდენტიფიცირება და შემდგომ - გამოკითხვა, ყველა იმ ფიგურანტი თანამშრომლის, ვინც სამეურნეო ნაწილში დასაქმებულ პატიმართან ერთად ახორციელებდა ჩამოვლას საკვების დარიგებისას; ჩატარებული გამოკითხვის ოქმები და მოწმეებისთვის დასმული კითხვები არ არის ზედმიწევნითი, დეტალური და კრიტიკული. მოწმეებს არ აქვთ დასმული მნიშვნელოვანი კითხვები, რომლებითაც შემდგომ შესაძლებელი გახდებოდა არსებული და მოპოვებული ინფორმაციის შეჯერება, მათ შორის, წინააღმდეგობის ან თანხვედრის დადგენა, შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების სწორი დაგეგმვა.

გარდა, იმისა, რომ **გამოკითხულ პირთა შორის არ ვხვდებით სამეურნეო სამუშაოებში ჩართულ პატიმარს/პატიმრებს,** ამასთან, საგამოძიებო მოქმედებები იმგვარად არის ჩატარებული, რომ ღიად რჩება ის კითხვაც, არის თუ არა დადგენილი ხსენებული პატიმრის/პატიმრების ვინაობა მაინც (გამოთხოვილია თუ არა გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში საკვების ჩამომტარებელი პატიმრის/პატიმრების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულებიდან).

მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში განთავსებისა და ასევე, მიმდებარე კორიდორის ამსახველი ვიდეოჩანაწერების დაარქივებისა და გამოთხოვის მიუხედავად, საქმეში არ ფიქსირდება ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმი/ოქმები - აღნიშნული ვიდეოჩანაწერების დათვალიერება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გამოძიებას სწორ აღქმასა და მიმართულებას მისცემს იმის თაობაზე, თუ როგორ ხდებოდა მსჯავრდებულის საკანთან პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლისა და სამეურნეო სამუშაოებში ჩარიცხული პატიმრის მისვლა და საკვების ფორმალურად შეთავაზება იმგვარი სისწრაფით, რომ პატიმარი საკვების მიღებაზე პასუხის გაცემასაც ვერ ასწრებდა. სახალხო დამცველის აპარატი არ გამორიცხავს იმის ალბათობას, რომ, შესაძლოა, გამოძიების ფარგლებში დათვალიერდა ხსენებული ჩანაწერები, თუმცა არ განხორციელდა შესაბამისი ოქმის შედგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რათა თავდაპირველად დაიდენტიფიცირდეს და შემდგომ უკვე დეტალურად გამოიკითხოს ვიდეოჩანაწერში დაფიქსირებულ, სამეურნეო სამუშაოებში ჩარიცხულ პატიმართან ერთად კვების დარიგებისას მყოფი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი/თანამშრომლები (თუკი იცვლებოდნენ); დადგინდეს საკვების დარიგებისას პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთან ერთად მყოფი, სამეურნეო სამუშაოებში ჩარიცხული პატიმრ(ებ)ის ვინაობა და გამოიკითხონ;[211]

[211] საკვების მიღებაზე უარის თქმის ოქმები არის შედგენილი N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მიერ. ოქმების შემდგენი მხოლოდ ერთი პირია გამოკითხული. ხოლო, გამოძიებისთვის რელევანტურ პერიოდში სხვადასხვა თარიღში ოქმები შედგენილი ჰქონდა კიდევ ორ თანამშრომელს, რომლებიც გამოძიების მხრიდან არ გამოკითხულან.

გამოირიცხოს იმის ეჭვი, რეალურად განხორციელდა თუ არა 2023 წლის 4-0 იანვრის პერიოდის ამსახველი ვიდეოჩანაწერების დეტალური დათვალიერება, რომელიც გამოძიების ფარგლებში მოპოვებული და ამოღებულია. ხოლო, თუკი დათვალიერდა ხსენებული ჩანაწერები, მისი შედეგების დამაგრება განხორციელდეს გამოძიების ფარგლებში შესაბამისი ოქმით; გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში, მსჯავრდებულთან შემხებლობაში მყოფი პირები ვიდეოჩანაწერებზე ასახული ფაქტების ქრონოლოგიის მიხედვით ან ვიდეოჩანაწერების თანხლებით ხელახლა, დამატებით გამოიკითხონ, მათგან დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით და სხვა.[212]

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განმარტებით, გამოძიება გრძელდება და ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მათ შორის, მხედველობაში მიღებული და გათვალისწინებული იქნება სახალხო დამცველის წინადადებაში მითითებული საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები.[213]

4.5.3. ხელბორკილის გამოყენების წესი

2023 წლის ბოლოს, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შეიმუშავა და **დაამტკიცა ინსტრუქცია დაკავებული პირების უფლებების დასაცავად ხელბორკილის გამოყენების შესახებ.[214]** სახალხო დამცველის აპარატი ხსენებული ინსტრუქციის შემუშავების პროცესშიც იყო ინფორმირებული და საშუალება მიეცა, პოზიცია წარედგინა.

მითითებული დოკუმენტის მიზანი დაკავების დროს ხელბორკილის არამართლზომიერად გამოყენების რისკის შემცირებაა, რასაც სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება. ინსტრუქციაში მიმოხილულია ხელბორკილის გამოყენების ლეგიტიმური მიზნები და პრინციპები, გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები და სხვა საკითხები. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ინსტრუქციის დამტკიცებისას ნაწილობრივ გაითვალისწინა სამუშაო პროცესში სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი კომენტარები, კერძოდ, დამტკიცებულ დოკუმენტში აისახა ხელბორკილის ზურგსუკან დამაგრების წინაპირობები. თუმცა, მიზანშეწონილია, ინსტრუქციით, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ხელბორკილის დადების მაქსიმალური ვადა და ვადის გაგრძელების შემთხვევაში დასაბუთების საჭიროება, მყარ ზედაპირზე/კედელზე მიჯაჭვის დაუშვებლობა,[215] შესაბამისი საჭიროებებისას (მაგ: ბუნებრივი საჭიროებებისას და კვებისას) ხელბორკილის მოხსნის წინაპირობები.

---

[212] სახალხო დამცველის 2024 წლის 19 თებერვლის N15-10/1763 წინადადება.

[213] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 10 მარტის SIS 4 24 00004276 წერილი.

[214] იხ: < https://sis.gov.ge/ka/article/dakavebuli-pirebis-uflebebis-dasacavad-xelborkilis-gamoyenebis-instruqcia-damtkicda/406 >

[215] აღნიშნული სტანდარტი მოცემულია წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიშში რუსეთის მთავრობის მიმართ CPT/ Inf(2013)41, N52, გვ. 29.

4.6. დისკრიმინაციული მოტივი - მიხეილ მშვილდაძისა და ზურაბ გირჩი ჯაფარიძის საქმეები

კვალიფიკაციასთან დაკავშირებით სავარაუდო ხარვეზი გამოიკვეთა მიხეილ მშვილდაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ჭრილში.

სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, 2023 წლის 27 ივნისს მიხეილ მშვილდაძეს თავს დაესხა მისთვის უცნობი პირი, რომელმაც დაარტყა არაერთხელ, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი.

ფაქტზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო, რომელიც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს, რომელმაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.[216]

ძალადობრივ ფაქტზე პასუხისმგებლობა აიღო ნ.გ.-მ რომელმაც „ფეისბუქ" პოსტის მეშვეობით განმარტა, რომ თავს დაესხა მიხეილ მშვილდაძეს და მიზეზად დაასახელა, რომ იგი *„ეკლესიას მოიხსენიებს კრიმინალად და იძახის, რომ ჯვარი არის ძალადობის სიმბოლო, აგინებს პატრიარქს, ქართველ ერს და იცავს მამათმავლებს"*, იგი პასუხისმგებლობას იღებდა აღნიშნულ ქმედებაზე.[217]

სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა ფაქტს და გენერალურ პროკურატურას **მოუწოდა, რომ საქმე შემდგომი გამოძიებისთვის სპეციალური საგამოძიებო სამსახურისათვის გადაეცა,** რათა დადგენილიყო, ხომ არ ჰქონდა ადგილი **ფიზიკური ძალადობით განხორციელებულ დევნას, აზრის გამოხატვის გამო.[218]**

საქმე გამოსაძიებლად მართლაც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გადაეცა, თუმცა, კვალიფიკაცია პროკურატურამ არ შეცვალა. სისხლის სამართლის საქმის მასალები სახალხო დამცველის აპარატში მიხეილ მშვილდაძის ადვოკატმა წარმოადგინა.

მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაკავებული ნ.გ. აღიარებდა მიხეილ მშვილდაძეზე თავდასხმას საკუთარი ინიციატივით[219] და განმარტავდა, რომ ძალადობის მიზეზი მიხეილ მშვილდაძის გაკეთებული განცხადებები გახდა, რადგან „იგი ლანძღავდა საპატრიარქოს, ჯვარს მოიხსენიებდა ძალადობის სიმბოლოდ და იცავდა მამათმავლებს" რასაც, როგორც ბრალდებული განმარტავდა, იღებდა პირად შეურაცხყოფად.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება კვლავ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ცემის ან სხვაგვარი ძალადობის ნიშნებით[220] გაგრძელდა, საქმე

---

[216] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 19 ივლისის SIS 8 23 00012858 წერილი.
[217] იხ. < https://formulanews.ge/News/93448 >
[218] იხ. < https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-misha-mshvildadzis-mimart-gankhortsielebul-tavdaskhmis-faktze >
[219] ნ.გ.-ს გამოკითხვის ოქმი.
[220] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 126, ნაწ. 1.

არსებითად განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა და არც სხვა სისხლის სამართლის საქმე გამოიყო ცალკე წარმოებად. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პროკურატურამ, რომელმაც საქმეზე კვალიფიკაცია არ შეცვალა, **სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა სავარაუდო დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივი.** [221]

სახალხო დამცველის აპარატის პოზიციით, ცემა და ძალადობა, რომელიც მოტივირებულია კონკრეტული პირის მხრიდან გამოხატული აზრისა თუ შეხედულების მიუღებლობითა და სიძულვილით, დაკვალიფიცირებული უნდა იყოს სპეციალური მუხლით, კერძოდ, ფიზიკური ძალადობით განხორციელებულ დევნად, გამოხატული აზრის გამო.[222]

გასათვალისწინებელია, რომ ძალადობა, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, წარმოადგენს პირის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლებით დაცულ სფეროს და სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, რომ აღკვეთოს ძალადობის ფაქტები, ეფექტიანად გამოიძიოს და უზრუნველყოს პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება.

მართალია, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი, რომელიც მოიცავს ძალადობას, ფარავს ცემისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ელემენტს, თუმცა სამართლებრივი შეფასების გარეშე რჩება პირის მიმართ მისი შეხედულების, მოსაზრების გამო გადაკიდება თუ დევნა.

გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედების სწორი კვალიფიკაციის მიზნებისათვის, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, პირი ნამდვილად ატარებს თუ არა იმ ნიშანს, რომელიც, თავდამსხმელის აზრით, მსხვერპლს გააჩნდა. პირის მიმართ გადაკიდება ნიშნის გამო, რომელიც, თავდამსხმელის მოსაზრებით, მას გააჩნია ან მასთან ასოცირდება, საკმარისია დისკრიმინაციის გამოკვეთისთვის.[223]

აღნიშნულის გათვალისწინება სისხლისსამართლებრივ კონტექსტში წარმოადგენს როგორც გამოხატვის თავისუფლების უფლებით, **აგრეთვე თანასწორობის უფლებითა და ღირსების ხელშეუვალობის პრინციპით ნაგულისხმევ ვალდებულებას**. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება, რომ **გამოიძიონ შესაძლო კავშირი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებსა და ძალადობის აქტებს შორის,** კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლებით (წამების აკრძალვა) ნაკისრი პროცედურული

[221] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 22 სექტემბრის SIS 5 23 00017472 წერილი.

[222] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 156, ნაწ. 2, ქვეპ. „ა".

[223] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი აგრეთვე მოიცავს ასოციაციით დისკრიმინაციას, ანუ იმგვარ შემთხვევას, როდესაც უფლებით დაცული ნიშანი პირმა რამენაირად მსხვერპლთან დააკავშირა. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში მოიცავს ისეთი ძალადობის შემთხვევებსაც, რომელიც ეფუძნებოდა მსხვერპლის ნამდვილ ან აღქმულ კავშირს ან აფილიაციას სხვა ადამიანთან, რომელიც ნამდვილად ან, წინასწარი ვარაუდით, ფლობდა კონკრეტულ სტატუსსა და მახასიათებელ ნიშანს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *შკორიანეჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, საჩივარი no. 25536/14), პარა. 56.

ვალდებულებების სფეროში ექცევა, თუმცა კონვენციის მე-14 მუხლით (დისკრიმინაციის აკრძალვა) ნაკისრ პასუხისმგებლობაშიც შეიძლება მოვიაზროთ.[224]

დამატებით, გასათვალისწინებელია, რომ სახალხო დამცველის პოზიციით, სარწმუნო კონტრარგუმენტად ვერ გამოდგება მოსაზრება, რომ ცემა ან ძალადობა ხშირად სწორედ შელაპარაკებას ან მიუღებელი აზრის გამოთქმას ან შეურაცხყოფას მოსდევს, რისი გათვალისწინების პირობებშიც, ყველა ამგვარი შემთხვევა დევნად უნდა დაკვალიფიცირდეს.

აღნიშნულ კონტექსტში გასათვალისწინებელია ქმედების სპონტანური თუ დაგეგმილი ხასიათი, პროვოკაციის არსებობის საკითხი და ნაგულისხმევი შეხედულებისა თუ მოსაზრების ბუნებაც, რომელიც სავარაუდო გადაკიდების ობიექტი გახდა. ამ მიზნებისთვის ხაზი უნდა გაესვას იმგვარ ნიშნებს, რომელიც **ადამიანის პიროვნებას, მის იდენტობას ან იდენტობის ფუნდამენტურ ელემენტს უკავშირდება.** ამგვარი შეხედულება შეიძლება შეეხებოდეს პოლიტიკურ, რელიგიურ, სოციალურ და საზოგადო ინტერესის მქონე საგნებს. ნაგულისხმევია მოსაზრებები იმგვარ საკითხებზე და მიკუთვნებულობაზე, რომელიც საფუძვლად უდევს თანასწორობის უფლებასა და ამა თუ იმ ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, *inter alia* იცავს **პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებს.**[225] სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სპეციალური კვალიფიკაციის არსიც სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ ყურადღების გარეშე არ დატოვოს ის გარემოებები და ნიშნები, რის გამოც პირი ძალადობის მსხვერპლი გახდა და **რომელთა არარსებობის პირობებშიც, იგი, სავარაუდოდ, ამგვარ თავდასხმას არ დაექვემდებარებოდა.**

მოცემულ შემთხვევაში, ნ.გ-ს განცხადებით, მიხეილ მშვილდაძეზე თავდასხმისას სწორედ სიძულვილი ამოძრავებდა, რადგან მიხეილ მშვილდაძე, მისი წარმოდგენით, მხარს უჭერდა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებს და ეკლესიის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი. მიხეილ მშვილდაძე, როგორც საჯარო ფიგურა, მისი მხრიდან თავდასხმის ობიექტი გახდა საჯაროდ დაფიქსირებული აზრისა და შეხედულების გამო, მის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით. ხოლო სწორედ ამგვარი ქმედება კრიმინალიზებულია სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით, რომელიც არამხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის, არამედ, პირველ რიგში, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია.

---

[224] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, საჩივრები nos. 43577/98 and 43579/98, პარა. 161.

[225] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, **დისკრიმინაციული მოტივების გამოძიებაზე უარის თქმა და დისკრიმინაციით წაქეზებული ძალადობის ისეთივე განხილვა, როგორიც საქმეებისა, რომლებსაც არ აქვს დისკრიმინაციული მოტივები, არის თვალის დახუჭვა ამგვარი აქტების განსაკუთრებული ბუნების მიმართ და არსებითად ლახავს ძირითად უფლებებს**. **თუ სიტუაცია მოითხოვს განსაკუთრებულ მოპყრობას ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად განსხვავებულია და ასეთი განსხვავებული მიდგომა არ გამოიყენება, ეს შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონვენციის მე-14 მუხლს.**[226] **იგივე ვალდებულება ვრცელდება მაშინ, როდესაც კონვენციის მე-3 მუხლთან შეუთავსებელი მოპყრობა განხორციელებულია კერძო პირის მიერ.**[227] ამასთან, **დისკრიმინაციული კომენტარები** და რასისტული შეურაცხყოფა, ნებისმიერ შემთხვევაში, **უნდა შეფასდეს, როგორც დამამძიმებელი ფაქტორი,** როდესაც განიხილება არასათანადო მოპყრობის შემთხვევის მე-3 მუხლის ჭრილში შეფასების საკითხი.[228]

იდენტური პრობლემა შეიძლება დასახელდეს ზურაბ გირჩი ჯაფარიძის მიმართ 2023 წლის 17 ივნისს განხორციელებული ძალადობის შემთხვევაშიც.[229] ზურაბ გირჩი ჯაფარიძეც, აგრეთვე, სავარაუდოდ, ძალადობის მსხვერპლი გახდა მისი გამოხატული პოზიციისა და პოლიტიკური მოსაზრებების, აფილირების გამო. მასზე თავდასხმის შემდეგ, პასუხისმგებლობა აგრეთვე „ფეისბუქ" მომხმარებელმა აიღო, რომელმაც სოციალურ ქსელში დაწერა, რომ „...ჩემს მიერ იცემა ზურა ჯაფარიძე, იცემა ჩვენი შვილების გარყვნისათვის, იცემა პატრიარქის და ეკლესიის შეურაცხყოფისათვის და იცემა იმ საქციელისათვის, როდესაც შიშველი უკანალები აჩვენეს მტერს...".[230] მოცემულ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო.[231] თუმცა, მსგავსად, მოცემულ შემთხვევაშიც, სავარაუდოდ, საფუძველი არსებობდა გამოძიების სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით გაგრძელების, გამოხატული აზრის გამო დევნის ფაქტზე. როდესაც გამოძიებისათვის ცნობილი გახდა ზურაბ გირჩი ჯაფარიძეზე განხორციელებული თავდასხმის სავარაუდოდ გამოხატული მოტივი, ეს სისხლის სამართლის საქმეც შემდგომი გამოძიებისათვის, სისხლისსამართლებრივი განსჯადობის შესაბამისად, **გენერალურ პროკურატურას სპეციალური საგამოძიებო სამსახურისათვის უნდა გადაეცა და გამოძიება სპეციალური კვალიფიკაციით გაგრძელებულიყო.**

---

[226] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, საჩივრები nos. 43577/98 and 43579/98, პარა. 160.

[227] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *აბდუ ბულგარეთის წინააღმდეგ*, საჩივარი No(s). 26827/08, პარა. 44.

[228] იქვე, პარა. 38. საგულისხმოა, რომ მოცემულ საქმეში, თავდასხმას ადგილი ჰქონდა კერძო პირების, ე.წ. სკინჰედების მხრიდან და ძალადობას ჰქონდა სავარაუდო რასისტული სარჩული.

[229] სახალხო დამცველი, საჯარო განცხადებით, ძალადობის ამ ფაქტსაც გამოეხმაურა: < https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-borjomis-munitsipalitetshi-ganvitarebul-movlenebs-ekhmaureba >

[230] იხ: < https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/40773-chems-mier-itsema-zura-japaridze-chveni-shvilebis-garkvnisatvis-arsad-damalvas >

[231] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის 2023 წლის 3 აგვისტოს MIA 8 23 02253042 წერილი.

გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი ტიპის თავდასხმა საზოგადოებისთვის უცნობი არ არის და 2021 წლის 24-25 თებერვლის ღამეს, როდესაც რამდენიმე პირი ჟურნალისტ ვახტანგ სანაიას დაესხა თავს, გამოძიება სწორედ, მათ შორის, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ თავდასხმის დროს არც ვახტანგ სანაია ახორციელებდა ჟურნალისტურ საქმიანობას, თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ თავდასხმა მოხდა მისი, როგორც ჟურნალისტის მიმართ, **საჯაროდ დაფიქსირებული პოზიციისა და პროფესიული მოღვაწეობის გამო**.[232] უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გამოძიება სწორი კვალიფიკაციით მიმდინარეობდა, რადგან ვახტანგ სანაია სიძულვილით წახალისებული დანაშაულის მსხვერპლი გახდა როგორც ჟურნალისტი და საჯარო ფიგურა, მისი საჯარო პოზიციონირების გამო და - არა, როგორც კერძო პირი.

ვფიქრობთ, რომ საჭიროა, ერთგვაროვან საქმეებზე ჩამოყალიბდეს თანმიმდევრული პრაქტიკა, სადაც სამართლებრივი შეფასების გარეშე არ დარჩება პირის დევნა ამა თუ იმ ნიშნის გამო და მკაფიოდ გამოიხატება სახელმწიფოს ნება, დისკრიმინაციის შემცველ დანაშაულებრივ ქმედებებთან გამკლავების პროცესში, ვინაიდან მოცემულ შემთხვევებში კვალიფიკაცია არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალობას, არამედ, მას დიდი მნიშვნელობა აქვს პირის შელახული ღირსების აღდგენის საკითხში. გარდა ამისა, ხსენებული სპეციალური მუხლით (დევნა) გათვალისწინებული სასჯელი აღემატება პროკურატურის მიერ ზემოთ მიმოხილულ შემთხვევებში გამოყენებული, დამამძიმებელი გარემოების გარეშე ცემისა და ძალადობისათვის გათვალისწინებულ სასჯელს. ეს გარემოება ეხმიანება დისკრიმინაციით წახალისებული ძალადობის განსაკუთრებულ ბუნებას და ხაზს უსვამს დისკრიმინაციისათვის დამატებითი პასუხისმგებლობის დაკისრების საჭიროებას.[233]

აღნიშნულ კონტექსტში, სახელმწიფოს ნების სამართლებრივად დაფიქსირებისა და შესაბამისი პოლიტიკის დადასტურების **პასუხისმგებლობა სწორედ პროკურატურას გააჩნია,** რომელმაც მიხეილ მშვილდაძის საქმე შემდგომ გამოსაძიებლად სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გადასცა, თუმცა **დევნის აშკარად გამოხატული ნიშნების არსებობის მიუხედავად, გაუგებარი მიზეზით, პროკურორს საქმეზე კვალიფიკაცია არ შეუცვლია.** ხოლო ზურაბ გირჩი ჯაფარიძის საქმის შემთხვევაში, გამოძიება კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააგრძელა და არც კვალიფიკაცია და, შესაბამისად, არც სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანო შეცვლილა.

---

[232] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 აგვისტოს განაჩენი.

[233] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ მაშინ, როდესაც ამავე კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

საკითხზე მსჯელობისას, დამატებით უნდა ვახსენოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ *დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის* და ამგვარი *დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა* ***სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს*** *ჩადენილი დანაშაულისათვის ამავე კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.*[234]

ამასთან საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს დისკრიმინაციული ნიშნით ადამიანის დევნას ძალადობით ან ძალადობის მუქარით, არ აწესებს სასჯელის მინიმალურ ზღვარს, რაც მიანიშნებს, რომ სპეციალური მუხლით კვალიფიკაციის შემთხვევაში, თეორიულად, შესაძლებელია სასჯელის მინიმალური ზომის (6 თვე) გამოყენება. ხოლო იმგვარ შემთხვევაში, სადაც, მაგალითად, კვალიფიკაცია შეჯერებულია მხოლოდ ძალადობაზე (სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილი) და დისკრიმინაციული მოტივი დადასტურდება სასამართლოს მიერ, 53[1]-ე მუხლის გავრცელების შემთხვევაში, მინიმალური სასჯელი აღწევს 1 წელსა და 6 თვეს. შესაბამისად, **ლოგიკას მოკლებულია, სპეციალური მუხლის გამოყენების შემთხვევაში თეორიული შესაძლებლობის არსებობა, რომ სასჯელის ზომად გამოყენებული იყოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი, ვიდრე გამოყენებული იქნებოდა ზოგადი მუხლით კვალიფიკაციისას. მოცემულ შემთხვევაში, დისკრიმინაციული მოტივი, შესაძლოა, არ დარჩეს ფორმალური სამართლებრივი შეფასების გარეშე, თუმცა ქმნის რისკს, რომ დამატებითი პასუხისმგებლობა, არ აისახოს სასჯელში, რაც ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის სულისკვეთებას და ილუზორულს ხდის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის განსაკუთრებული ბუნების მნიშვნელობას. ამგვარად, მიზანშეწონილი იქნება, ძალადობით განხორციელებული დევნით (სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი) გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზღვარი შესაბამისობაში მოვიდეს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლით დადგენილ სტანდარტთან და აისახოს კოდექსის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულ მინიმალურ სასჯელში.**

მეორე მხრივ, საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლი შეეხება სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებს და, შესაბამისად, მიემართება სასამართლოს.[235]

---

[234] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 53[1], ნაწ. 1 და 3.

[235] OSCE/ODIHR მიუთითებს, რომ 2022 წლის მონაცემებით, საქართველოს გენერალურ პროკურატურას გაცემული აქვს რეკომენდაცია, რომ გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლი, თუმცა ხსენებული მუხლი მიემართება სასჯელებს და სასამართლოს გამოყენების სფეროშია და არა საგამოძიებო

ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ ფარავს სიძულვილით მოტივირებულ ყველა დანაშაულს და შემოიფარგლება დევნით, რამდენიმე დამამძიმებელ გარემოებასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ადამიანისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა არაერთი დანაშაული შესაძლოა ჩადენილ იქნას დისკრიმინაციული მოტივით და განპირობებული იყოს სიძულვილით.

ამგვარად, **აუცილებელია, რომ ყველა ამგვარ შემთხვევაში, სიძულვილის მოტივი ასახული იყოს სისხლის სამართლის საქმის კვალიფიკაციაში და სამართალწარმოება მიმდინარეობდეს როგორც ობიექტურად ჩადენილი ქმედების, აგრეთვე, - მოტივის გამოკვეთის ირგვლივ. შესაბამისად, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა, რომელიც შესაძლებელს გახდის ადამიანისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, ასევე სხვა დანაშაულების კვალიფიკაციის ეტაპზე დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთას, რომელიც უზრუნველყოფს *inter alia* გამოძიების წარმართვას სიძულვილის ნიშნის გამოკვეთის ირგვლივ და აღნიშნულ სივრცეს არ დაუტოვებს მხოლოდ სასამართლოს, 53[1]-ე მუხლის შესაბამისად სასჯელის განსაზღვრის ეტაპისათვის.**

ამ მიზნისათვის, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული ნიშნები, რომელთა მიმართ სიძულვილით განპირობებული დანაშაული წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, მსგავსი შინაარსით, მიეთითოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში იმგვარი ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეჭვის არსებობის შემთხვევაში, კოდექსის შესაბამისი კერძო მუხლით კვალიფიკაცია მოხდეს ამ მუხლთან ერთობლიობაში. მაგალითისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას ოჯახური დანაშაულისათვის და მიუთითებს, რომ ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შესაბამის მუხლებთან ერთად, განისაზღვრება სწორედ მე-11[1] მუხლზე მითითებით.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კვალიფიკაციის ამგვარმა მოწესრიგებამ, შესაძლოა, უზრუნველყოს, რომ სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივი კვალიფიკაციის ეტაპზევე ცხადად გამოიკვეთოს, გამოძიებისა და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში სათანადო მნიშვნელობა მიენიჭოს მოტივის არსებობის დადასტურებას და რიგი დანაშაულების შემთხვევაში, აღნიშნული სივრცე მხოლოდ სასამართლოს არ დაუტოვოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მისასალმებელი იქნება, თუ კანონმდებელი იმსჯელებს ამგვარი მოწესრიგების მიზანშეწონილობაზე და უზრუნველყოფს იმგვარი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობას, რომელიც არც ერთ დანაშაულში, თუნდაც გამოძიების ეტაპზე, შეუფასებელს არ დატოვებს სიძულვილის მოტივს.

უწყებებისა თუ პროკურატურის მიერ კვალიფიკაციის განსაზღვრის პროცესის შემადგენელი ნაწილი. იხ. < https://hatecrime.osce.org/national-frameworks-georgia?fbclid=IwAR3gleAHObuup_UHRICXoWmSAwJmiM54cY5Z7RcKq0Kd1xpHySTUbUQx_mU#capacityBuilding >

4.7. სამედიცინო მომსახურების პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებებში

სამწუხაროდ, **დაგვიანებული ან არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების პრობლემა პენიტენციურ სისტემაში საანგარიშო პერიოდშიც გამოწვევად რჩებოდა.** ჯანდაცვის მიმართულებით გამოვლენილი სისტემური ხარვეზების პარალელურად, სახალხო დამცველის აპარატს შესწავლილი აქვს არაერთი საქმე, სადაც კონკრეტული **პატიმრებისთვის გაჭიანურებული ან არასათანადო სამედიცინო სერვისის მიწოდების ფაქტი დასტურდება.**

სახალხო დამცველის აპარატის **ძირითადი მიგნებები** შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- არასათანადო მკურნალობა;
- გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურება;
- ექიმისა და პაციენტის კომუნიკაციის კონფიდენციალობის დარღვევა;
- არასათანადო მკურნალობის მონიტორინგის მექანიზმის გაუმართაობა;
- სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის არსებითი გაჭიანურება და სხვა პრობლემები;
- რეგულირების სააგენტოს გაჭიანურებული საქმისწარმოება და დაგვიანებული დასკვნები, მათ შორის პატიმრის გარდაცვალების საქმეზე.[236]

როგორც განვლილ წლებში, ამჯერადაც, ინდივიდუალური და სისტემური პრობლემების გამოვლენის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი შემდეგ გზებს მიმართავს:

- ხვდება პატიმრებს მათი, ოჯახის წევრების მიმართვის ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე;
- გასაუბრების გზით იღებს ინფორმაციას პაციენტისგან;
- საჭიროების შემთხვევაში, ხვდება და ესაუბრება პენიტენციური დაწესებულების მთავარ ექიმსა და მორიგე ექიმებს;
- ადგილზე ეცნობა და ითხოვს ინფორმაციას ჩატარებული და დაგეგმილი სამედიცინო მომსახურების შესახებ;
- გამოითხოვს სამედიცინო დოკუმენტაციას სრულად ან ნაწილობრივ;
- აპარატში დასაქმებული ექიმი შეისწავლის სამედიცინო დოკუმენტაციას და (კონსულტაციის გზით) განსაზღვრავს შემდგომი რეაგირების, წინადადებისა და რეკომენდაციის გაცემის პერსპექტივას;
- აპარატი შესაბამის უწყებებს მიმართავს წინადადებითა და რეკომენდაციით, კონკრეტული გამოვლენილი პრობლემის შესაბამისად და სხვ.

[236] რეგულირების სააგენტოს საქმიანობის ხარვეზებზე საუბარი იქნება ამავე თავის შემდეგ ქვეთავში - „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“, ვინაიდან პრობლემები არ მიემართებოდა მხოლოდ პატიმართა ჯანდაცვის საკითხების შემოწმების პროცესს.

პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და მის მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს, რითაც ხაზს უსვამს პატიმრის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაში არსებული ეკვივალენტური ჯანდაცვის სისტემით. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იმ მომსახურებაზე, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაშია დანერგილი.[237]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ იმისთვის, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ გაუტოლდეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მინიმალურ ზღვარს და არ იმყოფებოდეს წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.[238]

აღნიშნულის მიუხედავად, წინა წლების მსგავსად, 2023 წლის განმავლობაშიც, პენიტენციური დაწესებულებებიდან შემოსული საქმეების უმეტესობა კვლავ სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობის, ხელმისაწვდომობისა და დროულად უზრუნველყოფის პრობლემებს შეეხებოდა. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში, აპარატის მიერ ამ მიმართულებით შესწავლილ საქმეებში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, სადაც ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურების გაჭიანურებამ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია.

4.7.1. გაჭიანურებული რეფერალი და არასათანადო სამედიცინო მომსახურება

სათანადო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის გაჭიანურების ერთ-ერთი მაგალითია მსჯავრდებული ა.გ, რომელიც 2022 წლის 27 ოქტომბერს, ოპერაციული მკურნალობის მიზნით, გეგმიური წესით დარეგისტრირდა რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში (რიგითი N219). რეფერალის გადატვირთულობის გამო, ვერ ხერხდებოდა მისთვის მომსახურების დროული მიწოდება. **6 თვის გასვლის შემდეგაც**, 2023 წლის მაისის მდგომარეობით, მსჯავრდებულს კვლავ არ ჰქონდა ჩატარებული ოპერაცია (რიგითი ნომერი იყო 161). საბოლოოდ, **თითქმის 1 წლის შემდეგ**, 2023 წლის 21 სექტემბერს მსჯავრდებული გათავისუფლდა, რის გამოც სამედიცინო დეპარტამენტმა სახალხო დამცველის აპარატს არ აცნობა, ხსენებული სამედიცინო მომსახურება გაეწია თუ არა მსჯავრდებულს გათავისუფლებამდე.[239]

---

[237] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, §40.2.

[238] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Bujak v. Poland, 2017, 686/12, § 68.

[239] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 24 თებერვლის N51898/01, 10 მაისის N126998/01 და 10 ოქტომბრის N280964/01 წერილები.

მსგავსად, აპარატის ექიმის მიერ მსჯავრდებულ დ. ხ.-ს სამედიცინო მომსახურების საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ პაციენტისთვის დადგენილი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გათვალისწინებით, სასურველი იყო ულტრასონოგრაფიული კვლევის და კარდიოლოგის კონსულტაციის ჩატარება და ამ კვლევის შედეგების მიხედვით ადეკვატური მკურნალობის დროული დანიშვნა; მოგვიანებით - კორონაროგრაფიისა და გულის ულტრასონოგრაფიული კვლევის დაჩქარებულ ვადებში ჩატარება, ვინაიდან მოკლე პერიოდის განმავლობაში პაციენტის გულის ულტრასონოგრაფიული მონაცემები მკვეთრად გაუარესდა.

სახალხო დამცველის აპარატის[240] მიმართვების შემდეგ, პატიმარს ჩაუტარდა კარდიოლოგის კონსულტაცია, გულის ულტრასონოგრაფიული კვლევა, დაენიშნა და მიეწოდებოდა მედიკამენტური მკურნალობა.[241] საგულისხმოა, რომ მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის მოხდით.[242]

სახალხო დამცველის 2020-2022 წლების ანგარიშებში[243] აისახა მსჯავრდებულ გ.მ.-ს მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციაც, როგორც პატიმრებისთვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების სფეროში სერიოზული პრობლემების თვალსაჩინო მაგალითი.

2019 წლის თებერვლიდან 2024 წლის თებერვალმდე, გ.მ. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო N18 პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა. 2019 წელს, სახალხო დამცველმა, მოწვეული სამედიცინო ექსპერტების დასკვნების საფუძველზე, რეკომენდაციით იუსტიციის მინისტრს მსჯავრდებულ გ.მ.-ს ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის თაობაზე მიმართა.[244] საგულისხმოა, რომ მსჯავრდებულის დიაგნოზი 2020 წელს უცვლელი იყო.[245]

2021 წელს, სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის, მედიცინის დოქტორის მიერ პატიმრის სამედიცინო დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პრობლემას წარმოადგენდა ძირითადი დიაგნოზის მართვასთან დაკავშირებული საკითხები; არ სრულდებოდა გაწეული რეკომენდაციები კომპლექსური მკურნალობის აუცილებლობის შესახებ; დოკუმენტაციაში არ იძებნებოდა ჩანაწერები, რომლებიც

---

[240] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 18 ივლისის N15-5/7023, 21 აგვისტოს N15-5/8297, 4 სექტემბრის N15-5/8821, 20 ოქტომბრის N15-5/10431, 7 ნოემბრის N15-5/10895 წერილები.

[241] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 26 ივლისის N206146/01, 24 აგვისტოს N234958/01, 7 სექტემბრის N247971/01, 6 ნოემბრის N309171/01 და 22 ნოემბრის N326521/01 წერილები.

[242] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N10 დაწესებულების 2023 წლის 28 დეკემბრის N363130/25 ცნობის თანახმად, მსჯავრდებული დ.ხ. გათავისუფლდა 2023 წლის 17 ნოემბერს.

[243] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშები: 2020 წლის ანგარიში, გვ. 43 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf> 2021 წლის ანგარიში, გვ.38-39 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> 2022 წლის ანგარიში გვ. 189-190 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> [ბოლოს ნანახია: 11.01.2024 წელს].

[244] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 7 მარტის N15-5/2748 რეკომენდაცია.

[245] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2020 წლის 31 დეკემბრის N308493/01 წერილი.

მიუთითებდნენ პაციენტის მდგომარეობის მულტიდისციპლინურ მართვაზე თერაპიული გეგმის მიხედვით, რაც ერთობლივად უნდა განხორციელებულიყო სამედიცინო გუნდის მიერ.[246] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტმა აპარატის მიმართვის შემდეგ, დაგეგმა და განახორციელა სხვადასხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტთა ვიზიტი მსჯავრდებულთან მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით და ჩაუტარა სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება, ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობა შეფასებულ იქნა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. შეთავაზებულ ფსიქოთერაპევტის კონსულტაციაზე, პაციენტმა უარი განაცხადა, რის მიზეზადაც, არსებულ გარემოში კონფიდენციალობის დაცვის შეუძლებლობა დაასახელა.[247]

2023 წელს, სახალხო დამცველის აპარატის ექიმის მიერ გ.მ.-ს სამედიცინო დოკუმენტაციის[248] შესწავლის შედეგად აღინიშნა, რომ პაციენტს რეგულარულად უტარდება ფიზიოთერაპიული პროცედურები, კერძოდ ნეირო-მიოსტიმულაცია, სამკურნალო სარეაბილიტაციო ვარჯიში, თუმცა კვლავ ღიად რჩება სრულყოფილი ფსიქოთერაპიული მკურნალობის საკითხი (აღსანიშნავია, რომ თავად პაციენტიც არ იჩენდა ინტერესს ფსიქოთერაპიული მკურნალობის ჩატარების მიმართ, რასაც არსებულ სივრცეში კონფიდენციალობის დაცვის შეუძლებლობას უკავშირებდა). ექიმმა ყურადღება გაამახვილა გამოძიების ფარგლებში დანიშნული სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების[249] დასკვნების დაჩქარების საჭიროებაზე.

საგულისხმოა, რომ უშედეგოდ მიმდინარეობს გამოძიება გ.მ.-ს მიმართ სავარაუდო არასათანადო სამედიცინო მომსახურების და შესაბამისად, - სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე და მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნები კვლავ არ არის მიღებული 2024 წლის იანვრის მდგომაროებით.[250]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდებული უარს აცხადებდა ფსიქოლოგთან კომუნიკაციაზე, უნდა ითქვას, რომ ოფიციალურ სამედიცინო დოკუმენტებში პატიმრის მიერ ფსიქოთერაპიაზე უარის მიზეზად მითითებულია არაკონფიდენციალური გარემო.

---

[246] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 5 ნოემბრის N15-5/10589 წერილი.

[247] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 31 დეკემბრის N320171/01, 2022 წლის 17 თებერვლის N45183/01 და 2022 წლის სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 9 მარტის N65861/01 წერილები.

[248] N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმის 2023 წლის 9 აგვისტოს N219959/01 წერილის დანართი.

[249] სისხლის სამართლის N010030221801 საქმეზე, რომელიც მსჯავრდებულ გ.მ.-ს მიმართ ჩადენილი სავარაუდო გულგრილობის ფაქტზე მიმდინარეობს, 2021 წლის თებერვალში დაინიშნა კომპლექსური სასამართლო-სამედიცინო და ამბულატორიული ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

[250] გენერალური პროკურატურის 2021 წლის 3 თებერვლის N13/5561, 2021 წლის 31 მაისის N13/31439, 2021 წლის 5 ოქტომბრის N13/60487, 2023 წლის 23 იანვრის N13/3716 და 2024 წლის 22 იანვრის N13/3566 წერილების თანახმად, სისხლის სამართლის N010030221801 საქმის გამოძიება მიმდინარეობს მსჯავრდებულ გ. მ.-ს მიმართ ჩადენილი სავარაუდო გულგრილობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით.

აღსანიშნავია, რომ გ.მ. ცნობილია დაზარალებულად[251] სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც სხვისი კერძო კომუნიკაციის უნებართვოდ მოსმენის, ჩაწერისა და გავრცელების ფაქტზე, სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩანაწერების მასმედიით გავრცელების შემდეგ დაიწყო და როგორც მსჯავრდებული აცხადებს, ისმინებოდა მისი ყველა საუბარი ყველა პირთან, ვისაც პენიტენციურ დაწესებულებაში ხვდებოდა და ესაუბრებოდა. ამდენად, პაციენტის უნდობლობა გამოწვეული იყო ფსიქოლოგთან საუბრის კონფიდენციალური გარემოს არარსებობის მიზეზით.

სახალხო დამცველის აპარატმა, 2023 წელს, აგრეთვე, შეისწავლა მსჯავრდებულ ო. ნ.-ს საქმე. წარმოდგენილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ო. ნ. იყო ქრონიკული და მძიმე ავადმყოფი, ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესების პერსპექტივის გარეშე.[252] ექსპერტიზის დასკვნით, ო.ნ.-ს, სხვა დიაგნოზებთან ერთად დადგენილი ჰქონდა: გულის ქრონიკული იშემიური დაავადება (I25); მიოკარდიუმის გადატანილი ინფარქტი (I25.2); არასტაბილური სტენოკარდია (I20.0); არტერიული ჰიპერტენზია II სტადია (JNC VII) (I10); გულის უკმარისობა II ფუნ. კლ, (NYHA) (I50).

სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულმა ექიმმა, მოწოდებული დოკუმენტაციის გაანალიზების შედეგად, საყურადღებოდ მიიჩნია ექსპერტთა კომისიის წევრის, ექიმ-კარდიოლოგის მიერ გაკეთებული დასკვნა და რეკომენდაციები. მიზანშეწონილად მიიჩნია გულსისხლძარღვთა სისტემის გაღრმავებული გამოკვლევების დროული ჩატარება. კერძოდ, სამოქალაქო კლინიკის პირობებში სრულფასოვანი კვლევისა და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გულსისხლძარვთა სისტემასთან დაკავშირებული დიაგნოზების ფონზე - გულის ქრონიკული იშემიური დაავადება (I25), მიოკარდიუმის გადატანილი ინფარქტი (I25.2), არასტაბილური სტენოკარდია (I20.0) - კორონაროგრაფიის ჩატარება (რაზეც ექსპერტიზის დასკვნაშიც მითითებული იყო).

ამასთან, სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის პოზიციით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტს, მსჯავრდებულ ო. ნ.-ს გულსისხლძარვთა სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად, სათანადო აქტივობა არ გამოუჩენია და ამ მიმართულებით აქტივობა მომავლისთვის დაგეგმილი კვლევების ჩამონათვალშიც არ ჰქონდა შეყვანილი.

მოცემული საქმის შესწავლის შედეგების საფუძველზე, სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს ო. ნ.-თვის

[251] გენერალური პროკურატურის 2023 წლის 2 მაისის N13/29544 და 1 აგვისტოს N13/52868 წერილების თანახმად, სისხლის სამართლის N010140921801 საქმეზე, რომლის გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, დაზარალებულად ცნობილია მსჯავრდებული გ.მ.

[252] სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის" 2022 წლის 25 ოქტომბრის N01-02/28 დასკვნა.

მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით, კორონაროგრაფიის ჩატარებისა და ადეკვატური მკურნალობის განსაზღვრის შესახებ.[253]

საბოლოოდ, ო. ნ.-ს 2023 წლის 28-29 აპრილს, ამბულატორიულ პირობებში 12 განხრიანი ჰოლტერის 24 საათიანი ეკგ. მონიტორინგი ჩაუტარდა., რომლის შედეგად გულის იშემიისთვის დამახასაითებელი ცვლილებები არ გამოვლინდა და კორონაროგრაფიის ჩატარება აღარ ჩაითვალა საჭიროდ. ამდენად, სახალხო დამცველის რეკომენდაცია შესრულდა და ო. ნ.-ს გაეწია სათანადო სამედიცინო მომსახურება.

მოცემულ საქმეში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ო. ნ.-ს დადგენილი ჰქონდა დიაგნოზი: ენცეფალოპათია (დაუზუსტებელი) (G93.4); დემენცია (დაუზუსტებელი) (F03) მენტალური ფუნქციების ტლანქი მოშლით; ატაქსია (დაუზუსტებელი) (R27.0).[254] ხოლო, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით - ო. ნ.-ს აღენიშნებოდა ქრონიკული, პროგრესირებადი ფსიქიკური დაავადება: პრესენილური დემენცია (F03) - (დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია ICD მე-10 გადასინჯვა).[255]

სახალხო დამცველის აპარატის ექიმის მიერ მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებული რამდენჯერმე იყო კონსულტირებული ფსიქიატრის მიერ. არც ერთ კონსულტაციაში დემენციის დიაგნოზი დაფიქსირებული არ ყოფილა. 2023 წლის 3 თებერვალს ფსიქიატრის მიერ ჩატარებული კონსულტაციის დროს პაციენტს დაესვა დიაგნოზი - მსუბუქი კოგნიტური აშლილობა F06.7 და მხოლოდ ამ კონსულტაციის დროს, საჭიროდ ჩაითვალა მინი-მენტალური კვლევის ჩატარება (რომელიც გამოიყენება დემენციის ვერიფიკაციისთვის). წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაში არ ფიქსირდებოდა ფსიქიატრის მიერ 2023 წლის 3 თებერვალს გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფაქტი.

ო. ნ.-ს ადვოკატისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ანალიზის

[253] საქართველოს სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 9 თებერვლის N 15-3/1401 რეკომენდაცია.
[254] სასამართლო-ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის" 2022 წლის 25 ოქტომბრის N01-02/28 დასკვნა.
[255] შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"-ს 2023 წლის 3 ნოემბრის ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის N134 დასკვნა. სახალხო დამცველის აპარატის ექიმის პოზიციით, საერთაშორისო კლასიფიკატორის კოდით (F03) შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"-ს და დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის" მიერ დასმული დიაგნოზები იდენტურია, ტერმინოლოგიური განსხვავება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პრესენილური დემენცია სხვა სახის დემენციებთან ერთად შედის დაუზუსტებელი დემენციების ჩამონათვალში.

საფუძველზე, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.[256]

სასამართლოს მეგობრის მოსაზრების თანახმად, განსაკუთრებით საყურადღებო იყო ის ფაქტი, რომ ექსპერტიზების დასკვნების თანახმად, ო. ნ.-ს დასმული ჰქონდა დიაგნოზი - დემენცია (დაუზუსტებელი) (F03) მენტალური ფუნქციების ტლანქი მოშლით, რაც კანონმდებლობის თანახმად, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს წარმოადგენდა.[257] მნიშვნელოვანი გარემოება იყო ისიც, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში, ო. ნ.-ს მიმართ აღნიშნული დიაგნოზი იდენტიფიცირებული არ ყოფილა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ო. ნ. ქრონიკული და ცერებრული და კარდიოლოგიური პრობლემატიკით მძიმე ავადმყოფი იყო, ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესების პერსპექტივის გარეშე. მისი იმჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის, პათოლოგიური პროცესების უარყოფითი დინამიკის, ჩასატარებელი სამკურნალო და დიაგნოსტიკური ღონისძიებების გათვალისწინებით, ო. ნ.-ს იზოლაციაში ყოფნა ნეგატიურად მოქმედებდა მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და შესაბამისად, ხელს უშლიდა სასჯელის მოხდას.[258]

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ, პრაქტიკულად, გაიზიარა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში განვითარებული მსჯელობა და ო.ნ. გათავისუფლდა დარჩენილი სასჯელის მოხდისაგან ავადმყოფობის გამო.[259]

სახალხო დამცველმა, აგრეთვე, წინადადებით მიმართა[260] იუსტიციის მინისტრს N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მ.შ-ის მიმართ სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე.

მ.შ. თვეების განმავლობაში მიუთითებდა თავის გაუსაძლის ტკივილებზე. სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა და სრულად გაეცნო მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაციას, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ინტრა და ექსტრაკრანიული დუპლექს სკანირება და ლაბორატორიული კვლევები, თავის ტკივილის სისხლძარღვოვანი კომპონენტის და ქრონიკული ვირუსული ინფექციის გამოსარიცხად. სახალხო დამცველის წინადადება შესრულდა.[261]

---

[256] მოცემული საქმის შესწავლის დროისთვის, თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილებოდა ო. ნ.-ს სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენზე.

[257] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის №01- 6/ნ ბრძანება „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომლებიც მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველია“, მუხ. 5, პუნქ. 1, ქვეპუნქ. „დ“.

[258] დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტი „ვექტორი“-ს N01-02/28 დასკვნა.

[259] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 20 ივლისის განაჩენი.

[260] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 5 სექტემბრის N 15-4/8897 წინადადება.

[261] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 13 ოქტომბრის № 284983/01 და 2024 წლის 11 იანვრის № 7656/01 წერილები.

სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, აგრეთვე, შეისწავლა მსჯავრდებულ გ. ხ.-ს საქმე, სამედიცინო მომსახურების დროულად მიღებასთან დაკავშირებით. სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაცია და სამედიცინო დოკუმენტაცია შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულმა ექიმმა, რომლის შეფასებით, გონართროზის მკურნალობის პროცესში, დაირღვა ექიმ-ტრავმატოლოგის 2022 წლის 6 იანვრის, 16 მარტის, 16 დეკემბრისა და 2023 წლის 13 მარტის რეკომენდაციებში აღნიშნული სახსარშიდა ინექციების ჩატარების ვადები.

კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ექიმ-ტრავმატოლოგის მიერ 2022 წლის 6 იანვრის რეკომენდაცია სახსარშიდა ინექციის ერთ თვეში გაკეთებასთან დაკავშირებით, შესრულებულია 2022 წლის 6 მაისს, დაახლოებით **4 თვის დაგვიანებით**.[262] ტრავმატოლოგის 2022 წლის 16 დეკემბრის რეკომენდაცია ინექციის ათ დღეში გაკეთებასთან დაკავშირებით, შესრულებულია 2023 წლის 13 იანვარს, დაახლოებით 14 დღის დაგვიანებით. ხოლო ტრავმატოლოგის 2023 წლის 13 მარტის რეკომენდაცია ინექციის ერთ კვირაში გაკეთებასთან დაკავშირებით, შესრულებულია 2023 წლის 31 მარტს, დაახლოებით 11 დღის დაგვიანებით.[263]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის განმარტებით, ტრავმატოლოგის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, სახსარშიდა ინექციების ჩატარების თარიღი მკაცრად დაცული ვერ იქნა რეფერალის რიგის გადატვირთულობის გამო.[264]

4.7.2. კონფიდენციალურობა

სახალხო დამცველის აპარატს მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა შ. ა.-მ, რომელმაც განმარტა, რომ 2023 წლის 5 ოქტომბერს, იმყოფებოდა საექიმო-სამედიცინო პუნქტში, პირველადი ჯანდაცვის კაბინეტში, რა დროსაც, **ექიმთან შეხვედრას, მასთან ერთად, ესწრებოდა დაწესებულების თანამშრომელი და ისმენდა ექიმისა და პაციენტის საუბარს.** მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ პირველადი ჯანდაცვის კაბინეტი იყო ღია და მისი და ექიმის საუბარი შესაძლოა ოთახს გარეთ მყოფი პირებისთვისაც ყოფილიყო გასაგები.

---

[262] ექიმ-ტრავმატოლოგის მიერ, 2022 წლის 16 მარტს, გაცემულ ცნობაში არ არის მითითებული რომ შესრულდა ტრავმატოლოგის 2022 წლის 6 იანვრის რეკომენდაცია და მსჯავრდებულს ჩაუტარდა სახსარშიდა ინექცია. თუმცა, ამავე ცნობით გაცემულია რეკომენდაცია ინექციის ათ დღეში ჩატარებასთან დაკავშირებით, რაც ასევე არ შესრულდა, ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მსჯავრდებულს ინექცია გაუკეთდა 2022 წლის 6 მაისს.

[263]სსახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის ექიმის 2023 წლის 19 აპრილის მოხსენებითი ბარათი.

[264] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 29 მაისის N145320/01 წერილი.

N3 პენიტენციური დაწესებულების დებულების თანახმად, პატიმრის მიღება საექიმო-სამედიცინო პუნქტებში ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე, რეჟიმის განყოფილების მოსამსახურის დაუსწრებლად, გამონაკლისია როდესაც ექიმი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ითხოვს ასეთი პირის დასწრებას კონსულტაციის მიმდინარეობისას.[265]

სახალხო დამცველის რწმუნებული გაესაუბრა N3 პენიტენციური დაწესებულების ექიმს, რომელმაც განმარტა, რომ არ დაუფიქსირებია მოთხოვნა თანამშრომლის დასწრებასთან დაკავშირებით, თუმცა ვინაიდან, N3 პენიტენციური დაწესებულება წარმოადგენს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, აქ დადგენილი რეჟიმის მიხედვით, უსაფრთხოების მიზნით, **თანამშრომელი ესწრება პაციენტთან შეხვედრას.** ექიმმა ასევე აღნიშნა, რომ მსჯავრდებულ შ. ა.-სთან კარგი ურთიერთობა აქვს და მათ შორის რაიმე სახის უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია.[266]

სახალხო დამცველი უკვე წლებია საუბრობს პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო კონფიდენციალობის პრობლემასთან დაკავშირებით, რაც კვლავ გამოწვევად რჩება.[267] პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი პრაქტიკის თანახმად, დაწესებულების თანამშრომელი, როგორც წესი, ესწრება ექიმისა და პაციენტის შეხვედრას, მიუხედავად იმისა, მომდინარეობს თუ არა, ან შესაძლოა თუ არა მომდინარეობდეს საფრთხე კონკრეტული პატიმრისგან. მსგავსი პრაქტიკის საილუსტრაციო მაგალითი იყო სწორედ N3 დაწესებულებაში დაფიქსირებული ზემოხსენებული შემთხვევა.

4.7.3. ფსიქიატრიული ექსპერტიზის გაჭიანურება

2023 წელს, წინა წლების მსგავსად, მნიშვნელოვან პრობლემად სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულთა მიმართ, **სასამართლოს განჩინებით დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურების საკითხი** დაფიქსირდა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზით, დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება საშუალოდ **2-3 თვის** მანძილზე არ ხორციელდებოდა.[268] ამასთან, ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, დასკვნის მიღებას

---

[265] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანება, მუხლი 57, პუნქტი 5.

[266] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების მთავარ ექიმთან 2023 წლის 3 ოქტომბრის გასაუბრების ოქმი.

[267] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023, 37.

[268] დ.გ. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსდა 2023 წლის 8 აპრილს, გამოძიების მხრიდან დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა 10-14 ივლისს, დაუდგინდა შეურაცხადობა, ფსიქიატრიულ

აგვიანდებოდა დაახლოებით **1 თვე** (ე. ჩ.-ს შემთხვევაში, ექსპერტიზის ჩატარებას, დასკვნის მომზადებასა და ყველა პროცესის დასრულებას დასჭირდა **დაახლოებით 7 თვე**). შესაბამისად, ბრალდებულებს, დასკვნის მიღებამდე, კვლავ პენიტენციურ დაწესებულებაში უწევდათ ყოფნა.

ამ კუთხით, საინტერესოა ბრალდებულ ე.ჩ-ს საქმე, რომლის შესწავლა სახალხო დამცველის აპარატმა, ოჯახის წევრების მომართვის საფუძველზე დაიწყო.[269] საქმისწარმოების ფარგლებში, აპარატმა შეისწავლა ბრალდებულის პატიმრობის ადგილიდან - N8 პენიტენციური დაწესებულებიდან მოპოვებული დოკუმენტები. რწმუნებულები რამდენჯერმე შეხვდნენ ბრალდებულ ე. ჩ.-ს პენიტენციურ დაწესებულებაში, ასევე დაწესებულების ადმინისტრაციას: დირექტორს, მთავარ ექიმს, ბრალდებულის საცხოვრებელი კორპუსის სამედიცინო პერსონალს, ოფიცრებს, სოციალური სამსახურის თანამშრომელს, ფსიქოლოგსა და ბრალდებულის თანამესაკნეებს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ გამოვლინდა, რომ ბრალდებულს დადგენილი ჰქონდა დიაგნოზი: გონებრივი ჩამორჩენილობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი - I კატეგორია და ლანჩხუთის სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი იყო მხარდამჭერის მიმღებ პირად.[270]

აპარატმა მიმართა ბრალდებულის ადვოკატს, რის შედეგადაც მოიპოვა სისხლის სამართლის საქმის მასალები. ამასთან, ბრალდებულის ადვოკატმა წარმოადგინა სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ე. ჩ.-ს ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შესახებ გაცემული სამედიცინო დოკუმენტები, რომელიც ასახავს მის ფსიქიკურ მდგომარეობას დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე.

საქმის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ ბრალდებული N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსდა 2022 წლის 26 აგვისტოს. გამოძიებამ ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნა 2022 წლის 1 სექტემბერს, ხოლო პირადად წარდგენა ექსპერტიზის ბიუროში მოხდა 2022 წლის 1 ნოემბერს **(ორ თვეში),** თუმცა ექსპერტიზის დასკვნა კვლავ არ იყო წარმოდგენილი 2023 წლის თებერვალშიც **(ექვსი თვის შემდეგაც კი)** და არაგონივრული ვადით გაჭიანურდა.

მოპოვებულ იქნა N8 პენიტენციური დაწესებულების ფსიქიატრების მიერ ჩატარებული კონსულტაციის ბარათები,[271] რომლის მიხედვითაც პაციენტს ჰქონდა გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა, ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით F71-1. ამასთან, დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე პაციენტი მოთავსებული იყო შპს „N5 კლინიკური

სტაციონარში განთავსდა 8 აგვისტოს. ე.ჩ.-ს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაენიშნა 2022 წლის 1 სექტემბერს, ფსიქიატრიულ სტაციონარში განთავსდა 1 ნოემბერს, დასკვნა მომზადდა 2023 წლის 6 მარტს, ბრალდებულს დაუდგინდა შეურაცხადობა.

[269] საქმის შესწავლა დაიწყო 2022 წლის 8 დეკემბერს.

[270]ლანჩხუთის სასამართლოს 2020 წლის 13 ოქტომბრის N2/734-20 გადაწყვეტილება, საქმე N050224020003794654.

[271]2022 წლის 29 აგვისტოს, 2022 წლის 3 ნოემბერს და 2022 წლის 26 დეკემბერს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული ფსიქიატრის კონსულტაციების ბარათები.

საავადმყოფოს" ფსიქიატრიულ დეპარტამენტში 2022 წლის 11-13 აგვისტოს და იმ პერიოდის სამედიცინო დიაგნოზითაც დადგენილი ჰქონდა: გონებრივი ჩამორჩენილობა, ქცევითი აშლილობით F71-1.[272]

პენიტენციურ დაწესებულებაში შედგენილი ოქმების მიხედვით გაირკვა, რომ პატიმრობის პერიოდში დამძიმდა ე. ჩ.-ს ფსიქიკური მდგომარეობა, ვერ აკონტროლებდა ქცევას, პერიოდულად ტიროდა, ჰქონდა მომეტებული შიშის გრძნობა, ხშირად სჭირდებოდა დამამშვიდებლების მიღება, მათ შორის, ინექციის სახით.[273]

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, ციხის პირობებში განსაკუთრებით რთული იყო ამგვარი მენტალური პრობლემების მქონე პირის სათანადო პირობებში კონტროლი, რის გამოც მოთავსებული ჰყავდათ ვიდეოკამერებით აღჭურვილ საკანში, რათა მის მიმართ ნაკლებად ყოფილიყო „ბულინგი" სხვა პატიმრების მხრიდან.[274]

დოკუმენტების შესწავლით, ასევე, გაირკვა, რომ დაწესებულებაში თავდაპირველად შესახლების პერიოდში, ე. ჩ.-ს მიმართ გამოყენებულ იქნა დეესკალაციის ოთახში მოთავსების ზომაც.

მთავარი ექიმის განმარტებით, პაციენტის მდგომარეობა მისთვის იყო საყურადღებო, რადგან ფსიქიატრის დასკვნებით, პაციენტს ჰქონდა გონებრივი ჩამორჩენილობის პრობლემა, მაგრამ არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, ვინაიდან პაციენტი ჯერ ისევ ბრალდებული იყო, თავად დაწესებულება ვერ მოითხოვდა ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას და მისთვის უცნობი იყო, თუ რატომ არ ხდებოდა ექსპერტიზის დასკვნის მომზადება.[275]

პროკურატურასთან, ბრალდებულის ადვოკატთან და ექსპერტიზის ბიუროსთან აპარატის აქტიური კომუნიკაციის შედეგად, ექსპერტიზის დასკვნა საბოლოდ მომზადდა 2023 წლის 6 მარტს,[276] რომლის მიხედვითაც ბრალდებულს დაუდგინდა, რომ იყო შეურაცხადი. დაინიშნა სასამართლო პროცესი, რომლის გადაწყვეტილებითაც ბრალდებული გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან და განესაზღვრა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა.

ამრიგად, შესწავლილი საქმით დადგინდა, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პაციენტი, შვიდ თვეზე მეტი ხნის ვადით იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის სტატუსით და სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობის შედეგად დაჩქარდა ექსპერტიზის დასკვნის მომზადება, რის შემდეგაც ბრალდებული გათავისუფლდა პატიმრობიდან.

---

[272] N5 კლინიკური საავადმყოფოს 2022 წლის 13 აგვისტოს N7349 სამედიცინო ბარათი.
[273] სახალხო დამცველის რწმუნებულების 2023 წლის 23 თებერვლის ოქმები.
[274] 2023 წლის 23 თებერვლის გასაუბრების ოქმი.
[275] 2023 წლის 23 თებერვლის გასაუბრების ოქმი.
[276] სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს N0011479523 დასკვნა.

გასათვალისწინებელია, რომ მენტალური პრობლემების მქონე ადამიანები განსაკუთრებულად მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ პატიმრობის პირობებში და მათ მიმართ სახელმწიფოს ინდივიდუალური თერაპიული სტრატეგიის შედგენა ევალება.[277]

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ითქვას, რომ **ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული განყოფილება, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულთა მიმართ დანიშნული სასამართლო ფსიქიატრიული/კომპლექსური ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნიდან უმოკლეს დროში ჩატარებას და შესაბამისი დასკვნის დროულად მომზადებას, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ბრალდებულთა მენტალურ მდგომარეობას და უფლებებს. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებებს[278], არ გააჩნიათ გამოხატული ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების სათანადო მართვის მექანიზმები.[279]**

4.8. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

აღსანიშნავია, რომ გარდა გაჭიანურებული რეფერალისა, **პრობლემად რჩება სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ საქმის შესწავლისა და დასკვნის გაცემის გაჭიანურებული ვადებიც.**

მაგალითად, 2020 წლის სექტემბერში, კლინიკა „ვივამედში" მსჯავრდებულ რ. ქ.-ის გარდაცვალების ფაქტზე[280] გამოძიების ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. საგამოძიებო უწყების ინფორმაციით,[281] სხვა გარემოებებთან ერთად, შესწავლას ექვემდებარება მსჯავრდებულის გარდაცვალების წინა პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებსა და კლინიკა „ვივამედში" გაწეული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობისა და დროულობის საკითხი. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოდან მიღებული იქნა კლინიკა „ვივამედში" პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესწავლის შედეგები; ხოლო პენიტენციური დაწესებულებაში ყოფნისას, ასევე, სსიპ საგანგებო

---

[277] Strazimiri v. Albania (application no. 34602/16), დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), დადგინდა მე-5 მუხლის 1,4 და მე-5 ქვეპუნქტების დარღვევა (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება).

[278] გარდა N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა.

[279] „პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება, წინა წლების მსგავსად, კვლავ არ შეესაბამება თანამედროვე ბიოფსიქოსოციალურ მიდგომას და მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციითა და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება. არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა." – „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 39.

[280] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342[1] მუხლის მე-2 ნაწილით დაწყებული გამოძიება.

[281] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 10 დეკემბრის NSIS32000020217, 2021 წლის 8 ივლისის NSIS12100016156 და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 24 მაისის NSIS62300008923 და 2023 წლის 25 დეკემბრის NSIS82300023793 წერილები.

სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლების მიერ მსჯავრდებულისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესწავლის შედეგები მიღებული არ იყო.[282] შესაბამისად, უწყების განმარტებით, სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დანიშვნის მიზანშეწონილობის საკითხი გადაწყდება სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შესწავლის შედეგების გათვალისწინებით (დასკვნის მიღების შემდეგ).

ამდენად, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ პატიმრის გარდაცვალებიდან **3 წლის შემდეგ გასცა ნაწილობრივი დასკვნა** მხოლოდ კლინიკაში ჩატარებული მკურნალობის შესახებ, ხოლო პენიტენციურ დაწესებულებაში გაწეული სამედიცინო მომსახურების შეფასება სპეციალური საგამოძიებო სამსახურს კვლავ არ მიუღია. სააგენტოს მიერ საკითხის შესწავლის შედეგების ხანგრძლივი დროით გაჭიანურება ხელს უშლის საგამოძიებო ორგანოს ეფექტიანი გამოძიების ჩატარებაში.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა, აგრეთვე, შეისწავლა მსჯავრდებულ რ. უ-ს საქმე, რომლის განმარტებით, N8 დაწესებულებაში, კონკრეტული ფსიქოტროპული ნივთიერება მიეწოდებოდა დანიშნულების გარეშე.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მსჯავრდებულს ხსენებული მედიკამენტი დაენიშნა 2022 წლის 16 თებერვალს, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ექიმთან კონსულტაციის საფუძველზე. სამედიცინო დეპარტამენტმა ასევე წარმოადგინა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დინამიური დაკვირვების დღიური.[283]

მითითებული დღიურის 2022 წლის 16 თებერვლის ჩანაწერის თანახმად, პაციენტს აწუხებდა კბილის ტკივილი, ნევროტულობა, ბოლთას სცემდა საკანში, იყო გაღიზიანებული, აწუხებდა ინსომნია. ექიმის დანიშნულებაში კი მითითებულია სამი პრეპარატი.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს და გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, აქვს თუ არა ოჯახის ექიმს უფლება პაციენტს დაუნიშნოს ფსიქოტროპული მედიკამენტი.[284] სააგენტოს მიერ წარმოდგენილი წერილი იყო ბუნდოვანი, არ სცემდა კონკრეტულ პასუხს დასმულ კითხვაზე და არ მოიცავდა აპარატის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას.[285] სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი წერილით მიმართა რეგულირების სააგენტოს და

[282] სსიპ სამედიცნო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2023 წლის 29 ნოემბრის NREG72301274824 წერილი.
[283] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 8 ივნისის წერილი.
[284] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 23 აგვისტოს N15-15/8571 წერილი.
[285] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2023 წლის 28 თებერვლის NREG 1 23 00215950 წერილი.

მოითხოვა ინფორმაციის დაზუსტება.[286] რეგულირების სააგენტომ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინა **დაახლოებით 8 თვის დაგვიანებით.**[287]

სახალხო დამცველის აპარატმა გასული წლის ანგარიშში[288] აღნიშნა მსჯავრდებულ გ.გ.-ს სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემის თაობაზეც. სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის მიერ მსჯავრდებულ გ.გ.-ს სამედიცინო დოკუმენტების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ შესაძლებელია მსჯავრდებულ გ.გ.-ს დაავადება (მიელოპათია) გამოწვეული ყოფილიყო აუტოიმუნური პროცესით და მისი დადასტურების შემთხვევაში პაციენტი მწვავე პერიოდში საჭიროებდა შესაბამის მკურნალობას. შესაბამისად, აპარატის 2022 წლის 28 მარტის[289] მიმართვის საფუძველზე, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო სწავლობს შპს „ვივამედში" მსჯავრდებულ გ.გ.-სთვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხს, სამედიცინო დოკუმენტაცია კლინიკური კუთხით შეფასებისთვის გადაგზავნილი იყო (მათ შორის, განმეორებით) შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტებთან, თუმცა სარეცენზიო დასკვნები წარმოდგენილი არ იყო 2024 წლის თებერვლის მდგომარეობითაც.[290] შესაბამისად, **თითქმის 2 წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის საკითხის შესწავლა არ დასრულებულა.** საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მსჯავრდებულმა სასჯელი მოიხადა და 2023 წელს გათავისუფლდა კიდეც.

2018 წელს, მსჯავრდებული ვ.ე. მიუთითებდა სხვადასხვა დაავადების დიაგნოზზე (მათ შორის, ტუბერკულოზური მენინგოენცეფალომიელიტი). პატიმარი ამტკიცებდა, რომ არ გაეწია ადეკვატური სამედიცინო მომსახურება, რამაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია - დაკარგა გადაადგილების უნარი და სარგებლობდა ეტლით. მოგვიანებით, 2018 წელს, მსჯავრდებული პატიმარი გათავისუფლდა.[291]

პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესწავლის მიზნით სახალხო დამცველის აპარატმა[292] 2018 წელს მიმართა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს. **5 წელი და 5 თვე მოანდომა რეგულირების სააგენტომ საკითხის შესწავლის დასრულებას,** და 2024 წელს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დაისვა პენიტენციური დაწესებულების ექიმის პროფესიული

---

[286] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 21 მარტის N15-15/2842, 8 მაისის N15-15/4580, 22 აგვისტოს N15-15/8338, 26 დეკემბრის N15-15/12530 წერილები.

[287] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2024 წლის 11 იანვრის NREG 7 24 00030950 წერილი.

[288] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 55 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> [ბოლოს ნანახია: 07.02.2024 წ.]

[289] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 28 მარტის N15-5/3297 წერილი.

[290] სსიპ სამედიცნო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2024 წლის 14 თებერვლის NREG62400178857

[291] N18 პენიტენციური დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მსჯავრდებული ვ.ე. გათავისუფლდა 2018 წლის 27 სექტემბერს, შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით.

[292] სახალხო დამცველის აპარატის 2018 წლის 27 სექტემბრის N15-5/12356 წერილი.

პასუხისმგებლობის საკითხი.[293] ამგვარი არაგონივრულად ხანგრძლივი ვადით გაჭიანურება ცალსახად მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან პატიმრის ჯანდაცვის საკითხის ადეკვატურობის შეფასების არაეფექტიანი და არაჯეროვანი მონიტორინგის მექანიზმსა და მის სისტემურ ხარვეზზე.

აქვე, ყურადღებას იქცევს თავად დასკვნის შინაარსი: კონსულტაციებით ავადმყოფს/პატიმარს **ტკივილი ჯერ კიდევ 2014 წელს უფიქსირდებოდა, რაც 2018 წელს ჩატარებული მრტ კვლევით, ხერხემლის ქრონიკული, დეგენერაციული ცვლილებებით აიხსნება. დიაგნოსტიკის შემაფერხებელი მიზეზების არსებობის მიუხედავად, დროულად დანიშნული კვლევისა და კონსულტაციის შემთხვევაში, მოხერხდებოდა ატიპიურად მიმდინარე შემთხვევის უფრო ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკა და შესაბამისად, ადეკვატური მკურნალობაც, რაც სავარაუდოდ გავლენას იქონიებდა დაავადების გამოსავალზე.** ამასთან, დასკვნის თანახმად, დაავადების მძიმე გამოსავალზე დაგვიანებული დიაგნოსტიკის გარდა, უდავოდ იქონია გავლენა თანმხლებმა ქრონიკულმა დაავადებებმა და დამძიმებულმა ანამნეზმა.

რეგულირების სააგენტოს საქმიანობის ხარვეზები პენიტენციური ჯანდაცვის მონიტორინგის მიღმაც გამოვლინდა. სახალხო დამცველის აპარატი შეისწავლის არასრულწლოვანი დ. დ.-ის მამის ლ. დ.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის რ. მ.-ის განცხადებას, „მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში" არასრულწლოვან დ. დ-ის ჯანმრთელობის გაუფრთხილებლად დაზიანების ფაქტზე,[294] გამოძიების გაუმართლებლად გაჭიანურების შესახებ. განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ არასრულწლოვან დ. დ-ს მამამ მიმართა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რომელიც ასევე აჭიანურებს საქმის შესწავლას.[295] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, გამოძიების ფარგლებში, საგამოძიებო უწყებას მიმართული აქვს შეხსენების წერილით სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის და ელოდება არასრულწლოვნისთვის გაწეული სამედიცინო ხარისხის შესწავლის შედეგებთან დაკავშირებით სააგენტოს გადაწყვეტილებას.[296]

სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი წერილით მიმართა რეგულირების სააგენტოს და გამოითხოვა ინფორმაცია არასრულწლოვან დ.დ.-ისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესწავლის საკითხთან დაკავშირებით,[297] თუმცა, რეგულირების სააგენტომ აპარატის წერილებს პასუხი გასცა დაახლოებით 10 თვის დაგვიანებით.[298]

---

[293] სსიპ საქიმო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2024 წლის 13 მარტის NREG72400297135 წერილი.

[294] დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით. სისხლის სამართლის N171230421007 საქმე.

[295] ადვოკატ რ. მ.-ის N3647/22 განცხადება.

[296] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 4 ივლისის NMIA 8 22 02808551, 6 ოქტომბრის NMIA 8 22 02808551 და 2023 წლის 7 მარტის NMIA 8 22 02808551 წერილები.

[297] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 10 მარტის N15-15/2480, 2 მაისის N15-15/4332, 21 აგვისტოს N15-15/8337 და 21 დეკემბრის N15-15/12338 წერილები.

[298] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2024 წლის 11 იანვრის NREG 2 24 00030559 წერილი.

რეგულირების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ არასრულწლოვანი დ. დ-ს მამამ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიმართა 2020 წლის 29 მაისს, ხოლო სააგენტომ არასრულწლოვან დ. დ-სთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესწავლა დაასრულა მიმართვიდან **დაახლოებით 3 წლისა და 8 თვის შემდეგ.**[299]

სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს არასრულწლოვნის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობას.[300] აღნიშნულ საქმეზე სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო **რეგულირების სააგენტომ 2020 წელს დაიწყო საქმისწარმოება გარდაცვლილისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით, თუმცა საქმისწარმოება დღემდე არ არის დასრულებული.**[301]

4.9. არაფორმალური მმართველობა

ბოლო წლებში სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად მიუთითებს ცალკეულ პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული არაფორმალური მმართველობის პრობლემაზე, რაც არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს და ხშირად პატიმრებს შორის ძალადობასა და ჩაგვრას განაპირობებს;[302] ასევე, საქმეების შესწავლის შედეგად გამოკვეთილ პატიმართა არაფორმალური იერარქიის წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილ სავარუდო კანონდარღვევებზე შიდა ინსპექტირებისა და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან არაეფექტიანი სამსახურებრივი შემოწმებისა და გამოძიების ხარვეზებზე.[303] საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში 2018 წელს და 2021 წელს

---

[299] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2023 წლის 31 იანვრის NREG 6 24 00113533 წერილი.

[300] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 27 იანვრის N MIA 7 23 00237348 წერილი. სისხლის სამართლის №004241218022 საქმე.

[301] სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2023 წლის 11 დეკემბრის REG 9 23 01324091 წერილი.

[302] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, „N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში" 2019 წ. გვ. 19-23, <http://ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.]; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" - 2019 წელი, გვ. 57, 64-65 <http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.]; 2020 წელი, გვ. 49-54 <http://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.]; 2021 წელი, გვ. 40 <http://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.]; 2022 წელი, გვ. 50-52 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.].

[303] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, გვ. 29-41 <http://ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.]; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2020 წელი, გვ. 51-54 <http://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.]; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 96-100, 105-107 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024 წ.].

განხორციელებული ვიზიტების შემდეგ გამოქვეყნებულ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშებში მითითებულია არაფორმალური იერარქიის პატიმრების - ე. წ. „მაყურებლების" გავლენასა და პრობლემაზე.[304]

საანგარიშო პერიოდში, საჯაროდ გავრცელდა N14 პენიტენციურ დაწესებულებაში ე.წ. სუბკულტურის წარმომადგენლების მიერ ფულადი თანხების შეგროვებისა და სხვა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ ინფორმაცია.[305]

გენერალური პროკურატურის პასუხით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ სამ პირს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223^1-ე მუხლის პირველი ნაწილით, 223^3-ე მუხლის მეორე ნაწილით, 236-ე მუხლის მესამე, მეოთხე ნაწილებითა და 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა", „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებით. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს არსებითი განხილვა. აღნიშნული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე, გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.[306]

შინაგან საქმეთა სამინისტროდან დამატებით მიღებული ინფორმაციით, გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეზე (გამოძიება დაწყებულია „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერის, „ქურდული სამყაროს" წევრობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223^1-ე მუხლის პირველი ნაწილით, 223^3-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით) ტარდება შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები და კვლავ მიმდინარეობს გამოძიება.[307]

აღნიშნული გამოძიება და პირების პასუხისგებაში მიცემა სახელმწიფოს რეაგირების მცდელობის დადებით მაგალითად შეიძლება შეფასდეს. აპარატი იმედს იტოვებს, რომ გამოძიებით გამოვლინდება ყველა ფიგურანტი პირი.

ამასთან, **სამწუხაროდ, ცალკეულ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული არაფორმალური მმართველობისა და ე. წ. მაყურებლების მხრიდან პატიმართა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები საანგარიშო პერიოდშიც გამოწვევად რჩება.** ამ მიმართულებით, სახალხო დამცველის აპარატმა სამი კონკრეტული საქმე შეისწავლა (ხსენებული პატიმრების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მათ ინიციალებს, პენიტენციურ დაწესებულებებსა და სხვა ფიგურანტი პირების ვინაობას არ ვუთითებთ. ასევე, არ იქნება მითითებული ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის სავარაუდო მსხვერპლების იდენტიფიცირებას):

საქმე N1

---

[304] იხ. <https://rm.coe.int/1680945eca> [ბოლოს ნანახია: 02.05.2023 წ.] ანგარიში გამოქვეყნდა 2019 წლის 10 მაისს; <https://rm.coe.int/1680a6eabd> [ბოლოს ნანახია: 16.06.2023 წ.] ad-hoc ვიზიტი საქართველოს ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა 2021 წელს, ანგარიში გამოქვეყნდა 16.06.2022 წ.

[305] იხ. <https://bit.ly/42RFDdm >

[306] გენერალური პროკურატურის 2023 წლის 25 ოქტომბრის №13/71586 წერილი.

[307] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 7 დეკემბრის №MIA 7 23 03602475 პასუხი.

მსჯავრდებული მიუთითებდა ე. წ. „კანონიერი ქურდის" დავალებით მასზე და მის ოჯახზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე მიმდინარე გამოძიებისა და ჩვენების მიცემის თაობაზე; აღნიშნავდა, რომ დაუპირისპირდა არაფორმალური იერარქია, თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა; ითხოვდა საკანში მარტო განთავსებას და ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელებას. მსჯავრდებულის მტკიცებით, აღნიშნული ცნობილი იყო დაწესებულების ადმინისტრაციისთვის და მიმართული ჰქონდა განცხადებითაც.

სახალხო დამცველის აპარატის მიმართვებისმიუხედავად,[308] პენიტენციური სამსახურის პოზიციით,[309] მსჯავრდებულის უსაფრთხოება დაცული იყო საკანში, სადაც სხვა პატიმრებთან ერთად იმყოფებოდა.

საგამოძიებო ორგანოს ინფორმაციით, მოწმის სახით გამოკითხვისას ხსენებულ პატიმარს არ დაუფიქსირებია ე. წ. „კანონიერი ქურდის" დავალებით მასზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტის შესახებ. ამასთან, პატიმრის განცხადებებში მითითებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით პატიმართან დამატებითი გამოკითხვა ვერ შედგა, ვინაიდან უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე.[310] მოგვიანებით მსჯავრდებულმა დააზუსტა, რომ მასთან მისულები იყვნენ გამომძიებლები, თუმცა ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებდა საკანში მარტო განთავსებამდე. ხოლო საგამოძიებო ორგანოს პოზიციით, პატიმრის საკანში განთავსების საკითხი სცილდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას.[311]

გარკვეული დროის შემდეგ, მსჯავრდებულის განცხადებით, საკანში მასზე ფიზიკურად იძალადა პატიმარმა. აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციით, ფაქტზე დაიწყო გამოძიება.[312] თუმცა, მსჯავრდებული კვლავ სხვა პატიმრებთან ერთად იყო განთავსებული.

საგულისხმოა, რომ პატიმრის საკანში ვიდეო მეთვალყურეობა არ ხორციელდებოდა მიუხედავად პატიმარის მოთხოვნისა (პოტენციურ საფრთხეზე მითითებით) და აპარატის მიმართვებისა. პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, განსხვავებით პენიტენციური დეპარტამენტისგან,[313] მიუთითებდა მსჯავრდებულის საკანში ვიდეო მეთვალყურეობის

---

[308] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 5 აგვისტოს N15-5/8003 და 2022 წლის 30 დეკემბრის N15-5/13170 წერილები.

[309] სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს 2022 წლის 12 აგვისტოს N238928/01 და პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 4 იანვრის N1343/25 04 წერილები; პენიტენციური დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებისას შედგენილი 2022 წლის 16 აგვისტოს ოქმი.

[310] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 24 მარტის MIA32300839977 წერილი.

[311] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 18 აპრილის MIA62301074699 წერილი.

[312] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის SIS32300006292 წერილის თანახმად, სამსახურს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან 2023 წლის 11 აპრილის წერილით ეცნობა, რომ მიმდინარეობს გამოძიება პენიტენციურ დაწესებულებაში, პატიმრისა და სხვა მსჯავრდებულის მხრიდან განხორციელებული ურთიერთ ძალადობის ფაქტზე.

[313] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს 2022 წლის 12 აგვისტოს N238928/01 წერილი.

შესახებ;[314] თუმცა იმავე პირის შემდგომი პერიოდის წერილში[315] ვიდეო მეთვალყურეობაზე მითითება არ გვხვდება. პატიმარზე სავარაუდო ძალადობის დროსაც მის საკანში ვიდეო მეთვალყურეობა არ მიმდინარეობდა.[316]

მოცემული საქმის შესწავლის შედეგად, **სახალხო დამცველმა რეკომენდაციით[317] მიმართა შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს, საგამოძიებო ორგანოს და სასჯელის აღმასრულებელ ორგანოს, ურთიერთკოორდინაციისა და შეთანხმების შედეგად, უზრუნველეყოთ მსჯავრდებულის უსაფრთხოება, სათანადო და აუცილებელი ღონისძიებების გატარების, მათ შორის, 24-საათიანი ვიდეო მეთვალყურეობით აღჭურვილ საკანში მარტო განთავსების გზით; ასევე, მსჯავრდებულის გამოკითხვა და მის მიერ მითითებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით შესაბამისი ეფექტიანი გამოძიების წარმართვა.** შედეგად, პატიმარი განთავსებულია სხვა მსჯავრდებულებისგან განცალკევებით, ელექტრონული მეთვალყურეობით აღჭურვილ საკანში და მისი უსაფრთხოება დაცულია;[318] ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებული დამატებით გამოიკითხა და გამოძიება მიმდინარეობს.[319]

საქმე N2

პატიმრის განმარტებით, კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, დაწესებულების თანამშრომელმა შეიყვანა საკანში, სადაც ე. წ. „მაყურებლებმა" „გაურჩიეს საქმე" და ცემეს. დაწესებულების თანამშრომლები, მათ შორის, ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი იმავე კორპუსზე ოფიცრების ოთახში იმყოფებოდნენ. აღნიშნულის შემდეგ მსჯავრდებული განთავსებული იყო საკანში მარტო, ხოლო ერთი თვის შემდეგ გადაიყვანეს სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც მხოლოდ მასთან საკვები მიჰქონდა ერთ კონკრეტულ პირს, რომელზეც, პატიმარი აცხადებდა, რომ იყო ლგბტქ პირი და ციხის წესების გათვალისწინებით, მის მიერ მიტანილ საკვებს არ იღებდა. პატიმრის თქმით, დაწესებულების ერთ-ერთმა თანამშრომელმა სიტყვიერად უთხრა, რომ ე. წ. „მაყურებლის" მითითებით მიჰქონდათ მასთან საკვები განსხვავებულად.

პატიმრისთვის საკვების ერთი პირის მიერ განცალკევებით მიტანის ფაქტი დადასტურდა აპარატის მოთხოვნით დაარქივებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების დათვალიერებითაც.

---

[314] 2022 წლის 16 აგვისტოს პენიტენციური დაწესებულების დირექტორთან გასაუბრების ოქმი.
[315] პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 4 იანვრის N1343/25 წერილი.
[316]სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 13 აპრილის N101965/01 წერილი.
[317] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 5 ივლისის N15-5/6453 რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებისადმი.
[318] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 28 ივლისის N209032/01 წერილი.
[319] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 5 სექტემბრის MIA02302584326 წერილი.

პატიმარი შეხვედრისას ასევე აცხადებდა, რომ მითითებულ დაწესებულებაში, სადაც მის მიმართ ძალადობა განხორციელდა, არიან ე. წ. „მაყურებლები“, რომლებიც დაწესებულების ტერიტორიაზე აგვარებენ ურთიერთობებს დაწესებულების თანამშრომლებს და პატიმრებს შორის. მისი თქმით, თუ რომელიმე პატიმართან შელაპარაკება მოუხდება დაწესებულების თანამშრომელს, თანამშრომელი ეუბნება „მაყურებელს“, „მაყურებლები“ კი ჩაიყვანენ მითითებულ პატიმარს და ცემენ. გარდა ამისა, დაწესებულებაში პატიმრებისგან აგროვებენ თანხებს ე.წ. „ქურდებისთვის“, მინიმალური არის 50 ლარი, ასევე ხდება სიგარეტებით ვაჭრობაც, რასაც შემდეგ ყიდიან. თანხები ირიცხება „აჭარაბეთის“ ანგარიშებზე. ანგარიშები რამდენიმე თვეში ერთხელ იცვლება ახალი ანგარიშებით. პატიმრის მტკიცებით, აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებულია პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია.

საქმე N3

ერთ-ერთ დაწესებულებაში მყოფმა მსჯავრდებულმა სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბრისას აღნიშნა, რომ ციხის ე. წ. „მაყურებლებმა“ ცემეს, რადგან არ ემორჩილებოდა მათ მიერ დადგენილ წესებს, კერძოდ, ე. წ. „საერთოში“ შესაბამისი თანხა არ შეჰქონდა.

მსჯავრდებულის განმარტებით, დაწესებულების ადმინისტრაციის დახმარების იმედი არ ჰქონდა, რადგან მისი ინფორმაციით, ე.წ. „მაყურებლების“ არსებობის შესახებ ადმინისტრაციისთვისაც ცნობილია და მსგავს უკანონო ქმედებებს ხელს არ უშლიან. აღნიშნულის გამო ეშინია ფაქტის გახმაურების, ვინაიდან „მაყურებელების“ სისტემის მიმართ სამართლებრივი რეაგირების ნაცვლად, მას გადაიყვანდნენ დახურული ტიპის დაწესებულებაში და შესაბამისად, მისი პატიმრობის პირობები გაუარესდებოდა. შესაბამისად, მსჯავრდებულმა ხსენებულ ფაქტზე სამართლებრივი რეაგირება არ მოითხოვა.

ამრიგად, **ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, კვლავაც უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.**

4.10. სხვა მიმდინარე საქმეები, რომლებზეც გრძელდება მონიტორინგი

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატმა გააგრძელა წინა წლების ანგარიშებში განხილული რამდენიმე მნიშვნელოვანი და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმის მონიტორინგი, რომლის შედეგებს წინამდებარე ქვეთავში წარმოგიდგენთ.

4.10.1. ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიება

გასული წლების ანგარიშებში[320] სახალხო დამცველი მიუთითებდა ნინოწმინდის პანსიონის აღსაზრდელი ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების არსებითი ხარვეზებით მიმდინარე გამოძიების შესახებ. 2021 წელს, საქმეების გაცნობის შედეგად, სახალხო დამცველმა წინადადებით გენერალურ პროკურორს ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე მიმართა.[321] სახალხო დამცველმა მოითხოვა პანსიონში მომხდარი სავარაუდო დანაშაულის სისტემური გამოძიების წარმართვა სსკ-ის 144[3] მუხლით, რადგან საქმეებში იკვეთება თითქმის ყველა ბავშვის მიმართ გამოყენებული, პერმანენტული ხასიათის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის ძალადობრივი მეთოდები, რის გამო სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) **კვალიფიკაცია არასაკმარისია.** ასევე, გამოძიების სისტემურად წარმართვა, არა ერთეულ ეპიზოდებად დაცალკევება, არამედ ყველა საქმის გაერთიანება, შსს-ს სხვა სტრუქტურული ერთეულისთვის გამოსაძიებლად გადაცემა, საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების დროულად და სრულყოფილად ჩატარება, პანსიონში მომხდარი ფაქტების სრულყოფილი შესწავლა და მტკიცებულებების ერთიანად მოპოვება.

აპარატის მიერ შესწავლილი 4 საქმიდან - 3 საქმეზე გამოძიება ძალადობის ფაქტზე (სსკ-ის 126-ე მუხლი) მიმდინარეობდა, ხოლო 1 საქმეზე - გაუპატიურების ფაქტზე (სსკ-ის 137-ე მუხლი).

საგულისხმოა, რომ **სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა:**[322] სავარაუდო ძალადობის 2 საქმე სხვა საქმესთან გაერთიანდა, სავარაუდო ძალადობის 1 ფაქტზე გამოძიება შეწყდა, ხოლო სავარაუდო გაუპატიურების ფაქტზე გამოძიება გაგრძელდა დამოუკიდებელ ეპიზოდზე; ამასთან, გაერთიანებული საქმე შსს-ს სხვა დანაყოფს გადაეცა. აპარატისთვის თავდაპირველად მიწოდებული ინფორმაციით, მიმდინარე საპროცესო მოქმედებების შედეგების გათვალისწინებით და დანიშნული ექსპერტიზების დასკვნების მიღების შემდეგ, მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება საქმის საბოლოო კვალიფიკაციის შესახებ. საგულისხმოა, რომ 2022 წლის პერიოდში გამოიკითხნენ დამატებით მოწმეები, დაინიშნა სტაციონალური ფსიქოლოგიური, სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზები და ცალკეულ მათგანზე მიღებულ იქნა დასკვნები; ხოლო 2023 წელს - ჩატარდა სხვადასხვა

---

[320] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" 2021 წლის ანგარიში, გვ. 66-67; 2022 წლის ანგარიში, გვ. 69-70; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშები: 2021 წლის ანგარიში, გვ. 31-33; 2022 წლის ანგარიში, გვ. 46-47.

[321] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 12 დეკემბრის N15-5/11525 წინადადება.

[322] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 2 თებერვლის N13/5438, 2022 წლის 21 მარტის N13/16205, 2022 წლის 28 დეკემბრის N13/84256, 2023 წლის 15 დეკემბრის N13/84295 და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 23 მარტის NMIA62200758070, 2022 წლის 29 დეკემბრის NMIA62203706498 და 2023 წლის 20 დეკემბრის NMIA32303746607 წერილები.

საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, მოწმის სახით დამატებით გამოკითხა 2 პირი, ადვოკატი გაეცნო მასალებს და 1 პირის შესახებ ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა; ამასთან, დანიშნული ყველა ექსპერტიზის დასკვნა მიღებული არ არის. 2023 წელსაც გამოძიება გაგრძელდა კვლავ სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) და პროკურატურის პოზიციით, მოცემულ ეტაპზე, კვალიფიკაცია არ შეცვლილა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობის გამო; დაზარალებულად ცნობილია ისევ მხოლოდ 1 პირი, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ არ დაწყებულა.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეების გაცნობის შედეგად, იკვეთებოდა ბავშვების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნები (რაზეც ხანდაზმულობა არ გამოიყენება),[323] გამოძიება კვლავ მსუბუქი მუხლით - ძალადობის ფაქტზე 126-ე მუხლის 1[1] -ლი ნაწილით მიმდინარეობს, რომელზეც გამოძიების ხანდაზმულობის ვადა[324] გასულია.

4.10.2. ექსტრადიციის საქმეები

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატმა განაგრძო[325] 2019 წელს საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული ი.ს-ის საქმის მონიტორინგი. 2020 წლის 21 ოქტომბერს სახალხო დამცველმა წინადადებით გენერალურ პროკურატურას მიმართა, რათა არ გაცემულიყო თანხმობა რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული ი.ს-ს მიმართ დამატებითი ბრალდების წარდგენაზე, მოსალოდნელი სასიკვდილო განაჩენის გათვალისწინებით. ამავე წინადადებით, სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურატურას მოუწოდა, რომ არ გაცხადებულიყო თანხმობა ი.კ-ის მიმართ ექსტრადიციის დაკმაყოფილების თაობაზე. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით პროკურატურას კვლავ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხებზე.[326]

სახალხო დამცველის აპარატი, აგრეთვე, აგრძელებს უკრაინის მოქალაქე ვ. ა.-ს რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის საქმის მონიტორინგს. ვ.ა. რუსეთ-უკრაინის შეირაღებული კონფლიქტის დროს აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში.[327]

მოცემული საქმის შესწავლის საფუძველზე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში ვ. ა. შესაძლოა დაექვემდებაროს წამებას ან/და არასათანადო მოპყრობას, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან,

---

[323] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 5[1].

[324] იქვე, მუხ. 71, ნაწ. 1, ქვეპ. „ა".

[325] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში < https://ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf >გვ. 48-51; 2021 წლის საქმიანობის ანგარიში: < https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >, გვ. 34-38; 2020 წლის საქმიანობის ანგარიში: < https://ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf > გვ. 25.

[326] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 28 დეკემბრის №13/87373 წერილი.

[327] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 25; ამავე დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 50.

კანონმდებლობასთან და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან და წინადადებით[328] გენერალურ პროკურორს ვ. ა.-ს ექსტრადიციის მიზანშეუწონლობის შესახებ მიმართა. სამწუხაროდ, ვ. ა.-ს ექსტრადიციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დღემდე არ არის მიღებული.[329]

4.11. მიხეილ სააკაშვილის საქმე

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატმა განაგრძო საქართველოს მესამე პრეზიდენტის, ბრალდებული/მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მართვის მონიტორინგი. მონიტორინგი კვლავ სახალხო დამცველის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი ექიმების ჯგუფის მიერ ხორციელდებოდა. სამედიცინო ექსპერტთა/სპეციალისტთა ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში ოთხი დასკვნა მოამზადა.[330] ექსპერტთა ჯგუფმა საქმიანობა 2024 წელსაც გააგრძელა.[331]

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ექსპერტთა ჯგუფი სახალხო დამცველის 2021 წლის 16 ნოემბრის N157 ბრძანებით შეიქმნა. ჯგუფის მიზანი იყო და არის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის მონიტორინგი. ჯგუფი არ ერთვება პაციენტის ჯანმრთელობის მართვის უშუალო პროცესში.

მიხეილ სააკაშვილი ამ დრომდე სამოქალაქო პროფილის კლინიკა „ვივამედში" აგრძელებს მკურნალობას, სადაც იგი 2022 წლის 12 მაისს გადაიყვანეს.

ჯგუფის **ბოლო დასკვნის თანახმად, „სახეზეა დადებითი დინამიკა, რაც გამოიხატება წონის მატებაში და ნეგატიურ ორთოსტატიურ ტესტში. თუმცა, კვლავ რჩება კოგნიტიური გაუარესება, კუნთთა ჰიპოტროფია, ნეიროპათია, შფოთვა, დეპრესია. პაციენტი საჭიროებს მჭიდრო სამედიცინო მეთვალყურეობას, ფსიქოლოგიურ ინტერვენციას."** კონსილიუმის პოზიციით, **„არსებული დადებითი დინამიკა განპირობებულია იმით, რომ პაციენტი წელიწადნახევარზე მეტია იმყოფება პოლიპროფილურ კლინიკაში მაღალპროფესიონალი ექიმების მეთვალყურეობის და მკურნალობის ქვეშ. თუმცა ყველა ფსიქონევროლოგიური პათოლოგია კვლავ იგივე ხარისხისაა."** შესაბამისად, ექიმების ჯგუფი მიიჩნევს, რომ

[328] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 3 აგვისტოს N15-3/7616 წინადადება.
[329] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 22 დეკემბრის №13/85983 წერილი.
[330] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n8-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-monitoringis-shedegebis-shesakheb > < https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n9-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-martvis-monitoringis-shedegebis-shesakheb > <https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n10-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-martvis-monitoringis-shedegebis-shesakheb > < https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n11-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-martvis-monitoringis-shedegebis-shesakheb >
[331] სახალხო დამცველის 2024 წლის 15 იანვრის N4 ბრძანების საფუძველზე.

„პაციენტის მდგომარეობა ჯერჯერობით არ იძლევა საშუალებას მყარი დადებითი პროგნოზები იქნას გაკეთებული“.[332]

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, გამოქვეყნდა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) ანგარიში, კლინიკა „ვივამედში“ 2023 წლის მარტში განხორციელებული ვიზიტის შედეგების შესახებ.[333] CPT ქვეყანაში 2023 წლის 25-27 მარტს იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციას სახალხო დამცველის აპარატი და სახალხო დამცველის ექიმთა ჯგუფიც შეხვდა, რა დროსაც მათ მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობისა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

კომიტეტმა ანგარიშში აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილი მოთავსებულია კლინიკაში, სადაც მას ხელი მიუწვდება მრავალფეროვან სომატურ სამედიცინო სერვისზე. თუმცა, შემაშფოთებელ საკითხად იქნა მიჩნეული სამედიცინო ჩანაწერების ხარისხი, ვინაიდან არ არსებობდა სათანადო, ყოვლისმომცველი და ქრონოლოგიური სამედიცინო ჩანაწერების სისტემა. გაკრიტიკებულია სამედიცინო კონფიდენციალურობის დარღვევა, ასევე არათერაპიული გარემო და მუდმივი ვიდეო მეთვალყურეობა, რომელიც შეფასდა როგორც არაპროპორციული ჩარევა უფლებაში. კომიტეტმა გააკრიტიკა სეირნობის პირობების არარსებობა და საცხოვრებელ პალატაში დაბურული ფანჯრის არსებობა. ხაზია გასმული იმაზე, რომ კლინიკაში არ მუშაობენ ფსიქიატრები და ფსიქოლოგები და ეს ნეგატიურად არის შეფასებული.

დელეგაციამ მიუთითა, რომ კლინიკაში მთლიანობაში მისაღები საცხოვრებელი პირობებია, თუმცა, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის პალატა ვერ უზრუნველყოფს თერაპიულ გარემოს, ვინაიდან იქ გადამწყვეტ როლს ასრულებს პენიტენციური სამსახური და არა სამედიცინო პერსონალი. ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილს ხელი მიუწვდება რიგ სამედიცინო სპეციალისტებსა და მკურნალობასთან, ის ვითარება, რომ ის მარტოა მრავალი თვის მანძილზე, არ აქვს სუფთა ჰაერზე ფიზიკური აქტივობის შესაძლებლობა და იმყოფება მუდმივი ვიდეო დაკვირვების ქვეშ, არის მჩაგვრელი, დამამცირებელი და არ უწყობს ხელს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. კომიტეტმა მიხეილ სააკაშვილის „ვივამედში“ ყოფნა შეადარა სამარტოო საკანში ყოფნას.

სახალხო დამცველის აპარატი, კანონმდებლობით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, კვლავ აქტიურად გააგრძელებს მიხეილ სააკაშვილის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობას, მათ შორის, ექიმთა ჯგუფის მონაწილეობით გაგრძელდება მისი ჯანმრთელობის მართვის მონიტორინგი.

---

[332] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n12-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-martvis-monitoringis-shedegebis-shesakheb >

[333] იხ. < https://www.coe.int/en/web/cpt/-/council-of-europe-anti-torture-committee-cpt-publishes-its-report-on-the-ad-hoc-visit-to-georgia >

5. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

წინამდებარე თავი საანგარიშო პერიოდში თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის კუთხით არსებულ შემდეგ გამოწვევებს მიმოიხილავს: **შეკრებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისთვის პირთა დასჯის პრაქტიკა; უკანონო ადმინისტრაციული დაკავებები; საექსტრადიციო პატიმრობის ვადის პრობლემური ხასიათი; საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისა და საქართველოს ტერიტორიის დატოვების უფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვა.**

სამწუხაროდ, კვლავ **შეუსრულებელია სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციები:**

- კვლავ არ შესულა ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და არ განსაზღვრულა ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების ვალდებულება, რის გამოც სასამართლო კონტროლს მიღმა რჩება მსგავსი დაკავებები;

- გარდა ამისა, კვლავ არ შესრულებულა სახალხო დამცველის მიერ გაცემული წინადადება იმ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით,[334] რომელიც განსაზღვრავდა, რომ დაუშვებელია საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმის წარმოებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე, მის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის ფარგლებში.[335]

5.1. ადმინისტრაციული დაკავების კანონიერება

სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებს ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შეუსაბამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემურ ხარვეზებზე, მათ შორის, ადმინისტრაციული **დაკავების კანონიერების შემოწმების საკითხის პრობლემურობაზე.**[336] როდესაც პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლის წინაშე სადავოდ ხდის დაკავებას, მოსამართლე არ ამოწმებს დაკავების კანონიერებას და აცხადებს, რომ ცალკე

[334] ამ პრობლემაზე, 2024 წელს, სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა (კონსტიტუციური სარჩელი №1808 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2024 წლის 12 იანვარი).
[335] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 91.
[336] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" 2020 წლის ანგარიში, გვ. 103-104, 115; 2021 წლის ანგარიში, გვ. 91; 2022 წლის ანგარიში, გვ. 92-93, 96. <https://rb.gy/g0y0s0> [ბოლოს ნანახია: 10.01.2024].

სამართალწარმოების ფარგლებში უნდა იქნეს განხილული. მაშინ, როდესაც აუცილებელია, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერება ამ საქმის განმხილველმა სასამართლომ თავად სამართალდარღვევის საქმის განხილვასთან ერთად შეაფასოს, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესშია. ხსენებული რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და ამ ფორმით გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის არასწორი პრაქტიკა. ამასთან, ზემოხსენებული საკანონმდებლო ხარვეზის შედეგად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი სასამართლო არ ამოწმებს პირის ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების საკითხს და შესაბამისად, სასამართლო კონტროლს მიღმა რჩება.

ევროპული სასამართლოს კრიტიკის საგანს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე დაკავებისა და მისი ვადის გაგრძელების საფუძვლების დაუსაბუთებლობა, რის გამოც დაკავება უკანონოდ და თვითნებურად ფასდება.[337] მოცემულ პრობლემაზე, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, დეტალური საუბარი იქნება ამავე ანგარიშის შესაბამის თავში - „საპროტესტო აქციების მონაწილეთა უფლებების დარღვევა".

5.2. კარვის გამოყენების შეზღუდვა

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, კვლავ დაფიქსირდა შემთხვევები, სადაც პრობლემური იყო მოქალაქეებისთვის, პროტესტის გამოხატვის მიზნით, **კარვის გაშლის უფლების შეზღუდვა პოლიციის მხრიდან.**

5.2.1. ბექა გრიგორიადისის საქმე

ბექა გრიგორიადისი 2023 წლის 1 ივნისს პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისთვის დააკავეს.[338] როგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ მოგვიანებით განმარტა, კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა გამოიხატებოდა კარვის გაშლის მცდელობაში მაშინ, როდესაც, პოლიციის განმარტებით, ბექა გრიგორიადისს არაერთხელ მოუწოდეს, რომ კარავი არ გაეშალა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული მოთხოვნის კანონიერება გამომდინარეობდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^3 მუხლის მე-3 ნაწილიდან,

[337] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: „Nemtsov v. Russia", განაცხადი N1774/11 პარ. 103-104; 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „Navalnyy and Yashin v. Russia", განაცხადი N76204/11 პარ. 93-98; 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: „Frumkin v. Russia" განაცხადი N74568/12 პარ. 149-152; 2016 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „Kasparov and Others v. Russia (no. 2)" განაცხადი N51988/07 პარ. 40-41; 2020 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „Navalnyy and Gunko v. Russia" განაცხადი N75186/12 პარ. 55-58.

[338] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 173, ნაწ. 1.

რომლის თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუშვებელია დროებითი კონსტრუქციების თვითნებური განთავსება.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ფაქტს ადგილი ჰქონდა საპროტესტო აქციაზე, სადაც მიმდინარეობდა ვიდეოგადაღება. მხარის მიერ წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერში, რომელიც უწყვეტად ასახავდა აქციის მონაწილეთა ქმედებებს, მათ შორის, აღბეჭდილია, რომ აქციის მონაწილეებმა ხმის გამაძლიერებლით არაერთხელ გააჟღერეს, რომ აპირებდნენ კარვის გაშლას და თუ აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა კანონს, პოლიციას განემარტა მათთვის, რაც არ მომხდარა. ამის შემდეგ, ბექა გრიგორიადისი იღებს კარავს, რა დროსაც მას მაშინვე აკავებს პოლიცია.[339]

თავდაპირველად, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბექა გრიგორიადისი სამართალდამრღვევად სცნო პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისათვის, თუმცა, ფაქტობრივად, არ უმსჯელია პოლიციის მოთხოვნის კანონიერებისა და მისი დაკავების საკითხზე. სააპელაციო სასამართლომ ბექა გრიგორიადისის სააპელაციო საჩივრის განხილვისას აღნიშნა, რომ **მუნიციპალიტეტის იერსახის თვითნებურად შეცვლის აკრძალვა არ გულისხმობს თავისთავად კარვის გაშლის აკრძალვას და აღნიშნული კომპლექსურად უნდა იქნეს შეფასებული სასამართლოს მიერ ყველა ცალკეულ შემთხვევაში, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების სტანდარტების გათვალისწინებით.**[340]

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, შესაძლოა, ხსენებულ ნორმაში მითითებულ მსუბუქ კონსტრუქციად მიჩნეულ იქნეს კარავიც, თუმცა **ოქმის შემდგენი და შემდგომ სასამართლო, ვალდებულია, საკითხი გააანალიზოს სისტემურად და სადავო საკითხის გადაწყვეტისას შეაფასოს პირის მიერ ჩადენილი ქმედებით დასაცავი სიკეთე ხომ არ აღემატება ამ ქმედებით გამოწვეულ ზიანს.**[341]

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საკითხი უნდა გამოიკვლიოს და სამართლებრივი შეფასება მისცეს სადავო ქმედებას კომპლექსურად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის კონტექსტში, რის შემდგომაც უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენად კანონიერი იყო პოლიციის თანამშრომლების მიერ ბექა გრიგორიადისისადმი მოწოდება, არ გაეშალა კარავი კონკრეტულ ადგილას და იძლეოდა თუ არა სამართალდამცავ პირთა ამ მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და დაკავების წინაპირობებს.

---

[339] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 2 ივნისის დადგენილება.
[340] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 19 სექტემბრის დადგენილება, გვ. 8.
[341] იქვე.

ამრიგად, **საქმე ხელახლა განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს დაუბრუნდა, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ, მართალია სამართალდამრღვევად არ სცნო კარვის დადგმის ნაწილში ბექა გრიგორიადისი, თუმცა ხელახალი განხილვის პირობებში, მაინც გვერდი აუარა და მსჯელობის გარეშე დატოვა პოლიციის მოთხოვნის კანონიერების შეფასების საკითხი.**[342]

თბილისის საქალაქო სასამართლოს მხრიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციის უგულებელყოფით, კვლავ ბუნდოვანი და მოქალაქისათვის სამართლებრივად განუჭვრეტადი რჩება, წარმოადგენს თუ არა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კარვის გაშლა ადმინისტრაციულად დასჯად ქმედებას, რომელიც შეიძლება გახდეს მისი დაკავების წინაპირობა და კანონიერი საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი გასულ წლებში როგორც საჯარო განცხადებებით, ისე სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშებით, არაერთხელ გამოეხმაურა ამგვარი კონსტრუქციების გამოყენების ხელშეშლის შემთხვევებს და ეს შეკრების თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევად შეაფასა.[343]

შეკრების დროს გარკვეული ნივთების ფლობის აკრძალვის ზოგადი ხასიათი, რომელიც შეფასების ფართო სივრცეს იძლევა, პრობლემურია თავად პოლიციის წარმომადგენლების თვალთახედვიდანაც.[344] მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ამ შეფასების ფარგლებს ან მისი გაზომვის სტანდარტებს არც პოლიციის სახელმძღვანელო ინსტრუქციები იძლევა. ამიტომ, აუცილებელია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სახელმძღვანელო ინსტრუქციების შემუშავება, რაც, ღონისძიების ხელმძღვანელ პოლიციის ოფიცრებს, საშუალებას მისცემს ასეთ შემთხვევებში სწორად შეაფასონ ვითარება და მოახდინონ კანონის სწორი ინტერპრეტაცია.[345]

5.2.2. ზ.ქ.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე ზ. ქ.-ს საქმე, რომელიც დააკავეს 2022 წლის 28 დეკემბერს, ქ. ბათუმში, აბაშიძის ქუჩაზე, მემედ აბაშიძის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე, პროტესტის ნიშნად კარვის გაშლის გამო. მის მოთხოვნას წარმოადგენდა

---

[342] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 29 სექტემბრის დადგენილება.
[343] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება. უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი", 2020, 28-30; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2021, 188-190.
[344] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება. უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი", 2020, 29.
[345] იქვე.

სახელმწიფოს მიერ საჯარო სკოლებში მოსწავლეთათვის ერთჯერადი კვების უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი ინფორმაციით,[346] კარვის გაშლის დროს, მასთან მივიდა რამდენიმე პოლიციის თანამშრომელი და გადაიყვანეს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილებაში, სადაც დაჰყო ერთ საათზე მეტი. დაკავებულის განმარტებით, განყოფილებაში მიყვანის შემდეგ, ჩამოართვეს ტელეფონი. პოლიციელების საუბრიდან გამომდინარე, ის ვარაუდობდა რომ კარვის გაშლის გამო დააკავეს.

ზ. ქ.-ს გადმოცემით, განყოფილებაში ხელი მოაწერინეს პიროვნების იდენტიფიცირების ოქმზე. აქვე მიუთითა, რომ მისი პიროვნების იდენტიფიცირების მიზნით განყოფილებაში გადაყვანა არ იყო საჭირო, რადგან ჯერ კიდევ კარვის გაშლის დროს მიაწოდა პოლიციის თანამშრომლებს თავისი პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი ინფორმაციით, იდენტიფიცირების ოქმზე ხელმოწერის შემდეგ, დაახლოებით 13:00 საათზე, გაუშვეს განყოფილებიდან, რის შემდეგაც დაბრუნდა აბაშიძის ქუჩაზე, კარვის გასაშლელად. სწორედ ამ დროს, პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ, მოსთხოვეს კარვის აღება და შემდეგ დააკავეს პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო.[347]

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ზ. ქ.-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნულია, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მოუწოდეს ზ. ქ.-ს არ გაეშალა კარავი, ვინაიდან, მიმდინარეობდა საახალწლო ღონისძიებები და ხსენებული ადგილი წარმოადგენდა პიროტექნიკის გამოყენების შესაძლო არეალს. მითითება კეთდებოდა, რომ აღნიშნული ადგილი მოქცეულია ძეგლების ზონაში, ამასთან, სასამართლოს (საკონსტიტუციო) მიმდებარედ, 20 მეტრის რადიუსში არ ჰქონდა აქციის გამართვის უფლება, თუმცა არც თავდაპირველად, არც შემდგომ არ მომხდარა მანძილის გაზომვა. ადმინისტრაციული დაკავების ოქმში, დაკავების მოტივად მითითებულია, რომ ზ. ქ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სამუშაო საათებში, შლიდა კარავს. მიუხედავად პოლიციის თანამშრომლების კანონიერი განკარგულებისა - დაეშალა კარავი და არ შეეფერხებინა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა, არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას და არ აიღო კარავი.

მიუხედავად იმისა, რომ ზ. ქ. არ მართავდა აქციას, სარგებლობდა მხოლოდ გამოხატვის უფლებით და კარავს შლიდა მხოლოდ თვითონ, სხვა პირების მონაწილეობის გარეშე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო

[346] ზ.ქ.-სთან სახალხო დამცველის წარმომადგენლის შეხვედრისას შედგენილი 2022 წლის 29 დეკემბრის ოქმი.
[347] იქვე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის და მის მიმართ გამოიყენა სიტყვიერი შენიშვნა. ასევე, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს არ უმსჯელია ზ. ქ.-ს დაკავების კანონიერებაზე.[348]

5.3. საექსტრადიციო პატიმრობა

2023 წელს კვლავ **პრობლემური რჩება პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელება, პროკურატურის მიერ სამართლებრივი პროცედურების გონივრულ ვადებში გაუტარებლობის გამო.**

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი ერთ-ერთი საქმის მასალების თანახმად, პირის დაკავება ექსტრადირების მიზნით მოხდა მას შემდეგ, რაც მან მოიხადა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან.

მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის განმავლობაში, პროკურატურის ორგანოებისათვის ცნობილი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ მისი ექსტრადირების მოთხოვნის შესახებ. მიუხედავად ამისა, პროკურატურის ორგანოების მხრიდან ჯ.ჰ.-ს სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებამდე, მის მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის საკითხის განსახილველად არ გატარებულა ქმედითი ღონისძიებები და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან, დააკავეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის შესაბამისი სასამართლოს განჩინების საფუძველზე. საექსტრადიციო საქმისწარმოების ფარგლებში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 22 აპრილის განჩინებით მის მიმართ განხორციელდა საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება 3 თვის ვადით. ხსენებული საექსტრადიციო პატიმრობა მას შემდეგ გაგრძელდა კიდევ ორჯერ და პირი საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის მოხდისა და გათავისუფლების შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა კიდევ 9 თვის განმავლობაში. მისი ექსტრადირება მომთხოვნ სახელმწიფოში განხორციელდა 2024 წლის 18 იანვარს.

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელმოხდილი პირების მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება პრობლემური იყო გასული წლების განმავლობაშიც, რის გამოც სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს საქართველოს კანონში „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც დაუშვებლად იქნებოდა ცნობილი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმისწარმოების საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლიობაში გატარებული ექნებოდა 9 თვე, მათ შორის საქართველოს

[348] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 თებერვლის N4-398/23 დადგენილება.

ტერიტორიაზე ჩადენილი ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაულის ფარგლებში.[349] თუმცა, საქართველოს პარლამენტის მიერ თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დაცვის მიზნით გასატარებელი საკანონმდებლო ცვლილებები დღემდე არ განხორციელებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2024 წლის 12 იანვარს კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.[350]

5.4. თავისუფალი მიმოსვლის უფლების უკანონო შეზღუდვა

მიუხედავად იმისა, რომ პირების მიმართ არ არსებობს საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით რაიმე სამართლებრივი შეზღუდვა, საგამოძიებო უწყებების მიმართვის საფუძველზე, მესაზღვრე, რიგ შემთხვევებში, უარს ეუბნება პირს საზღვრის გადაკვეთაზე. აღნიშნული მავნე პრაქტიკა წლების განმავლობაში გრძელდება და ძირითად შემთხვევაში, ის ეხება იმ პირებს, რომლებიც შესაძლოა, მოწმე იყვნენ სისხლის სამართლის საქმეზე ან პოტენციური ბრალდებულები.

დასახელებულ შემთხვევებში, კანონმდებლობა არც გამომძიებელს და არც პროკურორს არ აღჭურავს მსგავსი უფლებამოსილებით, თუმცა ისინი თვითნებურად, მიმოსვლის თავისუფლების უფლების უხეში დარღვევით, მაინც აგრძელებენ მსგავს პრაქტიკას.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე უკრაინის მოქალაქეების, ი. ბ.-სა და ე. ბ.-სთვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის უფლების შეზღუდვის შესახებ.

ადვოკატ მ.ზ.-ის განცხადების თანახმად, მისი დაცვის ქვეშ მყოფი უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქეები, ე. ბ. და ი. ბ. კანონიერად იმყოფებოდნენ საქართველოში. 2023 წლის 22 აპრილს, სარფის სასაზღვრო პუნქტის გავლით, აპირებდნენ თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლას, თუმცა საქართველოს მესაზღვრე-ოფიცრისა და ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უარი ეთქვათ საქართველოს საზღვრის კვეთაზე.

ადვოკატის განმარტებით, კანონიერ მოთხოვნაზე, წარმოედგინათ საზღვრის კვეთის აკრძალვის შესახებ დოკუმენტი, მიაწოდეს მხოლოდ ფურცელზე დაწერილი, ვინმე ერთ-ერთი პირის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელმაც სატელეფონო საუბრისას განუმარტა, რომ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის თბილისის დეპარტამენტის გამომძიებელი, იძიებს საქმეს კიბერდანაშაულის ფაქტზე, რომელზეც ე. ბ.

[349] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 7 დეკემბრის N15-2/11520 წინადადება.
[350] კონსტიტუციური სარჩელი №1808 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2024 წლის 12 იანვარი.

და ი. ბ. მოწმის სახით არიან გამოსაკითხი და აკრძალული აქვთ საზღვრის კვეთა. თუმცა, საზღვრის კვეთის შეზღუდვის შესახებ სასამართლოს განჩინება არ არსებობს.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ი.ბ.-ს და ე.ბ.-ს საზღვრის კვეთა დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში ჰქონდათ შეზღუდული.[351]

გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, მოცემულ ეტაპზე, ი. ბ-სა და ე. ბ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობდა.[352] ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, ი. ბ-სა და ე. ბ-ს მიმართ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე შეზღუდვა რაიმე სამართლებრივი საფუძვლით, 2023 წლის 24 მაისის მდგომარეობით, არ ფიქსირდებოდა.[353]

სახალხო დამცველის აპარატმა, ადვოკატის განცხადების საფუძველზე განხორციელებული რეაგირების შესახებ, ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან გამოითხოვა.[354] გენერალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დეპარტამენტში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება და გამოიკითხა საქმესთან შემხებლობაში მყოფი სამინისტროს მოსამსახურე, რომელმაც განმარტა, რომ მის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე[355], ერთ-ერთი ბანკის მომხმარებლების მხრიდან, ამავე ბანკის მიმართ განხორციელებული ჯგუფური თაღლითობის ფაქტზე.[356] ვინაიდან, არსებობდა ვარაუდი, რომ ი. ბ-სა და ე. ბ-ს შესაძლოა სცოდნოდათ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაცია, დაბარებულ იქნენ საგამოძიებო ორგანოში, მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით. მას შემდეგ, რაც ი. ბ. და ე. ბ. არ გამოცხადდნენ საგამოძიებო ორგანოში, გამომძიებლის მიერ განხორციელდა მათი საზღვრის კვეთის თაობაზე კონტროლის დაწესება.[357]

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა გენერალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილი, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, სამინისტროს თანამშრომლისთვის (გამომძიებელი) ჩამორთმეული ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, თანამშრომელი მიუთითებდა, რომ ი. ბ-სა და ე. ბ-ს შესაძლოა სცოდნოდათ ინფორმაცია მისდამი დაქვემდებარებული განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის

[351] ადვოკატ მ. ზ-ს N4578/23 განცხადება.
[352] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 8 მაისის N13/31320 წერილი.
[353] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 24 მაისის NMIA 7 23 01464859 წერილი.
[354] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 28 აპრილის N15-15/4201, 22 მაისის N15-15/4925, 6 ივლისის N15-15/6540, 31 ივლისის N15-15/7454, 7 აგვისტოს N15-15/7757, 5 დეკემბრის N15-15/11773 წერილები.
[355] სისხლის სამართლის N090281022003 საქმე.
[356] დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით.
[357] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 23 ივნისის NMIA 4 23 01799071 წერილი.

საქმესთან დაკავშირებით, ხოლო მათი საკონტაქტო მონაცემების და ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა. ამიტომ, საქმის ზედამხედველ პროკურორთან შეთანხმებით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, განახორციელა მითითებული პირების საზღვრის კვეთის კონტროლზე აყვანა, შენიშვნით „შეაჩერეთ და აცნობეთ ინიციატორს". ხოლო 2023 წლის 22 აპრილს, როდესაც ი. ბ-მ და ე. ბ-მ სცადეს საზღვრის კვეთა, ასევე, პროკურორთან შეთანხმებით, მიღებულ იქნა მათთვის საზღვრის კვეთის უფლების შეზღუდვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, გამომძიებლის დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დაადგინა. ამასთანავე, მიუთითა, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" 32-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. აქედან გამომდინარე, უწყება განმარტავს, რომ გენერალური ინსპექცია არ ახდენს ზედამხედველობას გამოძიებასა და გამოძიების პროცესში მოქალაქეებისთვის საზღვრის კვეთის უფლების შეზღუდვაზე.[358]

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა გენერალურ პროკურატურას და გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი სამართლებრივი აქტით ხელმძღვანელობდა პროკურორი ი. ბ-სა და ე. ბ-სთვის საზღვრის კვეთის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.[359] თუმცა, გენერალური პროკურატურის განმარტებით, სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რაიმე სახის აკრძალვა/შეზღუდვა არ გამოყენებულა.[360]

ამრიგად, საქმის გამომძიებელი ადასტურებს, რომ ერთი მხრივ - მან ნამდვილად შეუზღუდა, კანონშეუსაბამოდ, მიმოსვლის თავისუფლება მოქალაქეებს, მეორე მხრივ კი - აღნიშნული პროკურორთან შეთანხმებით განხორციელდა. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ არ დაადასტურა მისი მონაწილეობა უფლების უკანონო შეზღუდვაში, ხოლო გამომძიებლის პასუხისმგებლობის საკითხი ამ დრომდე არ დამდგარა. შედეგი კი არის ის, რომ ი. ბ-სა და ე. ბ-ს უფლების შეზღუდვა კანონისმიერი საფუძველის გარეშე განხორციელდა.

6. სამართლიანი სასამართლოს უფლება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა, სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება მსჯავრდებულთათვის

[358] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 18 დეკემბრის NMIA 8 23 03719594 წერილი.
[359] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 დეკემბრის N15-15/12385 წერილი.
[360] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 29 იანვრის N13/5364 წერილი.

საშიშროების რისკის განსაზღვრისა და სასამართლო განხილვის პროცედურებს დაუთმო. ამ ჭრილში მსჯავრდებულის უფლებები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა პირველად გაანალიზა და წინამდებარე თავში წარმოდგენილი იქნება ის პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზები, რის გამოც ხდება პატიმრებისთვის მომეტებული და მაღალი რისკის დაუსაბუთებელი განსაზღვრა და რისკის შესაბამისად, მთელ რიგ უფლებებში შეზღუდვა.

გარდა ამისა, აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში დაფიქსირდა სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა ფუნდამენტური ელემენტების დარღვევის ფაქტები. უზენაესი სასამართლოს მიერ სახალხო დამცველის მოსაზრების გათვალისწინებით ერთ-ერთი მსჯავრდებულის გამართლების დადებითი პრეცედენტის მიუხედავად, სამწუხაროდ, კვლავ პრობლემას წარმოადგენს **ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე მსჯავრდება.** განსაკუთრებით საყურადღებოა **საქმეთა განხილვის გაჭიანურებაც.** ასევე, **დაცვის უფლების შეზღუდვის საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები,** როგორიცაა, ბრალდებულებისთვის ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციის შეზღუდვა, დაკავებულების ადვოკატთან დაუყოვნებლივ შეხვედრის უფლების შეზღუდვა, დისტანციურ სასამართლო სხდომებზე კონფიდენციალური კომუნიკაციის შეუძლებლობა და სხვა. სამწუხაროდ, **ადამიანის უფლებებთან შეუსაბამო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად საქმეების განხილვის მრავალწლიანი პრობლემა 2023 წელსაც მწვავედ იდგა.**

6.1. მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასება

წლების განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების საკითხთან დაკავშირებით არაერთი მომართვა დაფიქსირდა. პატიმრები მიუთითებდნენ, ერთი მხრივ, **მომეტებული და მაღალი საშიშროების რისკის დაუსაბუთებლად მინიჭების** და შესაბამისად, დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსების მიზანშეუწონლობაზე, და მეორე მხრივ, ხსენებული გადაწყვეტილების შემთხვევაში **სასამართლო განხილვის გაჭიანურების თაობაზე.** საგულისხმოა, რომ აპარატის მიერ ინდივიდუალური საქმისწარმოების ფარგლებში ხსენებული საკითხების შესწავლის დროს გამოიკვეთა მსჯავრდებულთა რისკების შეფასების პროცესში **საიდუმლო ინფორმაციასთან ხელმიუწვდომლობის პრობლემაც.**

საანგარიშო პერიოდში პატიმართა მომართვიანობის და საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე აპარატმა სრულყოფილად შეისწავლა მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის გადაწყვეტილებისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანების სასამართლოებში გასაჩივრების საკითხი.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის გადაწყვეტილება და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანება **გასაჩივრდა: 2020 წელს - 14, 2021 წელს - 12 და 2022 წელს - 33 მსჯავრდებულის/მისი ადვოკატის მიერ**[361] (იხ. დიაგრამა N1).



დიაგრამა N1

ვინაიდან სასამართლოებში ხსენებულ საკითხზე ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება არ ხორციელდება,[362] აპარატს[363] სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა[364], პატიმართა ინფორმირებული თანხმობების მოპოვების შემდეგ, წარუდგინა 36 პატიმრის მონაცემები, ვინც 2020-2022 წლებში სასამართლოში გაასაჩივრა მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის გადაწყვეტილებები და პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების შესახებ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებები.

[361] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 23 მაისის N139197/01 წერილი.

[362] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 2 მაისის N7215974, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 4 მაისის N1/4061 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 5 მაისის N3-403-23 წერილები.

[363] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 18 ივლისის N15-5/6967 წერილი.

[364] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 2 ოქტომბრის N272457/01 წერილი. იმავე წერილის თანახმად, 2 მსჯავრდებულმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა 2-ჯერ; ხოლო 5 მსჯავრდებულმა უარი განაცხადა პერსონალური მონაცემების აპარატისთვის მოწოდებაზე, 8 მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისგან, ხოლო 1 მსჯავრდებული გარდაიცვალა.

სახალხო დამცველის აპარატმა[365] საკანონმდებლო დანაწესის[366] შესაბამისად, შეისწავლა 25 დასრულებული ადმინისტრაციული საქმე.

ძირითადი მიგნებები:

- უმრავლეს შემთხვევაში მსჯავრდებულთა სარჩელების განხილვა დროში ხანგრძლივად ჭიანურდება და არ არის შემუშავებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პატიმართა სარჩელების გონივრულ ვადაში განხილვას;
- სასამართლო განხილვის გაჭიანურების გამო რისკების ხელახალი გეგმიური გადაფასების ვადა დგება და წინა სარჩელის განხილვა პრაქტიკულად აზრს კარგავს;
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მსჯავრდებულთა სარჩელების ბაჟისგან გათავისუფლების ვალდებულებას;
- პატიმრებს აქვთ კვალიფიციური იურიდიული დახმარების პრობლემა, რის გამოც მათი სარჩელები ხშირ შემთხვევაში ხარვეზდება;
- კანონმდებლობა ბლანკეტურად გამორიცხავს მსჯავრდებულისთვის მის შესახებ საიდუმლო/ოპერატიული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობას;
- მოწმეების დაკითხვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება;
- სასამართლო გადაწყვეტილებები ძირითადად დაუსაბუთებელია, მხოლოდ ნორმატიული აქტის დებულებებზე მითითებით შემოიფარგლება და არ შეიცავს საერთაშორისო სტანდარტებზე მითითებას პატიმრების უფლებებზე.

ქართული კანონმდებლობა

2024 წლამდე მოქმედი კანონის თანახმად, მსჯავრდებულისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს სამსახურის გენერალური დირექტორი.[367] სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებული სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში: მსჯავრდებულის საშიშროების რისკის გათვალისწინებით ან გათავისუფლებისათვის მოსამზადებლად.[368] მსჯავრდებულის რისკის შეფასებასა და პერიოდულ გადაფასებას უზრუნველყოფს რისკის შეფასების გუნდი.[369] საგულისხმოა, რომ ანალოგიურ დებულებებს შეიცავს 2024 წლის 1 იანვრიდან მოქმედი პენიტენციური კოდექსიც.[370]

---

[365] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 1 დეკემბრის N15-5/11700 წერილი.

[366] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე" ქვეპუნქტი: საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს, შემოწმების ჩატარებისას: გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული.

[367] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლ. 46, ნაწ. 2.

[368] იქვე, მუხლ. 46, ნაწ. 1 „ე" ქვეპნქტ.

[369] იქვე, მუხლ. 46, ნაწ. 4^1.

[370] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ.33, ნაწ. 7, მუხლ. 52, ნაწ. 2-3, ნაწ. 4 ქვეპ. „ა".

რისკების შეფასების წესის განმსაზღვრელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი[371] ადგენს მსჯავრდებულთა საშიშროების 4 სახეს: დაბალს, საშუალოს, მომეტებულს და მაღალს.[372] რისკის განსაზღვრისას გაითვალისწინება: დაწესებულების, გარშემომყოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებისათვის მსჯავრდებულისგან მომდინარე საშიშროება, რომელიც განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე: მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები; ჩადენილი დანაშაულის კატეგორია და მოტივი; დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი; დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა; ჩადენილი იმგვარი ქმედება, რომელიც იწვევს/გამოიწვევს დაპირისპირებას მსჯავრდებულთა მასასთან და საფრთხეს უქმნის/შეუქმნის მსჯავრდებულის/სხვა მსჯავრდებულების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან პენიტენციური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას; დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან დამოკიდებულება, მათზე უარყოფითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა; დაწესებულების დებულებითა და დღის განრიგით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება; ალკოჰოლის, აზარტული თამაშების, ნარკოტიკული, ახალი ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულება; მსჯავრდებულის მიერ წარსულში, ასევე დაწესებულებაში დანაშაულის ჩადენის ფაქტები; დარჩენილი სასჯელის ხანგრძლივობა; დაწესებულებიდან გაქცევის ან გაქცევის მცდელობის ფაქტები; წარსულში დაწესებულებაში სასჯელის მოხდის შემთხვევები; მსჯავრდებულის ასაკი; ქურდულ სამყაროსთან/ტერორიზმთან დამოკიდებულება; არსებულ სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობა; ისეთი თვითდაზიანების მიყენების/მცდელობის ფაქტები, რომლითაც საფრთხე ექმნება ან შეიძლება შეექმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას; წახალისების/დისციპლინური სახდელის/ პატიმრობის გამოყენების ფაქტი.[373]

დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, საშუალო რისკის მსჯავრდებული - ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში, მომეტებული რისკის მსჯავრდებული - დახურული ტიპის დაწესებულებაში, ხოლო მაღალი რისკის მსჯავრდებული - განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში.[374] შესაბამისად, კანონი განასხვავებდა და განასხვავებს მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობას დაწესებულებების მიხედვით, რაც აისახება

[371] „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანების დანართი.
[372] იქვე, მუხლ. 5, პუნქტ. 1.
[373] იქვე, მუხლ. 4, ქვეპუნქტ. „ა"-„რ".
[374] იქვე, მუხლ. 5, პუნქტ. 2-5.

სატელეფონო ზარების, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნის უფლების რაოდენობასა და დღის განრიგზე.[375]

გუნდი დამოუკიდებლად, მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე ახორციელებს მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასებას და მისი რისკის სახის დადგენას;[376] სხდომაზე განიხილავს დაწესებულების დირექტორისა და უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გაგზავნილ მასალებს, რომელთა მიღებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის საშიშროების რისკის დადგენის თაობაზე. გადაწყვეტილება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე. ხოლო თუ გუნდი ჩათვლის, რომ მსჯავრდებულისათვის საშიშროების მომეტებული ან მაღალი რისკის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა უშუალოდ მსჯავრდებულისაგან დამატებითი ინფორმაციის მიღება, უფლებამოსილია, მსჯავრდებულს მოუსმინოს საკუთარი ინიციატივით.[377] სხდომაზე იწარმოება სხდომის ოქმი, რომელშიც მიეთითება ინფორმაცია თითოეული წევრის პოზიციისა და მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ.[378] გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით.[379]

გუნდის მიერ მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასების საფუძველზე, მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დატოვების, იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის გადაწყვეტილებას ბრძანების სახით იღებს გენერალური დირექტორი, გუნდის გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.[380]

მნიშნელოვანია ოქმში არსებული საიდუმლო ინფორმაციის საკითხი. გუნდი მსჯავრდებულის საშიშროების რისკს განსაზღვრავს, რა დროსაც დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად მიწოდებულ ინფორმაციას აფასებს ზემოხსენებული კრიტერიუმების მიხედვით. რისკის განსაზღვრა სწორედ ამ შეფასების შედეგია.[381] დანართი N2-ით დადგენილ ფორმაში ისეთი ინფორმაციის შეტანისას, რომელიც მოპოვებულია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონით დადგენილი წესით ან წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, ეს ფორმა გუნდს საიდუმლო საქმისწარმოების წესით ეგზავნება.[382] სხდომის ოქმი, რომელშიც ასახულია გუნდის გადაწყვეტილება და ხსენებული ინფორმაცია, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და მისი გაცნობა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.[383] მსჯავრდებულს,

---

[375] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლ. 60[2], ნაწ. 2 ქვეპუნქტ. „ბ", „გ" და ე", მუხლ. 62, ნაწ. 2 ქვეპუნქტ. „"ბ", „გ" და „ე". 65, ნაწ. 2 ქვეპუნქტ. „ბ"-„დ". მუხლ. 663 ნაწ. 2 ქვეპუნქტს. „ბ", „ბ[1]" და „გ" საქართველოს პენიტენიცური კოდექსი, მუხლ. 116, 119-120 და 122.
[376]საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანების დანართი, მუხლ. 8, პუნქტ. 1.
[377] იქვე, მუხლ. 13, პუნქტ. 1.
[378] იქვე, მუხლ. 13, პუნქტ. 3.
[379] იქვე, მუხლ. 13, პუნქტ. 5.
[380] იქვე, მუხლ. 15, პუნქტ. 1.
[381] იქვე, მუხლ. 13. პუნქტ. 8.
[382] იქვე, მუხლ. 12. პუნქტ. 2.
[383] იქვე, მუხლ. 13, პუნქტ. 6.

მისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, სხდომის ოქმი და საქმის მასალები შეიძლება გაეცნოს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონითა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციიდან გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებადი ღია ინფორმაციის მიწოდების გზით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[384]

გუნდი უზრუნველყოფს უკვე შეფასებულ მსჯავრდებულთა პერიოდულ გადაფასებას:[385] დაბალი რისკის დადგენის შემთხვევაში - მსჯავრდებულის ქცევის მკვეთრად შეცვლისთანავე ან სხვა გარემოებათა ცვლილებისას ან/და როცა მსჯავრდებულის იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია; საშუალო რისკის დადგენის შემთხვევაში, მსჯავრდებულის ქცევის მკვეთრად შეცვლისთანავე ან მსჯავრდებულის პირადი განცხადების საფუძველზე; მომეტებული რისკის დადგენიდან არაუგვიანეს 18 თვისა; მაღალი რისკის დადგენიდან არაუგვიანეს 12 თვისა. მომეტებული და მაღალი რისკის შემთხვევაში, პროცედურის დაწყება ასევე შესაძლებელია ამ ვადის დაუცველად განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მკვეთრად შეიცვალა მსჯავრდებულის ქცევა ან სხვა გარემო პირობები ან/და მსჯავრდებულის იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია.[386]

გუნდის გადაწყვეტილება შეიძლება მსჯავრდებულის მიერ ერთჯერადად გასაჩივრდეს სასამართლოში მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე გენერალური დირექტორის ბრძანებასთან ერთად, ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.[387]

საერთაშორისო სტანდარტები

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (ნელსონ მანდელას წესები)[388] თანახმად, განსხვავებული კატეგორიის პატიმრები უნდა განთავსდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში ან დაწესებულების ნაწილებში, მათი სქესის, ასაკის, კრიმინალური წარსულის, დანაშაულისა და დაპატიმრების სამართლებრივი მიზეზების და მათთან მოპყრობის საჭიროებების გათვალისწინებით;[389] ხსენებული პრინციპების ცხოვრებაში გატარება მოითხოვს პატიმრებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და მათი ჯგუფებად კლასიფიცირების მოქნილი სისტემის არსებობას;[390] კლასიფიკაციის მიზნებია: პატიმრის განცალკევება იმათგან, ვინც თავისი დანაშაულებრივი წარსულით ან ცუდი

[384] იქვე, მუხ 16, პუნქტ. 2.
[385] იქვე, მუხლ. 17 პუნქტ. 1.
[386] იქვე, მუხლ. 17, პუნქტ. 2, ქვეპუნქტ. „ა"-„დ".
[387] იქვე, მუხლ. 18.
[388] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლიცია N70/175, მიღებული 2015 წლის 17 დეკემბერს. იხ. < https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf > ბოლოს ნანახია: 29.01.2024 წ.
[389] იქვე, წესი 11.
[390] იქვე, წესი 89.1.

თვისებებით უარყოფით გავლენას მოახდენს მასზე; პატიმრების კატეგორიებად დაყოფა, რაც გააადვილებს მათთან მუშაობას, საზოგადოებაში მათი დაბრუნებისათვის მომზადების მიზნით. შესაძლებლობების ფარგლებში, პატიმრების სხვადასხვა კატეგორიებთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს განცალკევებულად – სხვადასხვა დაწესებულებებში.[391]

ევროპული ციხის წესების[392] თანახმად: პატიმრების განთავსება უნდა ითვალისწინებდეს უსაფრთხოებისა და უშიშროების და ყველა პატიმართათვის სათანადო რეჟიმების უზრუნველყოფის საჭიროებებს;[393] ციხეში წესრიგის შენარჩუნება უნდა მოხდეს უსაფრთხოების, უშიშროების და დისციპლინის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამავე დროს პატიმართათვის ისეთი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს, რომლებიც ადამიანის ღირსებას პატივს სცემს, სთავაზობს მათ ღონისძიებებით დატვირთულ პროგრამას;[394] მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე პატიმართა შეფასება უნდა მოხდეს რათა განისაზღვროს: რისკი, რომელსაც ისინი წარმოადგენენ საზოგადოებისათვის გაქცევის შემთხვევაში; რისკი, იმისა, რომ ისინი შეეცდებიან გაქცევას ან დამოუკიდებლად ან დახმარებით. ამის შედეგად ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს. საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში;[395] მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე, პატიმრების შეფასება უნდა მოხდეს, რათა განისაზღვროს, უქმნიან თუ არა საფრთხეს სხვა პატიმართა, ასევე, ციხის პერსონალის ან ამ დაწესებულებაში მომუშავე ან ვიზიტად მყოფი პირების უსაფრთხოებას, ან რამდენადაა მოსალოდნელი თვითდაზიანების მიყენება.[396]

უვადო და გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის[397] თანახმად, მკაფიო გამიჯვნა უნდა მოხდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილი და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მხრიდან მომდინარე რისკების საზოგადოებისთვის, საკუთარი თავისთვის, სხვა პატიმრებისთვის და ციხეში მომუშავე ან მონახულებული პირებისთვის;[398] ციხის ადმინისტრაციამ დეტალურად უნდა

---

[391] იქვე, წესი 93.

[392] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე, და შესწორებულია 2020 წლის 1 ივლისს მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა მოადგილეების 1380 შეხვედრაზე იხ. <https://rm.coe.int/09000016809ee581> [ბოლოს ნანახია: 06.01.2024 წ.]

[393] იქვე, წესი 17.2.

[394] იქვე, წესი 49.

[395] იქვე, წესი 51.3, 51.4, 51.5.

[396] იქვე, წესი 52.1.

[397] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 9 ოქტომბრის რეკომენდაცია Rec (2003)23 წევრი სახელმწიფოების მიმართ „ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო თავისუფლებააღკვეთილი და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ" <https://pjp-eu.coe.int/documents/41781569/42171329/CMRec+%282003%29+23+on+the+management+of+life+sentence+and+other+long+term+prisoners.pdf/bb16b837-7a88-4b12-b9e8-803c734a6117 > ბოლოს ნანახია: 09.04.2023 წ.

[398] იქვე, პუნქტ. 6.

შეაფასოს, ინდივიდუალური პატიმრები შეადგენენ რისკს თუ არა საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის. შეფასებული რისკების სპექტრი უნდა მოიცავდეს თვითდაზიანებას, სხვა პატიმრებისთვის, პერსონალისთვის, მნახველებისთვის თუ საზოგადოებისთვის ზიანის მიყენებას და გაქცევის, ან დაწესებულების დროებით დატოვებისას ან გათავისუფლებისას სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას;[399] საჭიროებების შეფასება მიზნად უნდა ისახავდეს პიროვნული მოთხოვნილებებისა და მახასიათებლების იდენტიფიცირებას დაკავშირებულს დანაშაულთან და საშიშ ქცევასთან („კრიმინოგენური მოთხოვნები");[400] რისკის და საჭიროებების შეფასება პერიოდულად უნდა განმეორდეს სათანადოდ მომზადებული პერსონალის მიერ, სასჯელის დაგეგმვის ან საჭიროების შემთხვევაში;[401] რისკებისა და საჭიროებების შეფასება ყოველთვის უნდა იყოს დაკავშირებული მათ მართვასთან. შესაბამისად, ეს შეფასებები უნდა ასახავდეს ინფორმაციას შესაბამისი ინტერვენციის ან მოდიფიკაციის არჩევანის შესახებ და შესრულების მდგომარეობის თაობაზე;[402] ციხეში კონტროლის დაცვა უნდა ეფუძნებოდეს დინამიკური უსაფრთხოების გამოყენებას, პერსონალის მიერ პატიმრებთან პოზიტიური ურთიერთობის განვითარებას, რომელიც ეფუძნება მუდმივობასა და სამართლიანობას, კომბინაციაში მათი პერსონალური მდგომარეობისა და ცალკეული პატიმრების მხრიდან ნებისმიერი რისკის გადმოცემის გაგებას.[403]

საშიში მსჯავრდებულების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია[404] აცხადებს, რომ მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს მსჯავრდებულის რისკები, რომლებიც მისგან საზოგადოებას ემუქრება და რისკები, რომლებიც ციხის შიგნით არსებობს. ეს ორი რისკი ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს;[405] რისკის შეფასებები უნდა განხორციელდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, თანმიმდევრული წესით, შესაბამისად შემოწმებული საშუალებებით და პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებით. რისკის შეფასების განმახორციელებელმა პირებმა უნდა იცოდნენ და განაცხადონ ძალადობის რისკის შეფასების საზღვრები და სამომავლო ქცევის პროგნოზირება, განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში;[406] ასეთი რისკის შეფასების ინსტრუმენტები გამოყენებული უნდა იქნას ზომის ან სანქციის ყველაზე კონსტრუქციული და ნაკლებად შემზღუდავი ინტერპრეტაციის განსავითარებლად, ასევე სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისთვის. ისინი არ შეუქმნიათ სასჯელის განსაზღვრისთვის, თუმცა მათმა მიგნებებმა შეიძლება მიუთითოს ინტერვენციის

[399] იქვე, პუნქტ. 12.
[400] იქვე, პუნქტ. 13.
[401] იქვე, პუნქტ. 16.
[402] იქვე, პუნქტ. 17.
[403] იქვე, პუნქტ. 18.ა.
[404] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2014 წლის 19 თებერვლის რეკომენდაცია CM/Rec(2014)3 წევრი სახელმწიფოების მიმართ „საშიში მსჯავრდებულების შესახებ" < https://pjp-eu.coe.int/documents/41781569/42171329/CMRec+%282014%29+3+concerning+dangerous+offenders.pdf/cec8c7c4-9d72-41a7-acf2-ee64d0c960cb > ბოლოს ნანახია: 10.04.2023 წ.
[405] იქვე, პუნქტ. 33.
[406] იქვე, პუნქტ. 28.

საჭიროებაზე;[407] სასჯელის აღსრულებისას განხორციელებული შეფასებები უნდა იყოს პროგრესული და ხდებოდეს მათი სისტემატური გადახედვა დამნაშავის რისკის დინამიური განმეორებითი შეფასებების მისაღწევად;[408] შეფასებებისას მსჯავრდებულებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ გაითვალისწინონ სპეციფიკურ რისკებთან დაკავშირებული საჭიროებები და შეცვალონ მათი დამოკიდებულები და ქცევა. ისინი ჩართულნი უნდა იყვნენ შეფასების პროცესში და ჰქონდეთ ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის შესახებ და წვდომა საბოლოო დასკვნაზე.[409]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, ციხის სპეციალური რეჟიმები თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პირის პატიმრობა შეესაბამებოდეს მის ადამიანურ ღირსებას, პატიმრობის აღსრულების წესი და მეთოდი არ აყენებდეს მას ტანჯვას, რომელიც აღემატება პატიმრობისას თანდაყოლილი ტანჯვის გარდაუვალ დონეს; ასევე, პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.[410] ინდივიდის დაქვემდებარებამ დამატებითი შეზღუდვების კომპლექტით, რომლებიც დაწესებულია ციხის ადმინისტრაციის მიერ მათი შეხედულებისამებრ, ინდივიდუალური აუცილებლობის შეფასების საფუძველზე საკმარისი და შესაბამისი მიზეზების წარმოდგენის გარეშე, შესაძლებელია გამოიწვიოს ადამიანის ღირსების შელახვა და შესაბამისად, მე-3 მუხლში გათვალისწინებული უფლების დარღვევა.[411]

საზოგადოებრივი წესრიგის გათვალისწინებამ შეიძლება აიძულოს სახელმწიფო დააწესოს ციხის მკაცრი რეჟიმები პატიმართა კონკრეტული კატეგორიისთვის. კონვენციის მონაწილე ბევრ სახელმწიფოში უფრო მკაცრი უსაფრთხოების წესები ვრცელდება საშიშ პატიმრებზე. ეს ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს გაქცევის, თავდასხმის ან არეულობის საფრთხის თავიდან აცილებას, ეფუძნება ასეთი პატიმრების გამოყოფას ციხის საზოგადოებისგან, მკაცრ კონტროლთან ერთად.[412] შეფასებისას სასამართლო მხედველობაში იღებს ამ პირობების კუმულაციურ შედეგებს, განმცხადებლის კონკრეტულ ბრალდებებს; ასევე, ითვალისწინებს ღონისძიების სიმკაცრეს, ხანგრძლივობას, მის მიზანს და შედეგებს დაინტერესებული პირებისთვის.[413] ამასთან დაკავშირებით, განსახილველი პერიოდის ხანგრძლივობა მოითხოვს გულდასმით გამოკვლევას მისი დასაბუთების,

---

[407] იქვე, პუნქტ. 29.
[408] იქვე, პუნქტ. 30.
[409] იქვე, პუნქტ. 31-32.
[410] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 162; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. პარ. 89; Öcalan v. Turkey (no. 2) განაცხადები N24069/03, 197/04, 6201/06 და 10464/07 18.03.2014 წ. პარ. 102.
[411] Provenzano v. Italy განაცხადი N55080/13 25.10.2018 წ. პარ. 152.
[412] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 161; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. პარ. 88.
[413] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 163; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. პარ. 90; Harakchiev and Tolumov v. Bulgaria განაცხადები N 15018/11 and 61199/12 08.07.2014 წ. პარ. 202; Öcalan v. Turkey (no. 2) განაცხადები N24069/03, 197/04, 6201/06 and 10464/07) 18.03.2014 წ. პარ. 103.

მიღებული ზომების აუცილებლობისა და მათი პროპორციულობის შესახებ სხვა შესაძლო შეზღუდვებთან, განმცხადებლისთვის შეთავაზებულ გარანტიებთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობა და მიღებული იქნეს ზომები ხელისუფლების მიერ, რათა დარწმუნდნენ, რომ განმცხადებლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა მას საშუალებას აძლევდა დარჩენილიყო იზოლაციაში.[414]

ხელისუფლებამ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იმოქმედოს ამ ღონისძიების დაწესებისას და გულდასმით გამოიკვლიოს ყველა ის კონკრეტული გარემოება, რომელიც მიუთითებს მისი გაგრძელების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ. ამის საპირისპიროდ, ხელისუფლების გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ, გარდა თავდაპირველი საფუძვლებისა, რომელიც ძირითადად ეფუძნებოდა ბრალდებების სერიოზულ ხასიათს, მათ შორის, ორგანიზებულ დანაშაულებრივ სტრუქტურაში მაღალი წოდების, შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელობის ეჭვს, სხვებზე დომინირების ტენდენციას, არ იქნა განხილული „საშიში მსჯავრდებულის" კლასიფიკაციის სხვა მიზეზები და დროთა განმავლობაში, „საშიში დაკავებულის" სტატუსის განხილვის პროცედურა გახდა ფორმალობა, რომელიც შემოიფარგლებოდა ერთი და იგივე საფუძვლების გამეორებით გადაწყვეტილებებში.[415]

საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში 2018 წლის ვიზიტის შემდგომ გამოქვეყნებულ, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშში[416] პატიმრებისთვის რისკის შეფასების და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემოღება დადებით საკანონმდებლო სიახლედ შეფასდა, თუმცა პრაქტიკაში პრობლემები დაფიქსირდა.[417] შესაბამისად, კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია მთავრობას, რისკის შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური გეგმების შესახებ ახალი დებულებები დაენერგა ყველა ციხეში და ყველა პატიმრის მიმართ. რაც შეეხება პატიმართა კლასიფიკაციას, როგორც „მაღალი რისკის", გადაუდებელი აუცილებლობაა მთლიანად გადაიხედოს მიდგომა მათ მიმართ.[418]

ამდენად, **პატიმართა მიმართ მოპყრობის საკითხზე საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად მიუთითებს საშიშროების რისკების კლასიფიკაციის და პერიოდული გადაფასების საჭიროებაზე და ამავდროულად ყურადღებას ამახვილებს თითოეული პატიმრის საჭიროების გათვალისწინების საკითხზე. ამ საკითხზე ხაზგასმა აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განხილული საქმეების შესწავლამ ცხადყო, რომ ერთეული შემთხვევის გარდა, გადაწყვეტილებები არ შეიცავს მსჯელობას მსჯავრდებულთა უფლებების თვალსაზრისით.**

---

[414] X v. TURKEY განაცხადი N24626/09 09.10.2012 წ. პარ. 40.

[415] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 177; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. პარ. 102; Paluch v. Poland განაცხადი N 57292/12 16.02.2016 პარ. 46.

[416] იხ. < https://rm.coe.int/1680945eca > (ბოლოს ნანახია: 29.01.2024 წ). ანგარიში გამოქვეყნდა 2019 წლის 10 მაისს.

[417] იქვე, პარ. 73.

[418] იქვე, პარ. 74.

საერთო სასამართლოების პრაქტიკა

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი დასრულებული 25 საქმიდან: პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვა 2 მსჯავრდებულს/მის ადვოკატს, განუხილველად დარჩა 2 სარჩელი, 2 საქმეზე წარმოება შეწყდა, 16 სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 3 - დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. **სრულად დაკმაყოფილებული სარჩელების რაოდენობა კი არის 0.** (იხ. დიაგრამა N2)



დიაგრამა N2

სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილული იქნა 1 კერძო და 8 სააპელაციო საჩივარი. სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე პატიმრის 1 კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მიუთითა საპროცესო ვადების დარღვევის საფუძვლით. ხსენებული 8 სააპელაციო საჩივრიდან 5 შემთხვევაში აპელანტი იყო მსჯავრდებული, ხოლო 3 საქმეზე - სპეციალური პენიტენციური სამსახური (იხ. დიაგრამა N3).

მსჯავრდებულების ხსენებული 5 სააპელაციო საჩივრიდან: 1 საქმეზე - წარმოება შეწყდა აპელანტის მიერ მასზე უარის თქმის გამო, 3 საჩივარი განუხილველად დარჩა (2 ბაჟის გადაუხდელობის გამო, 1 - საპროცესო ვადის დარღვევით შეტანის მიზეზით), ხოლო 1 საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სადავო საკითხის გადაუწყვეტად ბათილად იქნა ცნობილი გუნდის გადაწყვეტილება და სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანება, ხოლო სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

რაც შეეხება სპეციალური პენიტენციური სამსახურის სააპელაციო საჩივრებს, 2 მათგანი არ დაკმაყოფილდა, ხოლო აპელანტის მიერ უარის თქმის გამო 1 სააპელაციო საჩივარზე წარმოება შეწყდა.



დიაგრამა N3

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2 საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო და შესაბამისად, პატიმრის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები ძალაში დარჩა, ხოლო 1 საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ პატიმრის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს (იხ. დიაგრამა N4).



დიაგრამა N4

განხილვის ვადები

განსაკუთრებით მწვავე და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სასამართლოში საქმის განხილვის ვადების ხანგრძლივი დროით გაჭიანურება, რაც სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას ილუზორულს ხდის.

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა არ აწესებს საქმის განხილვის ვადას და მიუთითებს ასეთ შემთხვევებში სამოქალაქო საპროცესო ნორმების გამოყენებაზე.[419] ხსენებული კანონის[420] თანახმად კი, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა. ამდენად, მოცემული ვადები ვრცელდება პატიმართა რისკების საკითხზე ადმინისტრაციული სარჩელის სასამართლოში განხილვის დროს.

მიუხედავად, საკანონმდებლო დანაწესისა, შესწავლილ საქმეებში წარმოებაში მიღებული სარჩელებიდან, **პირველი ინსტანციის სასამართლოში კანონით დადგენილ 2 თვის ვადაში არცერთი საქმის განხილვა არ დასრულებულა.** შესწავლილი საქმეებიდან არაერთ საქმეზე სასამართლოს განჩინებით გაგრძელდა საქმის განხილვის ვადა 5 თვემდე, თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ არ გვხვდება სრულყოფილი დასაბუთება, თუ რატომ

[419] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლ. 1, ნაწ. 2.
[420] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლ. 59, ნაწ. 3.

მიეკუთვნებოდა კონკრეტული საქმე რთულ კატეგორიას. გარდა ამისა, რიგ საქმეებში განხილვა 5 თვის ვადაშიც კი არ დასრულებულა. **5 თვემდე ვადაში განხილულია 10 საქმე, 5-7 თვემდე - 3 საქმე; 7-9 თვემდე - 5 საქმე; 9 თვიდან 1 წლამდე პერიოდი დასჭირდა 3 საქმის განხილვას, ხოლო 2 საქმეზე წარმოება 2 წელზე მეტი დროის განმავლობაში გრძელდებოდა.** (იხ. დიაგარამა N5)



დიაგრამა N5

საქმეთა შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ განსხვავებით სისხლის სამართლის საქმეების არსებითი განხილვისგან, სადაც სასამართლოს მრავალი მტკიცებულების განხილვა უწევს, **რისკების საკითხის სასამართლოში ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების შემთხვევაში, საშუალოდ, თითოეულ საქმეზე იმართება 2-3 სხდომა და მიუხედავად ამისა, საქმეების განხილვა მაინც ჭიანურდება.** საქალაქო სასამართლოში შესწავლილი საქმეებიდან: 2 საქმეზე თითო სხდომა ჩატარდა, 9 საქმეზე - 2 სხდომა, 8 საქმეზე - 3 სხდომა, 2 საქმეზე - 4 და 2 საქმეზე - 5 სხდომა.

სხდომების გადადების მიზეზებს წარმოადგენდა: სხვა სხდომის გაგრძელება, მოსამართლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა, კორონავირუსის პანდემიის დროს პატიმართა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და ადამიანური რესურსების არასაკმარისი რაოდენობის გამო პატიმართა ეტაპირების შეუძლებლობა; პატიმრის კლინიკაში ყოფნა; დაფიქსირდა დისტანციურად ჩართვის შეუძლებლობის შემთხვევებიც არასაკმარისი აღჭურვილობის გამო. იყო შემთხვევაც, როცა პატიმარი ითხოვდა სასამართლო დარბაზში პროცესზე უშუალოდ ყოფნას და ამ მიზეზით გადაიდო დისტანციური სხდომა. ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა მხარეთა გამოუცხადებლობის და სხდომის გადადების შუამდგომლობის: პატიმარის მხრიდან -

ადვოკატის აყვანის მოტივით (მოწვევამდე), ასევე, ადვოკატს ან პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელის სხვა პროცესზე ყოფნის საფუძვლით.

რაც შეეხება **სააპელაციო სასამართლოში** განხილვის ვადებს, დასაშვებად ცნობილი საჩივრების განხილვას დასჭირდა თვენახევრიდან - 3-4-7 თვემდე პერიოდი, ხოლო სარჩელის პირველ ინსტანციაში შესვლიდან **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე შესაბამისად, გასულია 7 თვიდან - 10 თვემდე, 1 წლამდე პერიოდი, ასევე, 1 წელი და 3 თვე, 1 წელი და 6 თვეც.** ამასთან, სააპელაციო სასამართლოში 3 საქმეზე თითო სხდომა ჩატარდა, 2 საქმეზე - 2 სხდომა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში განხილვის **6-თვიანი ვადა დაცული იყო სამივე საკასაციო საჩივრის შემთხვევაში** და 2 თვიდან 4 თვეზე მეტი პერიოდით შემოიფარგლებოდა. **თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სარჩელის პირველ ინსტანციაში შესვლიდან უზენაეს სასამართლოში განხილვის დასრულებამდე და საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გასული იყო: 1 წელი და 1 თვე, 1 წელსა და 6 თვეზე მეტი დრო და 1 წელსა და 8 თვემდე პერიოდი.** საქართველოს უზენაეს სასამართლოში ზეპირი მოსმენა არ გამართულა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჩივრები ზეპირი მოსმენის გარეშე იქნა განხილული.

საქმეების შესწავლისას გამოვლენილი ზემოაღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ყველაზე მწვავედ დგას საქმეთა გაჭიანურების პრობლემა.

საგულისხმოა, რომ მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების საკითხზე ყველა მსჯავრდებულის ადმინისტრაციულ სარჩელს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე (მოპასუხის - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილსამყოფელის მიხედვით) და ცალკე შემადგენლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში კონკრეტულად პატიმართა ადმინისტრაციული სარჩელების განსახილველად შექმნილი არ არის. სასამართლოს გადატვირთულობის ზოგადი პრობლემის ფონზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პატიმართა რისკების შეფასების საკითხის განხილვის გონივრულ დროში განხილვის აუცილებლობის საკითხი. საქმე ისაა, რომ მაღალი და მომეტებული რისკის დადგენის შემთხვევაში, რისკების გადაფასება სავალდებულოა შესაბამისად, არანაკლებ 12 და 18 თვისა. აღნიშნულ ვადაში ხშირად ვერ ესწრება სასამართლოს სამივე ინსტანციაში საქმის განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ ინდივიდუალური საქმისწარმოების ფარგლებში შესწავლილი საქმეებიდან იკვეთება მაგალითად პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე და სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების, ასევე, დისციპლინური სახდელის დაკისრების განკარგულებების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებისას სასამართლო განხილვების გაჭიანურების შემთხვევებიც. სახალხო დამცველის პოზიციით, აუცილებელია პატიმრებისთვის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი

ელემენტის - საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლების უზრუნველყოფა. ამ მიზნით, **მიზანშეწონილია სახელმწიფომ გაატაროს შესაბამისი ზომები სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის აღმოფხვრისთვის და შესაბამისად, საქმეთა გაჭიანურების გარეშე განსახილველად. შესაძლებელია, ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა ან პატიმართა ადმინისტრაციული სარჩელების განმხილველი მოსამართლეების ვიწრო სპეციალიზაციის განხორციელების საკითხის განხილვის დაწყება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან.** ეს ღონისძიება გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობასა და არგუმენტირებულობის ხარისხის გაუმჯობესებაზეც შეიძლება აისახოს.

ბაჟის გადახდის პრობლემა

წლებია სახალხო დამცველი[421] მიუთითებს პატიმართა მიერ ადმინისტრაციულ სარჩელებზე ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების მიზანშეწონილობის საკითხზე.

კანონმდებლობით, **მსჯავრდებულისთვის საერთო წესით, სხვა სარჩელების მსგავსად, ბაჟის გადახდის დაკისრების პრობლემური საკითხი კვლავ დადასტურდა ხსენებული საქმეების შესწავლის შედეგადაც.**

შესწავლილი საქმეებიდან: 4 მსჯავრდებული ითხოვდა ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებას ან გადავადებას ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე მითითებით. სასამართლოს პოზიციით, 1 მსჯავრდებულმა წარადგინა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზიდან ძველი ცნობა და მოსთხოვა ახალი ცნობის წარმოდგენა, რაც პატიმარმა არ შეასრულა; 2 პატიმარს არ წარმოუდგენია ქონებრივი მდგომაროების შესახებ დოკუმენტი (სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის ცნობა), ხოლო 1 პატიმარმა წარადგინა დოკუმენტი, თუმცა ცნობაში მითითებული იყო ოჯახი და არა მოსარჩელე მსჯავრდებული. შესაბამისად, ხსენებულმა პატიმრებმა სასამართლოს ბაჟის გადახდის ქვითრები წარუდგინეს. საბოლოოდ, 20 მსჯავრდებულმა გადაიხადა ბაჟი; 2 მსჯავრდებული ბაჟის გადახდისგან გათავისუფლდა, რადგან წარადგინეს სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზიდან ამონაწერები (ერთი ცნობის მიხედვით, შემწეობის მიმღებ ოჯახის წევრთა შორის არ ფიქსირდებოდა მოსარჩელე პატიმრობაში ყოფნის გამო); ხოლო 2 პატიმარს გადაუვადდა ბაჟის გადახდა.

საგულისხმოა, რომ 1 პატიმარმა საქალაქო სასამართლოში, ხოლო 2 მსჯავრდებულმა - სააპელაციო სასამართლოში არ წარადგინეს ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, რის გამოც მათი სარჩელი და საჩივრები არ იქნა მიღებული წარმოებაში და განუხილველად დარჩა.

[421] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში", 2019, 38-40, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf>

მართალია, კანონი ზოგად წესად განსაზღვრავს, სასამართლოს შესაძლებლობას, რომ მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობისა და უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან,[422] **თუმცა ეს ნორმა ითვალისწინებს მოსამართლის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას.** ამდენად, პატიმართა საშიშროების რისკების თაობაზე სარჩელების განხილვისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კანონმდებლობამ დამატებითი გარანტიის სახით, გაითვალისწინოს სასამართლოს ვალდებულება გაათავისუფლოს პატიმარი ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან, თუ წარმოადგენს საბანკო ამონაწერს პენიტენციურ სისტემაში ყოფნის პერიოდში მისი ფინანსური ბრუნვის შესახებ, რაც დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მისი ყოველთვიური შემოსავალი პირობითად 100 ლარზე ნაკლები იყო. გონივრული თანხის ოდენობა, ცხადია, შეიძლება გახდეს დამატებითი მსჯელობის საგანი, მთავარი ისაა, რომ პატიმრებს ჰქონდეთ სასამართლოში კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა. **აუცილებელია, პატიმრებს ფინანსების არარსებობის გამო არ შეეზღუდოთ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ისეთი მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების კატეგორიის განსაზღვრა და განთავსება, რაც მათ უფლებრივ მდგომარეობაზე პირდაპირ და არსებით გავლენას ახდენს.**

ადვოკატის ეფექტიანი მონაწილეობა და კვალიფიციური იურიდიული დახმარება

საქმეთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა პატიმრებისთვის **კვალიფიციური იურიდიული დახმარების მნიშვნელობის საკითხი.** აღნიშნული კი განაპირობებდა პატიმართა სარჩელებზე სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენას.

18 მსჯავრდებულს ჰყავდა ადვოკატი შეთანხმებით, 2 მსჯავრდებულს - იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი იცავდა, 5 მსჯავრდებულს არ ჰყავდა ადვოკატი. მათგან ერთ-ერთი მიუთითებდა კიდეც ამის შესახებ დაზუსტებულ სარჩელში.

არაერთი პატიმრის საქმეზე დადგინდა ხარვეზი, მათ შორის, ისეთი პატიმრების საქმეებზე, რომლებსაც ჰყავდათ ადვოკატები. 5 სარჩელზე არ დადგინდა ხარვეზი და წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო 20 სარჩელზე დადგინდა ხარვეზი და მოსარჩელეებს მისი აღმოფხვრისთვის რამდენიმე დღიანი ვადა განესაზღვრათ. გარდა ბაჟის გადახდის ქვითრის წარმოუდგენლობისა, ხარვეზის დადგენის მიზეზი გახდა: სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტების და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს არასწორად/არაზუსრად მითითება, სარჩელის დამტკიცებული ფორმის შევსების გარეშე, საჩივრის ფორმით წარდგენა, ფაქტობრივი გარემოებების არასრულად მითითება, სარჩელზე გასაჩივრებული აქტების დაურთველობა. ასევე, სასამართლო ადგენდა ხარვეზს ისეთ შემთხვევაშიც, როცა

[422] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლ. 47, ნაწ. 1.

ადვოკატის ორდერი იყო წარდგენილი და არ იყო პენიტენციური დაწესებულების მიერ გაცემული მინდობილობა/რწმუნებულება. უნდა აღინიშნოს, რომ 2 მსჯავრდებულს/მის ადვოკატს 2-ჯერ დაუდგინდა ხარვეზი, 2 პატიმარს - 3-ჯერ, ხოლო 1 მსჯავრდებულს - 4-ჯერ.

სასამართლოს მიერ სარჩელების ხარვეზებთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ დახარვეზება აუცილებლად არ გულისხმობს არაკვალიფიციურად შევსებულ სასარჩელო დოკუმენტებს. ფიქსირდებოდა ისეთი შემთხვევებიც, სადაც მსჯავრდებულები და მათი ადვოკატები ითხოვდნენ დამატებით დროს პენიტენციური სამსახურიდან ან სხვა ორგანოდან დოკუმენტის მისაღებად. საგულისხმოა, რისკების გუნდის გადაწყვეტილება და პენიტენციური სამსახურის ბრძანება საჩივრდება გაცნობიდან 1 თვის ვადაში. შესაბამისად, ამ ვადაში უნდა მოესწროს სარჩელის სასამართლოში შეტანაც და ცხადია, რიგ შემთხვევებში, ადვოკატების მხრიდან ხარვეზიანი სარჩელის შეტანა ვადის დაცვის ტაქტიკით იყო განპირობებული. თუმცა, დახარვეზების ყველა შემთხვევა ნაკლებად აიხსნება ტაქტიკით და შესაძლოა მიუთითებდეს კვალიფიკაციის ხარვეზებზე. მაგალითად, ფიქსირდებოდა შემთხვევა, სადაც სარჩელის დადგენილი ფორმა არ იყო შევსებული ადვოკატის მიერ და საჩივრის ფორმით იყო შეტანილი.

სახალხო დამცველი სხვა თემატურ საკითხზე მომზადებულ კვლევაში[423] ყურადღებას ამახვილებდა ადვოკატთა გადამზადების განგრძობადი სისტემისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმის შემუშავების საჭიროებაზე, რაც მიგვაჩნია, რომ აქტუალური და მიზანშეწონილია პატიმართა ადმინისტრაციულ სარჩელების მიმართულებით მომუშავე ადვოკატებისთვისაც.

განუხილველად დატოვებული და წარმოება შეწყვეტილი სარჩელები

თავდაპირველად განვიხილავთ ისეთ სარჩელებს და საჩივრებს, რომლებზეც წარმოება შეწყდა და განუხილველად დარჩა. აღნიშნულს განაპირობებდა განხილვის გაჭიანურება, რის გამოც კონკრეტული შედეგის გარეშე დასრულდა საქმეები:

მსჯავრდებულ რ. მ.-ს საქმეზე[424] პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას სარჩელის სასამართლოში შესვლიდან გადაწყვეტილების მიღებამდე 2 წელზე მეტი დრო დასჭირდა (ხარვეზის შევსების ჩათვლით). საგულისხმოა, მოპასუხე - სპეციალური პენიტენციური სამსახური საქმის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობაში მიუთითებდა, რომ გეგმიურად, 2-ჯერ მოხდა მსჯავრდებულის რისკების გადაფასება. საბოლოოდ, მსჯავრდებულმა იშუამდგომლა სარჩელის გახმობა და სარჩელი დარჩა განუხილველი.

---

[423] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა“, 2020 წ., გვ. 24-26, 78 < „https://ombudsman.ge/res/docs/2020031011495929884.pdf >> [ბოლოს ნანახია: 06.02.2024 წ.]

[424] საქმე N3/9813-19.

2 წელზე მეტი დრო დასჭირდა, ასევე, მსჯავრდებულ ვ. წ.-ს საქმეზე[425] პირველი ინსტანციის სასამართლოს სარჩელის შესვლიდან გადაწყვეტილების მიღებამდე. ამ საქმეშიც სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა საქმის შეწყვეტა იშუამდგომლა, რადგან რისკების, გეგმიური ხელახალი შეფასება განხორციელდა. პატიმრის განმარტებით, ახალი გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, სასამართლომ საქმეზე წარმოება შეწყვიტა.

ხსენებული საქმე ყურადღებას იპყრობს შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. ვ. წ.-ს 2020 წელს მომეტებული რისკი განესაზღვრა. ოქმის მიხედვით, მსჯავრდებულია სსკ-ის 108-ე მუხლით, არ იყო ნასამართლევი, დისციპლინური სახდელი არ ჰქონია, წახალისებული იყო 8-ჯერ, არ ჰქონდა პროგრამაში მონაწილეობის, სწავლისა და მუშაობის სურვილი, უარყოფითი დამოკიდებულება სწავლისა და მუშაობის მიმართ, მითითებულია დანაშაულის გაუაზრებლობა, ხოლო დამცავი ფაქტორები არ იკვეთება, არ იყო კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი, იყო კონფლიქტური სხვა მსჯავრდებულებთან, არ იაზრებდა დანაშაულს, პატივისცემას არ იჩენდა თანამშრომლების მიმართ, არ იყო მოტივირებული ცვლილებებისკენ, არ ჰქონდა გაცნობიერებული დანაშაული და მისი ხასიათი, აზრს გამოხატავდა აგრესიით, იყო გაუწონასწორებელი, არ იყო კომუნიკაბელური და თავაზიანი. საიდუმლო ინფორმაცია დაფარულია. პატიმარმა წარადგინა პენიტენციურ დაწესებულებაში კომპიუტერული კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. საგულისხმოა, რომ 2022 წელს პატიმარს კვლავ მომეტებული რისკი მიენიჭა, თუმცა განსხვავებული მონაცემები მიეთითა გუნდის ოქმში: არ არის დისციპლინურად სახდელდადებული, წახალისებულია 19-ჯერ, აქედან 10-ჯერ რისკის შეფასების შემდეგ, თვითდაზიანებისკენ მიდრეკილი არ არის, აქვს სწავლის და მუშაობის სურვილი, მაგრამ არ აქვს შესაძლებლობა, ჩართულია შემთხვევის მართვაში, მიმდინარეობდა შეფასების პროცესი, თუმცა მსჯავრდებული გამოთქვამს სურვილს და მზაობას სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენაზე შემდეგ ჩაერთოს გაწერილ აქტივობებში. არა აქვს ურთიერთობა ანტისოციალური ქცევის მქონე პირებთან, აქვს კარგი დამოკიდებულება ციხის ადმინისტრაციასთან, ასევე თანამესაკნეებთან, იზრუნებს მეუღლესა და შვილებზე, აპირებს მცირე საოჯახო ბიზნესის წამოწყებას და უნდა აღადგინოს ფერმა, რაც ჰქონდა დაკავებამდე. შეუძლია აზრის გამოხატვა აგრესიის გარეშე. არ არის აგრესიული, არ გამოიხატება სირთულეები კომუნიკაციის უნარებთან დაკავშირებით, აკონტროლებს ემოციებს და ქცევებს. საიდუმლო ინფორმაცია აქაც დაფარულია. პატიმარმა ასევე წარადგინა სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის დადებითი დახასიათებები. ამ შემთხვევაშიც საიდუმლო ინფორმაცია დაფარულია. **როგორც ვხედავთ რისკების პერიოდული გადაფასების შემდეგ, გუნდის ოქმშივე მითითებული მონაცემები ცხადყოფს პატიმრის ქცევის დადებით დინამიკას, თუმცა ეს რისკების სახის მინიჭების პროცესზე არ აისახება.**

[425] საქმე N3/4094-20.

საქმის განხილვის გაჭიანურების თვალსაჩინო მაგალითია მსჯავრდებულმა ზ. ს.-ს საქმეც.[426] მისი სარჩელის სასამართლოში შესვლიდან გადაწყვეტილების მიღებამდე (ხარვეზის ჩათვლით) 7 თვეზე მეტი დრო გავიდა. პატიმარმა 2-ჯერ მიმართა სასამართლოს, რომ სასჯელის დასრულებამდე რჩებოდა 7 თვე და 5 თვე, რის გამო ითხოვდა სხდომის დროულად ჩანიშვნას. საბოლოოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმეზე წარმოება შეწყდა, რადგან არ არსებობდა დავის საგანი (პატიმარი პირობით ვადამდე გათავისუფლდა და არცერთ პენიტენციურ დაწესებულებაში აღარ იმყოფებოდა). ამ მსჯავრდებულის საქმე საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მსჯავრდებულს განესაზღვრა მომეტებული რისკი და დახურული ტიპის დაწესებულებაში ყოფნა. ზ.ს. მსჯავრდებული იყო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2-3 ნაწილებით, წარსულში დანაშაულის ფაქტის მქონე, ჰქონდა 1 დისციპლინური სახდელი, თუმცა ბოლო შეფასების შემდეგ დისციპლინური არ დაკისრებია და პირიქით, ბოლო პერიოდში წახალისებული იყო 2-ჯერ: გამოეცხადა მადლობა სანიმუშო ყოფაქცევისთვის. თვითდაზიანებისკენ მიდრეკილი არ იყო, ჩართული იყო პროგრამებში: „შემთხვევის მართვა და პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევები", ჰქონდა სწავლის სურვილი, შესაძლებლობა - არა. მუშაობის სურვილი არ ჰქონდა და უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა მუშაობის მიმართ. კარგი დამოკიდებულება ჰქონდა თანამშრომლებთან და ადმინისტრაციასთან, აპირებდა დაბრუნებოდა ოჯახს, დაეწყო მუშაობა, შეეძლო აზრის გამოხატვა აგრესიის გარეშე, აკონტროლებდა ქცევას და ემოციებს, კომუნიკაციაში არ ჰქონდა სირთულეები. საიდუმლო ინფორმაცია ამ საქმეშიც იყო დაფარული. მსჯავრდებულს წარმოდგენილი ჰქონდა სოციალური მუშაკის და დაწესებულების დადებითი დახასიათებაც. პატიმრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვეოდა, რომ მსჯავრდებული 3 ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გამართლდა სსკ-ის 378[2] მუხლის პირველი ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში ჩადენილი) გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდებაში; ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი პენიტენციური დაწესებულების დირექტორის განკარგულება მსჯავრდებულისთვის დისციპლინური სახდელის თაობაზე, რაზეც შეფასების გუნდში იყო მითითება. საგულისხმოა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება რისკის შეფასების შემდეგ იქნა მიღებული. **მიუხედავად პატიმრისთვის სასარგებლო გარემოებებისა, სასამართლო განხილვა იმდენ ხანს გაჭიანურდა, რომ პატიმარი გათავისუფლდა კიდეც.**

საქმის განხილვის დროს რადიკალურად შეიცვალა ვითარება მსჯავრდებული ე. მ.-ს შემთხვევაშიც.[427] მისი სარჩელის განხილვას სასამართლოში შესვლიდან გადაწყვეტილების მიღებამდე 1 წელი დასჭირდა. საგულისხმოა, რომ პატიმარი სარჩელის წარდგენის დროისთვის დახურული ტიპის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის დროისთვის N16 დაბალი რისკის

[426] საქმე N3/9013-22.
[427] საქმე N3/290-20.

პენიტენციურ დაწესებულებაში იყო გადაყვანილი. შესაბამისად, **სასამართლო კონტროლი რისკების შეფასების პროცესში ამ საქმეშიც არ განხორციელებულა.**

მსჯავრდებულმა ა. ა.-მ[428] სააპელაციო სასამართლოში უარი თქვა საჩივარზე და წარმოება შეწყდა. ამ დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის სასამართლოში შესვლიდან უკვე 10 თვე გასული იყო.

სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთება

სასამართლოების გადაწყვეტილებების დასაბუთების პრობლემას და არგუმენტაციის კარგ პრეცედენტებს მიმოვიხილავთ კონკრეტული საქმეების მაგალითზე. გარდა ამისა, მსჯელობა შეეხება მტკიცებულებების გამოკვლევის და მათი მნიშვნელობის საკითხებსაც.

სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოტივაციის ნაწილი მსგავსია და როგორც წესი, გადმოტანილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს პატიმრობის კოდექსისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანების დებულებები. ნორმების მითითებას მოსდევს სასამართლოს განმარტება, რომ დისკრეციული უფლებამოსილებით გადაწყვეტილება მიიღება საჯარო და კერძო ინტერესების დაცვით და ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლოები მიუთითებენ, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას სასამართლო ამოწმებს აქტის კანონიერებას და არა მიზანშეწონილობას. სასამართლო ვერ იმსჯელებს მიზანშეწონილობის ასპექტებზე, ვინაიდან აქტის მიზანშეწონილობის გადამოწმება სცილდება სასამართლო კონტროლის ფარგლებს.

სასამართლოების გადაწყვეტილებებში, როგორც წესი, არ გვხვდება პატიმართა უფლებების საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე და მათთან კონკრეტული საქმის გარემოებების შესაბამისობაზე მსჯელობა. საერთო სასამართლოები გადაწყვეტილებებში მიუთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებზე, თუმცა არა კონკრეტულად საკითხის შინაარსთან - პატიმართა უფლებებთან, რისკებთან, და მითითებულია მხოლოდ ზოგადად დასაბუთებული გადაწყვეტილების და დისკრეციული უფლებამოსილების თაობაზე. მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში იყო ადამიანის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითება პატიმართა უფლებების მიმართულებით.

რაც შეეხება უშუალოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადაწყვეტილებაში გათვალისწინების საკითხს, სასამართლოს მტკიცებულებებს წარუდგენდნენ როგორც მხარეები, ასევე, ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლო საკუთარი ინიციატივითაც გამოითხოვდა დოკუმენტებს. სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია მტკიცებულებები: მსჯავრდებულთა

[428] საქმე N3/5859-22.

საშიშროების რისკების შეფასების გუნდის ოქმი, დანართი N1 და დანართი N2 - ოპერატიული საიდუმლო ინფორმაცია, პატიმრის პირადი საქმე, დისციპლინური სახდელის დაკისრების განკარგულებები, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენები, ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის დახასიათებები, პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტაცია. მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში მხარეთა შუამდგომლობით, დაიკითხნენ მოწმის სახით სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლები (რისკების შეფასების გუნდის წევრები). ძირითადად, სასამართლომ მხოლოდ დოკუმენტებისა და მხარეთა ზეპირი პოზიციების მოსმენის შემდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება.

კიდევ ერთი ასპექტი, რაც პირადი საქმეების მასალების შესწავლას უკავშირდება მდგომარეობს შემდეგში: საქმის ხანგრძლივი დროით გაჭიანურების გამო იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი მხრივ, დაწესებულებას სჭირდებოდა პატიმრის საქმე და დროებით უკან გაითხოვა. შესაბამისად, რამდენჯერმე მოხდა პირადი საქმის გადაგზავნა დაწესებულებასა და სასამართლოს შორის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთ შემთხვევებში სასამართლოს წარედგინოს მსჯავრდებულის პირადი საქმის დამოწმებული ასლი. ამასთან, თუ განხილვის დროს პატიმრის ქცევაში დადებითი ან უარყოფითი ცვლილება მოხდება ან სხვა მნიშვნელოვანი გარემოება გამოიკვეთება, პენიტენციურმა სამსახურმა აცნობოს სასამართლოს და დამატებით წარუდგინოს პირადი საქმიდან შესაბამისი ახალი მასალების დამოწმებული ასლები.

საიდუმლო ოპერატიული ინფორმაციის განხილვა

მსჯავრდებულთა რისკების შეფასების პროცესში უმნიშვნელოვანესი და ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საიდუმლო ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც ასახულია „დანართი N2"-ში. კანონმდებლობის[429] თანახმად, „დანართი N2" მოიცავს ინფორმაციას, რაც უკავშირდება მსჯავრდებულის დამოკიდებულებას კრიმინალურ სუბკულტურასთან ან/და ტერორისტულ საქმიანობასთან/ორგანიზაციასთან, აგრესიის, ზეგავლენის მოხდენის/მცდელობის ფაქტებს, ალკოჰოლის, ნარკოტიკების, აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულებას, აკრძალული ნივთების და ნივთიერებების ფლობის ფაქტებს, მსჯავრდებულთა მასასთან დაპირისპირების გამომწვევი ქმედების ჩადენას და სხვა.

შესწავლილი საქმეებიდან მხოლოდ 4 მსჯავრდებულის მიმართ რისკების პროცესში დანართი N2-ში არ იყო საიდუმლო ხასიათის, სხვა ყველა შემთხვევაში გრიფით „საიდუმლო" ინფორმაციას წარმოადგენდა. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო მხოლოდ არასაიდუმლო ინფორმაციას, რაც ხსენებულ 4 საქმეში იყო. ამ შემთხვევებში დანართი N2-ში მითითებული იყო ინფორმაცია ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულისთვის მსჯავრდების და განაჩენით დადგენილ ჩადენილ ქმედებებთან დაკავშირებით, მათ შორის, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედების ჩადენის თაობაზე; მსჯავრდებულის მხრიდან ხელსაყრელი პირობების

[429] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის მაისის N396 ბრძანების დანართი.

დადგომის შემთხვევაში სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენის მოსალოდნელ საფრთხეზე; მსჯავრდებულის ქცევის უარესობისკენ შეცვლის და აგრესიულობით გამორჩეულობის; წარსულში ნასამართლობის შესახებ.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ სასამართლოებმა ყველა შემთხვევაში გამოითხოვეს დანართი N2-ით გათვალისწინებული საიდუმლო ოპერატიული ინფორმაცია. საგულისხმოა, რომ აღნიშნულის თაობაზე შუამდგომლობას აყენებდა პენიტენციური სამსახურიც. ეს გარემოება ადასტურებს საიდუმლო ინფორმაციის მნიშვნელობას მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრის პროცესში. რამდენიმე შემთხვევაში მსჯავრდებულები და მათი ადვოკატებიც მიუთითებდნენ, რომ მათთვის უცნობი იყო საიდუმლო ინფორმაციის შინაარსი და ეს ინფორმაცია განაპირობებდა მომეტებული ან მაღალი რისკის მინიჭებას.

სასამართლოები გადაწყვეტილებებში უთითებენ, რომ მათ გამოითხოვეს და შეისწავლეს საიდუმლო ოპერატიული ინფორმაცია, თუმცა საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად, **სასამართლო არ არის უფლებამოსილი საიდუმლო ინფორმაცია, მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, გააცნოს მხარეებს და სასამართლოს გადაწყვეტილებაში[430] ასახოს.** მოცემული მტკიცებულებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით სხვა მტკიცებულებებთან ერთად. საგულისხმოა, რომ ერთ საქმეში საიდუმლო ინფორმაცია არ იყო („დანართი N2" იყო ღია), თუმცა გადაწყვეტილებაში მაინც დაფიქსირდა, რომ სასამართლომ შეისწავლა საიდუმლო ინფორმაცია.

საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის საკითხზე მსჯელობისას რელევანტურია და ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის ბოლო წლების გადაწყვეტილებას[431], რომლითაც დადგინდა უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიების[432] დარღვევა. მოცემულ საქმეზე ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, განმცხადებლებს არ ჰქონდათ უფლება წვდომა ჰქონოდათ საქმეში არსებულ, მათ გაძევებასთან დაკავშირებულ, ეროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე საიდუმლო დოკუმენტებზე. ეს დოკუმენტები აყალიბებდა მოსამართლეთა აზრს, თუმცა არ შეიძლებოდა მოხსენიებულიყო გადაწყვეტილებაში; ასევე, გამოირიცხებოდა მათი გამჟღავნება საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტის არმქონე პირებისთვის. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საკითხზე: იყო თუ არა სათანადოდ გამართლებული განმცხადებლების საპროცესო უფლებების შეზღუდვა, არსებობდა თუ არა შეზღუდვის დამაბალანსებელი ფაქტორები, რა მოცულობის ინფორმაცია მიეწოდათ მათ გაძევების განმაპირობებელი ფაქტობრივი

---

[430] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლ. 20[1].

[431] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2020 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Muhammad and Muhammad v. Romania, განაცხადი N80982/12.

[432] ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის" მე-7 დამატებითი ოქმი, მუხლ. 1 „უცხოეთლა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები."

გარემოებების შესახებ, იყვნენ თუ არა განმცხადებლები ინფორმირებული სამართალწარმოების წარმართვისა და მათი პროცედურული უფლებების შესახებ, როგორ იყო განმცხადებლების წარმომადგენლობა სამართალწარმოებაში და დაექვემდებარა თუ არა გაძევების გადაწყვეტილება დამოუკიდებელ შემოწმებას.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლებს მნიშვნელოვნად შეეზღუდათ უფლება ინფორმირებულები ყოფილიყვნენ იმ ფაქტობრივი ელემენტების შესახებ, რომლებიც საფუძვლად ედო მათი გაძევების გადაწყვეტილებას და ჰქონდათ ინფორმაცია და წვდომა დოკუმენტების შინაარსზე, რომელსაც ეყრდნობოდა გადაწყვეტილების მიმღები კომპეტენტური ორგანო. ასევე, საქმიდან არ ჩანდა, რომ შეზღუდვის საჭიროება იქნა გამოკვლეული და სათანადოდ გამართლებული. ამიტომ **სასამართლოს მოეთხოვება მკაცრი კონტროლი განმცხადებლების წინააღმდეგ სამართალწარმოებისას დაწესებულ ზომებზე, რათა დაბალანსდეს ამ შეზღუდვების შედეგები, უფლებების არსის შენარჩუნების მიზნით.** მომჩივნებმა მიიღეს მხოლოდ ძალიან ზოგადი ინფორმაცია და საქმეში არ ჩანდა არც ერთი კონკრეტული ქმედება, რომელიც, სავარაუდოდ, საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უსაფრთხოებას. მათ არ მიუღიათ რაიმე ინფორმაცია სამართალწარმოების ძირითადი ეტაპების ან სპეციალური სერთიფიკატის მფლობელი ადვოკატის მეშვეობით საიდუმლო დოკუმენტებზე წვდომის შესაძლებლობის შესახებ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გაძევების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ორგანოს მიერ იმის დადგენის გარეშე, რომ მათ რეალურად გამოიყენეს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, არ არის საკმარისი იმ შეზღუდვების საპირისპიროდ, რომლებიც განმცხადებლებს ჰქონდათ თავიანთი საპროცესო უფლებების განხორციელებისას. შეზღუდვები, რომლებიც დაწესებული იქნა მომჩივნების მიერ მათი უფლებებით სარგებლობაზე, არ იყო დაბალანსებული სამართალწარმოებაში, რათა დაცული ყოფილიყო ამ უფლებების არსი.[433]

სამართლიანი სასამართლოს უფლების თვალსაზრისით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოხსენებული უახლესი პრეცედენტის[434] შესაბამისად, **მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა, რაც გამორიცხავს „დანართი N2"-ში დაფიქსირებულ საიდუმლო ინფორმაციასთან მსჯავრდებულისთვის წვდომის ბლანკეტურ შეზღუდვას და თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში დაავალდებულებს საქმის განმხილველ მოსამართლეს იმსჯელოს: შესაძლებელია თუ არა საიდუმლო ინფორმაციის მთლიანად ან/და ნაწილობრივ განსაიდუმლოების გზით, მისი პატიმრისთვის გაცნობა. აუცილებელია, ისეთი ინფორმაციის მსჯავრდებულებისთვის გაცნობა, რაც არ ეხება მესამე პირებს, არ ამჟღავნებს კონფიდენტის ვინაობას და რაც უშუალოდ მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაციას/მონაცემს მოიცავს და მისი**

[433] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2020 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Muhammad and Muhammad v. Romania, განაცხადი N80982/12, პარ. 203-206.
[434] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2020 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Muhammad and Muhammad v. Romania, განაცხადი N80982/12.

პატიმრისთვის გაცნობა საფრთხეს არ შეუქმნის მართლმსაჯულების განხორციელებას, კონკრეტული პირების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას და პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებას.

პატიმართა სარჩელები არ დაკმაყოფილდა

საქმეებში, სადაც მსჯავრდებულთა სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული იყო მომეტებული ან მაღალი რისკის მინიჭების გადაწყვეტილებები. სასამართლო უმეტეს შემთხვევაში იზიარებდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გადაწყვეტილებას და მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას დაიცვა აქტის კანონიერების განმსაზღვრელი - ფორმალური და მატერიალური კანონიერება. ამასთან, სასამართლოების პოზიციით, მოსარჩელის მიერ არ იქნა წარმოდგენილი იმგვარი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა აქტის გამოცემის პროცედურული ნორმების არსებითი დარღვევის ფაქტს, რომლის შემთხვევაში სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. გადაწყვეტილებები, სადაც მსჯავრდებულთა სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შეიცავს მითითებას, რომ რისკების შეფასების ოქმი მიღებულია კანონის დაცვით, არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. სასამართლო მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე აღნიშნავს, რომ არ დადგინდა მოპასუხის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორცილება კანონის დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან მისი მიზნის უგულებელყოფით, რა მიზნითაც გუნდს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება.

თითქმის ყველა შემთხვევაში მსჯავრდებულის რისკების შეფასების გუნდის ოქმში აღნიშნული იყო, რომ მსჯავრდებულის განთავსება ნახევრად ღია ან დახურული ტიპის დაწესებულებაში, სადაც სასჯელს იხდის ბევრი პატიმარი, საფრთხის შემცველი იქნება როგორც დაწესებულების უსაფრთხოების, ასევე, პენიტენციური სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.

უნდა ითქვას, რომ პატიმრები მსჯავრდებულები იყვნენ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის, როგორიცაა არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაული, მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა და მომზადება, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ფლობა, ყაჩაღობა, გამოძალვა, ნარკოტიკული დანაშაულისთვის, მათ შორის, საქართველოში შემოტანის, გასაღების ფაქტებზე, ტერორიზმის თავით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. მაღალი რისკი განესაზღვრა პენიტენციური დაწესებულების ყოფილ თანამშრომელს, რომელიც მსჯავრდებული იყო ქრთამის აღებისა და პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირისთვის აკრძალული საგნის გადაცემისთვის და დისციპლინურად დასჯილი და წახალისებული არ ყოფილა. თუმცა, ამ უკანასკნელი საქმის არსებითად განხილვა არ მომხდარა ხარვეზის, დადგენილ ვადაში, შეუვსებლობის გამო.

საგულისხმოა, რომ შესწავლილი საქმეებიდან შეფასების ერთ ოქმში დაფიქსირდა, რომ მსჯავრდებული კრიმინალური სუბკულტურის მატარებელ პირს წარმოადგენდა. ხსენებულ მსჯავრდებულს განესაზღვრა მომეტებული რისკი, ის წარსულში ნასამართლევი პირი იყო, რომელიც დისციპლინურად დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა, არ იყო მიდრეკილი თვითდაზიანებისკენ, არ ჰქონდა პროგრამებში მონაწილეობის, სწავლისა და მუშაობის სურვილი და უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა მათ მიმართ, აზრს გამოხატავდა აგრესიის გარეშე, კომუნიკაციის უნარებთან დაკავშირებით სირთულეები არ იკვეთებოდა.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა მსჯავრდებულს არაერთი დისციპლინური სახდელი ჰქონდა დაკისრებული; ასევე, შემთხვევები, სადაც არც სახდელი და არც წახალისება არ ჰქონდათ. არაერთ შემთხვევაში მითითებული იყო, რომ მსჯავრდებულს ჰქონდა სოციალურ და სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის, სწავლისა და მუშაობის სურვილი, მაგრამ არ ჰქონდა შესაძლებლობა. ამასთან, იყო შემთხვევები, სადაც ამის საწინააღმდეგო პოზიცია ფიქსირდებოდა. იყო შემთხვევები, სადაც პატიმრებს ჰქონდათ ადმინისტრაციის მიმართ კარგი დამოკიდებულება და პირიქითაც. იგივე შეიძლება ითქვას ოქმებში მითითებულ ინფორმაციასთან მიმართებითაც, რაც შეეხებოდა პატიმართა მიერ ქცევების და ემოციების კონტროლის, აზრის აგრესიის გარეშე გამოხატვის, პრობლემებთან გამკლავების უნარებს. პატიმრები, რომელთა სარჩელები არ დაკმაყოფილდა, იყვნენ როგორც წარსულში ნასამართლევი, ასევე, ნასამართლობის არმქონე პირებიც.

რამდენიმე შემთხვევაში მსჯავრდებულები მიუთითებდნენ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და წარადგინეს სამედიცინო დოკუმენტაცია, თუმცა ამ საკითხზე რაიმე მსჯელობა გადაწყვეტილებაში არ გვხვდებოდა.

ერთ საქმეში[435] მ. ვ. მომეტებული რისკი ჰქონდა განსაზღვრული. ნასამართლობის არმქონე პირი, მსჯავრდებული იყო ტერორისტული აქტის მომზადებისთვის, დისციპლინური სახდელი დაკისრებული ჰქონდა ერთხელ 2018 წელს და გადაფასების შემდეგ არ ყოფილა, წახალისება არ ჰქონია, თვითდაზიანებისკენ, მიდრეკილი არ იყო, ჰქონდა პროგრამებში მონაწილეობის, სწავლისა და მუშაობის სურვილი, არ ჰქონდა ურთიერთობა ანტისოციალური ქცევის მქონე პირებთან, კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, აზრს გამოხატავდა აგრესიის გარეშე, აკონტროლებდა ქცევებს და ემოციებს. საიდუმლო ინფორმაცია დაფარულია. საგულისხმოა, რომ მსჯავრდებულმა წარადგინა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ პატიმარი ჩაირიცხა უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე და სარგებლობდა აქტიური სტუდენტის სტატუსით, ჰქონდა ფსიქოლოგის დადებითი დახასიათებაც.

სხვა საქმეში[436] მსჯავრდებულ გ. ვ.-ს 2021 წლის დეკემბერში, მაღალი რისკი დაუდგინდა რისკების ვადაზე ადრე გადაფასების შედეგად და აღნიშნულის მიზეზად ქცევის მკვეთრად შეცვლა მიეთითა. 2018 და 2021 წელს მას მომეტებული რისკი ჰქონდა

[435] საქმე N3/8666-22.
[436] საქმე N3/44-22.

განსაზღვრული. პატიმარი არ იყო წარსულში ნასამართლევი, მსჯავრდებული იყო სსკ-ის 140-ე და 141-ე მუხლებით. ოქმში, მითითებული იყო 2019 წელს გ.ვ.-სა და სხვა პატიმრებს შორის დაპირისპირების და 2021 წელს სხვა პატიმრის მიერ გ.ვ-სთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შედეგად გ.ვ.-ს დაზიანების თაობაზე. მსჯავრდებულს 2018 და 2021 წელს განესაზღვრა მომეტებული რისკი. პატიმარი არ იყო მიდრეკილი თვითდაზიანებისკენ, წახალისება მის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული, დისციპლინური სახდელი დაკისრებული ჰქონდა 6-ჯერ (2017 წელს - 1 და 2021 წელს - 5), აქედან 4 დისციპლინური სახდელი დაეკისრა მომეტებული რისკის განსაზღვრის შემდეგ. არ იცავდა თანამშრომელთა მოთხოვნას, არღვევდა წესებს და მოცემულ ეტაპზე პატივისცემას არ იჩენდა თანამშრომლების მიმართ, არ ჰქონდა პროგრამებში მონაწილეობის, სწავლის და მუშაობის სურვილი. პატიმარი მიუთითებდა, რომ დისციპლინურების შესახებ მისთვის ცნობილი არ იყო და სწორედ ისინი დაედო საფუძვლად მაღალი რისკის მინიჭებას, რის გამო ითხოვდა ვიდეოჩანაწერების გამოთხოვას. პენიტენციური სამსახურის წერილით პატიმარს ეცნობა, რომ სახალხო დამცველის აპარატის წერილობითი მიმართვის საფუძველზე დაარქივებული ვიდეო მასალა სასამართლოს გადაეცემოდა მოთხოვნისთანავე. თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ დისციპლინური სახდელის გადაწყვეტილებები მსჯავრდებულს არ გაუსაჩივრებია და მოცემული დავის ფარგლებში სურდა ამ განკარგულებების კანონიერების შემოწმება, ხოლო სასამართლო ვერ იმსჯელებდა იმ განკარგულებების კანონიერებაზე, რაც დავის საგანს არ წარმოადგენდა. ასევე, არ დაკმაყოფილდა ვიდეოჩანაწერების გამოთხოვის შესახებ მსჯავრდებულის შუამდგომლობა. პატიმარს არ ჰყავდა ადვოკატი.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ მსჯავრდებულ გ.ვ.-ს საქმის შესწავლის[437] შედეგად დადგინდა, რომ მას არ დაურღვევია დაწესებულებაში არსებული წესრიგი და მის მიმართ გამოცემული დისციპლინური სახდელის გადაწყვეტილებები არ იყო კანონის დაცვით შედგენილი, რასაც ადასტურებდა მოცემულ საქმეზე დაარქივებული ვიდეომასალა. შესაბამისად, სახალხო დამცველმა წინადადებით[438] მიმართა იუსტიციის მინისტრს დაწესებულების თანამშრომლების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების, ასევე, რისკის დამძიმების გადაწყვეტილების გადახედვის თაობაზე. სამინისტროს მიერ არ დადგინდა გ. ვ.-ს უფლებების დარღვევის ფაქტი.[439]

მსჯავრდებულმა ა. ლ.-მ საქმეზე[440] პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს, ხოლო უზენაესმა სასამართლომ პატიმრის სასარგებლო გადაწყვეტილება გააუქმა და პენიტენციური სამსახურის პოზიცია გაიზიარა.

---

[437] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 107-108 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> [ბოლოს ნანახია: 31.01.2024 წ.].

[438] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 18 მაისის N15-9/5147 წინადადება.

[439] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 11 ივლისის N206261/01 წერილი.

[440] საქმე N3/3388-22.

საგულისხმოა, რომ ხსენებულმა პატიმარმა მაღალი რისკის მინიჭების გადაწყვეტილება 2-ჯერ: 2021 და 2022 წწ.-ში გაასაჩივრა.[441]

მსჯავრდებულს 2021 წლის 21 აპრილს მიენიჭა მაღალი რისკი და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსება განესაზღვრა, რაც სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომ სარჩელის სასამართლოში შესვლიდან 8 თვეში, 2022 წლის 21 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით[442], არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის სარჩელი. საგულისხმოა, რომ 3 თვეში მას უწევდა ხელახალი გადაფასება და სააპელაციო წესით აღარ გაუსაჩივრებია.

2022 წლის 18 აპრილს, მსჯავრდებულის რისკების გადაფასების შედეგად კვლავ მაღალი რისკი დაუდგინდა და სასჯელის მოხდა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განესაზღვრა. 2022 წლის 12 აგვისტოს, პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის სარჩელი და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ბრძანება და ოქმი მაღალი რისკის განსაზღვრის შესახებ, ასევე, დაევალა მოპასუხეს გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი აქტის გამოცემა.[443]

მსჯავრდებული ნასამართლევი იყო სსკ-ის 378[2] მუხლის პირველი ნაწილით (5 ეპიზოდი), 109-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით და 179-ე მუხლის მე-3 ნაწილით, დანაშაული (აკრძალული ნივთის შენახვა) ჩადენილი ჰქონდა პენიტენციურ დაწესებულებაში, 34-ჯერ დისციპლინური სახდელი დაეკისრა 2015-2021 წწ.-ში, 2015-2019 წწ-ში - 4-ჯერ წახალისება იქნა გამოყენებული. განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში ყოფნისას თვითდაზიანების ფაქტს ადგილი არ ჰქონია, 2016-2017 წწ.ში - თვითდაზიანების მიზეზად პატიმარმა ძირითადად სულიერი აღელვება დაასახელა. 2016, 2017 და 2018 წელს მაღალი რისკი ჰქონდა განსაზღვრული, 2019 წელს - მომეტებული, ხოლო 2021 და 2022 წელს - მაღალი. რისკების ბოლო გადაფასების შემდეგ პატიმრის მხრიდან ადგილი არ ჰქონია თვითდაზიანების მიყენების/მცდელობის ფაქტს ადგილი, ასევე, ადგილი არ ჰქონია დებულების მოთხოვნების დარღვევას, ჰქონდა სარეაბილიტაციო და სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის, სწავლისა და მუშაობის სურვილი, შესაძლებლობა - არა. თავაზიანი იყო თანამშრომლებთან მიმართებით, სამომავლო გეგმებზე არ პასუხობდა, საკუთარ აზრს გამოხატავდა აგრესიის გარეშე, შეეძლო ემოციების და ქცევების კონტროლი.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პირის ქცევის დადებით მახასიათებლებზე. სასამართლოს მოსაზრებით, საყურადღებო იყო ის გარემოება, რომ სადავო სხდომის ოქმი არ შეიცავდა სათანადო დასაბუთებას, თუ რატომ არ იქნა მხედველობაში მიღებული მსჯავრდებულის რისკის ბოლო გადაფასების შემდეგ მსჯავრდებულის ქცევის ცვლილება დადებითი კუთხით (არ დაურღვევია წესრიგი, იყო თავაზიანი და აგრესიის გარეშე გამოხატავდა აზრს). ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის

[441] საქმეები N3/2631-21 და N3/3388-22.
[442] საქმე N3/2631-21.
[443] საქმე N3/3388-22.

განმარტებაზე, რომ მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული აქტივობებში, რის შედეგადაც მან მიიღო შესაბამისი სიგელები. მაღალი რისკის განსაზღვრის პერიოდში მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული მეწარმეობის პროგრამაში, სადაც მისი ნამუშევრებით დაწესებულებამ გაიმარჯვა. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ იმჟამად მას ჰქონდა სოციალურ აქტივობაში ჩართვის სურვილი, მაგრამ არ ჰქონდა შესაძლებლობა, გამოწვეული იყო სწორედ განსაკუთრებული რისკის განსაზღვრის გამო დაწესებულების რეჟიმის გათვალისწინებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში პატიმრის მიერ სოციალურ აქტივობაში მონაწილეობის ფაქტი ასახული არ იყო მსჯავრდებულის შესახებ მონაცემთა დამუშავების შესაბამის ფორმაში. ამდენად, აღნიშნული გარემოება გამოკვლეული არ იყო სადავო გადაწყვეტილების მიღებისას და მის შესახებ დასაბუთებას სადავო ოქმი არ შეიცავდა. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში არ ყოფილა მიღებული ა.ლ-ის ქცევის დადებითად შეცვლის ფაქტორი.

შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, სამომავლოდ სადავო საკითხის გადაწყვეტისათვის არსებული საიდუმლო ინფორმაციის დამუშავებისას მოეძიებინა და დაედგინა ისეთი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც ღია ინფორმაციასთან ერთობლიობაში, საკმარისი იქნებოდა გადასაწყვეტი საკითხის სათანადო დასაბუთებისათვის. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო შემთხვევაში, პატიმრის ქცევა დადებითად იყო შეცვლილი, გამოთქვამს სურვილს შეთავაზების შემთხვევაში ჩაერთოს სოციალურ აქტივობებში და ბოლო გადაფასების შემდეგ შეიცვალა დამოკიდებულება დაწესებულების მოთხოვნების მიმართ. შესაბამისად, დებულება არ დაურღვევია; ასევე, შეცვლილია მსჯავრდებულის დამოკიდებულება ქცევის კონტროლის კუთხით, აზრს აგრესიის გარეშე გამოხატავს და შეუძლია ემოციების მართვა და კონტროლი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ოქმში აღნიშნული ფაქტების გამაბათილებელი გარემოებები ასახული არ არის.

2022 წლის 12 დეკემბერს, სააპელაციო სასამართლომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჩივარი არ დააკმაყოფილა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია. საგულისხმოა, რომ **სააპელაციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება შეიძლება გამოვყოთ როგორც კარგი მაგალითი, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილებაში მიეთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით დადგენილ პატიმართა მიმართ მოპყრობის სტანდარტებსა და ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის საკითხებზე.**

2023 წლის 6 ივლისს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჩივარი დააკმაყოფილა და გააუქმა ქვედა ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლითაც გაზიარებული იყო მსჯავრდებულის პოზიცია. საკასაციო პალატას არ უმსჯელია პატიმართა უფლებების სტანდარტებზე, სასჯელის მიზანზე - რესოციალიზაციის თვალსაზრისით და აქცენტი მხოლოდ წარსულში პატიმრის მიერ

ჩადენილ ქმედებებზე გააკეთა, ხოლო ქცევის დადებითი დინამიკა მის საწინააღმდეგოდ გამოიყენა.

უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე, მათ შორის პენიტენციურ დაწესებულებაში ჩადენილ ფაქტებზე, დისციპლინურ დარღვევებზე, თვითდაზიანებებზე, დადებით ქცევასა და სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის სურვილზე; ასევე, მიუთითა საიდუმლო ინფორმაციაზე და იმაზე, რომ მსჯავრდებულის საშიშროების რისკისა და მისი შესაბამის დაწესებულებაში განთავსების საკითხის განსაზღვრა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდი ითვალისწინებს არა მხოლოდ პატიმრის პერსონალურ, პირად ინტერესებს, არამედ დაწესებულების, გარშემომყოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებისათვის მსჯავრდებულისგან მომდინარე საშიშროების ხარისხს, სხვა პატიმართა უსაფრთხოებას. ასევე, მსჯავრდებულთა კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების თაობაზე გადაწყვეტილება იმგვარად უნდა იქნეს მიღებული, რომ მიღწეულ იქნეს როგორც სასჯელის მიზნები, აგრეთვე, პენიტენციური სისტემის გამართული ფუნქციონირება.

უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულთათვის საშიშროების რისკის განსაზღვრა სხვადასხვა საკითხთა ერთობლივ შეფასებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნულ კომპლექსურ პროცესში გადაწყვეტილების მიმღები ორგანო სარგებლობს მიხედულების ფართო ფარგლებით, რამდენადაც საკითხის სპეციფიკურობა და მსჯავრდებულებზე ყოველდღიური დაკვირვების ფაქტობრივი შესაძლებლობა ამარტივებს ზემოხსენებულ კრიტერიუმთა შეფასების პროცესს. ცხადია, აღნიშნული არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს უკონტროლო თავისუფლებას და სასამართლო რევიზიის სრულ გამორიცხვას, თუმცა თავისუფალი მოქმედების ფართო არეალი გარკვეულწილად ავიწროვებს სასამართლო კონტროლის ფარგლებს.

მართალია, სასამართლო მიესალმება მსჯავრდებულთა ჩართულობას სოციალურ აქტივობებში, მათ კარგ ყოფა-ქცევას პენიტენციურ დაწესებულებაში, თუმცა აქვე განმარტავს, რომ მსჯავრდებულის დადებითი კუთხით ცვლილება არის ერთ-ერთი, თუმცა არა ერთადერთი და გადამწყვეტი ფაქტორი მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრისათვის. პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილი კარგი ქცევა, შესაძლოა, იყოს დროებითი, შედარებით მკაცრი რეჟიმის მქონე პენიტენციური დაწესებულებისაგან თავის დაღწევის სურვილით განპირობებული. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს მსჯავრდებულის ზოგად ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას და მის განზრახვას ჩადენილი თითოეული პოზიტიური ქმედებისადმი. სასამართლოს პოზიციით, ხშირ შემთხვევაში, მსჯავრდებულის ქცევის დადებითი გამოვლინება, შესაძლოა, იყოს დამაბნეველი, ერთი შეხედვით იმის მიმანიშნებელი, რომ მსჯავრდებული გამოსწორებულია და მისი საშიშროების რისკი შემსუბუქებულია, თუმცა, რეალურად, შესაძლებელია, ქცევის ცვლა

აიხსნებოდეს მსჯავრდებულის პირადი დაინტერესებით, რომ შეიმსუბუქოს საშიშროების რისკი და თავი დააღწიოს მკაცრი რეჟიმის პენიტენციურ დაწესებულებას. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ეჭვის საფუძველს ქმნის, განსაკუთრებით, ისეთი ვითარება, როდესაც მსჯავრდებულს ზოგადად ახასიათებს ნეგატიური ქცევა, ხოლო, დროის მოკლე მონაკვეთში, მისი ქცევა საგრძნობლად დადებითად იცვლება. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის მართებული განსაზღვრა ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს მთელი რიგი ღირებულებების დაცვის კუთხით. შესაბამისად, რისკის გადაფასების პროცედურების მართებული წარმართვა, მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის სწორი განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს ყოველგვარი ეჭვის მაქსიმალურ გამორიცხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკითხისადმი არასიღრმისეულმა და ზედაპირულმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს გამოუსწორებელი სავალალო, უარყოფითი შედეგები. სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებები ქმნის იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მსჯავრდებულის ქცევის დადებითად შეცვლის დროს გადამწყვეტია არა ზოგადად ქცევის გამოსწორება, არამედ მსჯავრდებულის დამოკიდებულება ამგვარი ცვლილებისადმი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებითია განისაზღვროს, მსჯავრდებულის ცვლილება არის რეალური, თუ გარკვეული პირადი მიზნებით ნაკარნახევი. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერად მიჩნევა არ გამორიცხავს, სამომავლოდ, მსჯავრდებულ ა.ლ-ის მხრიდან პენიტენციურ დაწესებულებაში დადებითი ქცევის განგრძობის შემთხვევაში, საშიშროების გადაფასების შედეგად მისთვის შედარებით მსუბუქი რისკის განსაზღვრას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის პატიმართა რესოციალიზაციის მიზნებთან სრულ შესაბამისობაში და მსჯავრდებულის უფლებრივ საკითხზე ნეგატიურად აისახება. რისკების პერიოდული გადაფასების მიზანი სწორედ პატიმრის გამოსწორებაა, მისი ჩართვა სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებებში. სწორედ ეს 12-თვიანი პერიოდი აქვს მსჯავრდებულს, რათა საკუთარი ქცევით, დებულებისა და რეჟიმის დაცვით, პროგრამებში და აქტივობებში მონაწილეობის გზით დაადასტუროს დადებითი ცვლილება. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ეს გარემოება მოჩვენებითად მიიჩნია და მიუთითა, რომ დადებითი ქცევა რისკის შეცვლას ისახავდა მიზნად. **მთავარი სწორედ პატიმრის ქცევაში გამოვლენილი კონკრეტული ქმედებაა, რაც აშკარად დადებითისკენ შეიცვალა, თუმცა ეს გარემოება სამწუხაროდ, სასამართლომ მსჯავრდებულის საუარესოდ ჩათვალა.** აქვე უნდა ითქვას, რომ თუ უფრო ნაკლები რისკის დადგენის შემდეგ, მსჯავრდებულის ქცევა მკვეთრად შეიცვლება უარესობისკენ, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს აქვს შესაძლებლობა ვადამდე გადაუფასოს[444] საშიშროების რისკი და დაუმძიმოს კიდეც. შესაბამისად, თუ მსჯავრდებულის ქცევა მოჩვენებითად ატარებდა დადებით ხასიათს, მისი რეალურად გაუარესების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო კვლავ მაღალი რისკის მინიჭებაც,

[444] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანების დანართი, მუხლ. 17, პუნქტ. 2, ქვეპუნქტ. „ა"-„დ".

შესაბამისი საფუძვლების არსებობისას. ამდენად, გუნდისა და სასამართლოს შეფასების საგანი პატიმრის ქცევაა და არა კონტექსტის გარეშე - განზრახვა.

პატიმართა სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა

პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულთა სარჩელები ნაწილობრივ დააკმაყოფილა 3 საქმეში.

ხსენებული საქმებიდან 2 საქმე მსგავსი გარემოებებით გამოირჩეოდა: მსჯავრდებულებს: ი. ფ.-ს[445] და გ. ც.-ს[446] განსაზღვრული ჰქონდათ საშიშროების მომეტებული რისკი და შესაბამისად, სასჯელის მოხდა დახურული ტიპის დაწესებულებაში. საგულისხმოა, რომ ი.ფ. მსჯავრდებული იყო სსკ-ის 25, 109-ე მუხლით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით, ხოლო გ.ც. სსკ-ის 109-ე მუხლით. ისინი არ იყვნენ წარსულში ნასამართლევები, იცავდნენ რეჟიმის და დაწესებულების დებულების მოთხოვნებს, ჰქონდათ სარეაბილიტაციო და სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის, სწავლის და დასაქმების სურვილი, შესაძლებლობა - არა; ჰქონდათ კარგი ურთიერთობა თანამესაკნესთან და ადმინისტრაციასთან; სამომავლო გეგმები უკავშირდებოდა ოჯახს, ადვილად შედიოდნენ კონტაქტში, მოწესრიგებულები, არ ვლინდებოდა გარესამყაროსთან ადაპტაციის და კომუნიკაციის სირთულეები. დისციპლინური სახდელი მხოლოდ ერთხელ ი.ფ.-ს 2017 წელს დაეკისრა, წახალისებულები არ ყოფილან, არ იყვნენ მიდრეკილნი თვითდაზიანებისკენ, ი.ფ.-ს 2-ჯერ, ხოლო გ.ც.-ს 3-ჯერ დაუდგინდათ მომეტებული რისკი. გუნდის გადაწყვეტილებით, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მათი განთავსება, სადაც სასჯელს იცდის პატიმართა დიდი რაოდენობა საფრთხის შემცველი იქნება როგორც დაწესებულების უსაფრთხოების, ასევე, პენიტენციური სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის. ისინი მიუთითებდნენ ჯანმრთელობის პრობლემებზეც. იფ.-ს საქმეში დამატებით წარდგენილი იყო სახელმწიფო ჯილდოები და ორდენები. ხსენებულ ორივე საქმეში საიდუმლო ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ იყო. მოსარჩელეების თქმით, გაუგებარი იყო რატომ ჰქონდათ მომატებული რისკი.

მისასალმებელია მოცემულ საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებებში განვითარებული არგუმენტირებული მსჯელობა და ჩამოყალიბებული სწორი სამართლებრივი პოზიცია:

სასამართლომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით, აღნიშნა, რომ დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს სრულ თავისუფლებას არ გულისხმობს და ის მოაზრებულია როგორც სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლება. უნდა შეფასდეს დისკრეციული უფლებამოსილების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, რაც მის დასაბუთებულობასაც გულისხმობს და თუ ამ უფლებამოსილების გამოყენება ადამიანის უფლების შესაძლო შეზღუდვას

[445] საქმე N3/1718-22.
[446] საქმე N3/1721-22.

ეხება, უნდა შეფასდეს მისი საჭიროებაც, ანუ მიზანშეწონილობაც. ამის შეფასების გარეშე არსებობს საფრთხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების შესახებ.

სასამართლომ განმარტა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერებაზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს დასაბუთება და საკითხის გადაწყვეტა, რაც უნდა ეფუძნებოდეს საქმის გარემოებების ობიექტურად გამოკვლევას. შეფასებისას სასამართლო ამოწმებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ მის კანონიერებასა და დასაბუთებულობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეაფასოს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მისაღები იყო არსებული შესაძლებლობიდან.

სასამართლომ გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და დასაბუთებულობის გადამოწმების მიზნით, გამოითხოვა გუნდის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი სხდომის ოქმი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაციის შემცველობით. სასამართლო არ არის უფლებამოსილი ეს ინფორმაცია მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე მხარეს გააცნოს და სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახოს. თუმცა, მოცემული მტკიცებულების გამოკვლევა სასამართლოს მიერ განხორციელდა კანონის დაცვით, სხვა მტკიცებულებებთან ერთად. სასამართლო მიუთითებს სწორედ ამ მტკიცებულებაზე, გუნდის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი სხდომის ოქმის შინაარსზე, მისი გამოცემის ფაქტობრივ საფუძვლებზე, მოწმეთა ჩვენებზე (სადაც დაიკითხნენ) სამართლებრივ ნორმებსა და საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ მათი ურთიერთშეჯერების შედეგად რწმუნდება, რომ გუნდის გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული იმდენად არასრული და დაბალი სტანდარტისაა. აღნიშნული არ შეიძლება გამხდარიყო აქტის გამოცემის საფუძველი, მით უფრო მსჯავრდებულის საწინააღმდეგო აქტის გამოცემის.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია ყველა სათანადო ინფორმაცია, რაც მსჯავრდებულის რისკების შეფასების პროცესში უნდა ყოფილიყო, შეფასების თაობაზე არ ეცნობა მსჯავრდებულს და ამით წაერთვა შესაძლებლობა რისკების შეფასების გუნდისთვის გარკვეული ინფორმაცია მიეწოდებინა. შესაბამისად, სრულად გამორიცხული იყო ამ პროცესში ეფექტიანი მონაწილეობისგან. ამასთან, მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შეიცავდა არანაირ დასაბუთებას, თუ რატომ დარჩა მსჯავრდებული იმავე საშიშროების ტიპის დაწესებულებაში. სასამართლო მოპასუხეს მიუთითებს დისკრეციაზე, თუმცა დაუსაბუთებლობაზე. მხარემ უნდა იცოდეს მის მიმართ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მოტივაცია.

გარდა ამისა, სასამართლო მიუთითებს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანება, საკანონმდელო აქტის მითითების გარდა, არ შეიცავს არავითარ მითითებას მსჯავრდებულისთვის კონკრეტული რეჟიმის განსაზღვრისას თუ რის საფუძველზე მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრძანების საფუძვლად მითითებულია გუნდის საიდუმლო სხდომის ოქმი. თავის მხრივ ამ ოქმში გადატანილია ინფორმაცია გასულ წლებში პატიმრის რისკების შეფასების თაობაზე

და მონაცემთა პირველადი დამუშავების ფორმიდან ამოღებული ინფორმაცია პატიმრის ქცევის შესახებ სასჯელის მოხდისას, სადაც [პატიმრისთვის] უარყოფითი ინფორმაცია არ არის. გ.ც.-ს საქმეში სასამართლომ დაამატა, რომ მეტიც, მოწმეთა ჩვენებებით, არ გამოიკვეთა უარყოფითი ქცევა და მხოლოდ ოპერატიული ინფორმაცია მიუთითეს. ნებისმიერი რისკის შეფასების პროცესი, რასაც შედეგად მოჰყვება ამა თუ იმ რეჟიმის განსაზღვრა უნდა იყოს დასაბუთებული, უნდა იცოდეს კონკრეტულად რა გარემოება გახდა უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, რათა მიეცეს მისი გამოსწორების შესაძლებლობა. გუნდმა ასევე არ შეისწავლა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომაროება, რომელიც გაუუარესდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ.

სასამართლომ დაასკვნა, რომ სათანადოდ არ ყოფილა გამოკვლეული, შეფასებული და დასაბუთებული მსჯავრდებული მოსარჩელის რისკის შეცვლასთან დაკავშირებული გარემოებები.

საინტერესოა სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულყოფილად გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის, ურთიერთშეჯერებისა და შესაბამისი შეფასების შემდეგ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსარჩელისთვის დადგენილი რისკის სახის შეცვლისა და მსჯავრდებულის ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანასთან დაკავშირებით, კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით, გამოიკვლიოს ყველა გარემოება და დაასაბუთოს აღნიშნული გარემოებები, რადგან როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მსჯავრდებული წარსულში ძალოვანი უწყების მაღალი თანამდებობის პირი იყო. სადავო აქტის დასაბუთებისას არ დგინდება ასეთ გადაწყვეტილებას საფუძვლად ხომ არ უდევს მსჯავრდებულის პირადი უსაფრთხოება. სწორედ ერთ-ერთ მათგანს, როგორც მაღალკვალიფიციურ პოლიციელს, ისე აქვს მიღებული სერტიფიკატები, მედლები და ჯილდოები, ის ებრძოდა კრიმინალს, და ციხე სწორედ ის ადგილია, სადაც სასჯელს იხდიან მსჯავრდებულები ჩადენილი დანაშაულებისთვის, რის წინააღმდეგაც იბრძოდა წლების განმავლობაში. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ გარემოებების სამართლებრივ შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხის გადაწყვეტისთვის, რამეთუ შესაძლოა აღნიშნული გახდეს მოსარჩელისთვის ხელსაყრელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი.

2022 წლის 11 აგვისტოს ი.ფ.-ს[447] სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის სხდომის ოქმი და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება და დაევალა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური

[447] საქმე N3/1718-22.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით. 2023 წლის 7 მარტს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2023 წლის 10 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება, სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დაუშვებლად.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეზე 3 ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულის სასიკეთო გადაწყვეტილება მიიღო და 2023 წლის 17 ნოემბერს, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელიც, რომელშიც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღად 2023 წლის 10 ოქტომბერია მითითებული, მსჯავრდებულის რისკების შეფასების საკითხში არაფერი შეცვლილა. მსჯავრდებულ ი. ფ.-ს მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ დოკუმენტში ჩამოყალიბებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის პოზიციით[448] ირკვევა, რომ დადგენილი წესით, 2023 წლის 10 აგვისტოს განხორციელდა პატიმრის საშიშროების რისკების გადაფასება და კვლავ დაუდგინა საშიშროების მომეტებული რისკი და სასჯელის მოხდა დახურული ტიპის დაწესებულებაში განესაზღვრა; 2022 წლის 18 თებერვლის (გასაჩივრებული ბრძანება) აღარ აწესრიგებს მის სამართლებრივ მდგომარეობას, გამოცემულია ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი. საგულისხმოა, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე მოხდა რისკების გეგმური გადაფასება, რაც 18 თვეში გადაისინჯება, ხოლო პატიმრის საქმის განხილვას, პირველი ინსტანციის სასამართლოში შესვლიდან (ხარვეზის ჩათვლით) უზენაეს სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე, დასჭირდა 1 წელსა და 6 თვეზე ოდნავ მეტი (1 წელი, 6 თვე და 22 დღე) დრო.

გ. ც.-ს[449] საქმეში, 2022 წლის 28 დეკემბერს, პატიმრის სარჩელი ასევე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა და არგუმენტაცია ზემოაღნიშნული ი. ფ.-ს საქმის მსგავსია. როგორც უკვე ითქვა, ამ საქმეების ფაქტობრივი გარემოებებიც თანხვედრაში იყო. გ. ც.-ს საქმეში მოწმის სახით დაიკითხნენ რისკების შეფასების გუნდის წევრები. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მოწმის სახით დაკითხულმა რისკების შეფასების გუნდის წევრმა აღნიშნა, რომ დაეყრდნო წერილობით მასალას და მისთვის გადამწყვეტი როლი შეასრულა ოპერატიულმა ინფორმაციამ. მისივე განმარტებით, სხდომის ოქმი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას დაინტერესებული პირი ფლობდეს ინფორმაციას მომეტებული რისკის მატარებლის სტატუსის მინიჭების საფუძველთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საყურადღებოა რისკების შეფასების გუნდის უფროსის ჩვენება, რაზეც სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ უშუალოდ ამ კონკრეტული პატიმრის მიმართი რისკები საკითხი 3-ჯერ იქნა განხილული და კრიტერიუმების მიხევდით, აკმაყოფილებს საშუალო რისკის მატარებლის სტატუსს, არანაირი ცუდი ქცევა და არანაირი

[448] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 8 ნოემბრის N311009/01 წერილი.
[449] საქმე N3/1721-22.

კანონდარღვევა არ ჰქონია, თუმცა ოპერატიული ინფორმაციის გათვალისწინებით, მინიჭებული იქნა მომეტებული რისკის სტატუსი. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო ოპერატიული ინფორმაცია და მან მიიჩნია, რომ არ შეიძლებოდა მისი მოთავსება ნახევრად ღია დაწესებულებაში. ამ პატიმრის შესახებ დანარჩენმა წევრებმაც მიიღეს იგივე გადაწყვეტილება, რადგან გადამწყვეტი იყო ოპერატიული ინფორმაცია. თუ გუნდი ჩათვლის საჭიროდ შეკითხვის პასუხად, მოწმემ განმარტა, რომ მსჯავრდებულმა უნდა იცოდეს თუ რატომ იქნა მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება მის მიმართ, ოქმი უნდა იყოს დასაბუთებული, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, ოქმში დეტალები არ წერია, რადგან შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას.

მოცემულმა საქმემ ცხადყო, რომ მოწმეთა დაკითხვისას მიღებულმა ინფორმაციამ არსებითი გავლენა მოახდინა სასამართლოს გადაწყვეტილების ხარისხზე და სასამართლოს მისცა შესაძლებლობა მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. **სამწუხაროა, რომ მოწმეთა დაკითხვის პრაქტიკა არ არის ხშირი და უმრავლეს შემთხვევაში არ ფიქსირდება.**

თუმცა, მიუხედავად პატიმრის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტისა, 2023 წლის 26 სექტემბერს, სააპელაციო სასამართლოში პენიტენციური სამსახურის სააპელაციო საჩივარზე წარმოება შეწყდა აპელანტის - სამსახურის მიერ საჩივარზე უარის თქმის გამო და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.[450] აუცილებელია აღინიშნოს, რომ პენიტენციური სამსახური წარმოების შეწყვეტის შუამდგომლობაში მიუთითებდა 2023 წლის 10 აგვისტოს რისკების ხელახალ გადაფასებაზე, რომლის შედეგად მსჯავრდებულს კვლავ მომეტებული რისკი განესაზღვრა. ამ საქმეზეც პირველ ინსტანციაში საქმის შესვლიდან (ხარვეზის ჩათვლით) სააპელაციო სასამართლოში განხილვამდე 1 წელი, 6 თვე და 8 დღე დასჭირდა. შესაბამისად, გეგმიურად გადაფასდა მსჯავრდებულის საშიშროების რისკიც.

სხვა საქმეში, მსჯავრდებულ გ.მ.-ს[451] სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულის საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ეს პოზიცია გაიზიარა უზენაესმა სასამართლომაც. მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: გ.მ-ე მსჯავრდებულია 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით და სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. მსჯავრდებული გ.მ.-ე არ იყო წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის მქონე. მიმდინარე სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა. თვითდაზიანების მიყენების ან მცდელობის ფაქტს მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია. მსჯავრდებულ გ.მ.-ეს არ ჰქონდა პროგრამებში მონაწილეობის, სწავლის და მუშაობის სურვილი, უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. არ იყო კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი. პატივისცემას არ იჩენდა ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ. არ იყო

[450] 2023 წლის 29 ნოემბერს, პირველი ინსტანციის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი.
[451] საქმე N3/7231-21.

მოტივირებული ცვლილებებისაკენ. გააზრებული და გაცნობიერებული არ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული და მისი უარყოფითი ხასიათი. არ გააჩნდა პრობლემებთან გამკლავების უნარი. არ იყო კომუნიკაბელური და თავაზიანი. გუნდის განმარტებით, მსჯავრდებულის გ.მ-ის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსება, სადაც სასჯელს იხდის მსჯავრდებულთა დიდი რაოდენობა, საფრთხის შემცველი იქნებოდა როგორც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების უსაფრთხოების, ასევე პენიტენციური სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის. მსჯავრდებულ გ.მ-ეს განესაზღვრა საშიშროების მომეტებული რისკი და სასჯელის მოსახდელად განესაზღვრა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. საიდუმლო ინფორმაცია დაფარულია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გ.მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი სხდომის ოქმის ამონაწერი და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანება და დაევალა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც განისაზღვრება საშიშროების შესაბამისი რისკი, მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს არამხოლოდ ფაქტებზე, რომლის ერთმანეთს დაუპირისპირდა, არამედ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ასახოს მსჯელობა, რომელიც ახსნის ამგვარი გადაწყვეტილების კანონზომიერებას. ამგვარი დასაბუთების გარეშე შეუძლებელია დადგინდეს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების მართლზომიერება და შესაბამისად, მისი კანონშესაბამისობა. ამგვარი დასაბუთება სასამართლოს აზრით, გასაჩივრებულ ბრძანებაში არ არის.

ხაზგასასმელია, რომ სასამართლოს პოზიციით, ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების არსებობა, ერთმნიშვნელოვნად არ განაპირობებს მისი გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებას. სწორედ სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება, კერძოდ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების კანონით დადგენილ ფარგლებს გადაცილებით და კანონის მიზნის უგულებელყოფით განხორციელება. ამგვარად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის,

საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საკითხის გადაწყვეტის მიზნით მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, არა მხოლოდ მიუთითოს ფაქტორებზე, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას ერთმანეთს დაუპირისპირა საკითხის გადაწყვეტის მიზნით, არამედ მიღებულ გადაწყვეტილებაში უნდა ასახოს მსჯელობა, რომელიც ახსნის ამგვარი გადაწყვეტილების კანონზომიერებას. ამგვარი დასაბუთების გარეშე, შეუძლებელია დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების მართლზომიერება და შეფასდეს მისი კანონშესაბამისობა. განსახილველ შემთხვევაში კი, ამგვარი დასაბუთება გასაჩივრებულ ბრძანებაში ასახული არ არის. სადავო გადაწყვეტილება არ ემყარება საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაბამისად, სახეზეა სადავო საკითხის გადაუწყვეტლად სადავო აქტების ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ, ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი ინდივიდუალური საქმე

რისკების შეფასების საკითხზე მსჯელობისას გვსურს დამატებით გამოვეხმაუროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2023 წლის 25 დეკემბერს ი.კ.-ს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას,[452] სადაც მსჯავრდებულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყფილდა. მართალია, სასამართლოს გადაწყვეტილებაში პირდაპირ არ არის მითითებული, თუმცა გაზიარებულია ხსენებულ საქმეზე სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.[453] ამასთან, მიუხედავად სასამართლოს დადებითი გადაწყვეტილებისა, ფიქსირდება მისი პატიმრისთვის განხილვისა და გადაგზავნის გაჭიანურება: სასამართლომ გადაწყვეტილება 1 წლის შემდეგ მიიღო, ხოლო 2023 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება 2 თვენახევრის შემდეგ, 2024 წლის 11 მარტს[454] გაეგზავნათ მხარეებს (მათ შორის, პატიმარს).

[452] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/8218-22).
[453] სახალხო დამცველის 2023 წლის 1 აგვისტოს N15/7519 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[454] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 11 მარტის N3/8218-22 წერილი.

ი.კ. მსჯავრდებულია 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, არაძალადობრივი, მძიმე კატეგორიის, ეკონომიკური და მმართველობის წესის წინაღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის. 2018 წელს დაუდგინდა საშიშროების საშუალო რისკი და მცირე დროით ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს, 2020 წელს მსჯავრდებულმა სასამართლო წესით მოიპოვა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის უფლება. ხოლო გადაყვანიდან მე-2 დღეს მის მიმართ კვლავ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, რისთვისაც რამდენიმე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, თუმცა პატიმარი კვლავ დახურული ტიპის დაწესებულებაში დააბრუნეს. 2022 წელს, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, პატიმრის სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა საშიშროების რისკის გადაფასების პროცედურის წარმართვა.

2022 წელს, რისკების გადაფასების შედეგად, მსჯავრდებულს დაუდგინდა მომეტებული რისკის სახე. სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულის მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამართალდარღვევის ან დისციპლინური დარღვევის ჩადენას, წახალისებული იყო 3-ჯერ, მისი პიროვნების დამახასიათებელი რისკ ფაქტორები არ იკვეთებოდა. მსჯავრდებული არ იყო კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი. პატივისცემას იჩენდა დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ. იყო მოტივირებული ცვლილებებისკენ. გააზრებული და გაცნობიერებული ჰქონდა ჩადენილი დანაშაული და მისი უარყოფითი ხასიათი. იყო მშვიდი, გაწონასწორებული და თავაზიანი. ოქმში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულს არ აქვს სწავლის, მუშაობის, სარეაბილიტაციო და სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის სურვილი და პროგრამებში მონაწილეობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. აღნიშნულისგან რადიკალურად განსხვავებული ინფორმაცია ფიქსირდება იმავე უწყების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს ოქმებში, მსჯავრდებულს აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მსჯავრდებული გამოთქვამს სურვილს მიიღოს მონაწილეობა, რაც დაფიქსირებული აქვს წერილობითაც; მსჯავრდებული არის მოტივირებული და ინტენსიურად ეცნობა დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურას.

მსჯავრდებულ ი.კ.-ს საშიშროების „საშუალო“ რისკი გადაფასების შედეგად დაუმძიმდა და განესაზღვრა „მომეტებული“ რისკი. გადაწყვეტილების მიხედვით, პატიმრის ნებისმიერი ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, არსებობს დიდი რისკი, რომ მის მიმართ სხვა პატიმრების მხრიდან ადგილი ჰქონდეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას. საგულისხმოა, რომ ი.კ.-ს საქმე არის ერთ-ერთი იმ იშვიათ საქმეებს შორის, სადაც „დანართი N2“-ში მოცემული ინფორმაცია არ იყო საიდუმლო და გაეცნო პატიმარი და ასევე, საქმის შესწავლისას სახალხო დამცველის აპარატიც.

იმ პირობებში, როდესაც სახალხო დამცველის შეფასებით, პატიმრის ქცევა არ გაუარესებულა, მსჯავრდებულს დაუმძიმდა რისკი და აღნიშნულის მიზეზად მის მიმართ სხვა პატიმრების მხრიდან სავარაუდო ძალადობა დასახელდა. ეს ყოველივე კი იმ ფონზე,

როდესაც სახელმწიფო ვალდებულია ერთი მხრივ პატიმარს მიანიჭოს ის რისკის სახე, რომელიც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე შეესაბამება მსჯავრდებულს, მეორე მხრივ კი გაატაროს გონივრული ღონისძიებები იმისთვის, რომ მსჯავრდებული უსაფრთხოდ მოთავსდეს მისი რისკის შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში. ხოლო იმ შემთხვევაში თუ გატარებული ღონისძიებებით, კონკრეტული დროის მონაკვეთში, შეუძლებელი იქნება მსჯავრდებულის უსაფრთხოების დაცვა მაგალითად ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში, კანონმდებლობა აძლევს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მსჯავრდებულის დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსების შესაძლებლობას, ამგვარი საფრთხის აღმოფხვრამდე. თუმცა, ამ შემთხვევაში, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულს უნარჩუნდება მისი შედარებით დაბალი რისკისთვის გათვალისწინებული უფლებები. ამრიგად, **პატიმრის უსაფრთხოების მოტივით, მისთვის რისკის სახის დამძიმება და აქედან გამომდინარე - უფლებების შეზღუდვა, ვერ შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო დებულებების შესაბამის გადაწყვეტილებად.**

იმედს გამოვთქვამთ, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულის რისკების შეფასების გუნდი მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, ხოლო სასამართლო გონივრულ ვადებში იმსჯელებს პატიმრების საჩივრებზე და საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის შემდეგ გამოიტანს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს. ამასთან, იმედს ვიტოვებთ, რომ სასამართლო პრაქტიკა განვითარდება ზემოთ განხილული სასამართლოს პოზიტიური პრეცედენტების მსგავსად, რაც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა უფლებების ეფექტიან დაცვას და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზანს.

6.2. ნეიტრალური მტკიცებულებები

ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების გარეშე, ჩხრეკა-ამოღების ჩატარების პრობლემა 2023 წელსაც იყო სახალხო დამცველის აპარატის განხილვის საგანი. მისასალმებელია, რომ საანგარიშო წელს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში (Amicus Curiae) მითითებული არგუმენტები ნეიტრალური მტკიცებულებების მნიშვნელობასთან დაკავშირებით და ერთ-ერთ საქმეში მსჯავრდებული სრულად გაამართლა. იმედს ვიტოვებთ, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს საერთო სასამართლოების სწორი ერთიანი პრაქტიკის განვითარებას, რაც თავის მხრივ უბიძგებს სამართალდამცავ უწყებებს ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მოქმედებებისკენ.

საქართველოს სახალხო დამცველი გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებში მიუთითებდა სისხლის სამართლის საქმეზე ჩხრეკის ჩატარებისას ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების აუცილებლობის თაობაზე.[455]

[455] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 123-125; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის

2020 წლის 25 დეკემბრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ ჩხრეკის ამსახველი ნეიტრალური მტკიცებულების წარმოდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთის მოპოვება ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელია.[456] მიუხედავად ამისა, შემდგომ წლებში წარმოებული სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლის შედეგად კვლავ იკვეთებოდა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ჩხრეკის ჩატარებისას, შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულების უგულვებელყოფის შემთხვევები.

ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა უზენაეს სასამართლოს, საკითხის მნიშვნელობისა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, არსებითად განეხილა და ემსჯელა ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მნიშვნელობაზე სისხლის სამართლის საქმეში.[457]

მოცემულ საქმეში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 22 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებული სრულად გამართლდა.[458]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენში არ არის მითითებული სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაზე (Amicus Curiae), მისასალმებელია, რომ საკასაციო პალატის მიერ შეფასებული და გაზიარებულია სახალხო დამცველის არგუმენტები, ნეიტრალური მტკიცებულებების მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალების თანახმად, 2021 წლის დეკემბრის თვეში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების აუცილებლობის საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან თითქმის ერთი წლის გასვლის შემდეგ, გამოძიების მიმდინარეობისას

შესახებ, გვ. 108-109; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 146, 149.

[456] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე: „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", III, §1ა., რომლითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

[457] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 18 მაისის N15-2/4821 სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

[458] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 22 სექტემბრის განაჩენი, საქმე N268ბპ-23. საქმის მასალების თანახმად, მოქალაქე კ. ქ. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ ცნობილ იყო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით.

ბრალდების მხარეს არ უცდია, მოეპოვებინა პირადი ჩხრეკის ამსახველი იმგვარი ნეიტრალური მტკიცებულება რაც ობიექტურ დამკვირვებელს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში. ჩხრეკის შედეგად იარაღის ამოღების ფაქტს ადასტურებდა მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პოლიციელების ჩვენებები.[459]

ამასთან, დაკავების შემდეგ კ. ქ. გადაყვანილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც, დაცვის მხარის მტკიცებით, დაკავებულს, სამედიცინო ხალათითა და პირბადით აღჭურვილმა პირმა, აუღო ნერწყვის ნიმუში. როგორც განუმარტეს, კოვიდ 19-ზე შემოწმების მიზნით. თუმცა, დაცვის მხარე გამოთქვამდა ეჭვს, რომ ნიმუშის აღების მიზანი იყო დაკავებულის ბიოლოგიური ნიმუშის მოპოვება, შემდგომში კანონსაწინააღმდეგო ნივთთან მისი შემხებლობის დამადასტურებელი მტკიცებულების შექმნის მიზნით. უზენაესი სასამართლოს მიერ ხსენებული პირი საბოლოოდ გამართლდა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 22 სექტემბრის განაჩენი მომავალში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ადამიანის უფლებების სათანადო დაცვაში, რათა ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მცდელობის გარეშე არ მოხდეს ადამიანების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, უზენაესმა სასამართლომ[460] გ. ძ.-ს საქმეში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით, დასაშვებად არ ცნო დაცვის მხარის საკასაციო საჩივრები (რითაც გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დარჩა) და საერთოდ არ იმსჯელა საქმეზე წარდგენილ საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაზე (Amicus Curiae)[461].

გ. ძ. დამნაშავედ იქნა ცნობილი სხვისი საფულის (მასში არსებული თანხით) ქურდობისთვის[462] მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებების საფუძველზე: დაზარალებულს საფულის მოპარვის ფაქტი არ დაუნახავს, ავტობუსში ქურდობის ფაქტის ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება 1 პოლიციელის ჩვენებაა, სავარაუდოდ მოპარული საფულის ბრალდებულის მიერ გადაგდების დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს ასევე მხოლოდ პოლიციელის ჩვენებები; ამასთან, ექსპერტიზის დასკვნით, საფულეზე (რომელიც განყოფილებაში ამოიცნო დაზარალებულმა) არ აღმოჩნდა ბრალდებულის დნმ-ის კვალი.

---

[459] სისხლის სამართლის N010071221001 საქმე.

[460] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 6 სექტემბრის განჩინება (საქმე N423აპ-23).

[461] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 19 ივნისის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) N15-5/5812.

[462] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მაისის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის განაჩენებით, გ. ძ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.

ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოებმა უარყვეს მიუხედავად იმისა, რომ მას დაცვის მხარის ვერსია არ გამოურიცხავს.

საყურადღებოა საფულის მოპოვების გარემოებები: პოლიციელს ევალებოდა შემთხვევის ადგილის (სადაც ეგდო საფულე) დაცვა[463] გამომძიებლის მისვლამდე, რომელიც უფლებამოსილი იყო ჩაეტარებინა ნივთიერი მტკიცებულების ამოღება. ამის ნაცვლად, პოლიციელმა საფულე დაულუქავად, პოლიეთილენის ფაილის პარკით წაიღო შემთხვევის ადგილიდან, რომელიც განყოფილებაში გამომძიებლის მიერ ამოღების შემდეგ დაილუქა. აღნიშნული ქმედება კითხვებს აჩენს იმ ფონზე, როცა პოლიციელების ჩვენებების გარდა, ნეიტრალური მტკიცებულებებით არ დასტურდება, ბრალდებულის მიერ საფულის მოპარვის და შემდეგ მისი გადაგდების, შესაბამისად, მისი მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების და ფლობის ფაქტი.

ნეიტრალური მტკიცებულება განსაკუთრებულ და გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ნივთის ფლობასთან დაკავშირებით პოლიციელებისა და ბრალდებულის ჩვენებების/პოზიციის რადიკალურად განსხვავების პირობებში. მოცემულ საქმეში არ არის არც ქურდობის სავარაუდო ადგილის (ავტობუსი) და არც ბრალდებულის დევნის, დაკავებისა და საფულის გადაგდების ადგილის (გზის სავალ ნაწილზე სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე) ვიდეო კამერების ჩანაწერები; არ განხილულა 1 პოლიციელის მიერ თუნდაც მობილური ტელეფონის ვიდეო კამერით გადაღების შესაძლებლობის ქონა, რაც რაიმე განსაკუთრებულ ძალისხმევას, დროს, ცოდნას ან/და კომპეტენციას არ მოითხოვდა და ღონისძიების ხელშეშლის ან პოლიციისათვის არაპროპორციული ტვირთის დაკისრებას არ გამოიწვევდა. ასევე, არ იქნა გამოყენებული შემთხვევის შემსწრე პირების (მგზავრები, გაჩერებაზე ან ქუჩაში მყოფი ადამიანები) მოწმის სახით დაკითხვის შესაძლებლობაც.

სამწუხაროდ, უზენაესი სასამართლოს მიერ ხსენებული საკითხების ყურადღების გარეშე დატოვება პრობლემას უქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის საჭირო სტანდარტების დაცვას და ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე მსჯავრდების საფრთხეს ქმნის.

6.3. დაცვის უფლება

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა, რომ **გარესამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვის შედეგად ბრალდებულს ერთმევა შესაძლებლობა მისი ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე დაიცვას ადვოკატმა, თუ არ აკმაყოფილებს უფასო იურიდიული დახმარების კრიტერიუმს და სახეზე არ არის დაცვის სავალდებულო შემთხვევა.** გარდა ამისა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით კვლავ არ შესრულებულა სახალხო დამცველის

[463] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 თებერვლის N9 ბრძანების დანართი, მუხლ. 8, პუნქტ. 2, ქვეპუნქტ. „ლ".

საკანონმდებლო წინადადება და **გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებით ბრალდებულებისთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა ადვოკატთან კომუნიკაციაზეც ვრცელდება.** კვლავ მოუგვარებელია **ბრალდებულისა და ადვოკატის კონფიდენციალური კომუნიკაციის პრობლემა** დისტანციური წესით ჩატარებული სასამართლო განხილვებისას. **გამოკვეთილი ტენდენციის სახე ჰქონდა საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ადვოკატების დაყოვნებას, აქციების დროს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა (მათი დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე) და დაუყოვნებლივ შეხვედრის შესაძლებლობის უზრუნველყოფის შეფერხების თვალსაზრისით.**

6.3.1. სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის კრიტერიუმების ხარვეზი

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა პატიმრობაში მყოფი ერთ-ერთი ბრალდებულის განცხადება, სადაც პირი, რომელსაც შესაძლოა სასჯელის სახით განსაზღვროდა თავისუფლების აღკვეთა, მიუთითებდა, რომ მას სურვილი ჰქონდა მისი ინტერესები დაეცვა ადვოკატს, თუმცა არ ჰყავდა მის მიერ შერჩეული ადვოკატი, ვერ უკავშირდებოდა ვერავის პენიტენციური დაწესებულებიდან სასურველი ადვოკატის შერჩევის მიზნით. ამასთან, მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე არ იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევა.

აპარატის მიერ ხსენებული პირის უფლების დარღვევა არ დადგენილა, თუმცა, გაანალიზდა კანონმდებლობა და გამოიკვეთა, რომ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების მიმართ შესაძლოა მართლაც ირღვეოდეს დაცვის უფლება, რაც კანონმდებლობაში არსებული ხარვეზით არის განპირობებული.

პატიმრობაში ყოფნის პერიოდში განმცხადებლების მიმართ გამოყენებული, გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებით სატელეფონო საუბრის/მიმოწერის/ხანმოკლე პაემნის უფლების შეზღუდვის გამო, ბრალდებულებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, დაუკავშირდნენ სასურველ ადვოკატებს ან/და ახლობელ პირებს, რომ მათ მიერ მოხდეს ადვოკატის შერჩევა. აქედან გამომდინარე კი, შესაძლოა ფაქტობრივად შეეზღუდოთ დაცვის უფლება.

ასეთ შემთხვევებში, თუ ბრალდებული არ იქნება ერთიან ბაზაში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი ან/და არ იქნება კანონით გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევა, ბრალდებულს არ დაენიშნება ადვოკატი საკანონმდებლო დანაწესიდან გამომდინარე. კერძოდ, დაცვის უფლების განხორციელებისთვის კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის ადვოკატისა და დაცვის ხარჯების

სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების შესაძლებლობას.[464] თუმცა, აქვე მითითებულია პირობები, რა შემთხვევაში არის სახელმწიფო ვალდებული ბრალდებული უზრუნველყოს ადვოკატისა და დაცვის უფლების განხორციელებისთვის საჭირო სხვა ხარჯების ანაზღაურებით: ბრალდებული უნდა იყოს გადახდისუუნარო ან/და არსებობდეს სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის პროცესში არ უნდა მონაწილეობდეს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი.[465] ბრალდების მხარე და სასამართლო მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია ვალდებული ბრალდებულისთვის ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს.[466] ასევე, აღნიშნულ შემთხვევაში აქვს ბრალდებულს მინიჭებული უფლება ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით თავად მიმართოს იურიდიული დახმარების სამსახურს.[467]

სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობას სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულ პირს კანონმდებლობა უზრუნველყოფს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ან/და თუ ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული გადახდისუუნაროა.[468]

სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის ხარჯების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების შესაძლებლობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზემოაღნიშნული შემთხვევების გარდა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს საქმის განხილვის მიმდინარეობის დროს. კერძოდ, სასამართლოს მიერ ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სავალდებულო წესით ადვოკატის დანიშვნის დროს იმ შემთხვევაში, თუ მოწვეული ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც, სასამართლოს შეფასებით, აჭიანურებს საქმის განხილვას.[469]

ადვოკატის არ ყოლის პირობებში კი შესაძლოა ბრალდებულმა ვერ მოახერხოს მისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით სათანადოდ სარგებლობა და დაირღვეს მისი დაცვის უფლება.

აღსანიშნავია, რომ დაცვის უფლების სათანადოდ განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოძიების მიმდინარეობის პროცესშია, როდესაც ბრალდებულს, პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, უფლება აქვს ჩაატაროს გამოძიება, მოიპოვოს მტკიცებულებები და დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია მისი საქმის ცალკეულ

---

[464] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 46.
[465] იქვე, მუხ. 46, ნაწ. 1.
[466] იქვე, მუხ. 46, ნაწ. 2.
[467] იქვე, მუხ. 46, ნაწ. 3.
[468] საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ", მუხ. 5, პუნქტ. 1.
„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მიერ, იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იმ პირისთვის, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი. თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს საკმარის და ქმედით გარანტიას ბრალდებული უზრუნველყოფილი იყოს ადვოკატით, თუ სხვადასხვა ობიექტური გარემოებების გამო ვერ ახერხებს ადვოკატთან დაკავშირებას.
[469] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 42, ნაწ. 3.

საკითხებთან მიმართებით. ცხადია, გამოძიების ჩატარება განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს პატიმრობაში მყოფი ბრალდებულისთვის, რომელსაც ამის შესაძლებლობა მხოლოდ ადვოკატის დახმარებით გააჩნია.

ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს საქმის არსებითად განხილვამდე მხარეების მიერ მტკიცებულებების წარდგენის ვადებს და აღნიშნული ვადის დარღვევით წარდგენილი მტკიცებულება, როგორც წესი, სასამართლოს მიერ აღარ განიხილება, ნათელია, რომ დაცვის უფლებით სარგებლობისთვის პატიმარი ბრალდებულის ხელთ არსებული ყველაზე ეფექტიანი საშუალება არის გამოძიების მიმდინარეობისა და საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას მის ინტერესებს იცავდეს ადვოკატი.

ეს ვითარება ნარჩუნდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო კანონის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებდა ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრების შეზღუდვის შესაძლებლობას გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე.[470] სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კანონმდებლობით შეზღუდვის გამამართლებელი საფრთხის არსებობის დასაბუთების სტანდარტების არარსებობის, საფრთხის პროპორციული შემზღუდველი ღონისძიების გამოყენების ვალდებულების დაუდგენობაზე, შეზღუდვისას კონკრეტული ვადის განუსაზღვრელობაზე, შეზღუდვის მართებულობის სავალდებულო პერიოდული შემოწმების მექანიზმის არარსებობაზე.[471]

ხსენებული გადაწყვეტილების შემდეგ, საპროცესო კანონმდებლობაში[472] განხორციელებული ცვლილების შედეგად, გამომძიებელს ან პროკურორს უფლებამოსილება აქვს ბრალდებულს შეუზღუდოს მიმოწერის, ხანმოკლე ან/და ხანგრძლივი პაემნის და სატელეფონო საუბრის უფლებები, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ხსენებული უფლებებით სარგებლობის შედეგად ჩადენილი იქნება დანაშაული, განხორციელდება მოწმეზე ზემოქმედება, ხელი შეეშლება მტკიცებულების მოპოვებას ან სხვაგვარად შეფერხდება მართლმსაჯულების განხორციელება. უფლებები შეიძლება შეიზღუდოს არაუმეტეს 2 თვით, თუმცა შეიძლება იმავე ვადით გაგრძელდეს ხსენებული საფრთხეების კვლავ არსებობის შემთხვევაში. ამასთან, მათი შეზღუდვა შეიძლება იმდენჯერ, რამდენჯერაც სამართლებრივი საფუძველი იარსებებს. საგულისხმოა, რომ ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ შეზღუდვა გაასაჩივრონ ზემდგომ პროკურორთან, ხოლო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში - სასამართლოში.

---

[470] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის N2/8/1444 გადაწყვეტილება საქმეზე: „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინაამდეგ“ <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16045> [ბოლოს ნანახია: 29.01.2024 წ.]

[471] იქვე, II-40.

[472] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 165^2.

არსებული საკანონმდებლო ხარვეზის შევსების, ბრალდებულთა დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირ უნდა მიეთითოს ბრალდებულების უფლება (რომელთა მიმართ გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებით შეზღუდულია სატელეფონო საუბრის/მიმოწერის/ხანმოკლე პაემნის უფლება, რის გამოც ვერ ახერხებს სასურველი ადვოკატის შერჩევასა და შეთანხმებას), მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესები დაიცვას ადვოკატმა და ბრალდებულის დაცვის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა გარანტირებული იყოს კანონმდებლობით, გარესამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვის პირობებშიც კი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი: „თუ ბრალდებულის მიმართ გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებით გამოყენებულია სატელეფონო საუბარი/მიმოწერის/ხანმოკლე პაემნის უფლების შეზღუდვა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით) ან ბრალდებული არ აცხადებს უარს ადვოკატზე."[473]

2023 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება, გაზიარებულ იქნა პრობლემის არსი და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მუშაობის გაგრძელება შემდგომში ნორმატიული აქტით პრობლემის გადაწყვეტის მიზნით.

6.3.2. ბრალდებულის ადვოკატთან სატელეფონო საუბრის შეზღუდვა

გასული წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულების ადვოკატთან სატელეფონო კავშირის შეზღუდვის საკითხი. კერძოდ, ბრალდების მხარის მიერ მიმოწერის, სატელეფონო საუბრის უფლებისა და ხანმოკლე პაემნის ბრალდებულისთვის შეზღუდვის შემთხვევაში, ბრალდებულს პენიტენციური დაწესებულების მიერ არ ეძლეოდა უფლება ესარგებლა ადვოკატთან სატელეფონო კავშირით, ვინაიდან ადვოკატი არ იყო მითითებული „პატიმრობის კოდექსით" გათვალისწინებულ საგამონაკლისო ჩამონათვალში.[474]

[473] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 10 აგვისტოს N15-2/7934 წინადადება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.
[474]საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 109-110.

ბრალდებულის დაცვის უფლების ეფექტიანად განხორციელების დამაბრკოლებელი საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველმა 2022 წელს წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს „პატიმრობის კოდექსში" ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც საგამონაკლისო ჩამონათვალს დაემატებოდა „ბრალდებულის ადვოკატი" და ბრალდების მხარის მიერ პირადი კომუნიკაციის შეზღუდვის შემთხვევაში ბრალდებულს შესაძლებლობა მიეცემოდა განეხორციელებინა სატელეფონო კავშირი ადვოკატთან.[475]

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „პენიტენციური კოდექსი", თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის ზემოაღნიშნული წინადადება ჯერჯერობით გათვალისწინებული ისევ არ არის და **ბრალდებულებს, რომელთა მიმართ ბრალდების მხარის მიერ გამოყენებულია პირადი სახის კომუნიკაციის შეზღუდვა, კვლავ არ აქვთ ადვოკატთან სატელეფონო კავშირის განხორციელების შესაძლებლობა,** რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაცვის უფლების დარღვევა.

6.3.3. დისტანციურ პროცესებზე ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაცია

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული დისტანციური წესით გამართული სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლოს პროგრამული ინფრასტრუქტურა არ იძლეოდა შესაძლებლობას ბრალდებულებს სხდომის მიმდინარეობისას ჰქონოდათ ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა.[476] **2020 წელს იდენტიფიცირებული პრობლემა კვლავ არ არის გადაჭრილი, ბრალდებულებსა და მათ ადვოკატებს კვლავ არაკონფიდენციალურ გარემოში უწევთ კომუნიკაცია, იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვა დისტანციურად მიმდინარეობს.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული ინფორმაციით აპარატისთვის ცნობილი იყო, რომ Cisco Meeting Server (CMS) სისტემას, რასაც დისტანციური სხდომების წარმართვისთვის იყენებენ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები, არ აქვს ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური სესიის შექმნის შესაძლებლობა. Cisco Meeting Server (CMS) სისტემის შეძენისა და დანერგვის პროცესი გაყოფილი იყო ორ ეტაპად. მეორე ეტაპი მოიცავდა აგრეთვე, კლიენტისა და ადვოკატის კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფის ფუნქციონალის არსებობასაც. არსებული მოთხოვნების სრულყოფასა და ტექნიკური სპეციფიკაციის შემუშავებაზე დოკუმენტის სამუშაო ვერსია დასრულებული იყო, მისი შეთანხმების შემდეგ, უნდა

[475] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 18 თებერვლის N15-2/2008 წინადადება.

[476] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისტანციური წესით ჩატარებული სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგის შესახებ, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3tANb4y > [20.01.2023].

დაგეგმილიყო ბაზრის კვლევა, ტენდერის გამოცხადება და შემდგომ - ფუნქციონალის დეველოპმენტი და დანერგვა.[477]

2023 წელსაც აპარატის[478] მიმართვის პასუხად წარმოდგენილი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის პროგრამის ფუნქციონალების დახვეწასა და სასამართლო სხდომების სპეციფიკაზე მორგების, მათ შორის იზოლირებული სესიების ფუნქციონალის შექმნის მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. თუმცა, ამ დროისთვის ხსენებული ფუნქციონალი დანერგილი არ არის. საბჭოს განმარტებით, საკითხი მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას, კვლევა-ანალიზს, შემათანხმებელი პროცედურებისა და სხვა ეტაპების გავლას. გარდა ამისა, ახალი პროგრამული სერვისების შექმნა/დანერგვა, ახალი ტექნოლოგიური პროდუქტების შესყიდვა და არსებულ სისტემებზე ახალი მოდულების დაშენება, დაკავშირებულია საკმაოდ მაღალ ფინანსურ დანახარჯებთანაც.[479]

6.4. საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება

საპროცესო კანონმდებლობით საერთო სასამართლოები შებოჭილნი არიან განიხილონ სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის საქმეები კანონით დადგენილ ვადებში, თუმცა სამართლიანი სასამართლოს უფლების ეს კომპონენტი გასული წლების მსგავსად, სასამართლოში დაუძლეველ პრობლემად რჩება. სახალხო დამცველი, წლებია, ყურადღებას ამახვილებს სისხლის სამართლის საქმეების განხილვის გაჭიანურების საკითხზე, მათ შორის, თვეების განმავლობაში მხარისთვის განაჩენის არგადაცემისა ან/და საჩივრისა და საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში არგადაგზავნის; ასევე, სააპელაციო სასამართლოებში ხანგრძლივი დროით დაუსრულებლობის შესახებ.[480]

საანგარიშო პერიოდშიც დაფიქსირდა მსჯავრდებულებისთვის განაჩენის კანონით დადგენილ ვადაში (გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5, ხოლო რთულ და მრავალტომიან საქმეებზე - არაუგვიანეს 14 დღისა) **დასაბუთებული განაჩენის გადაუცემლობის და საჩივრისა და საქმეების სააპელაციო ინსტანციებში გადაგზავნის გაჭიანურების შემთხვევები.** საგულისხმოა, რომ დასაბუთებული განაჩენის უფლება პირდაპირ უკავშირდება საქმის გონივრულ ვადაში განხილვისა და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებებსაც. დამატებით, განაჩენის ასლის კანონით დადგენილ ვადაში გადაუცემლობა საფრთხეს უქმნის გასაჩივრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობას და იწვევს საქმის განხილვის არაგონივრული ვადით გაჭიანურებას.

---

[477]სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში < https://shorturl.at/bfGV0 > (გვ. 158-159).

[478]საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 18 დეკემბრის №15-8/12161 წერილი.

[479] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის №1204/3779-03-ო წერილი.

[480] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: 2014 წლის ანგარიში, გვ. 405; 2015 წლის ანგარიში, გვ. 469; 2020 წლის ანგარიში, გვ. 146; 2021 წლის ანგარიში, გვ. 103; 2022 წლის ანგარიში, გვ. 114-115.

მსჯავრდებული მ.ს. აცხადებდა, რომ 2023 წლის 27 აგვისტოს ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო, თუმცა განაჩენის გამოცხადებიდან **2 თვეზე მეტი** დროის შემდეგაც, მსჯავრდებულს არ ჰქონდა მიღებული განაჩენის ასლი. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი სააპელაციო საჩივრის სრულყოფილად ჩამოყალიბებასა და დაცვის უფლების განხორციელებაში. აპარატმა მიმართვის[481] შემდეგ გაირკვა, რომ მსჯავრდებულს გაეგზავნა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის ასლი,[482] ხოლო განაჩენის ასლის გადაცემის გაჭიანურების მიზეზის თაობაზე აპარატს[483] განმარტება ამ დრომდე არ მიუღია.

მსჯავრდებულ ო. ც.-ს განცხადებისა და წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვეოდა, რომ თელავის რაიონულმა სასამართლომ 2023 წლის 3 მაისს გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარი თელავის რაიონულ სასამართლოში პენიტენციური დაწესებულებიდან გაიგზავნა 2023 წლის 8 მაისს. სასამართლოს ინფორმაციით, ო.ც.-ს სააპელაციო საჩივარი თელავის რაიონულ სასამართლოს ჩაბარდა 2023 წლის 10 მაისს.[484] საქმის გადაგზავნის დაგვიანების მიზეზის დადგენის მიზნით გაგზავნილ მიმართვაზე,[485] აპარატისთვის მიწოდებული პასუხის თანახმად, ო.ც.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმე 2023 წლის 17 ნოემბერს, **6 თვის შემდეგ,** გადაიგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.[486]

საანგარიშო პერიოდში აპარატის შესწავლილ საქმეში **მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა სააპელაციო სასამართლოში განხილვის გაჭიანურების თვალსაზრისითაც.**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო მსჯავრდებულების: ფ.წ.-სა და რ. წ.-ს სააპელაციო საჩივარს, მისი დასაშვებად ცნობიდან 9 თვის განმავლობაში იხილავდა, მაშინ როდესაც, კანონით, სააპელაციო სასამართლო საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში, წყვეტს საჩივრის დასაშვებობის საკითხს, საიდანაც 1 თვის ვადაში იმართება სხდომა, ხოლო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში.[487] ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოცემული 9 თვიდან, ბოლო 6 თვე მსჯავრდებულები ელოდებოდნენ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, ვინაიდან მხოლოდ ეს ეტაპი იყო დარჩენილი.

---

[481] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 7 ნოემბრის N15-13/10908 წერილი.
[482] ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 17 ნოემბრის N938 წერილი.
[483] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 19 დეკემბრის N15-13/12220 და 2024 წლის 11 იანვრის N15-13/454 წერილები.
[484] თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 2 ოქტომბრის N620 წერილი.
[485]საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 26 ოქტომბრის N15-13/10564, 2023 წლის 8 ნოემბრის N15-13/10935 და 2024 წლის 11 იანვრის N15-13/461 წერილები.
[486] თელავის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 18 იანვრის N1/292-22 წერილი.
[487] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 295. ნაწ. 2, 5-6.

6.5. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

2023 წელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განახლება-შეცვლის პროცესის არსებითი წინსვლის გარეშე დასრულდა. კვლავ არ არის უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლება, კვლავ არ არსებობს მტკიცებულებითი სტანდარტი და მტკიცების ტვირთი, კვლავ არ არსებობს ადმინისტრაციულ პროცესში ნეიტრალური მტკიცებულებების აუცილებლობის პროცედურული სტანდარტი. სამწუხაროდ, ნაკლოვანი და საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო კოდექსით პირების პასუხისგებაში მიცემის არაერთი ფაქტი გამოვლინდა 2023 წელს. **საპროტესტო აქციებში მონაწილე პირების წინააღმდეგ 1984 წლის საბჭოთა კოდექსი ერთგვარ ინსტრუმენტად იყო კვლავ გამოყენებული სამართალდამცავი პირების მხრიდან.**[488]

7. საპროტესტო აქციების მონაწილეთა უფლებების დარღვევა

წინამდებარე თავში გაანალიზებული იქნება 2023 წელს ჩატარებული აქციებისას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, ასევე, წარმოდგენილი იქნება 20-21 ივნისისა და 5 ივლისის საქმეებზე მიმდინარე გამოძიებებზე განახლებული ინფორმაცია.

7.1. 2023 წლის აქციები

2023 წელი დატვირთული იყო სხვადასხვა საპროტესტო აქციით და სამწუხაროდ, არაერთი მიმართულებით გამოვლინდა უფლების დარღვევის ფაქტი. მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ ადგილი ჰქონდა **ძალისა და სპეციალური საშუალებების არაპროპორციულ გამოყენებას,** მოქალაქეების შეკრებაში მონაწილეობისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის გამო **უსაფუძვლო დაკავების** შემთხვევებს. დაკავებულებს **ეზღუდებოდათ ადვოკატთან დაუყოვნებლივ შეხვედრის უფლება** და სხვა საპროცესო უფლებები. საბოლოოდ, **სასამართლომ, სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიების უგულებელყოფით,** პოლიციელების განმარტებებზე დაყრდნობით და ამ ინფორმაციისთვის უპირატესობის მინიჭების შედეგად, უმრავლეს შემთხვევაში სამართალდამრღვევად ცნო აქციის მონაწილეები.

მოცემული ქვეთავი შეეხება 2023 წელს 2-3 და 7-9 მარტს, თბილისში; 20 მაისს, ყვარელში; 2 ივნისს, თბილისში; 2-3 ივნისს, ბათუმში; 31 ივლისს, ბათუმში გამართულ საპროტექსტო აქციებს. ამავე თავში საუბარი იქნება 8 ივლისს „თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგოდ, ჰომოფობიური, რადიკალური ჯგუფების ქმედებებზე, ლგბტ+ ფესტივალის ჩაშლის, კერძო ტერიტორიის დარბევის ფაქტებზე სახელმწიფოს რეაგირების საკითხზე. შეკრების თავისუფლების ჭრილში კი ასევე შეფასდება სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

[488] იხ. „საპროტესტო აქციების მონაწილეთა უფლებების დარღვევის" თავი.

საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების წარმოება:

2023 წელს საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს[489]:

- ***2-3 მარტს, თბილისში - 37 პირი,*** რომლებიც მოათავსეს მცხეთისა და თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორებში;
- ***7-9 მარტს, თბილისში - 146 პირი*** (2 არასრულწლოვანი), რომლებიც მოათავსეს თბილისის N2 და N3, მცხეთის, ბაკურიანის, ხაშურის, გორის, თელავის, მარნეულის, გურჯაანის, დუშეთისა და ქუთაისის იზოლატორებში;
- ***20 მაისს, ყვარელში - 16 პირი,*** რომლებიც მოათავსეს თბილისის N2, თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს და სიღნაღის იზოლატორებში;
- ***2 ივნისს, თბილისში - 7 პირი,*** რომლებიც მოათავსეს თელავის, გურჯაანისა და დუშეთის იზოლატორებში;
- ***2-3 ივნისს, ბათუმში - 6 პირი*** (2 არასრულწლოვანი), რომლებიც მოათავსეს ბათუმის იზოლატორში;
- **31 ივლისს, ბათუმში - 23 პირი,** რომლებიც მოათავსეს ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის იზოლატორებში;
- ***8 ივლისს, თბილისში - 2 პირი***.[490]

კანონის თანახმად, დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცველ ორგანოში.[491] ამასთან, დაკავებული პირი სასამართლოსთვის წარდგენამდე უფლებამოსილმა ორგანომ შეიძლება მოათავსოს დროებითი მოთავსების იზოლატორში.[492] სახალხო დამცველის აპარატისთვის ხელმიუწვდომელია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაარეგულირებდა დაკავებული პირის ტერიტორიულად ახლო მდებარე იზოლატორში გადაყვანის წესს. ამასთან, საპროტესტო აქციებზე ათობით მომიტინგის მასობრივი დაკავების შემთხვევებში, რასაც ადგილი ჰქონდა თბილისში, 2019 წლის 20-21 ივნისს და 2023 წლის 7-9 მარტს გამართული აქციების დროს, შესაძლებელია, იზოლატორების განთავსების ლიმიტების[493] გათვალისწინებით, შეუძლებელი იყოს ყველა მათგანის თბილისში მდებარე იზოლატორებში განთავსება. თუმცა კითხვებს აჩენს ისეთი

---

[489] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 31 ოქტომბრის NMIA12303192240 წერილი.

[490] სახალხო დამცველის აპარატი არ ფლობს ინფორმაციას მოხდა თუ არა ამ პირების გადაყვანა იზოლატორში და რომელში.

[491] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 245, ნაწ. 4.

[492] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 247, ნაწ. 4.

[493] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N1006 ბრძანების დანართი, მუხლ. 8. პუნქტ. 2 „იზოლატორების ადგილმდებარეობა და მათში მოსათავსებელ პირთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.“

შემთხვევები, როდესაც აქციაზე სულ რამდენიმე პირის დაკავება და მაინც მათი, დაკავების ადგილიდან/ქალაქიდან შორს მდებარე იზოლატორებში გადაყვანა ხდება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 7-9 მარტს და 2 ივნისს თბილისში, ასევე, 20 მაისს ყვარელსა და 31 ივლისს ბათუმში დაკავებული პირები გეოგრაფიულად დაშორებულ ადგილებში მდებარე იზოლატორებში გადაიყვანეს. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის წევრებს არ მიაწოდეს ინფორმაცია დაკავების შესახებ, განყოფილებებში არ შეახვედრეს ადვოკატები, რომელებსაც არ ჰქონდათ ინფორმაცია დასაცავი პირების ადგილსამყოფელის თაობაზე და დაკავებულებს რამდენიმე საათის დაყოვნებით, იზოლატორში გადაყვანის შემდეგ, მიეცათ შესაძლებლობა შეხვედროდნენ ადვოკატებს. პოლიციის მხრიდან გამოვლენილი ეს ქმედება დაცვის უფლების შეზღუდვას წარმოადგენს.

გარდა აქციებზე პროტესტანტების ადმინისტრაციული წესით მასობრივი დაკავებებისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ **სისხლის სამართლის წესით დააკავა რამდენიმე ბრალდებული და გამოძიება დაიწყო:**

- **2023 წლის 7-9 მარტს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე,** პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციელზე თავდასხმისა და ნივთის დაზიანების ფაქტზე (სსკ-ის 353[1] მუხლის პირველი ნაწილით და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით)[494]. სამინისტრო 8-9-10 მარტს[495] გავრცელებულ საჯარო განცხადებებში მიუთითებდა საპროტესტო აქციის დროს პოლიციელებზე განხორციელებული თავდასხმის ბრალდებით 1 პირის დაკავების, ხოლო 29 მარტს[496] - პოლიციელზე თავდასხმისა და ცეცხლის წაკიდებით სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით 1 პირის დაკავების თაობაზე. 2023 წლის 22 მარტის მდგომარეობით, პროკურატურის[497] მიერ 1 პირი ცნობილი იყო დაზარალებულად, ხოლო 2 პირს - წარედგინა ბრალდება სსკ-ის 353[1] მუხლის პირველი ნაწილით, სასამართლოს განჩინებით ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო ჰქონდათ შეფარდებული. **2023 წლის ბოლოს,** თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე **დაზარალებულად ცნობილი იყო 4 ფიზიკური და 1 იურიდიული პირი, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იყო აქციის 6 მონაწილის მიმართ.[498]**

---

[494] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 25 აპრილის NMIA52301160665 და 2023 წლის 31 ოქტომბრის NMIA12303192240 წერილები.

[495] იხ. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-politsielebze-gankhortsielebul-tavdaskhmis-braldebit-erti-piri-daakava/15700> <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-politsielta-kanonieri-motkhovnisadmi-daumorchileblobis-braldebit-kidev-10-piri-daakava/15701> <https://police.ge/ge/gantskhadeba/15703> <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15706>

[496] იხ. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-politsielze-tavdaskhmisa-da-nivtis-dazianebis-faqtebze-1-piri-daakava/15725>

[497] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 22 მარტის N13/18993 წერილი.

[498] აქედან ერთ-ერთი პირის - ლაზარე გრიგორიადისის ბრალდების საქმის შესწავლის საკითხზე საუბარია ამავე ანგარიშის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის თავში.

საქმეები არსებითად განსახილველად წარიმართული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში;[499]

- **2023 წლის 8 მარტს, თბილისში,** დიმიტრი შევარდნაძის სახელობის **ეროვნულ გალერეაში ცენტრალური შესასვლელის შემტვრევისა და შეჭრის ფაქტზე,** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით.[500] მოცემულ საქმეზე დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით პროკურატურისათვის არავის მიუმართავს. 2023 წლის ბოლოს, კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ იყო;[501]
- **2023 წლის 31 ივლისს, ბათუმში, ნივთის დაზიანების ფაქტზე,** გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო[502]. მოცემულ საქმეზე 1 პირი ცნობილია დაზარალებულად. კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.[503]

სახალხო დამცველის აპარატის რეაგირება:

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით, მოინახულეს ათეულობით დაკავებული და საჩივართა შინაარსიდან გამომდინარე, განხორციელდა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულ 135 პირს. აქედან: 2023 წლის 7-9 მარტის აქციაზე დაკავებულ - 96, 19 მაისის - 3, 20 მაისის - 11, 2 ივნისის, თბილისის აქციაზე - 4, 2-3 ივნისის, ბათუმის აქციაზე - 5, 31 ივლისის - 16 პირს. აპარატმა ჯამში **24 პირის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის** ფაქტზე მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, ხოლო **სხვა სახის უფლება დარღვევებთან** დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სულ - **20 პირთან დაკავშირებით; 15 პირის** საქმეზე გაიგზავნა **სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.**

სახალხო დამცველის აპარატისთვის ხელის შეშლა:

სამწუხაროდ, 2023 წელს ჩატარებული საპროტესტო აქციების დროს შინაგან საქმეთა სამინისტრო დროულად არ აწვდიდა სრულფასოვან ინფორმაციას სახალხო დამცველის

[499] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 18 დეკემბრის N13/84827 წერილი.
[500] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 25 აპრილის NMIA52301160665 და 2023 წლის 31 ოქტომბრის NMIA12303192240 წერილები.
[501] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 18 დეკემბრის N13/84827 წერილი.
[502] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 31 ოქტომბრის NMIA12303192240 წერილი.
[503] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 18 დეკემბრის N13/84827 წერილი.

აპარატს დაკავებულების ადგილსამყოფელის შესახებ, ვიდრე მათი შესახლება არ მოხდებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

სახალხო დამცველს/მის რწმუნებულებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად შევიდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოსა და დაწესებულებაში, მათ შორის, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, შეხვდნენ დაკავებულ და სხვაგვარად თავისუფლებააღკვეთილ პირებს.[504] მიუხედავად კანონის ამ დანაწესისა, სახალხო დამცველის რწმუნებულებს, ხშირ შემთხვევებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში უწევდათ დაკავებული პირების ძებნა მათთან შეხვედრისა და გასაუბრების მიზნით. შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დაკავებულთა ადგილსამყოფელის თაობაზე სახალხო დამცველის აპარატისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა, თუნდაც ვიდრე მათი შესახლება არ მოხდებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში, შეიძლება მისთვის საქმიანობაში დაბრკოლებად შეფასდეს.

გარდა ამისა, დაფიქსირდა სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის დაბრკოლების შექმნისა და ხელშეშლის ფაქტებიც. 2023 წლის 20 მაისს, ყვარლის ტბასთან აქციაზე დაკავებულების მონახულების მიზნით კახეთის პოლიციის სამმართველოს შენობასთან რწმუნებულები თავდაპირველად შეაყოვნეს დაახლოებით 30 წუთი, ხოლო დაწესებულებაში შესვლის შემდეგ არ მიეცათ დაკავებულთან გასაუბრების შესაძლებლობა. კერძოდ, შენობაში შესვლისას რწმუნებულებმა დაინახეს კიბეებზე მიმავალი პოლიციელები და დაკავებული პოლიტიკოსი ელენე ხოშტარია, რა დროსაც რწმუნებულებმა პოლიციელებს განუმარტეს, რომ მათი მიზანი დაკავებულთან შეხვედრა იყო, რაზეც პოლიციელებმა უპასუხეს, რომ დაკავებულს ამოიყვანდნენ და მისცემდნენ გასაუბრების შესაძლებლობას. ამ დროს სივრცეში მოძრაობდა კახეთის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი. მას შემდეგ, რაც რწმუნებულებმა ვერ მიიღეს დაყოვნებაზე განმარტება და მოითხოვეს დაკავებულთან დაუყოვნებლივ შეხვედრა, ხსენებულმა პირმა განაცხადა, რომ ელენე ხოშტარია უკვე თბილისში იყო გადაყვანილი.

ამასთან, იმავე საღამოს, თელავის რაიონულ პოლიციაში რწმუნებულებს განუცხადეს არასწორი ინფორმაცია, თითქოს, თელავის რაიონული პოლიციის შენობაში არცერთი დაკავებული არ იმყოფებოდა. თელავის რაიონული პოლიციის უფროსი აპარატის რწმუნებულებს უცხადებდა, რომ მალე მიაწვდიდა დაკავებულების ადგილსამყოფელის თაობაზე ინფორმაციას. საუბრიდან დაახლოებით 40 წუთში რწმუნებულებმა დაინახეს პოლიციელებთან ერთად მყოფი დაკავებული ხელბორკილების გარეშე, თუმცა პოლიციელებმა განაცხადეს, რომ შენობაში ნანახი ხსენებული პირი სხვა საქმეზე იყო დაკავებული და აქციებთან კავშირი არ ჰქონდა (ხსენებულმა პირმა მოგვიანებით, იზოლატორში შეხვედრისას დაადასტურა, რომ პოლიციელებმა მას ხელბორკილი

[504] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლ. 18, პუნქტ. „ა"; მუხლ. 19, პუნქტ. 2. პ/პ. „ა".

მიზანმიმართულად მოხსენეს და დაარიგეს, რომ მათ გაჰყოლოდა). 1-საათიანი ლოდინის შემდეგ პოლიციის უფლებამოსილმა პირმა რწმუნებულებს ინფორმაციის მიწოდების დაგვიანების მიზეზად ის გარემოება დაუსახელა, რომ ერთ-ერთი დაკავებული დაახლოებით 5 წუთით ადრე გაიყვანეს შენობიდან (რითაც დადასტურდა, რომ ზემოხსენებული პირი აქციებზე დააკავეს და რწმუნებულებს მასთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მიეცათ) და შემდეგ აცნობა თუ რომელ იზოლატორებში იყვნენ გადაყვანილებიდაკავებულები.[505]

2023 წლის 3 ივნისს, ბათუმში, საპროტესტო აქციაზე დაკავებულ ორ არასრულწლოვანთან გასაუბრების მიზნით სახალხო დამცველის რწმუნებული ბათუმის პოლიციის საქალაქო სამმართველოში მივიდა დაახლოებით 22:40 საათზე, თუმცა სამმართველოში შესვლის შესაძლებლობა მიეცა არა კანონის შესაბამისად - დაუყოვნებლივ, არამედ ნახევარ საათზე მეტის დროს შემდეგ, დაახლოებით, 23:15 საათზე. რწმუნებულს მორიგე თანამშრომელმა განუმარტა, რომ ხელმძღვანელ პირთან ხდებოდა მისი შეშვების საკითხის შეთანხმება და ელოდებოდა ნებართვას. 2023 წლის 31 ივლისს, რუსეთის საკრუიზო გემის შემოსვლასთან დაკავშირებით საპროტესტო აქციაზე დაკავებული პირების ადგილსამყოფელის (რომელ იზოლატორებში გადაიყვანეს) თაობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე ბათუმის საქალაქო სამმართველოს წარმომადგენელმა რწმუნებულს უარი განუცხადა.

სავარაუდო არასათანადო მოპყრობა საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ:

2023 წელს გამართული საპროტესტო აქციებიდან, მასმედიით გავრცელებული ვიდეო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 7-9 მარტის აქციებზე ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების არაპროპორციულ გამოყენებას. გარდა ამისა, ამ და სხვა აქციებზე პოლიციის მხრიდან ფიზიკური ძალადობის, ფიზიკური ძალის არაპროპორციული გამოყენების და შესაბამისად, არასათანადო მოპყრობის თაობაზე არაერთი ინდივიდუალური საჩივარი დაფიქსირდა. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი შემთხვევის ამსახველი ვიდეო ჩანაწერები საჯაროდ, მასმედიითაც გავრცელდა.

შესაბამისად, 2023 წლის 7-9 მარტის აქციების დროს პოლიციის ქმედებები უნდა შეფასდეს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული ადამიანის უფლებების ჭრილში. 2023 წლის 13 მარტს, სახალხო დამცველმა საზოგადოებას 7-9 მარტის საპროტესტო აქციების შეფასება წარუდგინა და მოუწოდა საგამოძიებო ორგანოებს ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისკენ.[506] **სახალხო დამცველის პოზიციით, არ არსებობდა მშვიდობიანი შეკრების შეწყვეტის საფუძველი და კანონდამრღვევთა მიმართ უნდა გატარებულიყო ინდივიდუალური ღონისძიებები.**

[505] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ 2023 წლის 23 მაისს შედგენილი ოქმი.
[506] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-rustavelis-gamzirze-2023-tslis-7-9-marts-ganvitarebul-movlenebs-ekhmianeba>

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციით,[507] 7-9 მარტს საპროტესტო აქციები გადაიზარდა მასობრივად ძალადობრივ, არამშვიდობიან ქმედებებში.

თუმცა, **სახალხო დამცველის შეფასებით,**[508] **შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან 2023 წლის 7 მარტის საღამოს საათებში გაფრთხილების თაობაზე განცხადებების გაჟღერების დროისთვის, აქციას ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი და არ არსებობდა მისი შეწყვეტისა და მის წინააღმდეგ ძალის გამოყენების საფუძველი.** რაც შეეხება აქციის მონაწილეების მხრიდან ძალადობის შემთხვევებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, **მათ მიმართ უნდა გატარებულიყო ინდივიდუალური - აუცილებელი და პროპორციული ღონისძიებები.** აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სამართალდამცავებმა შეკრების მონაწილეების, მათ შორის, მშვიდობიანი მანიფესტანტების მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენება დაიწყეს, რაც ეწინააღმდეგება უფლებაში აუცილებელი და პროპორციული ჩარევის სტანდარტს.

პარლამენტის უკანა შესასვლელთან, შეკრების მონაწილეთა ნაწილის მიერ დაწყებული ძალადობრივი ქმედებები დაედო საფუძვლად სამართალდამცავების მხრიდან მთელი შეკრების ძალის გამოყენებით, გაუმართლებელ შეწყვეტას 8 მარტსაც. მას შემდეგ რაც შეკრების მონაწილეთა ნაწილმა დაიწყო საქართველოს პარლამენტის შენობის უკანა შესასვლელის მხარეს შენობის დაზიანება, მინების ჩამსხვრევა, პოლიციამ შესაბამისი რეაგირებები განახორციელა, თუმცა აღნიშნული ძალის გამოყენება სრულიად არალეგიტიმურად გაგრძელდა საქართველოს პარლამენტის წინ მდგარი შეკრების მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ.

აღსანიშნავია ისიც, რომ, **ორივე შემთხვევაში, და განსაკუთრებით 8 მარტის ღამის საათებში ძალის პირველად გამოყენების შემდეგ, ვითარება რამდენჯერმე კვლავ დაიძაბა და ადგილზე შეკრებილი პირების წინააღმდეგ განმეორებით არაერთხელ მოხდა სპეციალური საშუალებების გამოყენება, მათ შორის მაშინაც, როდესაც არ იკვეთებოდა მსგავსი აუცილებლობა. სახალხო დამცველის შეფასებით, მსგავს ვითარებაში ძალის გამოყენების გაუმართლებელი შემთხვევები ყოველთვის ხელს უწყობს სიტუაციის ხელოვნურ ესკალაციას, რაც სამართალდამცავებმა თავიდან უნდა აირიდონ.**

მითითებულ დღეებში მედია საშუალებებით გავრცელებულ კადრებში ასახულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აქციის მონაწილეების მიმართ **სპეციალური საშუალებების გამოყენება ხდებოდა სრულიად უსაფუძვლოდ, ერთეული ადამიანების მხრიდან პოლიციის თანამშრომლებთან მშვიდობიანი მიახლოებისთანავე,** მათ შორის, **დამიზნებით სახის არეში ზემოქმედება. აღნიშნული ცალსახად წარმოადგენს**

---

[507] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 6 ივლისის NMIA52301937186 წერილი. მსგავსი პოზიციაა ასახული სამინისტროს მიერ 8, 9 და 10 მარტს გავრცელებულ განცხადებებშიც. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15706> <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15699> https://police.ge/ge/gantskhadeba/15703>

[508] იხ. <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-rustavelis-gamzirze-2023-tslis-7-9-marts-ganvitarebul-movlenebs-ekhmianeba> [ბოლოს ნანახია: 11.03.2024 წ.]

დანაშაულებრივ ქმედებას. ასევე, მედია საშუალებებით გავრცელდა რამდენიმე ვიდეო მასალა, რომელშიც პირდაპირ ჩანს **მოქალაქეებს მიმართ უხეში ფიზიკური ძალადობის ფაქტები.**

შეკრებების მართვის მიზნით, სამართალდამცავთა მიერ გამოყენებული ღონისძიებების შედეგად, დაშავდნენ ადგილზე მოვლენების გაშუქების მიზნით მყოფი მედიის წარმომადგენლებიც, გავრცელდა ინფორმაცია მათი საქმიანობის ხელშეშლის შესახებაც,[509] მაშინ, როდესაც, აქციის მიმდინარეობისას, კანონმდებლობა მათ განსაკუთრებული დაცვის ქვეშ აქცევს.[510]

ამდენად, **7-9 მარტის აქციებზე მომიტინგეთა ძირითადი ნაწილი, აბსოლუტური უმრავლესობა იქცეოდა კანონის შესაბამისად, აქცია იყო მშვიდობიანი და არ არსებობდა მთლიანი აქციის დაშლის და სპეციალური საშუალებების არაპროპორციულად ყველას მიმართ გამოყენების საფუძველი. ცალკეულ სამართალდარღვევებზე, რომლებსაც ჩადიოდა ადამიანების მცირე ჯგუფი, პოლიციას უნდა განეხორციელებინა ინდივიდუალურად იძულების პროპორციული ზომები.**

საგულისხმოა, რომ ვინაიდან შეკრება/მანიფესტაციის დროს შემუშავებული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა საიდუმლოა, აპარატს არ მიეწოდა გეგმაში ასახული ინფორმაცია, როგორიცაა სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი პირების შესახებ, ღონისძიებაში მონაწილე სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების, მათი ფუნქციებისა და მოქმედებათა თანამიმდევრობის შესახებ, სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/პირების შესახებ; პირადი შემადგენლობის რაოდენობის შესახებ და სხვა.[511]

არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების გამოძიება:

აუცილებლად მივიჩნევთ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოებას. მნიშვნელოვანია, გამოძიება ჩატარეს და დაინტერესდეს პოლიციის მოქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხებით, აქციებზე ფიზიკური ძალის და სპეციალური საშუალებების გამოყენების საკითხით და სხვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორებიდან 38 პირის მიმართ გაიგზავნა შეტყობინება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ზემოხსენებულ საპროტესტო აქციებზე

[509] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3kZ77wk >, < bit.ly/3J0Zc9H >, < bit.ly/3JB8GtX >, < bit.ly/3J22QA4 > [09.03.2023].
[510] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 2, ნაწ. 4.
[511] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 31 ოქტომბრის NMIA12303192240 წერილი.

დაკავებული პირების შესახებ.[512] 2023 წელს საპროტესტო აქციებზე სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით **სახალხო დამცველის აპარატმა 24 პირის მიმართ** სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა. აღნიშნული მონაცემები მოიცავს ისეთ რამდენიმე შემთხვევასაც, როცა აპარატისთვის ინფორმაციის მიღების დროისთვის საგამოძიებო უწყებისთვის უკვე მიმართული ჰქონდათ ადვოკატებს ან იზოლატორიდან გაგზავნილი იყო შეტყობინება. დაკავებულები აცხადებდნენ, რომ ძალადობის შედეგად გრძნობდნენ თავის, შუბლის, ყბის, ხელის ძლიერ ტკივილს, თავბრუსხვევას; ასევე, მიუთითებდნენ ცხვირის გატეხვის, ხელის, თვალის დაზიანების/შეშუპების თაობაზე, სისხლნაჟღენთებზე შუბლის, კისრის არეში და მკლავებზე, სიწითლეზე მაჯებზე, ყურზე, მუხლზე; ჩალურჯებებზე სხეულის სხვადასხვა ადგილას. სახალხო დამცველის აპარატმა აქციის მონაწილეთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით შეტყობინებები მიიღო როგორც ცხელი ხაზის საშუალებით, ასევე, დაკავებულებთან უშუალო გასაუბრების გზით. სახალხო დამცველის აპარატი, მხოლოდ პირის თანხმობის[513] შემთხვევაში, ახდენდა სამართლებრივ რეაგირებას და მიმართავდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს:

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან გასაუბრებისას 7-9 მარტის აქციებზე დაკავებული 20 პირი მიუთითებდა პოლიციის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე, თუმცა მათგან 8 პირმა რეაგირებაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, აპარატმა საგამოძიებო უწყებას მიმართა ***2023 წლის 7-9 მარტის[514] აქციებზე*** დაკავებული 12 პირის მიმართ. ისინი მიუთითებდნენ დაკავებამდე, დაკავებისას და დაკავების შემდეგ პოლიციელების და სპეც. რაზმის წევრების მიერ განხორციელებული ფიზიკური ძალადობრივი ქმედებების შესახებ: დაკავებისას ძირს დაგდება, მიწაზე გაფორთხიალება, დარტყმა კისრის არეში, მუშტების დარტყმა სხეულზე, მუცელში, სახესა და თავში ხელების დარტყმა, ცემა, ხელკეტებსა და ფეხების დარტყმა, ხელებითა და ხელკეტების გამოყენებით ცემა, წყლის ჭავლის მიშვერა, მუშტების დარტყმა, ფეხის ამორტყმა, ხელების პლასტმასის საკრავით მჭიდროდ შეკვრა, რამაც გამოიწვია ტკივილი და სიტყვიერი შეურაცხყოფაც.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურში[515] გამოძიება მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან 2023 წლის 7-9 მარტს გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და ჟურნალისტებისთვის პროფესიულ

[512] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 31 ოქტომბრის NMIA12303192240 წერილი.

[513] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლ. 20, პუნქტ. 2. „საქართველოს სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ვალდებული არიან, არ გაამჟღავნონ საიდუმლო და კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია, აგრეთვე, პირის მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე, – მისი წამებისა და მის მიმართ სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ ინფორმაცია."

[514] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 10 მარტის N15-4/2489 წერილი.

[515] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 20 მარტის NSIS62300004431 და 2023 წლის 25 დეკემბრის NSIS12300023859 წერილები.

საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე.[516] უწყების მიერ ინფორმაციის წარმოდგენის მომენტისთვის, გამოკითხული იყო 151 პირი; **1 პირი ცნობილი იყო დაზარალებულად,** ხოლო **31 პირს მიენიჭა სავარაუდო მსხვერპლის სტატუსი;** მოპოვებულია და დათვალიერდა: ტელევიზიებიდან, ფიზიკური პირებისგან, საჯარო უწყებებიდან და კერძო ობიექტებიდან გამოთხოვილი ვიდეო ჩანაწერები, სხვადასხვა დაწესებულებიდან ამოღებული/გამოთხოვილი იქნა სამედიცინო და სხვა სახის დოკუმენტაცია; 19 პირის მიმართ დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, რომელთაგან 6 პირის მიმართ მიღებულია დასკვნა; სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. ხსენებული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო საქმე შსს-ს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, საპროტესტო აქციის მონაწილეთა (ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და სხვათა მიმართ) მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე.

აპარატმა საგამოძიებო უწყებას მიმართა ***31 ივლისს***[517] ***ბათუმში*** **აქციაზე დაკავებული 7 პირის** შესახებ. დაკავებულები მიუთითებდნენ: პოლიციელის მიერ სახეში ხელის დარტყმის, ხელის გადაგრეხის, კისერში ხელის მოჭერის, მანქანამდე მითრევის, ჯებირზე გადათრევის, სხეულის სხვადასხვა არეში ფეხების დარტყმის, თავსა და ტანზე ფეხის დაჭერის, მუხლის არეში ფეხის ჩარტყმის, ძირს დაგდების და ხელების პლასტმასის ქამრით/ხელბორკილით ზურგს უკან მჭიდროდ შეკვრასა და მოჭერაზე, რის გამოც განიცდიდა მწვავე ტკივილს, ძირს დაგდებასა და ტანსა და თავზე ფეხების დაჭერის, ხელის თავზე და მუხლის ზურგის არეში დაჭერის შესახებ.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა[518] გამოძიება დაიწყო 2023 წლის 31 ივლისს ბათუმში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე.[519] საქმეზე გამოკითხული იყო 44 პირი, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები მიღებული, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, საჯარო და კერძო დაწესებულებიდან გამოთხოვილი იქნა ვიდეოჩანაწერები; ამოღებული იქნა სამედიცინო ბარათები, სამედიცინო და სხვა სახის დოკუმენტაცია, დათვალიერდა ტელევიზიების სიუჟეტები და ვიდეო-აუდიო მასალები. დაკავებული პირებისგან ამოღებული იქნა ტანსაცმელი და დაინიშნა ტრასოლოგიური ექსპერტიზები, რომლის დასკვნები მიღებულია. 2 პირისგან გამოთხოვილი იქნა ვიდეოჩანაწერები; 4 პირი სრულად გაეცნო საქმის მასალების ასლებს და ელექტრონულ ინფორმაციას.

---

[516] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და 154-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[517] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 1 აგვისტოს N15-15/7535 და 3 აგვისტოს N15-15/7627 წერილები.

[518] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 8 აგვისტოს NSIS32300014356 და NSIS42300014357 და 28 დეკემბრის NSIS52300024186 წერილები.

[519] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 333, ნაწ. 3, ქვეპ. „ბ".

გამოძიება არ დაიწყო: *20 მაისს,*[520] *ყვარელში აქციაზე მყოფი 2 პირის* შესახებ აპარატის მიმართვის შემდეგ, ვინაიდან უწყების განმარტებით, მოქალაქეებთან გასაუბრებისას არ გამოიკვეთა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნები, ამასთან, 1 პირის მიმართ გასაუბრების ოქმი, გაეგზავნა პროკურატურას[521]; ასევე, 2 ივნისს[522] თბილისში გამართული აქციის მონაწილე 2 პირის შესახებ აპარატის მიმართვის შემდეგ, მოქალაქეებთან გასაუბრების შედეგად, უწყების განმარტებით, არ გამოიკვეთა დანაშაულის ჩადენის ფაქტი, თუმცა, 1 პირის შესახებ სავარაუდო დისციპლინური დარღვევაზე რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში,[523] რომლის ცნობით, ფაქტი არ დადასტურდა.[524]

2 ივნისს დაკავებული ადვოკატი შ. თ. აცხადებდა,[525] რომ პოლიციელების მხრიდან ძალის გამოყენებით დაკავეს, წაართვეს პლაკატი, მანქანისკენ იძულებით წაიყვანეს, უხეშად მოექცნენ, კისერში მოუჭირეს, მანქანაში ხელბორკილის დადეს, თავდაპირველად უთხრეს, რომ იყო განრიდებული, შემდეგ ისევ დაადეს ხელბორკილი ზურგს უკან. ჩამოართვეს ნივთები და შეადგინეს ოქმი. სახალხო დამცველის წარმომადგენლის თხოვნით, ხელბორკილი სხეულის წინ გადაუტანეს, მერე ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლეს. აპარატს[526] ეცნობა, რომ გასაუბრების შედეგად არ გამოიკვეთა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის[527] ქვემდებარეობას განკუთვნილი დანაშაულის ნიშნები, თუმცა პოლიციელების მხრიდან სხვა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების თაობაზე რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა პროკურატურას, სადაც 2023 წლის ნოემბრის მდგომარეობითაც, მიმდინარეობდა საკითხის შესწავლა.[528]

სხვა სახის უფლებადარღვევებზე დაფიქსირებული საჩივრები:

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან შეხვედრისას **დაკავებულები აცხადებდნენ, რომ არ განუმარტეს უფლებები და დაკავების საფუძვლები, ოჯახის წევრებისთვის არ შეუტყობინებიათ და ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა არ**

---

[520] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 მაისის N15-8/4904 და 24 მაისის N15-5/4964 წერილები.

[521] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 29 მაისის NSIS32300009127 და 2 ივნისის NSIS72300009518 წერილები.

[522] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 9 ივნისის N15-5/5491 წერილი.

[523] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 23 ივნისის NSIS32300010846 წერილი.

[524] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 3 აგვისტოს NMIA62302249711 წერილი და თანდართული მასალები.

[525] განცხადების ადრესატები, საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად, იყვნენ სპეციალური საგამოძიებო სამსახური, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია და ადვოკატთა ასოციაცია.

[526] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 24 ივლისის N15-5/7239 წერილი.

[527] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 27 ივლისის NSIS32300013320 წერილი.

[528] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 25 აგვისტოს N13/58539 და 13 ნოემბრის N13/75964 წერილები.

მისცემიათ. საჩივრები ეხებოდა პოლიციელების მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფას, უხეშ მიმართვებსა და საუბარს, ბანერების/პლაკატების ხელიდან გამოგლეჯას, ცინიკური ხასიათის შეკითხვების დასმას, ოქმის შედგენასთან დაკავშირებულ დარღვევებს. რამდენიმე დაკავებული ამტკიცებდა, რომ **ოქმში არ მიეთითა ფაქტობრივად დამკავებელი პოლიციელები და ჩაწერეს სხვები**; ასევე, **ოქმს ხელი მოაწერა პოლიციელმა, რომელსაც ოქმი არ შეუდგენია**. დაფიქსირდა განცხადებაც, რომ **ხელი მოაწერინეს ფურცლებზე და არ წააკითხეს**. აპარატმა სამართლებრივი რეაგირებისთვის მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელმაც **მხოლოდ 2 შემთხვევაში დაადგინა დისციპლინური დარღვევის ფაქტი.**

3 ივნისს, ბათუმში გამართულ აქციაზე **დაკავებული 2 არასრულწლოვანი** აცხადებდა, რომ დაკავებისას უფლებები არ განუმარტეს, სამმართველოში გადაყვანამდე, კანონიერ წარმომადგენლებთან დაკავშირება ან ადვოკატის მომსახურების შეთავაზება არ მომხდარა. აპარატის[529] მიმართვის შემდეგ გენერალურმა ინსპექციამ[530] ჩატარებული შემოწმებით დაადასტურა გამომძიებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი (არასრულწლოვანი პირის მიმართ წარმოების პროცესში მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართვის მიუხედავად, გამომძიებელს გამორჩა და ხელი არ მოაწერინა გათავისუფლების ხელწერილზე). მის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების ნაცვლად, გამოიყენეს სარეკომენდაციო ბარათი.

საყურადღებოა, რომ პოლიციის მხრიდან **პერსონალური მონაცემების უკანონოდ** დამუშავებაზე (ფოტოგადაღება) უთითებდა 3 ივნისს ბათუმში გამართული საპროტესტო აქციის მონაწილე მ. ქ. აპარატის[531] მიმართვის შემდეგ გენერალურმა ინსპექციამ[532] სამსახურებრივი შემოწმებით დაადასტურდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი - პოლიციელმა მობილური ტელეფონით თვითნებურად მოახდინა დაკავებულის ფოტოდასურათება მიუხედავად იმისა, რომ პირი იდენტიფიცირებული იყო და უარს აცხადებდა გადაღებაზე.[533]

რაც შეეხება **უპასუხოდ დარჩენილ მიმართვებს,** 19 მაისის აქციაზე დაკავებულ 3 პირთან დაკავშირებით, რომელთა თქმით, არ განუმარტეს დაკავების საფუძველი და უფლებები, ასევე, ერთი პირი აღნიშნავდა ცინიკური ხასიათის შეკითხვების დასმაზე - აპარატის[534]

---

[529] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 14 ივნისის N15-15/5647, 8 აგვისტოს N15-15/7790 და 20 ოქტომბრის N15-15/10424 წერილები.

[530] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 6 ოქტომბრის NMIA82302923156 და 28 ოქტომბრის NMIA22303159897 წერილები.

[531] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 14 ივნისის N15-15/5647, 8 აგვისტოს N15-15/7790 და 20 ოქტომბრის N15-15/10424 წერილები.

[532] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 6 ოქტომბრის NMIA82302923156 და 28 ოქტომბრის NMIA22303159897 წერილები.

[533] მოცემული საქმე ასევე განხილულია ამავე ანგარიშის „პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების" თავში.

[534] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 24 მაისის N15-5/4974 წერილი.

მიმართვა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ[535] სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში გადააგზავნა. არაერთი მიმართვის[536] მიუხედავად, პასუხი არ არის მიღებული.

დაფიქსირდა საჩივრები იზოლატორების მიმართაც:

- მარტის აქციებზე დაკავებული პირი მიუთითებდა თბილისის N2 იზოლატორში დაახლოებით 11-12 საათი საკვების მიუცემლობაზე, ასევე, ვეგანობის (არ იღებს ცხოველურ საკვებს) თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიუხედავად, ხორციანი საკვების გადაცემაზე, რის გამოც უარი მოუწია საკვების მიღებაზე და მხოლოდ პური მიიღო. აპარატისთვის[537] მიწოდებული ინფორმაციით,[538] დაკავებული იზოლატორში იმყოფებოდა 31 საათი და 4 წუთი, ხოლო კვება რეგულირდება ნორმატიული აქტით[539] დადგენილი წესით, რომლის შესაბამისად ხდება საკვების დღეში 3-ჯერ შეთავაზება. აღსანიშნავია, რომ ყველა დაკავებული, მათ შორის ხსნებული პირი, უზრუნველყოფილი იყო კვებითი რაციონით.

  თუმცა, წერილობით დოკუმენტში არის ჩვეულებრივი მენიუ და არ არის კონკრეტულად ვეგანური საკვები.

- მოქალაქე აცხადებდა, რომ სცადა 2 ივნისის აქციაზე დაკავებულებული 3 პირისთვის თელავის იზოლატორში დაშვებული ნივთების: საკვების, წყლის, წიგნის და სიგარეტის მიწოდება, რაზეც უარი ეთქვა და მხოლოდ სიგარეტის შეგზავნის ნება დართეს.[540] კანონმდებლობით[541] მინიჭებული ამანათის მიღების უფლებით სარგებლობის შეზღუდვის მიზეზის გარკვევის პასუხად, შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, მათთვის გადასაცემად წარმოდგენილი იყო გაურკვეველი წარმომავლობისა და გაურკვეველ ვითარებაში მომზადებული მზა საკვები, რომელიც შესაძლოა საფრთხის შემცველი ყოფილიყო ჯანმრთელობისთვის, შესაბამისად დაკავებულ პირებს შეეზღუდათ ამანათის სახით საკვები პროდუქტის მიღების უფლება, გარდა თამბაქოს ნაწარმისა.

---

[535] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 12 ივნისის NMIA92301659215 წერილი.

[536] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 11 აგვისტოს N15-8/7964 და 13 ნოემბრის N15-8/11096 წერილები.

[537] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 13 მარტის N15-4/2544 წერილი.

[538] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 23 მარტის NMIA02300827355 წერილი.

[539] 2005 წლის 5 მაისის N457 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორებში მყოფ პირთა სადღეღამისო კვების ნორმების განსაზღვრის შესახებ".

[540] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 6 ივნისის N15-5/5399 წერილი.

[541] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანების N2 დანართის 23-ე მუხლ. პუნქტ. 1 ქ/პ. „ა.დ", მუხლ. 9 პუნქტ.2, ქ/პ.

იზოლატორებში ყველა დაკავებული პირი უზრუნველყოფილი იყო ჰიგიენური საშუალებებით, საკვებითა და სასმელი წყლით.[542]

საგულისხმოა, რომ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში[543] 2023 წლის ნოემბერში განხორციელებული ცვლილების შემდეგ განისაზღვრა, რომ იზოლატორის მოსამსახურე უფლებამოსილია არ მიიღოს იზოლატორში მოთავსებული პირის ამანათი, თუ ნივთი/პროდუქტი არის ვადაგასული, დაზიანებული ან არსებობს ვარაუდი, რომ ის საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან/და შეუძლებელია მისი ვარგისიანობის დადგენა[544] და ივნისის მდგომაროებით ამგვარი პირდაპირი აკრძალვა არ მოქმედებდა.

საპროტესტო აქციების მონაწილეების ადმინისტრაციული წესით დაკავება:

საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების **ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და ამ ფორმით გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის არასწორი პრაქტიკა.** 2023 წელსაც, არაერთი დაკავებული მომიტინგე მიუთითებდა უსაფუძვლო დაკავების თაობაზე. გარდა ამისა, **პოლიცია, როგორც წესი, დაუსაბუთებლად მიმართავდა დაკავების ვადის გაგრძელებას (24 საათიდან 48 საათამდე).** თუმცა, **სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციულ დაკავებაზე არ ხორციელდება**. საგულისხმოა, რომ დაკავებულების ოჯახის წევრებს და ადვოკატებს არ ჰქონდათ ინფორმაცია დაკავებულების ადგილსამყოფელის შესახებ. **დაკავებულებს ეზღუდებოდათ დაცვის უფლება, ადვოკატთან დაუყოვნებლივ შეხვედრის შეზღუდვის შედეგად.**

საპროტესტო აქციების ათეულობით მონაწილე დააკავა პოლიციამ 2023 წლის თბილისში, 2-3 მარტს, 7-9 მარტს და 2 ივნისს, ყვარელში 20 მაისს, ბათუმში 3 ივნისს და 31 ივლისს. აღსანიშნავია, რომ 2 მარტს, პოლიციამ აქციაზე მყოფი მედიის წარმომადგენლები: „პუბლიკას" და „ტაბულას" ჟურნალისტები: ზურაბ ვარდიაშვილი და ბექა ჯიქურიშვილი დააკავა; 2 ივნისს ადვოკატები, უფლებადამცველები და სამოქალაქო აქტივისტები: შოთა თუთბერიძე, ედუარდ მარიკაშვილი, საბა ბრაჭველი, გრიგოლ ფრანგიშვილი, ნოდარ სიხარულიძე, ნიკა რომანაძე და სხვები წარწერიანი/ცარიელი ფურცლის გამო დააკავეს; 7-9 მარტის აქციებზე მოქალაქეების განურჩევლად დაკავება ხდებოდა და ცალკეულ შემთხვევებში, არ წარმოადგენდა მიმდინარე სამართალდარღვევის აღკვეთის ზომას.

[542] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 20 ივნისის NMIA02301751754 წერილი.
[543] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანება.
[544] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანების დანართი N2. მუხლ. 12, პუნქტ. 6^1 (2023 წლის 10 ნოემბრის რედაქცია, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 10 ნოემბრის N88 ბრძანება).

მათგან აღსანიშნავია, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის და მოქალაქე ი. კ.-ს დაკავება პოლიციელთან არააგრესიული საუბრის შემდეგ.

დაკავების ვადა 48 საათამდე გაუგრძელდა 7-9 მარტის აქციებზე დაკავებულების ნაწილს (ყველა მათგანი 9 მარტს, საღამოს გათავისუფლდა[545]), 2 ივნისს აქციაზე და 31 ივლისს ბათუმში გამართულ აქციაზე დაკავებულებს.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი[546] წლების განმავლობაში მიუთითებს ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შეუსაბამო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემურ ხარვეზებზე, მათ შორის, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების საკითხის პრობლემურობაზე. როდესაც პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლის წინაშე სადავოდ ხდის ადმინისტრაციულ დაკავებას, მოსამართლე არ ამოწმებს დაკავების კანონიერებას და აცხადებს, რომ ცალკე სამართალწარმოების ფარგლებში უნდა იქნეს განხილული. ადმინისტრაციული დაკავების კანონიერება ამ საქმის განმხილველმა სასამართლომ თავად სამართალდარღვევის საქმის განხილვასთან ერთად უნდა შეაფასოს, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესშია. სახალხო დამცველის ხსენებული რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი სასამართლო საერთოდ არ ამოწმებს პირის ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების საკითხს და შესაბამისად, დაკავების კანონიერების საკითხი სასამართლო კონტროლს მიღმა რჩება. ევროპული სასამართლოს კრიტიკის საგანს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე დაკავების და მისი ვადის გაგრძელების საფუძვლების დაუსაბუთებლობა, რის გამოც დაკავება უკანონოდ და თვითნებურად ფასდება.[547]

მაგალითად, 2023 წლის 2 ივნისს საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციულად დაკავებული პირების საქმეების შესწავლის შედეგად სახალხო დამცველმა[548] მნიშვნელოვნად მიიჩნია,

---

[545] იხ. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15704> https://www.facebook.com/MIAofGeorgia/posts/pfbid02YpjhPD4e21XT3kpLwgy2ufHpYAvrFRwyxxJDuE3z2PtzwThfDastvQxjnZ9e7RM1l>

[546] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" 2020 წლის ანგარიში, გვ. 103-104, 115; 2021 წლის ანგარიში, გვ. 91; 2022 წლის ანგარიში, გვ. 92-93, 96. <https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi> [ბოლოს ნანახია: 10.01.2024 წ.]

[547] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: „Nemtsov v. Russia", განაცხადი N1774/11 პარ. 103-104; 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „Navalnyy and Yashin v. Russia", განაცხადი N76204/11 პარ. 93-98; 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: „Frumkin v. Russia" განაცხადი N74568/12 პარ. 149-152; 2016 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „Kasparov and Others v. Russia (no. 2)" განაცხადი N51988/07 პარ. 40-41; 2020 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „Navalnyy and Gunko v. Russia" განაცხადი N75186/12 პარ. 55-58.

[548] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 13 ივნისის N15-5/5562, 15 ივნისის N15-5/5695, N15-5/5694, N15-5/5693, N15-5/5692, 7 სექტემბრის N15-5/8978 და 26 სექტემბრის N15-5/9710 სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-2-ivniss-dakavebuli-aktsiis-monatsileebis-sakmeebze-sasamartlos-mimarta> [ბოლოს ნანახია: 10.01.2024 წ.]

რომ მოსამართლეს ემსჯელა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით დაცული ქმედებისთვის მოქალაქეების პოლიციელების მიერ ადმინისტრაციული დაკავების როგორც თავდაპირველი საფუძვლების,[549] ისე მისი 48-საათამდე[550] გახანგრძლივების მიზანშეწონილობის საკითხზე.

საგულისხმოა, რომ ოქმებში დაკავების საფუძველად სამართალდარღვევის აღკვეთა და პიროვნების დადგენაა მითითებული. პიროვნების დადგენის საპოლიციო ღონისძიება მარტივად, დაკავებისა გარეშეც განსაკუთებული ძალისხმევის გარეშე იყო შესაძლებელი პიროვნების იდენტიფიკაციისთვის შესაბამისი პროცედურებით, როგორიცაა პირადობის მოწმების წარდგენის ვალდებულება, სამინისტროს მონაცემთა ბაზაში გადამოწმება და სხვა. 1 შემთხვევაში - ლ.ჯ.-ს დაკავების საფუძვლად მიეთითა სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა და საქმის დროულად და სწორად განხილვის უზრუნველყოფა. თუმცა, ამ საქმეში სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა და საქმე სასამართლოში თითქმის 2 თვის შემდეგ გადაიგზავნა. რაც შეეხება სამართალდარღვევის აღკვეთის მიზანს, დაკავებული აქციის მონაწილეების ქმედებები სრულიად არაძალადობრივი იყო, ისინი არ გამოხატავდნენ აგრესიას სამართალდამცავების ან გამვლელების მიმართ, ხელს არ უშლიდნენ ტრანსპორტის ან მოქალაქეთა გადაადგილებას, არ ბლოკავდნენ შენობის შესასვლელს და სხვა. აქციაზე წარწერიანი/ცარიელი ფურცლის ქონის, ასევე, წარწერიანი მაისურის ჩაცმის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში მოქცევის საკითხთან მიმართებით სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა სასამართლოსთვის წარდგენილ მოსაზრებებში.

გარდა ამისა, **აქციაზე დაკავებულ პირებს დაკავების ვადა 48 საათამდე გაუგრძელდათ** მტკიცებულებების - **სამხრე კამერების ვიდეო ჩანაწერების მოპოვების საფუძვლით, თუმცა სასამართლოში პოლიციელთა სამხრე კამერების ჩანაწერები არ წარმოდგენილა** (წარადგინეს სამინისტროს ბაზიდან ამოღებული ინფორმაცია, ერთეულ შემთხვევებში - მედიით გავრცელებული ფოტოები და ვიდეო ჩანაწერი).

სამწუხაროდ, სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები სასამართლომ[551] არ გაითვალისწინა და დაკავების კანონიერების საკითხი სასამართლოს კონტროლის გარეშე დარჩა. შესაბამისად, **პოლიციელთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე სასამართლოს რეაგირება არ მოუხდენია.**

ანალოგიურად, სასამართლომ[552] არც კი იმსჯელა 2023 წლის 7-9 მარტის საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების დაკავების კანონიერების საკითხზე ისეთ შემთხვევებშიც, სადაც მასმედიით გავრცელებულ, აქციის მონაწილეების დაკავებამდე პერიოდის და დაკავების

[549] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 244, ნაწ. 1.
[550] იქვე, მუხ. 247.
[551] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 სექტემბრის და 28 სექტემბრის დადგენილებები.
[552] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 24 მაისის და28 ივნისის დადგენილებები.

ამსახველ ჩანაწერებში[553] არ ფიქსირდებოდა მოქალაქეების: ზურა გირჩი ჯაფარიძის და ი.კ-ს მიერ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა.

2023 წლის 31 ივლისს, ბათუმის ნავსადგურთან გამართულ აქციაზე დაკავებულ 5 პირს (გ. დ., გ. გ., ი. ხ., გ. ს., მ. ა. და თ. კ.) დაკავების ვადა გაუხანგრძლივდათ 24 საათით, რაც საბუთდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან, დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის მოპოვების საჭიროებით. აქვე არ არის განმარტებული, დაკავებულთა გათავისუფლებით რა საფრთხე შეიძლება შექმნოდა ადმინისტრაციული საქმის მწარმოებელი უწყების მიერ მითითებული ინფორმაციის მოპოვებას.[554]

ადვოკატთან დაუყოვნებლივ შეხვედრის უფლების შეზღუდვა:

საქართველოს კონსტიტუციით[555] გარანტირებული დაცვის უფლების შეზღუდვად უნდა შეფასდეს საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულებისთვის ადვოკატთან შეხვედრის შეზღუდვის შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში საპროტესტო აქციებზე დაკავებულებისა და მათი ადვოკატების განცხადებით, ასევე მასმედიით საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ერთგვარი ტენდენციის სახე ჰქონდა საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების ადვოკატებთან დაუყოვნებლივ შეხვედრის შეზღუდვას, ხოლო ამ საკითხთან დაკავშირებით აპარატის მიმართვებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ჯეროვანი რეაგირება არ მოუხდენია.

მასმედიით გავრცელებული ინფორმაციით, 2023 წლის 20 მაისს, ყვარელში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ოჯახის წევრების საქართველოში ვიზიტისა და ქორწილის ცერემონიის საწინააღმდეგოდ გამართულ საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების ადვოკატები მიუთითებდნენ, რომ დაკავებულებთან შესახვედრად პოლიციის განყოფილებებში არ უშვებდნენ. აპარატის მიმართვის[556] პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ[557] წერილი რეაგირებისთვის იმავე სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში

---

[553] იხ. <https://www.youtube.com/watch?v=kpi2mL779qY> ჩანაწერის 3:51:41-3:53:25 მონაკვეთი (ეკრანზე მითითებული დრო: 01:58-02:00სთ), https://www.palitravideo.ge/video/154273-ert-kvirashi-amerikashi-gaikcevit-da-me-unda-vicxovro-ak-chemi-shvilebit-vistvis-gindat-es-kveqana-axali-kadrebi-akciidan-ra-moxda-zurab-japarizis-dakavebamde-ramdenime-cutit-adre/> <https://www.palitravideo.ge/video/154132-ra-utxra-zurab-japarizem-samartaldamcvelebs-akciaze-dakavebamde-vrceleba-videokadrebi/> <https://www.palitravideo.ge/video/154007-kadrebshi-xedavt-dakavebis-epizods-xelketebi-urtqes-tavshi-zuras-etqoba-sisxlchakcevebi-txemze-akvt-mzime-tkivili-qbis-areshi-ra-video-vrceldeba-zurab-girchi-japarizisa-da-nika-mosiashvilis-shesaxeb/>

[554] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 27 დეკემბრის NMIA 7 23 03828844 წერილით წარმოდგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალები.

[555] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 31, პუნქ. 3.

[556] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 24 მაისის N15-5/4998 წერილი.

[557] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 12 ივნისის NMIA22301659128 წერილი.

გადააგზავნა, ხოლო მასმედიით გავრცელებულ ერთ ფაქტზე მოითხოვა გარემოების დაზუსტება მიუხედავად იმისა, რომ აპარატის წერილში მითითებული იყო ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული რელევანტური ვიდეო ჩანაწერი. დაკავებულ პირებთან ადვოკატების დაუყოვნებლივ შეხვედრის უფლების შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით აპარატის განმეორებით მიმართვაში დეტალურად აღიწერა მასმედიით საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია.[558]

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის პოზიციით,[559] მითითებული პირების მიმართ უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე, ვერ იმსჯელა სამინისტროს იურიდიულმა დეპარტამენტმა, ვინაიდან საჩივარი არ შეუტანია უფლებამოსილ პირს, ვის მიმართაც შესაძლოა დაირღვა უფლებები. ამასთან, უწყების პოზიციით, სამართალდარღვევის საქმეები სასამართლოში მიმდინარე რეჟიმში იყო და მიღებული გადაწყვეტილებები კანონიერ ძალაში არ შესულა.

შესაბამისად, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების ადვოკატთან დაუყოვნებლივ შეხვედრის უფლების ხელყოფის ფაქტები სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ არც კი შეისწავლა და რეაგირების გარეშე დატოვა მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია ხსენებული საკითხის შესწავლისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

ანალოგიური პრობლემა დაფიქსირდა აპარატის მიერ შესწავლილ 2023 წლის 31 ივლისს, რუსეთის ფედერაციიდან შემოსული საკრუიზო გემის წინააღმდეგ ბათუმის ნავსადგურთან გამართულ საპროტესტო აქციაზე დაკავებული პირების საქმეშიც. თ. კ.-ის და მ. ა.-ის გადმოცემით, პოლიციის თანამშრომლებმა არ მისცეს ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა.

აქციის მონაწილეთა მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის ხარვეზები:

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიების უგულებელყოფით, საბჭოთა პერიოდში მიღებული კანონის საფუძველზე, მოქალაქეების სამართალდამრღვევებად ცნობის არასწორი პრაქტიკა. პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩნდა 2023 წელს საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის სამართალდამრღვევად ცნობის შემთხვევებში.

სასამართლოები აქციის მონაწილეებს სამართალდამრღვევად ცნობდნენ არა შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, არამედ მხოლოდ პოლიციელთა ახსნა-

[558] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 1 აგვისტოს N15-5/7532 წერილი.
[559] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 6 დეკემბრის NMIA22303592913 წერილი.

განმარტების/ჩვენებების და მათ მიერვე შედგენილი ოქმების საფუძველზე. ისეთ შემთხვევაშიც კი, სადაც არსებობდა ნეიტრალური მტკიცებულება - ვიდეოჩანაწერის სახით, უპირატესობას სწორედ სამართალდამცველთა პოზიციას ანიჭებდნენ. ამასთან, სასამართლო არ ამოწმებდა პოლიციელის ჩვენების სანდოობას და უტყუარობას ისეთ შემთხვევებში, როცა პირი დამკავებლად და ოქმის შემდგენელად სხვა პოლიციელს ასახელებდა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ სამართალდარღვევებს სისხლისსამართლებრივი ხასიათი გააჩნია, მოსამართლის პოზიციით, მტკიცების ტვირთი ორივე მხარეს ეკისრება. სასამართლოებმა წვრილმან ხულიგნობად მიიჩნიეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში მოქალაქეთა ქმედება, ხოლო პოლიციელთა მოთხოვნის „კანონიერებაზე" მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლნენ და კონკრეტულად არ განიხილეს რა მოთხოვნა ჰქონდა პოლიციას და იყო თუ არა ის კანონიერი.

სახალხო დამცველმა 2023 წლის საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული 15 პირის საქმეზე წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები.[560] სახალხო დამცველმა მოსაზრებები წარადგინა დაკავებულების/მათი ადვოკატების მიერ აპარატში წარმოდგენილი საქმის მასალების (1 შემთხვევაში - საჯაროდ გავრცელებული ვიდეო ჩანაწერის) შესწავლის შედეგად, ვინაიდან, კანონით, სახალხო დამცველს უფლება არ აქვს საქმის განხილვის დასრულებამდე გაეცნოს საქმეს.[561] სამწუხაროდ, სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს სახალხო დამცველის მოსაზრებაში ასახული ადამიანის უფლებების შესაბამისი სამართლებრივი არგუმენტები და თითქმის ყველა შემთხვევაში სამართალდამრღვევებად ცნეს აქციის მონაწილეები.

სახალხო დამცველის ანგარიშებში[562] წლების განმავლობაში ფიქსირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას არსებული პრობლემები: კოდექსში სამართალდამრღვევად ცნობისთვის კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტისა და მტკიცების ტვირთის არარსებობა განაპირობებს პირის სამართალდამრღვევად ცნობას სამართალდარღვევის ოქმის და ამავე ოქმის შემდგენი პოლიციელის ზეპირი განმარტების საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია, დადგენილებები ეყრდნობა მხოლოდ სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმების მონაცემებს და სასამართლო სხდომაზე ოქმის შემდგენი სამართალდამცავი პირის განმარტებას. ყველა მტკიცებულება მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ და მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს. შესაბამისად, არაერთხელ გაიცა რეკომენდაცია 1984 წელს

---

[560] მაგ. იხ < https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelma-2-ivniss-dakavebuli-aktsiis-monatsileebis-sakmeebze-sasamartlos-mimarta >

[561] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი მუხლ. 18, ქ/პუნქტ. „ე".

[562] იხ. სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 15-16; 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.448-450; 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 271-277; 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 303-307; 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 462-467; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 114; 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 103-106; 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 157-159; 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 145-146; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3TAP2l6 > [ბოლოს ნანახია: 19.03.2023].

საბჭოთა მმართველობის პერიოდში მიღებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის, ახალი კოდექსის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობის თაობაზე.[563]

საანგარიშო პერიოდშიც, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა სასამართლოს მიერ **პოლიციელის მოთხოვნის „კანონიერების" საკითხის არ განხილვა და არ შეფასება,** რაც აუცილებელია სამართალდარღვევის ფაქტის დასადგენად. ასევე, ასკ-ის 166-ე მუხლი, როგორც **პასუხისმგებლობის დამკისრებელი ნორმა, არ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის სტანდარტს: კანონი წვრილმან ხულიგნობად აცხადებს „სხვა ამგვარ მოქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს". აღნიშნული ფორმულირება ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და თვითნებობის რისკს შეიცავს.**

სერიოზული ხარვეზები დაფიქსირდა მტკიცების ტვირთის განაწილების, მტკიცებულებათა სტანდარტისა და ნეიტრალური მტკიცებულების შეფასების თვალსაზრისით. საგულისხმოა, 2 ივნისის აქციაზე დაკავებულების საქმის განმხილველი მოსამართლის განმარტება, რომ მტკიცების ტვირთი ორივე მხარეს ეკუთვნის. სამართალდარღვევები, სადაც სანქცია ადმინისტრაციული პატიმრობაა, სისხლისსამართლებრივი ბუნებისაა და კონსტიტუციისა და კონვენციის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ბრალმდებელს ეკისრება და არა დაცვის მხარეს. სასამართლო ძირითადად ეყრდნობა პოლიციელის მიერ შედგენილ დოკუმენტებს და ახსნა-განმარტებას. ისეთ შემთხვევებშიც კი, სადაც არსებობდა ნეიტრალური მტკიცებულება ვიდეო ჩანაწერის სახით, სასამართლოები პოლიციელის განმარტებასა და ჩვენებს ეყრდნობოდნენ.

ამასთან, რაც შეეხება უშუალოდ სასამართლოში პოლიციელის გაჟღერებული ინფორმაციის შეფასებას, სასამართლო არ აფასებს მის სარწმუნოობას და სანდოობას სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში და ერთობლიობაში. ეს საკითხი აქტუალურია საპროტესტო აქციების დროს მოქალაქეთა მასობრივი დაკავების პროცესში, როცა არაერთი დაკავებული აღნიშნავს, რომ დამკავებელი და ოქმის შემდგენი/სასამართლოში წარმომდგენი პოლიციელი სხვადასხვაა.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მათი სამართალდამრღვევებად ცნობით, ადგილი ექნებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს საშიშროებას, პროტესტის მიზნით განხორციელებული მშვიდობიანი და არაძალადობრივი ქცევა მომავალშიც სამართალდარღვევად დაკვალიფიცირდეს. აქციის მონაწილეების ქმედებები სრულიად არაძალადობრივი იყო. ისინი არ გამოხატავდნენ აგრესიას სამართალდამცავების

[563] იხ. 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 281; 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 404; 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 469; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 117; 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 109; 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 161; 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 147; 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 118.

ან გამვლელების მიმართ, ხელს არ უშლიდნენ ტრანსპორტის ან მოქალაქეთა გადაადგილებას, არ ბლოკავდნენ შენობის შესასვლელს და სხვა. სახალხო დამცველი, საერთაშორისო სტანდარტების, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ის ინფორმაცია და იდეები, რომელთაც საზოგადოება იზიარებს ან რომელთა მიმართ ინდიფერენტულად არის განწყობილი, არამედ ისეთებიც, რომელიც შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების რომელიმე, გარკვეულ ჯგუფს. საგულისხმოა ისიც, რომ პოლიტიკური შინაარსის გზავნილები განსაკუთრებული დაცულობით სარგებლობს. შესაბამისად, სრულიად დაუშვებელია სამართალდამცავთა მიერ შეკრების მონაწილეთა უფლებებში ჩარევა მხოლოდ მათ მიერ პროტესტის გამოხატვისთვის შერჩეული სტილის გამო.

8 ივლისს „თბილისის პრაიდის" წინააღმდეგ გამართული კანონსაწინააღმდეგო შეკრება:

2023 წელს, 8 ივლისს „თბილისი პრაიდის" ჩაშლის მიზნით გამართული შეკრება და პოლიციის ქმედებები/უმოქმედობა შეფასებული იქნება სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, თანასწორუფლებიანობის ჭრილში. წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის კი უნდა აღინიშნოს, რომ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ გაატარა საკმარისი და ეფექტიანი ღონისძიებები მოძალადე/კანონდამრღვევი ჯგუფის მიმართ და ადმინისტრაციული წესით დააკავა მხოლოდ 2 მონაწილე.**

სასამართლომ ხსენებული 2 პირი სამართალდამრღვევებად ცნო ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით და ჯარიმა განუსაზღვრა.[564] სასამართლომ დაადგინა, რომ ისინი 8 ივლისს, ლისის ტბის მიმდებარედ ილანძღებოდნენ ხმამაღლა, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ პოლიციელებს, არ დაემორჩილნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნას და ფიზიკური ძალით გაარღვიეს პოლიციის კორდონი.

გამოძიება 2 სისხლის სამართლის საქმეზე[565] დაიწყო: „თბილისი პრაიდის" დასკვნითი ღონისძიების მიმდინარეობისას პოლიციელის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე (სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის მიზნით, ჩადენილს ძალადობით ან ძალადობის მუქარით). სამინისტროს ცნობით, კონტრაქციის მონაწილეთა შეკავების დროს ფიზიკური ძალადობის შედეგად დაზიანდა 3 პოლიციელი. მოცემულ საქმეზე, 2023 წლის ბოლოსთვის, კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ იყო. გარდა ამისა, გამოძიება დაიწყო ქურდობის და სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების (რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) ფაქტზე. 2024 წლის 9 თებერვალს, პროკურორის დადგენილებით შეიცვალა

[564] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 3 ნოემბრის დადგენილება (საქმე N4/6665-23).

[565] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 11 აგვისტოს NMIA22302343316, 2023 წლის 31 ოქტომბრის NMIA12303192240 და 2024 წლის 15 თებერვლის NMIA32400466268 წერილები; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 18 დეკემბრის N13/84827 წერილი.

კვალიფიკაცია და გამოძიება გრძელდება ხსენებული მუხლებითა და სსკ-ის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით (დევნა). საქმეზე დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით პროკურატურას 28 პირის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მიმართა, რომელსაც უარი ეთქვა დაზარალებულად ცნობაზე, რაც გასაჩივრდა ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება - სასამართლოში. სასამართლოს განჩინებით, ადვოკატს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებასა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების დაზარალებულად ცნობაზე. 2023 წლის ბოლოსთვის, კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ იყო.

სამწუხაროა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ დააყენა იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნას და აგრძელებდნენ „თბილისი პრაიდის" ჩაშლას/ხელშეშლას. **უწყებას შეეძლო დაეწყო ადმინისტრაციული სამართალწარმოება შემდეგ დღეებშიც, რადგან ვიდეოჩანაწერებში ნათლად ჩანდა კანონდამრთვევი პირები. თუმცა, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, 2 პირის გარდა, სხვა პირები არ მიუციათ.**

უფრო მეტიც, რაც შეეხება 8 ივლისს მომხდარი დანაშაულებს, დანაშაულზე წასწრების შემთხვევის[566] მიხედავად, სისხლის სამართლის წესით ადგილზე არავინ დაუკავებიათ. გამოძიება დაიწყო 2 საქმეზე: პოლიციელთა მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წინააღმდეგობის ფიზიკური ძალადობით გაწევის ფაქტზე; ასევე, ქურდობისა და სხვისი ნივთის დაზანებისა და განადგურების ფაქტებზე, რომელთაც 2024 წელს დევნის კვალიფიკაციას დაემატა. სწორად მიგვაჩნია გამოძიების სსკ-ის 156-ე მუხლით წარმართვა, თუმცა პრობლემაა, რომ **არცერთ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა 7 თვეზე მეტი პერიოდის შემდეგაც დაწყებული არ არის, ხოლო „თბილისი პრაიდის" ფესტივალის მონაწილეებს, ასევე, კერძო მესაკუთრეებს, რომელთა ნივთები განადგურდა და მოიპარეს, დაზარალებულის სტატუსი მინიჭებული არ აქვთ.**

7.2. 20-21 ივნისისა და 5 ივლისის აქციებზე მიმდინარე მოვლენების გამოძიება

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად განაგრძობს 2019 წლის 20-21 ივნისსა და 2021 წლის 5 ივლისს გამართული საპროტესტო აქციებზე მიმდინარე მოვლენების საქმეების გამოძიების მონიტორინგს.

- **20-21 ივნისი**

[566] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 171, ნაწ. 2, ქ/პ. „ა" პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია, თუ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით,[567] საანგარიშო პერიოდში **კვლავ არ არის დასრულებული გამოძიება.** 2023 წელს **გამოძიებას კვლავ სრულად არ აქვს მიღებული დანიშნული სასამართლო-სამედიცინო და სხვა სახის ექსპერტიზების დასკვნები.** პროკურატურის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება (მოწმეთა გამოკითხვა, მოპოვებული ინფორმაციის შესწავლა) და იდენტიფიცირებულია დანაშაულის ნიშნების შემცველი ეპიზოდები, დამატებით დაზარალებულად ცნობილი მხოლოდ 3 პირი იქნა, ხოლო 2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა ვინმეს მიმართ არ დაწყებულა.

ექსპერტიზების დასკვნების მომზადების გაჭიანურება განსაკუთრებით კონკრეტული პირების დაზარალებულად ცნობისთვის და მათ მიერ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით - სრულყოფილად მიეღოთ ინფორმაცია და ჩართული ყოფილიყვნენ გამოძიების მიმდინარეობაში - სარგებლობისთვის არის ხელშემშლელი. 2023 წლის მდგომარეობით, **საქმეზე დაზარალებულად ცნობილი ჯამში მხოლოდ 37 აქციის მონაწილე[568] და ჟურნალისტია, მაშინ, როდესაც გამოძიებას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნული ჰქონდა 330 პირის მიმართ.**

- 5 ივლისი

სახალხო დამცველის აპარატი 2021 წლიდან აკვირდება 5 ივლისს „თბილისი პრაიდის" მიერ ორგანიზებული ღონისძიებების საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორთა და მონაწილეთა მიერ ჩადენილ ქმედებებზე მიმდინარე გამოძიებასა და სასამართლოს შეფასებებს.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიშში[569] მიმოხილულია აპარატის მიერ 5 ივლისის აქციებზე ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე გამოძიებისა და სასამართლოს შეფასების ხარვეზები, მათ შორის, განსაკუთრებით, ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობდა ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორების მიმართ და სასამართლოს მიერ განხილულ იქნა მხოლოდ ძალადობის ცალკეული ეპიზოდები და დამნაშავედ იქნენ ცნობილი მხოლოდ ამსრულებლები.

2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის" მიერ დაგეგმილი ღონისძიებების საწინააღმდეგო აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდება კონკრეტულ პირებს არც 2023 წლის განმავლობაში წარდგენია. ასევე, არ გამოკვეთილა ძალადობის ჩამდენი სხვა ამსრულებელი პირები.[570]

---

[567] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 26 დეკემბრის ნ13/86773 წერილი.
[568] 2022 წლის მდგომარეობით 34 პირი იყო ცნობილი დაზარალებულად.
[569] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში (გვ.81-88); <https://shorturl.at/iltGT>
[570] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 8 იანვრის N13/169 წერილი.

სახალხო დამცველის აპარატმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2023 წლის განმავლობაში 5 ივლისს განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების თაობაზე, მათ შორის, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ფაქტისა და ჩამდენი პირების გამოკვეთის მიზნით.[571]

თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აპარატს ეცნობა მხოლოდ ის, რომ ჩატარდა არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება; 5-6 ივლისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაწყებული ნაწილი სისხლის სამართლის საქმეებისა არსებითად განსახილველად გადაიგზავნა სასამართლოში; ხოლო, სხვა საქმეებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე, 156-ე, 126-ე, 187-ე, 239 -ე და 225-ე მუხლებით გრძელდება. უწყები[572]

8. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა 2023 წელსაც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება იყო სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაში. **განსაკუთრებული ყურადღება მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტებს დაეთმო.** აქტუალური იყო **ბრალდებულების გარე სამყაროსთან კონტაქტის დაუსაბუთებელი შეზღუდვის ფაქტები.** ასევე, წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება **მსჯავრდებულების მიმოწერის უფლების დარღვევის, მათი ოჯახისგან მოშორებით მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში გადაყვანისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელყოფის სხვა შემთხვევები.**

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდშიც **უშედეგოდ გაგრძელდება ე.წ. სუსის ფაილების საქმეზე და პოლიტიკურად აქტიური პირების საცხოვრებელ ბინებში ვიდეო კამერების მონტაჟის, ფარული მიყურადებისა და პირადი ინფორმაციის ამსახველი კადრების შესაძლო მოპოვების საქმეზე** წლების წინ დაწყებული გამოძიებები.

დადასტურდა პოლიციის მხრიდან მოქალაქეთა კანონსაწინააღმდეგო ფოტო-ვიდეო გადაღების რამდენიმე შემთხვევა.

8.1. ბრალდებულების/მსჯავრდებულების გარე სამყაროსთან კომუნიკაცია

გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება, ინფორმაციის მიღება და გადაცემა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პატიმრების რესოციალიზაციისთვის. ციხის ევროპული წესების თანახმად, პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ

[571] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 18 დეკემბრის N15-2/12193 წერილი.
[572] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 25 დეკემბრის NMIA 6 23 03796506 წერილი.

ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე დაენიშნოთ პაემნები ამ ადამიანებთან.[573]

საკონსტიტუციო სასამართლომ 2023 წლის 22 ნოემბერს საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" **არაკონსტიტუციურად სცნო არსებული კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს ბრალდებულისთვის პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო ზარის უფლების შეზღუდვის სამართლებრივ ურთიერთობას.**[574] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ მომზადდა შესაბამისი კანონპროექტი[575] და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა **ცვლილებები,**[576] **რომლებიც პოზიტიურად უნდა შეფასდეს** შემდეგ გარემოებათა გამო: თუკი აქამდე არ არსებობდა მსგავს საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების **სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა,** ამჟამინდელი საკანონმდებლო ნორმებით ეს უკვე შესაძლებელი გახდა, ამდენად, საკითხის განმხილველ ორგანოდ მიუკერძოებელი და ნეიტრალური სუბიექტი შეირჩა - სასამართლო. ამასთან, მისასალმებელია ის გარემოებაც, რომ უფლების შეზღუდვის ვადა არ არის განუსაზღვრელი, არამედ **დადგენილია მაქსიმალური 2 თვიანი ვადა.** ხოლო თუკი იარსებებს საჭიროება მისი გაგრძელების, პროკურორს/გამომძიებელს ხელახლა მოუწევს **დასაბუთებული დადგენილების** მიღება უფლებების შესაზღუდად.

მიუხედავად ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯისა, **პრობლემურად უნდა შეფასდეს ახალი კანონის ის ნაწილი, რომელიც პროკურორს/გამომძიებელს ნებას რთავს, 2 თვიანი ვადით იმდენჯერ შეუზღუდოს პატიმარს უფლებები, რამდენჯერაც შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი იარსებებს.**[577]

უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე არსებული რეგულაციით, არ იყო დაზუსტებული, თუ რა ვადით შეეძლო პროკურორს/გამომძიებელს გამოეყენებინა გარე სამყაროსთან კავშირის შეზღუდვის უფლება, თუმცა ბრალდებულების შემთხვევაში ეს იმთავითვე ცხადი იყო - პატიმრობის 9 თვიან ვადას ის ვერ გასცილდებოდა, ვინაიდან თუკი განაჩენი ამ ვადაში არ დადგებოდა, პირი დაუყოვნებლივ გათავისუფლდებოდა პატიმრობიდან, რაც ცხადია გამორიცხავდა მისთვის გარე სამყაროსთან კავშირი შეზღუდვის დაწესებას, პირი კონტროლის ქვეშ და დახურულ დაწესებულებაში აღარ იქნებოდა.

თუმცა, კანონმდებლობა არ პასუხობდა იმგვარ შემთხვევას, როდესაც საქმე შეეხებოდა ისეთ ბრალდებულს, რომელიც იმავდროულად სხვა საქმეზე იხდიდა სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა პროკურორის

---

[573] ციხის ევროპული წესები, წესი 24.1.

[574] საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის №2/8/1444 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". იხ. < https://shorturl.at/fxCQ6 > [ბოლოს ნანახია: 11.01.2024].

[575] იხ. < https://info.parliament.ge/#law-drafting/27716 > [ბოლოს ნანახია 11.01.2024].

[576] იხ. < https://shorturl.at/acyl8 > [ბოლოს ნანახია 11.01.2024].

[577] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 165^2, ნაწ. 3.

დადგენილება უფრო ხანგრძლივადაც გავრცელებულიყო ამ პირზე, ვინაიდან 9 თვიანი პატიმრობა მსგავსი პირის მიმართ რელევანტური არ არის, ის ისედაც დახურულ დაწესებულებაში იმყოფება და შესაძლებელია მისთვის როგორც სატელეფონო, ისე პაემნის და მიმოწერის უფლების შეზღუდვა და აღსრულება.

მსგავს შემთხვევებში გამოდიოდა, რომ **არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირები - ბრალდებულები - ექვემდებარებოდნენ სხვაგვარ მოპყრობას, კერძოდ, მსჯავრდებული-ბრალდებულის შემთხვევაში, პროკურატურას გარე სამყაროსთან კავშირის შეზღუდვა ყოველგვარი მაქსიმალური ვადის დათქმის, ასევე გადაწყვეტილების რაიმე ვადაში გადასინჯვის გარეშე შეეძლო.**

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მსჯავრდებულ ბ.ჭ.-ს საქმე, რომელსაც ასევე ბრალი აქვს წარდგენილი სხვა დანაშაულის შესაძლო ჩადენისთვის და შესაბამისად, წარმოადგენს მსჯავრდებულ-ბრალდებულის საილუსტრაციო შემთხვევას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 აპრილის განჩინებით მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა არ იყო გამოყენებული, ვინაიდან ბ.ჭ. სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე არის მსჯავრდებული.[578] ამასთან, გამომძიებლის 2022 წლის 11 აპრილის დადგენილებით, მსჯავრდებულს შეეზღუდა პაემნის, ასევე მიმოწერისა და დარეკვის უფლება.[579] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღების დროს ბ.ჭ-ს გარე სამყაროსთან კავშირის შეზღუდვა კვლავ უგრძელდებოდა. ჯამში მასზე შეზღუდვა მოქმედებდა **1 წელი და 8 თვე,** ისე რომ **მთლიანი ამ პერიოდის განმავლობაში არ გადასინჯულა მიღებული გადაწყვეტილება უფლებების შეზღუდვის თაობაზე.**

პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც მსჯავრდებულს ისედაც ფრაგმენტულად აქვს შენარჩუნებული სოციალიზაციასთან დაკავშირებული უფლებები, მსგავსი განუსაზღვრელი ვადით გარე სამყაროსთან კავშირის შეზღუდვა გაუმართლებელია, მით უფრო იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ სასამართლოებში საქმის განხილვა რიგ შემთხვევებში შესაძლოა გაგრძელდეს როგორც თვეების, ისე წლების განმავლობაშიც.

მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები სამართალდამცავმა უწყებებმა კვლავ შეიძლება გამოიყენონ იმგვარად, რომ პროკურორის/გამომძიებლის დადგენილებით ყოველ ჯერზე 2 თვით გადავადდეს უფლებების შეზღუდვა და საბოლოოდ შეზღუდვამ გადააჭარბოს 9 თვიან ვადას.

ამრიგად, ის ჩანაწერი, რომლითაც ახალი კანონი უთითებს მსგავსი შეზღუდვის განუსაზღვრელი რაოდენობით გაგრძელების შესაძლებლობაზე, შესაძლოა ქმნიდეს

[578] N6 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 22 ნოემბრის N 326364/23 წერილი.
[579] იქვე.

სამართლებრივ საფუძველს არასწორი პრაქტიკისთვის, რაც დღესდღეისობით საკანონმდებლო ხარვეზის გამო არსებობდა მსჯავრდებულ-ბრალდებულთა მიმართ და უქვემდებარებდა მათ არსებითად განსხვავებულ მოპყრობას.

მსჯავრდებულს, რომელსაც ისედაც მკაცრად შეზღუდული სოციალური კავშირები აქვს - გარე კომუნიკაცია, ინფორმაციის მიღება/გაცემა, კიდევ უფრო მძიმე პირობებში ხვდება და შესაძლოა, მას წლობით გაუგრძელდეს მსგავსი შეზღუდვა, რაც გარდა მძიმე ფსიქოლოგიური ზიანისა, წინააღმდეგობაში მოდის სასჯელის მიზნებთან, ის ვერ განახორციელებს რესოციალიზაციას მსგავს პირობებში და ვერ დაუბრუნდება საზოგადოებას სრულფასოვან წევრად. აუცილებელია, რომ მათ შემთხვევაშიც მაქსიმალური ვადა იყოს განსაზღვრული, რაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების შემთხვევაში ფაქტობრივად 9 თვე გამოდის.

მართალია, გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა გაჩნდა სასამართლოში, თუმცა აღნიშნული არ უნდა წარმოადგენდეს პირის უფლებების დაცვის ერთადერთ მყარ გარანტს. პირადი ცხოვრების უფლების დაცვა იწყება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებით, შექმნას ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო. ამდენად, მხოლოდ სასამართლოსთვის ამ საკითხის დარეგულირების მინდობა არ იქნება მართებული გამოსავალი. **მნიშვნელოვანია კანონმდებლობა ცხადად განსაზღვრავდეს მსგავსი შეზღუდვის მაქსიმალურ ვადას, რათა შედეგობრივად არ მოხდეს განსხვავებული მოპყრობა ბრალდებულის სტატუსის მატარებელ პირთა ორ ჯგუფს შორის.**

პროკურორმა/გამომძიებელმა, გამოძიების მიმდინარეობის დროს, შესაძლოა არც თუ ისე რთულად დაასაბუთოს აღნიშნული შეზღუდვის საჭიროება, ვინაიდან მას მტკიცების მაღალი სტანდარტი არ უწესდება, თუმცა მეორე მხარეს არის პირის უფლებები, ამ შემთხვევაში პირადი ცხოვრების უფლება, რომლის შეზღუდვა ავტომატურად საჯარო ინტერესის დაცვის საჭიროებით ვერ დასაბუთდება, მითუმეტეს ისეთი ინტენსიური სახით, როდესაც შეზღუდვის ვადა 9 თვეს აღემატება და შესაძლოა, მაგალითად, ორი წლის განმავლობაში გაგრძელდეს.

სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს კანონმდებლობის აღსრულების პროცესის აქტიურ მონიტორინგს, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული პატიმრების უფლებები და მათ შორის, გარესამყაროსთან და ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლება.

8.2. პატიმრების მიმოწერის უფლების დარღვევა

- **მსჯავრდებულ რ.შ.-ს საქმე**

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს მომართა არაერთმა მსჯავრდებულმა, რომელიც ამა თუ იმ პენიტენციური დაწესებულებიდან კორესპონდენციის გაგზავნის შეზღუდვის ფაქტებზე მიუთითებდნენ.

მათ შორის, ხშირი იყო მომართვიანობა №6 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულ რ.შ.-ს მხრიდან, რომელიც აცხადებდა, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფდა მისი კორესპონდენციის გაგზავნას შესაბამის ადრესატებთან და ამდენად, ირღვეოდა მისი უფლებები. რ.შ.-მ, სხვადასხვა დროს, სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას და სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე, რამდენიმე ასეთი ფაქტის შესახებ მიუთითა.[580] მისი მტკიცებით, მოთხოვნის მიუხედავად, მას არ გადაეცა მის მიერ გაგზავნილი განცხადებების ასლები და მათი გაგზავნის სარეგისტრაციო ნომრები, ხოლო, №6 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ აპარატს ეცნობა, რომ რ. შ.-ს 2022 წლის 22 ნოემბერს და 2023 წლის 26 იანვარს სოციალური მუშაკისთვის გასაგზავნად, არანაირი კორესპონდენცია არ მიუწოდებია.[581]

გარდა ამისა, რ.შ.-მ, სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას წარმოადგინა №6 პენიტენციური დაწესებულების წერილი[582], რომლითაც მას ეცნობა, რომ მისი კორესპონდენცია[583] არ იძებნებოდა. ამასთან, 2023 წლის 22 თებერვალს სახალხო დამცველის რწმუნებული გაესაუბრა N6 პენიტენციური დაწესებულების კანცელარიის უფლებამოსილ თანამშრომელს, რომლის განმარტებითაც, არ იძებნებოდა მსჯავრდებულის 2023 წლის 13 თებერვლის კორესპონდენციაც.

აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების რელევანტური დროის პერიოდის დაარქივება მოითხოვა,[584] რაც დაკმაყოფილდა.[585]

ვიდეომასალის შესწავლის შედეგად, უტყუარად დადასტურდა, რომ 2022 წლის 22 ნოემბერს, 2023 წლის 26 და 30 იანვარს, ასევე, 2023 წლის 1 და 13 თებერვალს რ. შ.-მ

---

[580] მსჯავრდებულის მტკიცებით, 2022 წლის 22 ნოემბერს სოციალურ მუშაკს გაგზავნის მიზნით გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შედგენილი კორესპონდენცია; 2023 წლის 26 იანვარს №119918 კონფიდენციალური განცხადება - საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და №119916 კონფიდენციალური განცხადება - საქართველოს გენერალური პროკურორის სახელზე; 2023 წლის 30 იანვარს №119905 და №119936 კონფიდენციალური განცხადებები - საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატასა და აჭარისა და გურიის რეგიონის აღსრულების ბიუროში გაგზავნის მიზნით; 2023 წლის 1 თებერვალს №119906 და №119937 კონფიდენციალური კორესპონდენცია - საქართველოს პარლამენტის კანცელარიასა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გაგზავნის მიზნით; 2023 წლის 13 თებერვალს - განცხადება სახალხო დამცველის მოადგილის სახელზე.

[581] №6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის № 372301/01, 2023 წლის 20 თებერვლის № 46938/01 და 2023 წლის 20 თებერვლის № 46804/01 წერილები.

[582] N6 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 13 თებერვლის №39302/01 წერილი.

[583] პატიმრის №119906, №119905, №119936 და №119937 განცხადებები.

[584] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 15 დეკემბრის N 15-3/12501, 2023 წლის 8 თებერვლის N 15-3/1350 და 2023 წლის 27 თებერვლის N 15-3/2062 წერილები.

[585] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 21 დეკემბრის №371371/01, 2023 წლის 16 თებერვლის №43491/01 და 2023 წლის 9 მარტის №63184/01 წერილები.

დაწესებულების სოციალური განყოფილების მუშაკს, სხვა თანამშრომლის თანდასწრებით მართლაც მიაწოდა კორესპონდენცია, რომელთა დემონსტრირებაც, გადაცემამდე ვიდეოკამერების მხედველობის არეალში მოახდინა, რითიც სცადა მისი მიმოწერის უფლების შესაძლო დარღვევის პრევენცია. აღნიშნულის მიუხედავად, დაწესებულებამ არ უზრუნველყო მისი კორესპონდენციების გაგზავნა. მეტიც, დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რ.შ.-ს, მითითებულ დღეებში, სოციალური მუშაკისთვის საერთოდ არ მიუწოდებია არანაირი სახის კორესპონდენცია ან ისინი ბაზაში არ იძებნებოდა.

საქმის შესწავლის შედეგების საფუძველზე სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა იუსტიციის მინისტრს რ.შ.-ს მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.[586] წინადადების საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დისციპლინური სახდელი დაეკისრა სამ პირს.[587]

სამწუხაროდ, რ.შ.-ს მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტი შემდგომშიც განმეორდა. ამჯერად მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ დაწესებულების სოციალურ მუშაკს 2023 წლის 6 აპრილს გადასცა ორი დახურული კონვერტი,[588] ასევე, 2023 წლის 16 მაისს კვლავ გადასცა ორი დახურული კონვერტი.[589] რ.შ. აცხადებდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, დასახელებული განცხადებებიდან ადრესატამდე მხოლოდ ერთი მივიდა, ხოლო მოთხოვნის მიუხედავად, მას არ გადაეცა კორესპონდენციის ასლები და მათი გაგზავნის სარეგისტრაციო ნომრები.

№6 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ აპარატს აცნობა, რომ რ.შ.-მ 2023 წლის 6 აპრილს სოციალურ მუშაკს გასაგზავნად მიაწოდა მხოლოდ ერთი მოთხოვნა/საჩივრის კონვერტი, რომელიც გადაიგზავნა მითითებულ ადრესატთან, ხოლო, 2023 წლის 11 აპრილს, მსჯავრდებულს სოციალური მუშაკისთვის მოთხოვნა/საჩივრის კონვერტი გასაგზავნად არ მიუწოდებია. ამავე ინფორმაციის თანახმად, რ.შ.-ს ერთი დახურული კონვერტი სოციალური განყოფილების თანამშრომლისთვის არ მიუწოდებია, ხოლო რაც შეეხება მეორე დახურულ კონვერტს - გაიგზავნა.[590]

სახალხო დამცველის აპარატმა მოცემულ შემთხვევაშიც შეისწავლა დაარქივებული ვიდეომასალა და **დადასტურდა, რომ 2023 წლის 6 აპრილს რ.შ.-მ სოციალურ მუშაკს გადასცა ორი ცალი დახურული კონვერტი, 2023 წლის 11 აპრილს - ერთი ცალი დახურული კონვერტი და 2023 წლის 16 მაისს - ორი ცალი დახურული კონვერტი.**

---

[586] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 27 აპრილის N 15-3/4183 წინადადება.

[587] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2023 წლის 4 სექტემბრის № 244417/01 წერილი.

[588] ადრესატები: ადვოკატი და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე.

[589] №120291 დახურული კონვერტის ადრესატი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო №120290 დახურული კონვერტის ადრესატი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

[590] №6 პენიტენციური დეპარტამენტის 2023 წლის 6 ივნისის № 52847/01 და 2023 წლის 5 ივლისის № 184425/01 წერილები.

აღნიშნულ საქმეზეც, სახალხო დამცველის წინადადების[591] საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დისციპლინური სახდელი დაეკისრა ორ პირს.[592]

- **მსჯავრდებულ მ.ვ.-ს საქმე**

მსჯავრდებულის მიერ სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის შეხვედრის დროს მიწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 15 აგვიტომდე პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატში გააგზავნა 8 (რვა) განცხადება. მისი ვარაუდით, მითითებული კორესპონდენცია ადრესატამდე არ მისულა, ვინაიდან აპარატისგან არ მიუღია შესაბამისი შეტყობინება განცხადების რეგისტრაციისა და წარმოებაში მიღების თაობაზე. მ.ვ. აკონკრეტებდა, რომ აღნიშნული განცხადებები 2023 წლის 3, 4, 7, 8, 9 და 10 აგვისტოს გადასცა №2 დაწესებულების მორიგე თანამშრომელს, დაწესებულების სამედიცინო ნაწილში ჩატარებული დილის შემოწმებების დროს.[593]

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა №2 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას.[594]

მიღებული პასუხით აპარატს ეცნობა, რომ 2023 წლის 3 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით, მსჯავრდებულ მ.ვ.-ს მიერ კორესპონდენცია არ გაგზავნილა.[595]

კორესპონდენციის მიღების საკითხი გადამოწმდა ასევე სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში, სადაც 2023 წლის 3-10 აგვისტოს პერიოდში მსჯავრდებულ მ.ვ.-ს განცხადებები არ ფიქსირდებოდა.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა, შესაბამისი სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების დასაარქივებლად/გასაცნობად მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს,[596] რაც დაკმაყოფილდა.[597]

2023 წლის 20 დეკემბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულმა დაათვალიერა დაარქივებული ვიდეომასალა.[598]

მ.ვ.-ს მიერ მოწოდებული და სახალხო დამცველის აპარატის მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციის/ვიდეომასალის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად უტყუარად **დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა 2023 წლის 4, 8, 9 და 10 აგვისტოს, №2 პენიტენციური დაწესებულების კონკრეტულ საკანში ჩატარებული დილის შემოწმების დროს გადასცა**

[591] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 4 აგვისტოს №15/7664 წერილი.
[592] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2023 წლის 31 ოქტომბრის № 302841/01 წერილი.
[593] მსჯავრდებულთან შეხვედრის ოქმი.
[594] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 16 აგვისტოს №15-13/8151 წერილი.
[595] №2 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 22 აგვისტოს №233074/01 წერილი.
[596] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 29 აგვისტოს №15-13/8581 წერილი.
[597] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 7 სექტემბრის №247690/01 პასუხი.
[598] საკნის, 2023 წლის 3, 4, 7, 8, 9 და 10 აგვისტოს 09:00 საათიდან 10:30 საათამდე პერიოდის ვიდეოჩანაწერები.

დაწესებულების ერთ-ერთ თანამშრომელს განცხადებები/წერილები (ღია ფორმით). მართალია, სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ დათვალიერებულ ვიდეომასალაში არ ჩანს კორესპონდენციის ადრესატი და ვერ იკითხება დოკუმენტის შინაარსიც, შესაბამისად, ცალსახად ვერ მტკიცდება, რომ მითითებული განცხადებები კონკრეტულად სახალხო დამცველთან იგზავნებოდა, თუმცა სხვა ადრესატის შემთხვევაშიც კი, თუ კორესპონდენცია რაიმე კონკრეტული მიზეზის გამო გაგზავნას არ ექვემდებარებოდა, აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული უნდა ყოფილიყო უშუალოდ მსჯავრდებული.

ამასთანავე, **განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მ.ვ.-ს განცხადებები არა მხოლოდ არ გაიგზავნა, არამედ 2023 წლის 9 აგვისტოს ჩანაწერის მიხედვით, ერთ-ერთი მათგანი უცხო/არაიდენტიფიცირებული პირის ხელში აღმოჩნდა.**

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა, მსჯავრდებულ მ.ვ.-ს მიმოწერის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ წინადადებით იუსტიციის მინისტრს მიმართა.[599]

- **მსჯავრდებულ შ.ა.-ს - საქმე**

სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მსჯავრდებულ შ.ა.-ს საქმე, გზავნილის დაკარგვასთან დაკავშირებით.

მსჯავრდებულის განმარტებით, ერთ-ერთი შპს-ს მიერ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, მისი №209201530 გზავნილი მიღებულ იქნა 2023 წლის 5 იანვარს. მითითებული გზავნილი კურიერმა მისამართზე გაიტანა 2023 წლის 10 და 14 იანვარს, რის შემდეგაც, 2023 წლის 17 იანვარს, გზავნილი უკან დაბრუნდა.

მსჯავრდებულმა 2023 წლის 16 მარტის განცხადებით №3 დაწესებულებას მიმართა და გამოითხოვა ინფორმაცია გზავნილის დაბრუნების შესახებ. №3 პენიტენციური დაწესებულების საპასუხო წერილის[600] შესაბამისად, მსჯავრდებულის განცხადებაში მითითებული გზავნილი დაწესებულებაში არ დაბრუნებულა.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა №3 დაწესებულებას, გზავნილის დაბრუნების შესახებ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.[601] №3 დაწესებულების პასუხის თანახმად, შ.ა.-ს გზავნილი არ დაბრუნებულა დაწესებულებაში.[602]

სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი წერილით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკურ დეპარტამენტს და გამოითხოვა ინფორმაცია, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა იმსჯელა თუ არა კონტრაქტორი კომპანიის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევასთან დაკავშირებით,[603] რომელმაც აპარატის

[599] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 14 მარტის №15-13/2623 წინადადება.
[600] N3 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 20 მარტის №75328/01 წერილი.
[601] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 25 აპრილის N15-15/4049 წერილი.
[602] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების 2023 წლის 1 მაისის N117086/01 წერილი.
[603] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 10 მაისის N15-15/4634, 11 ივლისის N15-15/6732, 31 ივლისის N15-15/7456, 8 დეკემბრის N15-15/11946 წერილები.

წერილები გადაამისამართა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტში. თუმცა კონკრეტულ კითხვაზე პასუხი აპარატმა ვერ მიიღო.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის განმარტებით, გზავნილების მიღების აღრიცხვიანობის დანერგვის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა. პროცედურული ნორმების ინსტრუქციის შემუშავების დასრულების შემდგომ სიახლე პილოტირდება და დაინერგება პენიტენციურ დაწესებულებებში.[604]

8.3. მსჯავრდებულების ოჯახის წევრებისგან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსება

2023 წლის მანძილზე სახალხო დამცველის აპარატმა ასევე შეისწავლა არაერთი საქმე,[605] რომლებშიც მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ მათი და მათი ოჯახის წევრების (ახლო ნათესავები) საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე რომელიმე მუნიციპალიტეტი და ვინაიდან განთავსებული იყვნენ №2 პენიტენციურ დაწესებულებაში (ქუთაისი), ითხოვდნენ შესაბამისი ტიპის (რისკის) აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას.

მსჯავრდებულთა განმარტებით, **ტერიტორიული სიშორე, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით (მშობელთა ხანდაზმული ასაკი, მცირეწლოვანი შვილები, ოჯახის წევრების ჯანმრთელობის პრობლემები, მატერიალური მდგომარეობა და სხვა) მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. შედეგად, მსჯავრდებულები ვერ სარგებლობენ ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით, ასევე, ეზღუდებათ ამანათის მიღების შესაძლებლობაც.**

შესწავლილი საქმეების მიხედვით, მსჯავრდებულებს მათი ან მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსების კანონმდებლობით გარანტირებული უფლების შეზღუდვა განპირობებული იყო უსაფრთხოების ან გადატვირთულობის თავიდან არიდების მოტივით, თუმცა, საგულისხმოა, რომ №2 პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად, №10 და №8 პენიტენციური დაწესებულებებში უზრუნველყოფილია მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის განთავსების და გადაადგილების პირობები. №2 დაწესებულების მსგავსად, №8 და №10 პენიტენციური დაწესებულების დებულებითა და ფაქტობრივად არსებული მდგომარეობით, ბრალდებულები და მსჯავრდებულები განთავსებულები არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით

[604] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2023 წლის 28 დეკემბრის N363029/01 წერილი.

[605] ვ.ა.-ს საქმე, ს.კ.-ს საქმე, რ.მ.-ს საქმე, რ.გ.-ს საქმე, კ.ე.-ს საქმე, ი.ე.-ს საქმე, რ.მ.-ს საქმე, მ.მ.-ს საქმე, დ.ა.-ს საქმე, კ.გ.-ს საქმე, ნ.წ.-ს საქმე, ნ.კ.-ს საქმე.

მეთვალყურეობა და კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[606] ამასთან, დებულების თანახმად, სუფთა ჰაერზე[607] გაყვანას ან დაწესებულების ტერიტორიაზე სხვა მოტივით გადაადგილებას წარმართავს დაწესებულების წარმომადგენელი. რაც შეეხება, გადატვირთულობის თავიდან არიდების საკითხს, N8 პენიტენციური დაწესებულების კონტექსტში ეს არგუმენტი უმეტესწილად მისაღებია, თუმცა N10 დაწესებულებას გადატვირთულობის რისკი დღის წესრიგში არ მდგარა. პენიტენციური დეპარტამენტის პასუხის თანახმად,[608] №10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული იყო 399 პატიმარი, მაშინ როდესაც, დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 700 ბრალდებული/მსჯავრდებული.[609]

შესწავლილი საქმეების ანალიზის მიხედვით, ლეგიტიმურ საფუძველს მოკლებულია პენიტენციური სამსახურის გადაწყვეტილებები, ინდივიდუალურ შემთხვევებში, უსაფრთხოების ან გადატვირთულობის თავიდან არიდების მოტივით, მსჯავრდებულები განთავსებული იყვნენ მათი ან მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილებიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში და პრაქტიკულად შეეზღუდოთ ოჯახთან კომუნიკაცია.

ამ ყველაფრის ფონზე, სამწუხაროდ, საანგარიშო წლის ბოლოს პატიმრებისთვის შეიცვალა ამანათებისა და საფოსტო გზავნილების მიღების წესები.

8.4. ფოსტის მეშვეობით ამანათის მიღების უფლების შეზღუდვა

2023 წლის 2 დეკემბერს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყველა პენიტენციური დაწესებულების დებულებაში შევიდა ცვლილება და შეიცვალა პატიმართა მიერ ამანათის მიღების წესი. **სამწუხაროდ, დაწესდა ამანათის მიღების ლიმიტი, კერძოდ, ამანათის მიღება პატიმრებს შეეძლებათ მხოლოდ თვეში ორჯერ. ასევე, აიკრძალა საფოსტო ამანათის (გარდა ფოტოსურათებისა) მიღება.**[610]

მითითებულ ცვლილებამდე არსებული რედაქციით, პატიმრებისთვის არ იყო განსაზღვრული ამანათის მიღების ლიმიტი და ფოსტის მეშვეობითაც შეეძლოთ ტანსაცმლის, წიგნის თუ სხვა ნივთის მიღება, რომელიც დაშვებული იყო დაწესებულების დებულებით.

---

[606]საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანებით დამტკიცებული N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი.
[607] ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა.
[608] 2023 წლის 18 დეკემბრის N351217/01 წერილი.
[609]„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების პირველი მუხლის „ზ[1]" ქვეპუნქტი.
[610] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 2 დეკემბრის N947, N948,N949, N950, N951, N952, N953, N954, N955, N956, N957, N958, N959, N960 ბრძანებები.

იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული ცვლილებები განპირობებულია პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაძლიერების აუცილებლობით, რათა შემცირდეს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ისეთი ნივთების, საგნებისა და ნივთიერებების მოხვედრის რისკი, რომელთა ქონაც ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეკრძალება და იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[611]

კანონმდებლობის თანახმად, პატიმრისთვის ამანათის შეგზავნის უფლება აქვს არა მხოლოდ ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს, არამედ ნებისმიერ პირს. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ ოჯახის წევრებისგან დამოუკიდებლად, მეგობარმა თუ ახლობელმა მოისურვონ პატიმრის დახმარება, ამანათის მიღების ლიმიტი კი ამოწურული იყოს, ან პატიმარი ელოდებოდეს ოჯახის წევრის ამანათს და იძულებული გახდეს, დაწესებული ლიმიტის გამო, უარი თქვას ამანათის მიღებაზე.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბრისას, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა ი. კ-მ აღნიშნა, რომ მისი წინასწარი ინფორმირების გარეშე, ახლობელმა შეუგზავნა ამანათი, რომელიც დაწესებულებამ ისე მიიღო, რომ მას არ აცნობა. აღნიშნული ამანათის მიღებით ამოეწურა იმ თვის ლიმიტი, ის კი ელოდებოდა დედას, რომელიც ასევე ამანათის შეგზავნის მიზნით უნდა ჩასულიყო სხვა ქალაქიდან, რომლის ამანათსაც პატიმარი, ლიმიტის ამოწურვის გამო, უკვე ვეღარ მიიღებდა.

საფოსტო გზავნილის სახით ამანათის მიღების ახალ შეზღუდვებზე განსაკუთრებული ყურადღება უცხოელმა მსჯავრდებულებმაც გაამახვილეს. №2 დაწესებულებაში მყოფმა უკრაინის მოქალაქე ი. ო.-მა აღნიშნა, რომ მისი ოჯახის წევრები და ნათესავები უკრაინაში და საფრანგეთში ცხოვრობენ, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე არ იმყოფება არც ერთი პირი, რომელიც შეძლებს მისი ამანათით უზრუნველყოფას. შესაბამისად, ბოლო თვეების განმავლობაში ვერ სარგებლობს ამანათის მიღების უფლებით. ანალოგიურ პრობლემაზე ისაუბრეს №14 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფმა თურქეთის მოქალაქეებმა, ჰ. ქ.-მა, მ. ს.-მა, ი. ქ.-მ, ი. მ.-მა და ე. მ.-მ.

განხორციელებული ცვლილებებით, **სამწუხაროდ, გაუარესდა პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა, განსაკუთრებით კი იმ პატიმრებისა, რომლებიც ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების საცხოვრებელი სახლიდან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში იხდიან სასჯელს, რადგან ხშირად ისინი ამანათს ფოსტის მეშვეობით იღებდნენ. ახალმა რეგულაციებმა რთულ პირობებში ჩააყენა უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც, რომელთათვის ამანათის მიღების ერთადერთი გზა საფოსტო გზავნილი იყო.**

აღსანიშნავია, რომ ხშირია შემთხვევა, როცა უსაფრთხოების მიზნიდან გამომდინარე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი იღებს პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებლისგან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში

[611] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის 2024 წლის 19 თებერვლის N2008 წერილი.

განთავსების გადაწყვეტილებას. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას, პატიმრები ხშირად აფიქსირებენ, რომ ვერ სარგებლობენ ოჯახის წევრებთან ხანმოკლე პაემნისა და ამანათის მიღების უფლებით, რადგან შორი მანძილის გამო, ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები, ასაკის, ფინანსური სახსრების არქონისა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ მიდიოდნენ უშუალოდ პენიტენციურ დაწესებულებაში. ასეთ დროს, ერთ-ერთი გამოსავალი საფოსტო ამანათის მიღება იყო, რომლითაც პატიმრები იღებდნენ ტანსაცმელს, თეთრეულს, წიგნებს და სხვა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრის თ. შ.-ის განმარტებით, მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენ თბილისში და მათი მხრიდან დახმარების მიღების ძირითადი საშუალება საფოსტო ამანათი იყო, ვინაიდან, წიგნებსა და ტანსაცმელს სულ ფოსტით უგზავნიდნენ. საფოსტო ამანათის აკრძალვით კი ის, ფაქტობრივად, ოჯახის დახმარების გარეშე რჩება. გარდა ამისა, მსჯავრდებულის გადმოცემით, დაწესებულებაში პატიმრებს განუცხადეს, რომ სითბური დამუშავების შედეგად მომზადებულ საკვებ პროდუქტს, მაგალითად, ხაჭაპურს, ვეღარ მიიღებდნენ ამანათით. საკვების შეძენა მოუწევთ პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედ მაღაზიაში.[612]

მართალია, პენიტენციურ დაწესებულებაში არის მაღაზია, სადაც შესაძლებელია როგორც საკვები პროდუქტის, ასევე, პირველადი მოხმარების ნივთების შეძენა, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომსახურე კომპანიის მიერ შეთავაზებული საკვები პროდუქტის საბაზრო ფასის გადახდის ფინანსური შესაძლებლობა ყველა პატიმარს არ აქვს. ხოლო დებულებაში შეტანილი ცვლილებების გამო, ოჯახი ან ახლობლები ვეღარ დაეხმარება მათ საკვები პროდუქტით.

ამავე პრობლემასთან დაკავშირებით მიმართა N5 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, ნ. დ.-ის ოჯახის წევრი და განაცხადა, რომ ამანათი ფოსტით გაგზავნა დაწესებულებაში, თუმცა, უკან დაუბრუნეს და განუმარტეს, რომ შეეძლო, ამანათი უშუალოდ მიეტანა დაწესებულებაში. მანძილის გამო კი, აღნიშნული მისთვის სირთულეს წარმოადგენდა.

ამდენად, **სახალხო დამცველის აპარატი უარყოფითად აფასებს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შეტანილ ცვლილებებს ამანათის მიღების წესის შეცვლისა და საფოსტო ამანათის აკრძალვის შესახებ, ვინაიდან, ის აუარესებს პატიმართა უფლებრივ მდგომარეობას და ფაქტობრივად, მათ ტოვებს ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების დახმარების გარეშე.**

[612] მსჯავრდებულ თ. შ.-სთან 2023 წლის 21 დეკემბრის შეხვედრის ოქმი.

8.5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების გაჭიანურება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა განაგრძო, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტებზე, წლების წინ დაწყებული გამოძიებების მონიტორინგი. **სამწუხაროდ, არც 2023 წელს დასრულებულა ამ საქმეების გამოძიება (2020-21 წლებში დაწყებული გამოძიებები) და საზოგადოებას კვლავ არ აქვს პასუხი კითხვაზე, დადგინდა თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოქალაქეების მასშტაბური უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის ფაქტები.**

8.5.1. ე.წ. „სუსის ფაილების" საქმე

საანგარიშო პერიოდში კვლავ არ დასრულებულა, 2021 წლის სექტემბერში მედიით გავრცელებული, სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის შედეგად პირადი ცხოვრების ამსახველი მონაცემების მოპოვებისა და გავრცელების ფაქტზე მიმდინარე გამოძიება.

გენერალური პროკურატურის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად,[613] 2023 წელს, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში[614] ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის გამოიკითხნენ მოწმეები, ამოღებულ იქნა ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობები და მათზე დაინიშნა ექსპერტიზები, თუმცა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოძიებას ექსპერტის დასკვნები მიღებული არ ჰქონდა. ასევე, სრულად არ ჰქონდა მიღებული პასუხები სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე გაგზავნილ შუამდგომლობებზე.[615]

ამასთან, **სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილია კვლავ 115 პირი, ხოლო კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის.**

აღსანიშნავია, რომ **გამოძიებას დანიშნული ექსპერტიზების დასკვნები მიღებული არ ჰქონდა 2022 წლის მდგომარეობითაც და დაზარალებულთა რაოდენობაც იმ დროისთვის ანალოგიურად 115 იყო.[616]**

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოცემულ საქმეზე დაზარალებულად ცნობილმა ერთ-ერთმა პირმა, მოქმედმა ადვოკატმა მ.რ.-მ და განმარტა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად იყო ცნობილი, საგამოძიებო ორგანომ არ გადასცა სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები.

---

[613] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 8 იანვრის №13/215 წერილი.
[614] სისხლის სამართლის №010140921801 საქმე.
[615]გამოძიების მიმდინარეობისა და დაზარალებული და ბრალდებული პირების შესახებ მითითებული იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიშში, < https://shorturl.at/KNQSX > (გვ.168-169).
[616] იქვე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა[617] და სახალხო დამცველის აპარატის მიერ პროკურატურიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად,[618] პროკურატურის მიერ დაზარალებულ მხარეს უარი ეთქვა საქმის მასალების ასლების გადაცემაზე საქმეში საიდუმლო ინფორმაციისა და მესამე პირთა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის არსებობის საფუძვლით, ასევე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, რომ დაზარალებულის მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებების სარწმუნო დოკუმენტების გასაჯაროვებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნა გამოძიების მიმდინარეობას და შედეგებს. ამასთან, დაზარალებულს მიეცა საშუალება გაცნობოდა საქმის მასალების ასლებს (გასაიდუმლებული ნაწილისა და იმ მასალების გარდა, რომელიც ეხება მესამე პირთა პირად ცხოვრებას).[619] თუმცა დადგენილებიდან არ იკვეთება, დაზარალებულისთვის მხოლოდ მასთან შემხებლობაში, არასაიდუმლო ინფორმაციის ამსახველი საქმის მასალების გადაცემის შემთხვევაში, რომლის გაცნობის შესაძლებლობა მიეცა დაზარალებულს, რა ზიანი შეიძლება მიადგეს მესამე პირების ინტერესებს ან/და გამოძიებას.

8.5.2. სალომე სამადაშვილის საქმე

კვლავ არ არის მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება პარლამენტის წევრის სალომე სამადაშვილის სავარაუდო ფარული მიყურადების საქმეზე, 2020 წელს დაწყებულ გამოძიებაში.

მითითებულ საქმესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2022 წელს მიღებული პასუხით აპარატს ეცნობა, რომ 2020 წლის 16 ნოემბერს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოში, დაიწყო გამოძიება კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის, კომპიუტერული მონაცემისა და კომპიუტერული სისტემის უნებართვოდ გამოყენების და კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტებზე.[620]

---

[617] თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი პროკურორის 2022 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება დაზარალებულისთვის საქმის მასალების გადაცემაზე უარის თქმის შესახებ, სისხლის სამართლის №010140921801 საქმე.

[618] თბილისის პროკურატურის 2023 წლის 28 თებერვლის №13/01-13124 წერილი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 20 აპრილის №13/26374 წერილით).

[619] თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი პროკურორის 2022 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება დაზარალებულისთვის საქმის მასალების გადაცემაზე უარის თქმის შესახებ, სისხლის სამართლის საქმე N010140921801; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 11 იანვრის N13/1133 წერილი.

[620] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 24 მარტის №MIA 1 22 00769839 წერილი. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის №090161120001 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით, 284-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 285-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საანგარიშო პერიოდში, უწყებიდან მიღებული განახლებული მონაცემებით, საქმეზე გამოძიება კვლავ არ დასრულებულა.[621]

8.5.3. ანა დოლიძის საქმე

მსგავსი ვითარებაა ანა დოლიძისა და სხვა პოლიტიკურად აქტიური პირების საცხოვრებელ ბინებში ვიდეო კამერების მონტაჟის, ფარული მიყურადებისა და პირადი ინფორმაციის ამსახველი კადრების მოპოვების საკითხზე, 2021 წელს დაწყებულ გამოძიებაში[622].

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების შესაძლო დარღვევისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე,[623] პროკურატურა გამოძიებას კვლავ აგრძელებს, თუმცა, **შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.** სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტული პირი **დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის.[624]**

8.6. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგების გაცნობის წესი

სახალხო დამცველის აპარატი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შეისწავლის გამოძიების მიმდინარეობისას ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალებისა და მათი განადგურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხს იმ პირისთვის, რომლის მიმართაც ჩატარდა ასეთი საგამოძიებო მოქმედება.[625]

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ასეთი საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალებისა და განადგურების შესახებ ინფორმაციის წერილობით მიწოდების ვალდებულებას იმ პირისთვის, რომლის მიმართაც ჩატარდა ასეთი საგამოძიებო მოქმედება, ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.[626] თუმცა, **კოდექსის დანაწესით (1) ცალსახად არ დგინდება რა იგულისხმება წერილობითი გაცნობის უფლებაში. კერძოდ, აუცილებელია თუ არა მოქალაქეს წერილობითი შეტყობინება გაეგზავნოს, თუ საკმარისია რომ წერილობითი დოკუმენტის გაცნობა მოხდეს უშუალოდ პროკურატურაში; (2) ამავდროულად, იგულისხმება თუ არა რომ მოქალაქეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გაეცნოს მის მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მასალებს (მაგ. ე.წ. კრებსები), თუ წერილობით მხოლოდ ის უნდა ეცნობოს, რომ მის მიმართ დროის კონკრეტულ მონაკვეთში კონკრეტული ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდებოდა. (3) ამავდროულად, არ არის**

---

[621] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 5 თებერვლის №MIA 0 24 00331859 წერილი.

[622] საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის N074220321801 საქმე.

[623] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტითა და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნები.

[624] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 18 იანვრის №13/3135 წერილი.

[625] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^9.

[626] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^9, ნაწ. 3.

ცხადი არც ის საკითხი, უნდა გაეცნოს თუ არა მოქალაქეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ის ინფორმაცია, რომელიც არ არის კონკრეტული გამოძიებისთვის საინტერესო და სავალდებულოა მისი განადგურება. კერძოდ, ბუნდოვანია, ასეთი ინფორმაცია უნდა განადგურდეს თუ არა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასალებს გაეცნობა მოქალაქე. თუ საკმარისია მოქალაქეს ეცნობოს მხოლოდ ის, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ასევე მოპოვებულ იქნა გამოძიებისთვის არარელევანტური შინაარსის ინფორმაცია, რომელიც უკვე განადგურდა.

2022 წლის 4 ნოემბერს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა დაამტკიცა N211-გ ბრძანება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შეტყობინების თაობაზე. სახალხო დამცველის აპარატს გენერალური პროკურატურის მიერ ეცნობა, რომ აღნიშნული ბრძანებით პროკურორებს დაევალათ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[9]-ე მუხლით დადგენილი წესითა და ვადაში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით შეტყობინება პირისთვის, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება. ბრძანების თანახმად, შესაბამისი სუბიექტისთვის შეტყობინება და კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლების განმარტება უნდა განხორციელდეს აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესისა და დანართების შესაბამისად.[627]

საანგარიშო პერიოდში პროკურორების მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შესაბამისი სუბიექტებისათვის ინფორმაციის მიწოდების მონაცემებისა და გენერალური პროკურორის ზემოაღნიშნული ბრძანების შესწავლის მიზნით, აპარატმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, წარმოედგინათ მითითებული ბრძანება და 2023 წლის შეტყობინებების სტატისტიკური მონაცემები.[628]

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ წერილობით აცნობა 1352 პირს.[629] ამასთან, გენერალური პროკურორის 2022 წლის 4 ნოემბრის N211-გ ბრძანება აპარატს არ მიეწოდა, დოკუმენტის შიდა უწყებრივ დანიშნულებაზე მითითებით.[630] აღნიშნულის გამო სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სუბიექტისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებების რეალიზების საკითხი.

[627] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 20 მარტის N13/18306 წერილი.
[628] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 18 დეკემბრის N15-2/12144 და 2024 წლის 13 თებერვლის N15-2/1583 წერილები.
[629] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 27 თებერვლის N13/13005 წერილი.
[630] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 27 თებერვლის N13/13005 წერილი.

8.7. პოლიციის მიერ უკანონო ფოტოგადაღებისა და ვიდეომონიტორინგის ფაქტები

სახალხო დამცველის აპარატისთვის **ხშირად გამხდარა ცნობილი მოქალაქეების წუხილი, რომ პოლიცია კანონიერი საფუძვლის გარეშე, თვითნებურად ახდენდა მათ ფოტოგადაღებას პირადი მობილური ტელეფონებით;** თუმცა, იმ ობიექტური გარემოების გათვალისწინებით, რომ აპარატს პოლიციელების პირად მობილურ ტელეფონებზე ხელი არ მიუწვდება, ფაქტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელი ხდებოდა.

საანარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე, სადაც **დადასტურდა პოლიციის თანამშრომლის მიერ მოქალაქის უკანონო ფოტოგადაღება.** მეორე საქმის შესწავლის ფარგლებში კი გამოვლინდა, რომ **პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში ვიდეო მონიტორინგი კანონდარღვევით მიმდინარეობდა.**

- **მ.ქ.-ს საქმე**

2023 წლის 3 ივნისს, ბათუმში, ევროპის მოედანზე გამართულ საპროტესტო აქციაზე პოლიციამ დააკავა მ.ქ. 2023 წლის 4 ივნისს, სახალხო დამცველის რწმუნებული, დროებითი მოთავსების იზოლატორში შეხვდა დაკავებულს, რომელმაც განმარტა, რომ დაკავების შემდეგ გადაიყვანეს ბათუმის საქალაქო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ეზოში, თუმცა შენობაში არ შეუყვანიათ. იქვე გააცნეს დაკავების ოქმი, რის შემდეგაც პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოსთხოვა ფოტოს გადაღება, რაზეც უარი განაცხადა.

მ.ქ.-ს გადმოცემით, პოლიციის თანამშრომელმა, უარის მიუხედავად, მაინც გადაუღო ფოტოსურათები. ამასთანავე, სამმართველოს ეზოში მიყვანისა და ოქმის გაცნობის შემდეგ, დაადეს ხელბორკილები და ხელები შეუკრეს ზურგის მხარეს. ვინაიდან, მარჯვენა ხელი ჰქონდა ტრავმირებული, მოითხოვა ხელების წინა მხარეს შეკვრა, რაზეც იმ პოლიციის თანამშრომელმა, რომელიც ფოტოს უღებდა, უთხრა, რომ მის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა იმ შემთხვევაში, თუ მისცემდა ფოტოგადაღების საშუალებას.[631]

სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირებისთვის მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.[632] უწყებიდან მიღებული პასუხის თანახმად, გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის მიერ თვითნებურად ფოტოგადაღების ფაქტზე, **დადასტურდა პოლიციის თანამშრომლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, კერძოდ, მ.ქ.-სთვის უკანონოდ ფოტოს გადაღება.**[633]

- **ზ.ქ.-ს საქმე**

---

[631] დაკავებულ მ.ქ.-სთან 2023 წლის 4 ივნისს შეხვედრის ოქმი.
[632] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 14 ივნისის №15-15/5647 წერილი.
[633] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 6 ოქტომბრის №MIA 8 23 02923156 და 28 ოქტომბრის №MIA 2 23 03159897 წერილები.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას მოქალაქე ზ.ქ. აცხადებდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილებაში, პოლიციის თანამშრომელმა, შესაბამისი კანონიერი საფუძვლის გარეშე, გადაუღო ფოტო.

სახალხო დამცველის აპარატმა, რეაგირებისთვის, მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.[634] წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ზ. ქ.-ს ფოტოგადაღების გზით, პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება, თუმცა სამართალდარღვევის ფაქტი არ დადგინდა.

თუმცა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ, შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ **შინაგან საქმეთა სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილების ადმინისტრაციული შენობის გარე პერიმეტრზე, შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის გარეშე, ახორციელებდა ვიდეო მონიტორინგს.** ამდენად, სამინისტრო ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და ადმინისტრაციული სახდელის სახედ განესაზღვრა გაფრთხილება.[635]

9. მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემური საკითხები

საანგარიშო წელს აპარატში კვლავ აქტუალური იყო **ექსპერტიზების გაჭიანურების** პრობლემა, რაც არსებითად აფერხებს საგამოძიებო უწყებებს და ხელს უშლის საქმეზე გამოძიების დროულად დასრულებას. **განსაკუთრებით პრობლემურია კომისიური სამედიცინო ექსპერტიზების ჩატარება.** ასევე, **გრძელდება ხანდაზმულ საქმეებზე გამოძიების არ შეწყვეტის კანონშეუსაბამო პრაქტიკა. საყურადღებოა დაზარალებულების უფლებრივი მდგომარეობასთან დაკავშირებული ხარვეზები, მსხვერპლის დაზარალებულად ცნობის ან მისთვის საქმის მასალების გადაცემის პროცესში არაერთი პრობლემა იკვეთება.**

ხარვეზიანია „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" მყოფი იძულებით, არანებაყოფლობით ან ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პირების[636] მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ან სიცოცხლის უფლების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმი.

---

[634] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 4 იანვრის N15-15/58 წერილი.

[635] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის 27 მარტის NPDPS 2 23 00002068 წერილი.

[636] ამ თავის მიზნებისთვის ხსენებულ პირთა კატეგორიაში არ მოიაზრებიან ცენტრში ნებაყოფილობით ან არანებაყოფლობით განთავსებული პირები, რომელთაც არ ჰქონიათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან შემხებლობა.

საანგარიშო წელს, **დადებითი დინამიკის ჭრილში უნდა გამოიყოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობა,** რომელიც პენიტენციური სისტემის თანამშრომლების მხრიდან პატიმართა უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე რეაგირებს. თუმცა, სამწუხაროდ, მსგავსი მანდატის განმახორციელებელი **შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობა კვლავ პრობლემურია.** ინდივიდუალური საქმისწარმოების ფარგლებში, რამდენიმე საქმის შესწავლისას, გამოვლინდა, რომ **უწყება პოლიციელების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ საჩივრებს სრულყოფილად არ სწავლობს და პრაქტიკულად მხოლოდ სავარაუდო უფლებადამრღვევი პოლიციელების პოზიციებს ეყრდნობა უაპელაციოდ.**

9.1. ექსპერტიზების ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემები

გასულ წლებში სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი საქმიანობის ანგარიშებში უთითებდა გამოძიების ფარგლებში დანიშნული სხვადასხვა სახის ექსპერტიზების გაჭიანურების გამო გამოძიების შეფერხების პრობლემაზე.[637]

სისხლის სამართლის საქმეზე **დანიშნული ექსპერტიზის ჩატარება და გამოძიებისთვის ექსპერტის დასკვნის დროულად გადაცემა კვლავ არსებით პრობლემად რჩება 2023 წელსაც.** საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არაერთი საქმე, სადაც გამოძიების მიერ დანიშნული ექსპერტიზა ვერ ჩატარდა ექსპერტების მიერ ექსპერტიზაში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო, ან ექსპერტიზის ჩატარება გაჭიანურებულ იქნა რამდენმე თვის (ზოგჯერ წლის) მანძილზე. განსაკუთრებულად პრობლემური იყო შემთხვევა, როდესაც საექსპერტო დაწესებულებაში სისხლის სამართლის საქმეზე ერთ-ერთი მტკიცებულება, საკვლევი ობიექტი დაზიანდა.[638]

9.1.1. სასამართლო-სამედიცინო და სამედიცინო კომისიური/კომპლექსური ექსპერტიზები

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ეხება პირის გარდაცვალების ან/და ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტს, უაღრესად მნიშვნელოვანია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სრულყოფილად და დროულად ჩატარება, რათა უმოკლეს პერიოდში გაეცეს პასუხი გამოძიებისთვის საინტერესო კითხვებს და არ მოხდეს საკვლევი ობიექტის განადგურება ან დაზიანება (გვამის ლპობა, ნივთიერებების გამოდევნა ცოცხალი ადამიანის ორგანიზმიდან, ბიოლოგიური მასალის დაზიანება და ა.შ.), რამაც შესაძლოა

[637] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში <https://shorturl.at/mvCKO> (გვ.80); სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში < https://shorturl.at/bfGV0 > (გვ. 188-192).
[638] სისხლის სამართლის N010170323001 საქმე.

შეუძლებელი გახადოს საკვლევ ობიექტზე კონკრეტული გამოკვლევის ჩატარება და შესაბამისად, ექსპერტის დასკვნის მიღება. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად აზიანებს როგორც გამოძიების, ასევე დაზარალებული პირის კანონიერ ინტერესებს.

საკითხის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა 2020 წელს რეკომენდაციით[639] მიმართა პრემიერმინისტრს **სასამართლო-სამედიცინო კომისიური და კომპლექსური ექსპერტიზების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საკანონმდებლო ბაზის შემუშავების თაობაზე.** ვინაიდან პრობლემური საკითხი არ აღმოიფხვრა, სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას,[640] განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით. პასუხის თანახმად,[641] რეკომენდაცია გადაგზავნილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პასუხის[642] თანახმად, ბიურო დამოუკიდებლად არ ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივებს, თუმცა, შესაბამის დარგობრივ სახელმწიფო უწყებასთან თანამშრომლობით შემუშავებული იქნება წინადადებები, რომლებიც შემდგომ განიხილება ყველა უფლებამოსილ სტრუქტურასთან და დაინტერესებულ მხარეებთან. შედეგებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, აპარატმა განმეორებით[643] მიმართა ბიუროს, თუმცა პასუხი ამ ეტაპზე აპარატს არ მიუღია. აპარატი გააგრძელებს პროცესის მონიტორინგს და პრობლემის აღმოფხვრის მიზნით მუშაობას.

სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების საკითხში განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებულ ექსპერტთა სიაში მითითებულ სპეციალური ცოდნის მქონე პირებს არ ეკისრებათ ვალდებულება მონაწილეობა მიიღონ გამოძიების მიერ დანიშნულ სასამართლო სამედიცინო, კომისიურ ან/და კომპლექსურ ექსპერტიზაში.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად,[644] სამინისტროში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის

---

[639] 2020 წლის 30 დეკემბერს N15-14/2941 რეკომენდაცია.
[640] 2023 წლის 22 თებერვალს N15-14/1969 წერილი.
[641] 2023 წლის 1 მარტის NGOV 6 23 00006513 წერილი.
[642] 2023 წლის 13 აპრილის N5002412523 წერილი.
[643] 2023 წლის 9 ნოემბერს N15-14/11020 და 2024 წლის 5 იანვრის N15-14/210 წერილები.
[644] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 13 აპრილის NMOH 0 23 00402072 წერილი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 4 ივლისის N01/7605 წერილი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 25 ივნისის N01-157/ო ბრძანება.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროდან გარკვეული პერიოდულობით, კომისიურ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაში ექიმ-სპეციალისტების მონაწილეობის თხოვნით, შესული წერილების საფუძველზე, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტთა შესახებ" მინისტრის 2021 წლის 9 სექტემბრის N01-355/ო ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა სიიდან, ხორციელდება კონკრეტული წერილით მოთხოვნილი, შესაბამისი დარგის ექსპერტების კანდიდატურების წარდგენა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით,[645] სამინისტროს ყოველთვის არ აქვს ექსპერტის შეთავაზების შესაძლებლობა (წერილით მოთხოვნილი სპეციალობის/სპეციალობების ყველა ექსპერტი ჩართულია იმ დროისთვის ექსპერტიზაში, ან ყველა ექსპერტმა უარი თქვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ექსპერტიზაში მონაწილეობაზე, რაც, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ხშირად ექსპერტთა მიერ შემდგომ თავიანთი პოზიციის დაცვის, სამივლინებო ხარჯების მათ მიერ ანაზღაურების, ექსპერტის დასკვნით უკმაყოფილი მოქალაქეებთან შემდგომი დავის წარმოებისას ადვოკატის ხარჯების გაღებით, მათი დამსაქმებლების პოზიციიდან არის გამოწვეული და აღნიშნულზე ექსპერტები აცხადებენ პროტესტს) მოთხოვნილ საქმეზე. ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნის წარმდგენს ეძლევა რეკომენდაცია ექიმ სპეციალისტის მოძიების კუთხით შესაბამისი პროფილის ექიმთა ასოციაციებთან თანამშრომლობის.

შესაბამისად, ვინაიდან ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტებს, ასევე სათანადო კვალიფიკაციის ექიმ-სპეციალისტებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ავალდებულებს მონაწილეობა მიიღონ გამოძიების მიერ დანიშნულ ექსპერტიზაში, გამოძიების მიერ ვერ ხდება მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება ან მოპოვება ხდება დაგვიანებით. აღნიშნული კი აზიანებს კონკრეტული პირების უფლებებს ეფექტიან გამოძიებაზე და ასევე აზიანებს სახელმწიფოს ინტერესებს.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და გამოძიებისთვის ექსპერტის დასკვნის დროულად გადაცემა, როდესაც ექსპერტიზას ატარებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი და სხვა ექსპერტის მოძიება არ არის საჭირო, პრობლემად რჩება და **დასკვნის გაცემა ზოგიერთ შემთხვევებში კვლავ ხდება ექსპერტიზის დანიშვნიდან რამდენიმე თვის (ზოგჯერ წლის) გასვლის შემდეგ.**

- **მცირეწლოვან მ.შ.-ს საქმე**

[645] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 4 ივლისის N01/7605 წერილი.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ქ. ღ.-მ.[646] განმცხადებელი განმარტავდა, რომ 2017 წლის მაისში მის ახალშობილ შვილს ერთ-ერთ კლინიკაში ენდოკრინოლოგი ექიმის მიერ არასწორად დაუდგინდა დიაგნოზი „ადენოგენიტალური სინდრომი" და დაენიშნა მკურნალობა. განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ ექიმის მიერ იგივე დიაგნოზი დადგენილი ჰქონდა ასევე სხვა ბავშვებსაც და მათი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ. მცირეწლოვანის ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება დაიწყო[647] და 2023 წლის 4 დეკემბრის მდგომარეობით ხსენებულ საქმეზე გამოძიება გრძელდებოდა.[648]

სახალხო დამცველის აპარატისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე ორჯერ იქნა დანიშნული კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც 2023 წლის 25 აგვისტოს მდგომარეობით არ იყო შესრულებული, მასში შესაბამისი სპეციალისტების ჩართვის ვერ მოხერხების გამო. ვინაიდან ექსპერტიზაში მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილმა ექიმმა სპეციალისტებმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც არ ავალდებულებს ექიმებს საექსპერტო კვლევაში მონაწილებას, უარი განაცხადეს ექსპერტიზაში მონაწილეობაზე.[649]

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ვინაიდან დადასტურებული არ არის ექიმის მიერ „ადენოგენიტალური სინდრომის" დიაგნოზის არასწორად დადგენის ფაქტი, მკურნალობის ხარჯების არამიზნობრივად გახარჯვის ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიების მოცემულ ეტაპზე, არ იკვეთება შესაძლო დანაშაულის ნიშნები.

- **შ. მ.-ს საქმე**

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში მითითებული იყო, რომ 2020 წლის იანვრის თვეში ყოფილი პატიმარი შ. მ. სამოქალაქო კლინიკაში გარდაიცვალა. ფაქტზე გამოძიება დაიწყო. საქმეზე 2021 წლის 19 აპრილს დაინიშნა კომისიური ექსპერტიზა. ხოლო იმავე წლის 29 აპრილს ექსპერტიზას გამომძიებლის ახალი დადგენილებით დამატებით კითხვები დაესვა. აღნიშნული კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა გაჭიანურდა.[650] მითითებულ ექსპერტიზას უნდა

[646] მოქალაქე ქ. ღ-ს N5690/23 განცხადება.
[647] სისხლის სამართლის N002010218002 საქმე.
[648] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 4 დეკემბრის N13/80903 წერილი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 25 აგვისტოს NMIA 9 23 02488746 წერილი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 10 ივლისის NMIA 1 23 01980878 წერილი.
[649] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 10 ივლისის NMIA 1 23 01980878 წერილი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 25 აგვისტოს NMIA 9 23 02488746 წერილი.
[650] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში < https://shorturl.at/hqrDU > (გვ.189).

დაედგინა ჰქონდა თუ არა გარდაცვალებასთან კავშირი შ. მ.-ისთვის გაწეულ სამედიცინო დახმარებას როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში, ასევე სამოქალაქო სექტორის კლინიკაში. 2024 წლის 16 იანვრის მდგომარეობით გამოძიებას ექსპერტიზის დასკვნა მიღებული კვლავ არ ჰქონდა, **ორწელიწადნახევრზე მეტი დროის გასვლის შემდეგ.**[651]

- **ე. გ.-ს გარდაცვალების საქმე**

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ე. გ.-ს გარდაცვალების ფაქტზე. გამოძიებას აწარმოებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, რამაც მსჯავრდებულ ე. გ-ს გარდაცვალება გამოიწვია.[652]

2021 წლის 24 ნოემბერს, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზა დასრულდა 2024 წლის 4 იანვარს, **დაახლოებით 2 წლის და 1 თვის შემდეგ.**[653]

- **თ. კ.-ს გარდაცვალების საქმე**

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე, N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში თ. კ.-ს გარდაცვალების ფაქტზე. გამოძიებას აწარმოებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, რამაც მსჯავრდებულ თ. კ-ს გარდაცვალება გამოიწვია.[654]

2023 წლის 25 აპრილს, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზა, **დანიშვნიდან დაახლოებით 10 თვის გასვლის შემდეგ,** არ იყოს დასრულებული.[655]

---

[651] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი შ. მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის N002240120008 საქმის მასალებს, საგამონაკლისო წესით, გაეცნო 2024 წლის 16 იანვარს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურში.

[652] სისხლის სამართლის N199241121001 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[653] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 15 იანვრის N5000216724 წერილი.

[654] სისხლის სამართლის N199250423001 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[655] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 23 თებერვლის N5001075324 წერილი.

9.1.2. სხვა სახის ექსპერტიზების გაჭიანურება

სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი საქმიანობის ანგარიშში უთითებდა გამოძიების ფარგლებში დანიშნული სხვადასხვა სახის (არა სამედიცინო) ექსპერტიზების გაჭიანურების პრობლემაზეც, რაც აფერხებდა გამოძიებას.[656]

საანგარიშო პერიოდში **კვლავ გამოიკვეთა გამოძიების მიერ დანიშნულ სხვა სახის (საინფორმაციო–ტექნოლოგიური, შრომის უსაფრთხოების) ექსპერტიზებზეც კვლევის დასრულებისა და დასკვნის გადაცემის გაჭიანურების საკითხი.**

- **ა. ბ.-სა და შ. ბ.-ს საქმე**

2020 წლის 16 მარტს პირის მიერ 6 მოკლე ტექსტური შეტყობინების სამსახურებრივი კომპიუტერისა და სერვერის გამოყენებით გაგზავნის ფაქტზე, რომელიც ცრუ ინფორმაციას შეიცავდა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, გამოძიება დაიწყო.[657]

გამოძიების ფარგლებში, ა. ბ.-სა და შ. ბ.-ს კომპანიიდან ამოღებულ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები. 2020 წლის 26 მარტს დაინიშნა ორი საინფორმაციო–ტექნოლოგიური ექსპერტიზა, ზემოხსენებული კომპანიისა და თანამშრომლებისგან ამოღებულ 89 ერთეულ კომპიუტერულ ტექნიკაზე.[658]

ამოღებიდან **თითქმის ოთხი წლის გასვლის შემდეგაც კი, საექსპერტო კვლევა არ არის დასრულებული** და კომპიუტერული ტექნიკის ნაწილი კვლავ გამოძიების ხელთ არის. ამასთან, კვლავ შეუძლებელია ექსპერტიზის დასრულების მიახლოებითი თარიღის განსაზღვრა.[659]

- **თ. ბ.-ს საქმე**

თ. ბ-ს გარდაცვალების ფაქტზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხულოს რაიონული სამმართველოს წარმოებაში არსებულ საქმეზე[660], გამომძიებლის მიერ 2022 წლის 17 აპრილის დადგენილებით დანიშნული შრომის უსაფრთხოების ექსპერტიზის დასკვნა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო

---

[656] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში < https://shorturl.at/bfGV0 > (გვ. 188-189).

[657] სისხლის სამართლის N120170320001 საქმე.

[658] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, არ არის დაბრუნებული 1 სერვერი, კომპიუტერის 9 ცალი სისტემური ბლოკი, 2 ცალი DVD დისკი და 21 ცალი კომპიუტერი).

[659] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 28 დეკემბრის წერილი.

[660] სისხლის სამართლის N176030520001 საქმე.

ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მოამზადა 2023 წლის 18 აგვისტოს, **წელიწადნახევრის შემდეგ.**[661]

- **მ. ზ.-ს საქმე**

მ. ზ.-ს ადვოკატის ე. ზ.-ს განცხადების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს წარმოებაში არსებულ საქმეზე,[662] გამომძიებლის მიერ, 2022 წლის 15 სექტემბერს დაინიშნა საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც მომზადდა[663] და საგამოძიებო ორგანოს გადაეცა 2024 წლის იანვრის თვეში, **1 წლისა და 4 თვის შემდეგ.**[664]

9.2. ხანდაზმული საქმეების გამოძიება

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენს იმ საქმეებზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება და გამოძიების შეწყვეტა, რომელზეც გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.[665]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია გამოძიების ვადა. კოდექსი იმპერატიულად ადგენს, რომ „გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი[666] სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა."[667] ხოლო, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის საფუძველია.[668]

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი არაერთი საქმიდან იკვეთება, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე, 2023 წლის მდგომარეობით, გასული იყო სისხლისსამართლებრივი

---

[661] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 23 აგვისტოს N5005457423 წერილი.

[662] სისხლის სამართლის N006070621003 საქმე.

[663] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 10 იანვრის N5000092824 წერილი.

[664] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 5 თებერვლის NMIA 7 24 00342601 წერილი.

[665] აღნიშნულ საკითხზე მითითებული იყო ასევე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში < https://shorturl.at/fxG05 > (გვ. 184-187).

[666] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი ადგენს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადებს, რაც დაკავშირებულია კონკრეტული დანაშაულისთვის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის (თავისუფლების აღკვეთა) ოდენობასთან და დანაშაულის კატეგორიასთან. ამასთან, კოდექსის 144^1-144^3, 137-ე-141-ე და 253-ე-255^2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხანდაზმულობა არ გამოიყენება.

[667] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 103.

[668] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 105. ნაწ. 1, ქვეპუნქტ. ე.

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულების ვადა[669], რაც გამოძიების შეწყვეტის საფუძველია.[670] მიუხედავად ამისა, საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურორების მიერ[671] არ ხდება შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება და გამოძიების შეწყვეტა.

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მოქალაქე ლ.მ.-ს განცხადება.[672] შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ 2006 წლის 23 აგვისტოს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში გამოძიება დაიწყო,[673] ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების ფაქტზე.[674] ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე, 2023 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით, **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულების ვადის გასვლიდან 12 წლის შემდეგ,** გამოძიება გრძელდებოდა და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ იყო.[675]

განმცხადებელ გ. მ.-ს გადმოცემით, თაღლითობის შედეგად მიადგა ქონებრივი ზიანი, ხოლო საქმეზე გამოძიება გაჭიანურდა. სავარაუდოდ ჩადენილი ქმედება განხორციელდა 17 წლის წინ, გამოძიება კი 2011 წელს დაიწყო.[676] 2023 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის მეორე სამმართველოში გამოძიება გრძელდებოდა, **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულების ვადის გასვლიდან 8 წლის შემდეგ.**[677]

მოქალაქე თ. გ.-ს განმარტებით, 2015 წლის ივნისის თვეში სხვა შენობა-ნაგებობის დემონტაჟის დროს მისი საცხოვრებელი სახლი დაზიანდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 25 მაისს გამოძიება დაიწყო სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე[678]. 2020 წლის 29 მაისს საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა.[679] 2023 წლის 7

---

[669] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71.

[670] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 105, ნაწ. 1, ქვეპუნქტ. ე.

[671] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას […] იღებს პროკურორი."

[672] მოქალაქე ლ. მ.-ს N7102/23 განცხადება.

[673] სისხლის სამართლის N002065168 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციით.

[674] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 25 ივლისის N MIA 5 23 02152177 წერილი.

[675] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 6 სექტემბრის N13/60827 წერილი.

[676] სისხლის სამართლის N004170811007 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციით.

[677] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 17 ნოემბრის N MIA 1 23 03385192 წერილი.

[678] სისხლის სამართლის N171250517003 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციით.

[679] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ნოემბრის მდგომარეობით, კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გარეშე, **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულების ვადის გასვლიდან ორწელიწადნახევრის შემდეგ,** გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა.[680]

სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში შეისწავლა მოქალაქე გ. ი.-ს განცხადება.[681] დადგინდა, რომ 2016 წლის 16 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება დაიწყო,[682] მუქარის ფაქტზე.[683] 2024 წლის 16 იანვრის მდგომარეობით, საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ იყო.[684] ქმედების ჩადენის ზუსტი თარიღი სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი არ არის,[685] თუმცა გამოძიების დაწყების თარიღიდან გამომდინარე,[686] საქმეზე **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულების ვადა 5 წელსა და 6 თვეზე მეტი ხნის წინ არის გასული.**

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ხ. მ.-მ, მის მიმართ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე გამოძიების გაჭიანურების შესახებ.[687] შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ 2017 წლის 4 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარი ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ურეკის პოლიციის განყოფილებაში გამოძიება დაიწყო,[688] ხ. მ.-ს ეზოს ღობის და ნარგავების დაზიანების ფაქტზე.[689] 2024 წლის 24 იანვრის მდგომარეობით, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება გრძელდებოდა.[690] ქმედების ჩადენის ზუსტი თარიღი სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი არ არის, თუმცა გამოძიების დაწყების თარიღიდან გამომდინარე, საქმეზე **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულების ვადა 4 თვეზე მეტი ხნის წინ გავიდა.**

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ადვოკატ პ. შ.-ს განცხადება.[691] იგი იცავდა დ. ბ.-ს ინტერესებს.[692] შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2013 წლის 19 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური

---

[680] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 7 ნოემბრის NMIA 1 23 03270009 წერილი; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 2 ნოემბრის N13/73578 წერილი.
[681] მოქალაქე გ. ი.-ის N8623/23 განცხადება.
[682] სისხლის სამართლის N173160616002 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციით.
[683] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 28 აგვისტოს NMIA 4 23 02488741 წერილი.
[684] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 იანვრის N13/2184 წერილი.
[685] ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე.
[686]გამოძიების დაწყების თარიღი ადასტურებს, რომ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედება განხორციელებულია ამ თარიღამდე.
[687] მოქალაქე ხ. მ.-ს N13530/22 განცხადება.
[688] სისხლის სამართლის N056040817001 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციით.
[689] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 11 იანვრის NMIA 4 23 00073770 წერილი.
[690] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 24 იანვრის N13/4279 წერილი.
[691] ადვოკატ პ. შ.-ს N4201/23 განცხადება.
[692] დ. ბ. არის ერთ-ერთი შპს-ს დირექტორი.

რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოში გამოძიება დაიწყო,[693] ერთ-ერთი კაფე-ბარის დემონტაჟისთვის ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების ფაქტზე.[694] 2023 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით მითითებულ საქმეზე კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ იყო და გამოძიება გრძელდებოდა.[695]ქმედების ჩადენის ზუსტი თარიღი სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი არ არის, თუმცა გამოძიების დაწყების თარიღის გათვალისწინებით, აღნიშნულ საქმეზე **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულების ვადა 4 წელსა და 4 თვეზე მეტი ხნის წინ გავიდა.**

2023 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მოქალაქე მ. კ.-ს განცხადებაც, რომელიც განმარტავდა, რომ 2018 წლის 5 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტს მიმართა მის მიმართ დანაშაულების ჩადენის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით.[696] გამოირკვა, რომ 2018 წლის 6 მარტს ბათუმის საქალაქო სამმართველოში, მოქალაქე მ. კ.-ს მიმართ ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, გამოძიება დაიწყო.[697] საქმეზე, 2023 წლის 8 სექტემბრის მდგომარეობით, კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გარეშე, **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულების ვადის გასვლიდან 3 წლის შემდეგ,** გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა.[698]

მოქალაქე მ.ი.-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის[699] თანახმად, 2009 წლის 1 დეკემბერს დაიწყო წინასწარი გამოძიება ოფიციალური დოკუმენტის გაყალბების ფაქტზე[700]. საქმეში მ.ი. ცნობილია დაზარალებულად. ხოლო, სისხლისსამართლებრივი დევნა არავის მიმართ არ არის დაწყებული. ამასთან, საქმეზე არ შეჩერებულა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადის დინება.[701] მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი არ არის სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების ზუსტი თარიღი, გამოძიების დაწყების თარიღიდან გამომდინარე, 2024 წლის 22 იანვრის მდგომარეობით, ხსენებულ საქმეზე **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულების ვადა 8 წელზე მეტი ხნის წინ არის გასული.**

---

[693] სისხლის სამართლის N171190813003 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციით.
[694] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 6 ივნისის NMIA 1 23 01600662 წერილი.
[695] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 28 დეკემბრის N13/87401 წერილი.
[696] მოქალაქე მ. კ-ს N797/23 განცხადება.
[697] სისხლის სამართლის N171060318008 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციით.
[698] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 8 სექტემბრის N13/61453 წერილი.
[699] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილების მიერ 2009 წლის 2 დეკემბერს გაცემული ცნობა.
[700] სისხლის სამართლის N006092834 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციით.
[701] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 22 იანვრის N13/3602 წერილი.

განმცხადებელ ვ. მ.-ს გადმოცემით, 2019 წლის 21 ოქტომბერს მასზე ფიზიკურად იძალადეს, ხოლო საქმეზე გამოძიება გაჭიანურდა.[702] ფაქტთან დაკავშირებით მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო,[703] რაც 2023 წლის 22 ნოემბრის მდგომარეობით, **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულების ვადის გასვლიდან 2 წლის შემდეგ,** კვლავ გრძელდებოდა.[704]

9.3. დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა

წლიდან წლამდე სახალხო დამცველს არაერთი მოქალაქე მიმართავს, რომლებიც მიუთითებენ, რომ დაზარალდნენ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების გამო, თუმცა ჭიანურდება მათთვის დაზარალებულის სტატუსის ოფიციალურად მინიჭება, რის გამოც ისინი პრაქტიკულად არ ფლობენ მათი ინტერესების დარღვევის გამო მიმდინარე გამოძიებების შესახებ ინფორმაციას.

აღნიშნული საკითხი სახალხო დამცველის აპარატმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშშიც მიმოიხილა, სადაც მიუთითა პირთა დაზარალებულად ცნობის არაერთგვაროვან პრაქტიკაზე. სახალხო დამცველის აპარატმა ამავე ანგარიშში მიმოიხილა ორი მისასალმებელი სიახლეც. კერძოდ: სპეციალური პენიტენციური სამსახურის ბრძანება, რომლის თანახმად, პირებს, რომელთაც საქმეებზე არ ჰქონდათ მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი, შესაძლებლობა მიეცემოდათ გასცნობოდნენ საქმის მასალებს. ბრძანების ძალაში შესვლის შემდგომ სახალხო დამცველის რწმუნებულები გაეცნენ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული არაერთი სისხლის სამართლის საქმის მასალებს, სადაც იკვეთება გამომძიებლის მხრიდან მსხვერპლის პროაქტიული ინფორმირება, ჩართულობისა და საქმის მასალების გაცნობის შეთავაზება, რაც მისასალმებელია, რამდენადაც მსხვერპლის ჩართულობა უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობასა და ნდობის გაზრდას გამოძიების მიმართ. მეორე მნიშვნელოვანი სიახლე, 2022 წელს, შეეხებოდა გენერალურ პროკურატურაში შექმნილ საბჭოს, რომელიც განიხილავს სიცოცხლის უფლების საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრებს კომისიური შემადგენლობით.[705]

სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წელსაც გააგრძელა სისხლის სამართლის საქმეებზე დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული ხარვეზების

---

[702] მოქალაქე ვ. მ.-ს N12465/23 განცხადება.

[703] სისხლის სამართლის N025221019001 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციით.

[704] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 8 ნოემბრის NMIA 4 23 03283071 წერილი; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 22 ნოემბრის N13/78286 წერილი.

[705] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ.161-163 < https://ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf >

შესწავლა, **განსაკუთრებით პირთა დაზარალებულად ცნობისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ხელმისაწვდომობის** კონტექსტში.

ერთი მხრივ, სახალხო დამცველის აპარატმა გენერალური პროკურატურიდან გამოითხოვა 2023 წელს ზემდგომ პროკურორთან შესული საჩივრების სტატისტიკა, რომელიც შეეხებოდა დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობას. მეორე მხრივ, სასამართლოების პრაქტიკის გაცნობის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა თბილისის, ბათუმის, ქუთაისის საქალაქო და გორისა და თელავის რაიონული სასამართლოების 2023 წელს მიღებული განჩინებები დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმის მასალების ხელმისაწვდომობის საკითხს, იგი შეფასდა სახალხო დამცველის აპარატში ინდივიდუალური მომართვების ფარგლებში საქმეების შესწავლის საფუძველზე.

სახალხო დამცველის აპარატში საკითხის დამუშავებისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

1. საქმისმწარმოებელი პროკურორის მიერ დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის **გასაჩივრების სტატისტიკა ზემდგომ პროკურორთან საკმაოდ დაბალია;**
2. **სასამართლოების განჩინებები,** რომლებითაც უარს ამბობენ დაზარალებულად ცნობის შესახებ საჩივრის დაკმაყოფილებაზე, **ხშირად დაუსაბუთებელია და არ პასუხობს მსხვერპლის/ადვოკატის საჩივარში დაფიქსირებულ ძირითად საკითხებს;**
3. სასამართლო **ბუნდოვნად იყენებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს** და უმეტესად არ განმარტავს, კონკრეტულად რატომ არ იკვეთება მოცემულ საქმეზე დაზარალებულად ცნობის საფუძველი;
4. რიგ შემთხვევაში, დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაცემის შეზღუდვა **არ პასუხობს დასაბუთებულობის მოთხოვნას, მათ შორის, როდესაც შეზღუდვა განმარტებულია თავად დაზარალებულის ინტერესის დაცვის მოტივით.**

გარდა დასახელებული სისტემური მიგნებებისა, დაფიქსირდა ერთეული უხეში ხარვეზები, რომლებზეც ასევე იქნება წინამდებარე ქვეთავში საუბარი.

9.3.1. დაზარალებულად ცნობა

სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე,[706] გენერალური პროკურატურის წერილით[707] აპარატს ეცნობა, რომ **2023 წელს ზემდგომ პროკურორთან სულ გასაჩივრდა 22**

[706] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 18 დეკემბრის N 15-4/12155 წერილი.
[707] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 12 იანვრის №13/1431 წერილი.

დადგენილება დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ (1 დადგენილება დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე და 21 დადგენილება - დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ). ხოლო დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ასლების გადაცემის მოთხოვნით პროკურორისთვის მიმართვის სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს გენერალური პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო, სამწუხაროდ, არ აწარმოებს.

აღსანიშნავია, რომ **1 წლის განმავლობაში ზემდგომ პროკურორთან შესული ზემოხსენებული საჩივრების რაოდენობა საკმაოდ დაბალია,** რაც, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, განპირობებული იყოს განმცხადებლის სკეპტიციზმით, რაც, თავს მხრივ, შესაძლოა დაკავშირებული იყოს რწმენასთან, რომ უმრავლეს შემთხვევაში საქმის ზედამხედველი პროკურორი მათ თავდაპირველ განცხადებაზე გადაწყვეტილებას ისედაც არ მიიღებდა ზემდგომ პროკურორთან შეთანხმების გარეშე, რის გამოც შესაძლოა თვლიდნენ, რომ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრება უშედეგო იქნება. ასევე, შესაძლოა მიუთითებდეს მსხვერპლების ნაკლებ ინფორმირებულობაზე მათი საპროცესო უფლებების შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატი, აგრეთვე, დაინტერესდა სასამართლოში დაზარალებულის სტატუსის მიღების თაობაზე საჩივრების განხილვის პრაქტიკითაც და გამოითხოვა 2023 წლის შესაბამისი განჩინებები თბილისის, ქუთაისის, ბათუმის საქალაქო სასამართლოებიდან, ასევე გორისა და თელავის რაიონული სასამართლოებიდან. თელავის რაიონული სასამართლოს მიერ სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ სასამართლო არ აწარმოებს სტატისტიკას დაზარალებულის სტატუსის მისაღებად სასამართლოში შესული და განხილული საჩივრების თაობაზე.[708]

ამგვარად, **სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო თბილისის საქალაქო სასამართლოს 29, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 7, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 3, და გორის რაიონული სასამართლოს 1 განჩინებას; სულ 40 განჩინებას.**

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული განჩინებებით, **დაზარალებულად ცნობაზე პროკურორის უარის გაუქმებისა და სასამართლოს მიერ სტატუსის მინიჭების თაობაზე არც ერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.**

განჩინებების გაცნობის შედეგად იკვეთება, რომ ხშირად სასამართლოები მიუთითებენ, რომ საქმეში არ იკვეთება დაზარალებულად ცნობის საფუძველი, ვინაიდან არ არის შეკრებილი საკმარისი მტკიცებულება. **უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო არ მიუთითებს, კერძოდ, რომელი საგამოძიებო მოქმედება არის ჩასატარებელი ან რომელი მტკიცებულება იქნებოდა საკმარისი დაზარალებულად ცნობისათვის.** ხშირად

[708] თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 22 დეკემბრის წერილი.

სასამართლოები აღნიშნავენ, რომ დაზარალებულად ცნობისათვის საჭირო საფუძვლის გამოკვეთისას მოქმედებენ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით.

თბილისის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთ განჩინებაში[709] მიუთითებს, რომ „პირის დაზარალებულად ცნობის ფაქტობრივ და სამართლებრივ წინაპირობას წარმოშობს საქმეზე შეკრებილი ფაქტებისა და ინფორმაციების ერთობლიობა, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ჩადენილია დანაშაული... მხოლოდ გამოძიების დაწყება ავტომატურად ვერ გახდება დაზარალებულად ცნობის საფუძველი და დაზარალებულად ცნობის საკმარის მატერიალურ საფუძველში იგულისხმება სწორედაც ურთიერთთანხვდენილი ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობის არსებობა, მოპოვება, რომლებიც შექმნის „სათანადო საფუძველს" დაზარალებულად ცნობისათვის".

ქუთაისის საქალაქო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კოდექსით განმარტებული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი ის მტკიცებულებითი სტანდარტია, რომელიც გამოიყენება პირის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით.[710] გადაწყვეტილებების დასაბუთებისას სასამართლო სწორედ ამ სტანდარტზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, არ იკვეთება ინფორმაციათა ერთობლიობა, რომ პირი იცნოს დაზარალებულად.

ბათუმის საქალაქო სასამართლო აღნიშნავს, რომ „...საჩივარი ვერ დაკმაყოფილდება, რამეთუ სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების მხარეს გამოძიების ამ ეტაპზე, არ აქვს მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც პროკურატურა შეძლებდა [პირის] დაზარალებულად ცნობის მტკიცებას სასამართლოში".[711]

ამასთან, უმეტესად, სასამართლოების განჩინებებში არ არის აღნიშნული, თუ რა სახის დასაბუთება ან არგუმენტაცია ჰქონდა პროკურორს დაზარალებულის ან დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმისათვის.

მაგალითისათვის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში საერთოდ არ არის მიმოხილული საქმის ფაბულა და სასამართლო მხოლოდ მიუთითებს, რომ „საჩივრის განხილვის მოცემულ ეტაპზე ადვოკატის საჩივარი ვერ დაკმაყოფილდება, რამეთუ გამოძიების პროცესი მიმდინარეობს, არ არის ამოწურული იმ მტკიცებულებათა მიღების (მოპოვების) შესაძლებლობა, რომელთა ერთობლიობით შეფასება საშუალებას მისცემს გამოძიებას სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გადაწყვიტოს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭების საკითხი".[712] მოცემულ საქმეში სასამართლო არ მიუთითებს საქმის არც ერთ გარემოებაზე, არც ერთ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ან კონკრეტულ დამატებით მტკიცებულებაზე, რომელიც პოტენციურად შექმნიდა პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველს. განჩინების ამგვარი დასაბუთების პირობებში,

[709] თბილისის საქალაქო სასამართლოს 7 აპრილის №110/11148 განჩინება.
[710] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 24 თებერვლის განჩინება.
[711] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 8 მაისის განჩინება.
[712] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 11 იანვრის განჩინება.

საგულისხმოა, რომ საჩივრის ავტორს არ დარჩებოდა განცდა, რომ მისი საჩივარი ნამდვილად გულმოდგინედ იქნა გაცნობილი.

ხშირად, სასამართლო მიუთითებს, რომ ბრალდების მხარეს ჯერ არ შეუკრებია მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც შექმნიდა კონკრეტული პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველს, თუმცა, უმეტესად, არ მიუთითებს, რა შემთხვევაში შეიძლება შექმნილიყო ამგვარი მტკიცებულებათა ერთობლიობა. მაგალითად, რიგ შემთხვევაში, სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეზე დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის პასუხიც ჯერჯერობით მიღებული არ არის, რის პირობებშიც პირის დაზარალებულად ცნობას არ მიიჩნევს მიზანშეწონილად.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ იქნა ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ნ.მ.-ს ადვოკატის საჩივრების განხილვის შედეგად გამოტანილი განჩინებების ასლებიც, რომლებიც შეეხება 2023 წლის 8 მარტს საპროტესტო აქციის დროს სპეციალური დანიშნულების რაზმის მხრიდან ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ნ.მ.-ს მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხს.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლო მიუთითებს,[713] პირველი საჩივარი ადვოკატმა 2023 წლის 3 აპრილს წარადგინა. სასამართლო მიუთითებს, რომ ამ ეტაპისათვის გამოძიება ახალი დაწყებული იყო, ჯერ კიდევ გამოსაკითხი იყო არაერთი პირი, გამოსაკვლევი იყო ვიდეოჩანაწერები, მისაღები იყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. სასამართლომ მიიჩნია რომ ამ ეტაპზე არ იყო დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შესაბამისი წინაპირობები სახეზე.

აღსანიშნავია, რომ იმავე საქმეზე დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით, საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში კვლავ შევიდა 2023 წლის 3 აგვისტოს (გამოძიების დაწყებიდან თითქმის 6 თვის შემდეგ). ამ შემთხვევაში სასამართლოს აღარ მიუთითებია კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებებისა და მოსაპოვებელი მტკიცებულებების მოლოდინზე, როგორც დაზარალებულის სტატუსის პოტენციურად მინიჭების წინაპირობაზე და მხოლოდ აღნიშნა, რომ „სასამართლოს მიაჩნია, რომ დაზარალებულად ცნობისათვის აუცილებელია შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილება, რაც არგუმენტირებული და გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით" და ჩათვალა, რომ მოცემულ ეტაპზე კვლავ არ არსებობდა დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საფუძველი.[714]

საგულისხმოა, რომ მოსამართლე პირველ განჩინებაში მიუთითებს, რომ „...სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისათვის **არ არის აუცილებელი, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადგენილი და**

[713] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 7 აპრილის №110/11148 განჩინება.
[714] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 11 აგვისტოს N228/30610 განჩინება.

დადასტურებული იყოს, ვინაიდან მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი, დაადგინოს დანაშაულის ჩადენა, გამოძიება კი მიმდინარეობს დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, მაგრამ, სასამართლო აღნიშნავს, რომ დაზარალებულად პირის ცნობისათვის შესაძლებელი უნდა იყოს მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად გონივრული დასკვნის გამოტანა დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე. სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფაქტების უტყუარად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენა, ბუნებრივია, ხდება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის შედეგად, მაგრამ იმისათვის რომ პირმა შეიძინოს დაზარალებულის სტატუსი აუცილებელია მოპოვებული იყოს ინფორმაცია, რომლის შეფასების შედეგად, გონივრული დასკვნის მიღება შესაძლებელია შესაძლო დანაშაულის თაობაზე". ამდენად, სასამართლო ამ გადაწყვეტილებით ხაზს უსვამს, რომ დაზარალებულად ცნობის ეტაპზე ნამდვილად ვერ იქნება მოლოდინი, რომ დანაშაულის ფაქტი გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურდეს, არამედ, საჭიროა გონივრული დასკვნის გამოტანა დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე.

გაუგებარია, სწორედ ამ ტესტის გამოყენების პირობებში, მაშინ, როდესაც ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ნ.მ.-ს მიმართ შესაძლო ძალადობის განხორციელების ფაქტი საჯაროდ გავრცელებულ[715] ვიდეოჩანაწერშიც იყო აღბეჭდილი, რატომ ვერ გამოიკვეთა „დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე გონივრული დასკვნა", როგორც ამას თვითონ სასამართლო მიუთითებს, როგორც დაზარალებულად ცნობის ერთ-ერთ წინაპირობაზე. ან, სხვა შემთხვევაში, თუ ამ ეტაპისათვის მაინც არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა, დაახლოებით 5 თვის შემდეგ წარდგენილი საჩივრის განხილვისას რატომ აღარ მიუთითა სასამართლომ, თუ ამ ეტაპზე რატომ იყო გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები დაზარალებულად ცნობისათვის ნაკლოვანი. მაშინ, როდესაც პირველ ჯერზე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ მოტივად სასამართლომ მიუთითა, რომ გამოძიება ახალი დაწყებული იყო და მრავალი საგამოძიებო მოქმედება იყო ჩასატარებელი, აღნიშნული მიზეზების რელევანტურობაზე სასამართლო მომდევნო განჩინებაში აღარ მიუთითებს.

საპროტესტო აქციების კონტექსტში როგორც ზურაბ გირჩი ჯაფარიძის, ისე ნ.მ.-სა და სხვათა საქმეები დეტალურად ამავე ანგარიშის შესაბამისა თავში იქნება განხილული.

იმის გათვალისწინებით, რომ მსხვერპლთა საჩივრები დაზარალებულად ცნობის თაობაზე ხშირ შემთხვევაში დეტალური და დასაბუთებულია, მიუთითებს საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებსა და მიყენებულ ზიანზე, **უმეტესად, სასამართლოს განჩინების მიღების შემთხვევაში, რომელიც ხშირად შაბლონური ხასიათისაა, არ პასუხობს საჩივარში დაფიქსირებულ ძირითად საკითხებს და**

[715] ვიდეოჩანაწერები სავარაუდოდ მოპოვებულია გამოძიების მიერაც და დართულია სისხლის სამართლის საქმეს.

დაუსაბუთებელია, მომჩივნის მხრიდან, გონივრულად, ვერ აღიქმება, რომ საჩივარში დაფიქსირებული პრობლემები გულდასმით და ჯეროვნად არის შეფასებული .

ერთ-ერთ საქმეში საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ დაზარალებულად ცნობის შესახებ განცხადებით მიმართა საქმისმწარმოებელ პროკურორს, რომელსაც კანონით დათქმულ ვადაში მისთვის პასუხი არ გაუცია, რაც განმცხადებელმა აღიქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმად, რის შემდეგაც საჩივრით მიმართა ზემდგომ პროკურორს, რომელმაც, აგრეთვე, უპასუხოდ დატოვა მისი საჩივარი. [716] ბათუმის საქალაქო სასამართლომ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა და მიუთითა, რომ „დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით მიმართვაზე პასუხის მიუღებლობა ვერ მიიჩნევა დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმად და აღნიშნული ვერ შეფასდება საჩივრის ავტორის მხრიდან საქმის მწარმოებელი პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრებად, ვინაიდან ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე საქმის მწარმოებელი პროკურორის გადაწყვეტილების კანონშესაბამისობა უნდა შეამოწმოს ზემდგომმა პროკურორმა და სწორედ ზემდგომი პროკურორის მიერ მიღებული დადგენილება შეიძლება გახდეს სასამართლოს შეფასების საგანი. მოცემულ შემთხვევაში კი, თავად საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ აღნიშნულზე პასუხი მას არ მიუღია. შესაბამისად, პროკურორის უარი უნდა გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან, რათა სასამართლომ ზემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში (თუ არ დაკმაყოფილდება საჩივრის ავტორის მოთხოვნა) არსებითად შეძლოს საკითხის შეფასება, არის თუ არა პირის დაზარალებულად ცნობის სამართლებრივი საფუძველი“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში არ იყო დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები პროცედურულ ნაწილში და არ იყო წარმოდგენილი ზემდგომი პროკურორის დადგენილება დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ და აღნიშნა, რომ მოკლებულია, შეამოწმოს საჩივრის საფუძვლიანობა.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა განცხადება მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. თუ ზემდგომმა პროკურორმა საჩივარი არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.[717]

ამგვარად, **საპროცესო კოდექსი პირს სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლებას აძლევს მას შემდეგ, რაც ზემდგომი პროკურორი *არ დააკმაყოფილებს* საჩივარს. ცხადია,**

[716] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 სექტემბრის განჩინება.
[717] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 56, ნაწ. 5.

პროკურორის მხრიდან დათქმულ ვადაში საჩივარზე უპასუხობა თავისთავად გულისხმობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, რაც წარმოშობს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას. ამდენად, გაუგებარია სასამართლოს მოტივაცია, როდესაც იგი მიუთითებს, რომ საჩივრის წარდგენის მომენტისათვის არ იყო შესრულებული თავდაპირველად ზემდგომ პროკურორთან საჩივრის წარდგენის ვალდებულება. სასამართლოს განჩინება ამგვარი მოტივაციით კანონთან შეუსაბამოა ისევე, როგორც სასამართლოს პრაქტიკასთან სხვა მსგავს შემთხვევებში.

მაგალითად, განხილულის საპირისპიროდ აღსანიშნავია, რომ ამავე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მსხვერპლს მანამდე მიმართული ჰქონდა ბათუმის საქალაქო სასამართლოსათვის და მიუთითებდა, რომ დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით მან მიმართა საქმის მწარმოებელ პროკურორს, რომელსაც 48 საათი განმავლობაში პასუხი არ გაუცია, შესაბამისად, მიმართეს ზემდგომ პროკურორს, რომელსაც აგრეთვე არ გაუცია პასუხი, რის შემდეგაც მიმართეს სასამართლოს. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში მოსამართლეს არ მიუთითებია საპროცესო მოთხოვნების შეუსრულებლობაზე და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი არ უთქვამს იმ მოტივით, თითქოს პროკურორის მხრიდან პასუხის გაუცემლობა არ შეიძლება შეფასდეს უარის თქმად. [718]

აუცილებელია, რომ პროკურორის გადაწყვეტილებაზე გაუქმებისა და დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული, რათა საჩივრის ავტორს შეექმნას განწყობა, რომ მის საჩივარში დაფიქსირებული საკითხები ნამდვილად ჯეროვნად შეფასდა და სასამართლომ მხედველობაში მიიღო. **საქმის კონკრეტულ გარემოებებზე მიუთითებლობით, სასამართლოს მიერ არაერთგზის ნახსენები დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან პირისათვის გაუგებარი რჩება, რა სახის საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩატარდეს, რა ტიპის მტკიცებულებები უნდა იქნეს მოპოვებული ან რა სახით უნდა დადასტურდეს ზიანის არსებობა, რომ სასამართლომ აღნიშნული სტანდარტი დაკმაყოფილებულად ჩათვალოს, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, როგორც დაზარალებულად პირის ცნობის სახელმძღვანელო პრინციპს და აღნიშნული განმარტება სასამართლოების მიერაა დამკვიდრებული.**

9.3.2. მასალებზე ხელმისაწვდომობა

სახალხო დამცველის აპარატმა, ინდივიდუალური საქმისწარმოების ფარგლებში, აგრეთვე, შეისწავლა რამდენიმე საქმე, რომელიც ეხება **დაზარალებულის სტატუსის მქონე პირის წვდომის შეზღუდვას საქმის მასალების გაცნობაზე ან/და ასლების გადაცემაზე.**

[718] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 8 მაისის განჩინება.

2023 წლის 26 იანვარს მ. რ.-მ საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა, სადაც მიუთითებდა, რომ დაზარალებულადაა ცნობილი სისხლის სამართლის საქმეში[719] და ითხოვდა საქმის მასალების ასლების გადაცემას.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ გენერალური პროკურატურიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად,[720] პროკურატურა დაზარალებულ მხარეს საქმის მასალების ასლებს არ გადასცემს, ვინაიდან მასალები შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას და ეხება მესამე პირთა პირად ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, დაზარალებულ მ. რ.-ს მიეცა შესაძლებლობა, გაცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

აგრეთვე, სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქეების ქ. ჭ.-სა და მ. ტ.-ს ადვოკატმა ც. ჯ.-მ. მისი განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარ სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 140-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 139-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებით.[721] აღნიშნულ საქმეში ქ. ჭ. და მ. ტ. ცნობილი არიან დაზარალებულებად.

2023 წლის 1 ნოემბერს ც. ჯ.-მ საქმის მასალების ასლების გადაცემის მოთხოვნით მიმართა საქმის ზედამხედველ პროკურორს. ადვოკატმა სახალხო დამცველის აპარატში წარადგინა მისი მოთხოვნის პასუხად მიღებული წერილი,[722] რომლის თანახმადაც, ...„იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ გამოძიება მიმდინარეობს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თავად დაზარალებულთა ინტერესების, გამოძიების ეფექტურად წარმართვისა და საქმის ფიგურანტი სხვა პირთა პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, დაზარალებულებისთვის საქმის მასალების გადაცემა მიზანშეუწონელია“. თუმცა, ამავე წერილის თანახმად, პროკურორმა თანხმობა განაცხადა საქმის მასალების ადგილზე გაცნობაზე.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას,[723] დაზარალებულების ქ. ჭ.-სა და მ. ტ.-სთვის მასალების გადაცემაზე უარის ირგვლივ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. ამის შემდეგ ადვოკატს გადაეცა მისი დაცვის ქვეშ

[719] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის I, II და IV ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე (სისხლის სამართლის საქმე N010140921801).
[720] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 11 იანვრის N13/1133 წერილი.
[721] სისხლის სამართლის N002190923005 საქმე.
[722] გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2023 წლის 1 ნოემბრის N13/06-73274 წერილი.
[723] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 4 დეკემბრის N15-8/11731 წერილი.

მყოფი პირების მიმართ ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ამსახველი დოკუმენტაცია, სხვა პირთა მონაცემების იდენტიფიცირების გარეშე.[724]

აღსანიშნავია, რომ **სახალხო დამცველის აპარატი, ზოგადად, არ გამორიცხავს, რომ, კონკრეტულ ეტაპზე, საქმის მასალების ასლების სრულად გაცემის შეზღუდვას (მათ შორის, მასალებიდან მესამე პირთა პერსონალური ინფორმაციის დაფარვას), შესაძლოა, ლეგიტიმური მიზანი გააჩნდეს. თუმცა, ამ შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა იყოს დასაბუთებული და მსხვერპლისათვის დამაჯერებელი.** როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევებში, მაგალითად, ვერ იქნება გასაგები დაზარალებულისთვის როგორ იცავს პროკურატურა მესამე პირების პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მასალების არ გადაცემით, მაშინ როდესაც, თანახმაა იგივე მასალები სრულად გააცნოს პროკურატურის შენობაში. ან როგორ შეიძლება დაზარალებულმა მისი უფლებების გამამართლებულ/დასაბუთებულ კანონიერ შეზღუდვად მიიჩნიოს ის მოცემულობა, როდესაც პროკურატურა მას არ აძლევს მასალების ასლებს, ისევ მისივე - დაზარალებულების ინტერესების დაცვის მოტივით.

კიდევ ერთ შესწავლილ შემთხვევაში, მსჯავრდებული გ.მ. ცნობილი იქნა დაზარალებულად პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლის გამოძიება მიმდინარეობს კერძო საუბრების უნებართვო მიყურადების, ჩანაწერის, გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფის ფაქტზე.[725] დაზარალებულ გ.მ.-ს ადვოკატს მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ იმ მასალებს, რომლებიც არ შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას და არ ეხება მესამე პირთა პირად ცხოვრებას.[726]

ამდენად, დაზარალებულ გ.მ.-ს ადვოკატს მხოლოდ ნაწილობრივ გააცნეს მასალები. სხვა პირების პერსონალური ინფორმაციისა და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა, რა თქმა უნდა ლეგიტიმურ მიზნებს წარმოადგენს, თუმცა თუ დაზარალებულს მხოლოდ იმ ინფორმაციაზე ექნება წვდომა, რომელიც მის მიმართ განხორციელებულ უკანონო მიყურადებას ასახავს, დაზარალებულის გამოძიების პროცესში ეფექტიანი ჩართულობა შესაძლოა ვერ იყოს უზრუნველყოფილი. დაზარალებულის კანონიერი ინტერესია სწორედ იმ ინფორმაციის ქონა, რა საგამოძიებო მოქმედებები ტარდება კერძო საუბრების უკანონო მიყურადების და ჩაწერის განმახორციელებელი პირების დადგენის მიზნით და რა სახის მტკიცებულებების მოპოვება გახდა შესაძლებელი.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, 2020 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმა, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავდა სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლის

[724] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 18 დეკემბრის N13/84803 წერილი.
[725] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 158, ნაწ. 1-2 და მუხ. 4, ქვეპ. „ა".
[726] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 2 მაისის N13/29544 წერილი.

სახით გაცნობას.[727] ხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილი პრინციპების შესრულების მიზნებისათვის, **მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურამ უზრუნველყოს დაზარალებულის მაქსიმალური ჩართულობა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ხელმისაწვდომობა, რის შეზღუდვის შემთხვევაშიც, გადაწყვეტილება უნდა დაასაბუთოს კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით და არა - ჰიპოთეტურ რისკზე მითითებით.**

9.4. „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" განთავსებული კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე სახელმწიფოს რეაგირების მექანიზმები

სახალხო დამცველის აპარატის უცვლელი და განსაკუთრებული ინტერესის საგანს სოფ. ქუტირში განთავსებული „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში" არსებული ვითარება წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის მასშტაბით, წლების მანძილზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელ ყველაზე მსხვილ და უნივერსალურ ინსტიტუციას წარმოადგენს.[728] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი კი, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ყურადღებას **დაწესებულებაში კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების** (პირობითი ტერმინი გამოყენებულია წინამდებარე თავის მიზნებისთვის და მოიაზრებს პირთა სამ ჯგუფს: (1) იძულებით მკურნალობაზე მყოფი პირები;[729] (2) ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი მსჯავრდებულები; (3) არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი მსჯავრდებულები) **მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობისა თუ სიცოცხლის უფლების დარღვევის ფაქტებზე სახელმწიფოს რეაგირების მექანიზმებს უთმობს.[730]**

ხაზგასასმელია, რომ 2023 წელს აპარატისთვის არც ერთ კანონთან კონფლიქტში მყოფ პაციენტს მოუმართავს ცენტრში განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრით, თუმცა 2020-2022 წლებში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსგავსი პაციენტების მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის არაერთი საქმე. შესაბამისად, აპარატმა საანგარიშო პერიოდშიც განაგრძო სტაციონარში განთავსებული პაციენტების მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოების მონიტორინგი.

საგულისხმოა, რომ „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" არის შეზღუდული პასუხისმგებლობის დაწესებულება, რომლის ფუნქციონირების ძირითად ნაწილს მოიცავს

---

[727] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", N1/3/1312.

[728] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf > გვ. 192-195.

[729]პირები, რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა შეურაცხადობის გამო და სასამართლოს მიერ განესაზღვრა იძულებითი მკურნალობა.

[730] დაწესებულებაში კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების გარდა იმყოფებიან სხვა ნებაყოფლობით და არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტებიც, თუმცა, წინამდებარე ქვეთავი მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირების მექანიზმებზე იქნება ფოკუსირებული.

სახელმწიფოსთვის „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით" (ფსიქიკური ჯანმრთელობა)[731] ყოველწლიურად გათვალისწინებული სერვისების მიწოდება.

როგორც უკვე აღინიშნა, ცენტრში მოთავსებული არიან კანონთან კონფლიქტში მყოფი პაციენტების სამი კატეგორია: (1) პირები, რომელთა მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოყენებულია იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა,[732] (2) პაციენტები, რომლებიც გადმოყვანილი არიან პენიტენციური დაწესებულებებიდან არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით,[733] (3) ნებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით გადმოყვანილი მსჯავრდებულები (ამ კატეგორიის მსჯავრდებულების მიღება ცენტრმა დაიწყო 2023 წლიდან).

აღსანიშნავია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ის პაციენტები, რომლებიც ნებაყოფლობით გადიან მკურნალობას ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, იმყოფებიან სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს თანამშრომლების ზედამხედველობის ქვეშ და შესაბამისად, ხსენებული თანამშრომლების მხრიდან ძალის არაპროპორციული გამოყენება ან არასათანადო მოპყრობა, ასევე, სიცოცხლის უფლების დარღვევის ფაქტები, დაექვემდებარება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას.

რაც შეეხება ცენტრში არანებაყოფლობით და იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ან გარდაცვალების ფაქტებზე რეაგირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაა, ვინაიდან მათზე ზედამხედველობას არ ახორციელებენ საჯარო მოხელეები ან მათთან გათანაბრებული პირები[734] და ახორციელებენ ცენტრში დასაქმებული კერძო ფიზიკური პირები.

კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N609 დადგენილებით დამტკიცებული „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების" თანახმად, სტაციონალური მომსახურება ასევე, მოიცავს იმ პაციენტების მკურნალობითა და დამატებითი მომსახურებით (დაცვა და უსაფრთხოება) უზრუნველყოფას, რომელთა მიმართაც არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილება, იძულებითი ან არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ.

საგულისხმოა, რომ „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" სახალხო დამცველის ვიზიტის[735] დროს გენერალური დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, **დაცვის**

---

[731] იხ. < https://matsne.gov.ge/ka/document/view/5682731?publication=28 >, დანართი N11 (ბოლოს ნანახია 13.02.2024).

[732] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 22[1], ნაწ. 2.

[733] იქვე, მუხ. 22, ნაწ. 1.

[734] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის იურისდიქცია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ ქმედებებზე ვრცელდება, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე.

[735] სახალხო დამცველის 2024 წლის 2 თებერვლის ვიზიტი.

თანამშრომლები,[736] წარმოადგენენ კერძო პირებს, რომელთა შერჩევა არ ხდება რაიმე ოფიციალური პროტოკოლით ან სტანდარტების შესაბამისად, მათ არ აქვთ გავლილი სპეციალური სწავლება სათანადო სტანდარტებით, ასევე, არ არის შემუშავებული შესაბამისი გადამზადების სახელმძღვანელო პრინციპები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემა შექმნას, როგორც უსაფრთხოების, ასევე, არასათანადო მოპყრობის კუთხითაც.

ზემოაღნიშნული გარემოებების პრაქტიკული და საკანონმდებლო ანალიზით, ცალსახად მაღალია რისკი, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში", განსაკუთრებით კი, არანებაყოფლობით და იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობას დაქვემდებარებული პაციენტების მიმართ ზედამხედველის[737] თუ სხვა თანამშრომლების მხრიდან განხორციელდეს კანონსაწინააღმდეგო მოპყრობა - თუნდაც, არაპროპორციული ძალის გამოყენება, რისი გამოძიებაც სახელმწიფოს განსაკუთრებულ ვალდებულებას წარმოადგენს.

ეფექტიანი გამოძიების მონიტორინგის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან[738] და გენერალური პროკურატურიდან გამოითხოვა.[739] სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახალხო დამცველის **აპარატმა ვერ მიიღო ინფორმაცია არანებაყოფლობით და იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიებების თაობაზე, სათანადო სტატისტიკის არ წარმოების მოტივით,[740]** ხოლო გენერალური პროკურატურის პასუხის თანახმად, **2019 წლის 1 ნოემბრის შემდეგ წარმოებულ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეებზე, კონკრეტული პირი დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლედ) ან ბრალდებულად ცნობილი არ არის, სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო.**

ნიშანდობლივია, რომ **შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული სტატისტიკის არ წარმოებით შესაძლოა ვერ განხორციელდეს იძულებითი ან/და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიმღები პაციენტების მიმართ არასათანადო მოპყრობის მასშტაბის მკაფიო იდენტიფიცირება და განსაზღვრა.**

მართალია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აპარატს ვერ მიაწოდა დაწყებული გამოძიებების თაობაზე 2023 წლის ჩათვლით არსებული დეტალური ინფორმაცია, თუმცა, 2021 წლის მდგომარეობით,[741] შინაგან საქმეთა სამინისტროში **2019 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 1 ნოემბრამდე** შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" **ადმინისტრაციული, დაცვის და სამედიცინო პერსონალის მიერ**

---

[736] 2024 წლის 2 თებერვალს, სახალხო დამცველის ვიზიტის დროს, გენერალური დირექტორის განმარტებით, სტაციონარში დასაქმებულია დაცვის 120 თანამშრომელი.

[737] შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" საზედამხედველო სამსახურის დებულების თანახმად, სამსახურის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს: პაციენტთა მეთვალყურეობა, დაცვა, გადაადგილება ტერიტორიის შიგნით, გარეთ და სხვა, მუხ. 3.

[738] 2023 წლის 27 დეკემბრის N15-14/12606 და 2024 წლის 5 იანვრის N15-14/2029 წერილები.

[739]სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 27 დეკემბერის N15-14/12605 წერილი.

[740] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 27 დეკემბრის NMIA 5 23 03863915 წერილი.

[741] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 2 დეკემბრის MIA 4 21 03167414 წერილი.

განხორციელებულ **შესაძლო ძალადობის 13 ფაქტსა** და **პაციენტის გარდაცვალების 20 შემთხვევაზე**[742] არის დაწყებული გამოძიება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხონის რაიონულ სამმართველოს. ნიშანდობლივია, რომ შესაძლო ძალადობის 13 შემთხვევიდან 10-ზე გამოძიება დაიწყო ძალადობის,[743] 1 შემთხვევაზე - ჯანმრთელობის დაზიანების და 2 შემთხვევაზე - მუქარის[744] კვალიფიკაციით. ხოლო, პაციენტის გარდაცვალების 20 შემთხვევიდან 19-ზე გამოძიება დაიწყო გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის,[745] ხოლო 1 შემთხვევაზე თვითმკვლელობამდე მიყვანის კვალიფიკაციით.

ცალსახაა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მოთავსებული არანებაყოფლობითი და იძულებითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტები (სასამართლო ფსიქიატრიული ნაწილი) განეკუთვნებიან განსაკუთრებულ მოწყვლად ჯგუფს, რომელთაც, ერთი მხრივ, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების მსგავსად, შეზღუდული აქვთ თავისუფლება, მეორე მხრივ, რიგ შემთხვევებში, ფსიქიკური მდგომარეობა და დაწესებულებაში არსებული პირობები (გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ნაკლებობა) არ აძლევს საკუთარი უფლებების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობას.

აღნიშნულის ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, როგორიცაა დაწესებულებაში არსებული ვიდეო მეთვალყურეობის ჩანაწერები. **სიცოცხლის უფლების შესაძლო დარღვევის გამოძიების ან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღმოფხვრისა და ეფექტიანი გამოძიების წარმართვისთვის მნიშვნელოვანია სტაციონარში ვიდეო მეთვალყურების სისტემის გამართულად ფუნქციონირება, რაც, რა საკვირველია, უნდა მოიცავდეს სათანადო მასალის გონივრული ვადით შენახვის ვალდებულებასაც.** 2022 წელს[746], მითითებული საკითხის შესწავლის პროცესში, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" პასუხის[747] თანახმად, საინვესტიციო ვალდებულებების ფარგლებში აქტიურად მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, ვიდეო სათვალთვალო სისტემა შეზღუდულად ფუნქციონირებდა და ვიდეო კონტროლი არ მიმდინარეობდა. აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია 2023 წელსაც გამოითხოვა.[748] დაწესებულების პასუხის[749] მიხედვით, **„ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში" ვიდეო-სათვალთვალო სისტემა სრულად არის ჩაშვებული ექსპლუატაციაში, რომელიც მეთვალყურეობას ახორციელებს პირდაპირ რეჟიმში და ჩანაწერის გაკეთებას არ ახდენს.**

---

[742]მიღებული ინფორმაცია ერთობლივად ასახავს, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი პაციენტების, ისე სხვა კატეგორიის პაციენტების მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის და გარდაცვალების შემთხვევების სტატისტიკას.

[743]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 126, ნაწ. 1.

[744] იქვე, მუხ. 151, ნაწ. 1.

[745] იქვე, მუხ. 116, ნაწ. 1.

[746] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 21 თებერვლის N15-14/2089 და 29 აპრილის N15-14/4543 წერილები.

[747] ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2022 წლის 28 თებერვლის N446 წერილი.

[748] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 20 დეკემბრის N12271 წერილი.

[749]ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2024 წლის 4 იანვრის N13 წერილი.

იმ შემთხვევაში თუ საგამოძიებო უწყებებს არ ექნებათ ვიდეოჩანაწერების მოპოვების შესაძლებლობა, არსებითად შეფერხდება გამოძიების პროცესი. პაციენტების მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციის პროცესი კი კვლავ გართულებული იქნება სახალხო დამცველის აპარატისთვის. შესაბამისად, **აუცილებელია „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრმა" უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერების დაარქივება და გონივრული ვადით შენახვა, რაც იქნება ნორმატიულად დარეგულირებული.**

9.5. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობა

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სახალხო დამცველის აპარატი აქტიურ მონიტორინგს ახორციელებს სამართალდამცავი უწყებების გენერალური ინსპექციების/შიდა მონიტორინგის მექანიზმების საქმიანობის ეფექტიანობაზე. აპარატის ინტერესი გენერალური ინსპექციების/შიდა მონიტორინგის მექანიზმების მიერ მოქალაქეების უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე განხორციელებულ რეაგირებაზეა ორიენტირებული.

ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება, სწორედ, უწყებების შიდა მონიტორინგის დეპარტამენტების კომპეტენციაა. აღნიშნული ფუნქციის კეთილსინდისიერად განხორციელება კი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის უფლებების დასაცავად, არამედ, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენ სისტემაში არასათანადო მოპყრობისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციისთვის.

ყოველწლიურად, აპარატი არაერთ საქმეზე, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა თუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებებში, ავლენდა დაშვებულ უხეშ შეცდომებს ან გარკვეულ შემთხვევებში - უმოქმედობის ნიშნებს.[750]

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლსაჯულების დეპარტამენტს არ გამოუვლენია არც ერთი შემთვევა, როდესაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა არაჯეროვნად შეისწავლა პენიტენციური სისტემის თანამშრომლების მხრიდან პატიმრის მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტი. ინდივიდუალური საქმისწარმოების ფარგლებში, არაერთი საქმის შესწავლამ ცხადყო, რომ მონიტორინგის დეპარტამენტმა არსებითად გამოასწორა ის ხარვეზები, რაზეც აპარატი წლების განმავლობაში უთითებდა და გასცემდა კონკრეტულ რეკომენდაციებს, რაც ცალსახად მისასალმებელია.

[750] მაგ. იხ. სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf > გვ. 131-139; სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > გვ. 70-80.

მიუხედავად იმისა, რომ აპარატმა სულ რამდენიმე შემთხვევაში შეისწავლა შსს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალები, იკვეთება, რომ სამწუხაროდ, კვლავ პრობლემურია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობა და **შენარჩუნებულია გასული წლების ტენდენციები.** კერძოდ, 2023 წლის მანძილზე სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა შსს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების 3 შემთხვევა, რომლებშიც გამოვლინდა, რომ შემოწმება ჩატარებული იყო **არაჯეროვნად და არასრულყოფილად.** კერძოდ, **არ იყვნენ გამოკითხული შესაძლო გადაცდომის შემსწრე პირები, არ იყო მოპოვებული ნეიტრალური მტკიცებულებები, გენერალური ინსპექციის მიერ არ იყვნენ გამოკითხული სავარაუდო მსხვერპლებიც კი.** სამივე შემთხვევაში, **სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გენერალური ინსპექციის მიერ გამოიკითხა მხოლოდ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები.**

სამივე საქმეში სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს წინადადებით მიმართა, რათა დაწყებულიყო სამსახურებრივი შემოწმება გენერალური ინსპექციის იმ თანამშრომლების მიმართ, ვინც არ შეასრულეს მათი ვალდებულება და არ ჩაატარეს მოქალაქეების უფლებების დარღვევის შესაძლო ფაქტზე სრულყოფილი შემოწმება.[751] **შინაგან საქმეთა სამინისტრომ არც ერთ შემთხვევაში არ გაიზიარა სახალხო დამცველის პოზიცია.[752]**

ორ შემთხვევაში სამინისტრომ კანონშეუსაბამო პასუხი გასცა სახალხო დამცველის აპარატს და განმარტა, თითქოს სახალხო დამცველს არ აქვს მსგავსი წინადადებების გაცემის უფლებამოსილება.[753] უწყების პოზიციის საპირისპიროდ, სახალხო დამცველს ეს მანდატი კანონით პირდაპირ აქვს მინიჭებული.[754] კანონი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სახალხო დამცველი უფლებამოსილია, შემოწმების შედეგების მიხედვით, შესაბამის ორგანოს მიმართოს იმ პირთა დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა. მეორე მხრივ, უცნაური იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მსგავსი პასუხი იმ ფონზე, რომ ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როდესაც სახალხო დამცველს მსგავსი წინადადებებით მიუმართავს თავად ამ უწყებისთვისაც და სხვა არაერთი უწყებისთვისაც, როდესაც ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტებს ავლენს.

რაც შეეხება მესამე შემთხვევას, სახალხო დამცველის წინადადება გენერალურმა ინსპექციამ არც ამ შემთხვევაში გაიზიარა, თუმცა, ამჯერად უწყებამ შინაარსობრივად განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა მოწმეთათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის არამიზანშეწონილობის ასახსნელად. უწყებამ განავითარა წინასწარი ჰიპოთეტური

---

[751] ი. კ-სა და ა. დ-ს საქმეში - სახალხო დამცველის 2023 წლის 13 ივნისის N15-15/5566 წინადადება; გ. ს.-ს საქმეში - 2023 წლის 30 მაისის N15-14/5198 წინადადება; მ. გ.-ს საქმეში - 2023 წლის 17 ნოემბრის N15-12/11294 წინადადება.

[752] შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 9 ივნისის NMIA 6 23 01638882 (გ. ს.-ს საქმე), 2023 წლის 23 ივნისის NMIA 8 23 01795349 (ი. კ.-ს და ა. დ.-ს საქმე) და 2023 წლის 18 დეკემბრის NMIA 5 23 03714424 (მ. გ.-ს საქმე) წერილები.

[753] შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 9 ივნისის NMIA 6 23 01638882 და 2023 წლის 23 ივნისის NMIA 8 23 01795349 წერილები.

[754] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „დ".

შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ მითითებული მოწმეები, მიკერძოებულები იქნებოდნენ.[755]

ამგვარად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა მიერ უწყების თანამშრომელთა მხრიდან ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და მათზე სწრაფი ობიექტური რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. **დღემდე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში ნეიტრალური და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა მტკიცებულებების არა თუ მოპოვება, არამედ, მოპოვების მცდელობაც კი.** მაშინ, როდესაც სამსახურის ვალდებულებას წარმოადგენს განმცხადებელთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება და უფლების შესაძლო დარღვევის არსებითად გამოკვლევა ყველა ხელმისაწვდომი კანონისმიერი ხერხით. სამსახურის ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, სამსახურებრივი შემოწმების დაუსაბუთებლად დასრულება ხელყოფს ინდივიდის უფლებებს და აზიანებს უწყების რეპუტაციას.

საზოგადოებისთვის იმის დემონსტრირების მიზნით, თუ როგორ ატარებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია შემოწმებას მოქალაქის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე, წარმოგიდგენთ სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2023 წელს შესწავლილ სამივე საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს სამართალდამცავი უწყებების გენერალური ინსპექციების/შიდა მონიტორინგის მექანიზმების საქმიანობის მონიტორინგს ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში და სამომავლოდ წარმოადგენს სისტემური შემოწმების შედეგებს.

- **ი. კ-სა და ა. დ-ს საქმე**

განმცხადებლების გადმოცემით, პოლიციის განყოფილებაში განაცხადეს მეზობლის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ოჯახური ძალადობის ფაქტის შესახებ, რაზედაც გამომძიებელმა განუმარტა, რომ ისინი არ უნდა ჩარეულიყვნენ, ვინაიდან ოჯახური ძალადობა ტრადიციაა (ციტატაა: „თქვენ არ ხართ ოჯახის წევრები და არ გაქვთ უფლება შემოიტანოთ განცხადება“).

შსს გენერალური ინსპექციამ უშედეგოდ დაასრულა სამსახურებრივი შემოწმება და დაადგინა, თითქოს ი. კ-სა და ა. დ-ს უფლებების დარღვევისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.[756]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ სამსახურებრივი შემოწმების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება

[755]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 18 დეკემბრის NMIA 5 23 03714424 პასუხი.

[756] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 8 თებერვლის NMIA 6 23 00363473 წერილი.

არასრულყოფილი იყო. მაგალითად, გენერალურმა ინსპექციამ არ გამოკითხა განმცხადებლები, შესაბამისად, არ მიუღიათ აუდიო ჩანაწერი, რომელზეც ასახული იყო უფლებადარღვევის დადგენისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია; არ გამოკვლეულა განმცხადებლების პოლიციის განყოფილებაში ყოფნის პერიოდში მოქალაქეებთან შემხებლობაში მყოფი პოლიციის თანამშრომლების რაოდენობისა და ვინაობის შესახებ ინფორმაცია. გენერალური ინსპექციის შესაბამისი თანამშრომლის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების, ყველა შესაძლო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირების, მათ შორის თავად განმცხადებლების, გამოკითხვის შემთხვევაში, შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება სხვა შედეგით დასრულებულიყო.

- **გ. ს.-ს საქმე**

განცხადების თანახმად, არასრულწლოვანი გ. ს., მამასთან, ერთად, რომელიც იყო დაჭრილი, იმყოფებოდა კლინიკაში, რა დროსაც მივიდნენ პოლიციის წარმომადგენლები. გ.ს. ძალის გამოყენების გარეშე (უთხრეს გაჰყოლოდა) გაიყვანეს გარეთ, ჩასვეს პოლიციის ავტომობილში და ერთ საათამდე დროის მონაკვეთში უსვამდნენ კითხვებს მამის სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ. ასევე, გამოართვეს ბინის გასაღები, რომელშიც ცხოვრობდა მამა. ვინაიდან გ. ს. -ს ეძებდნენ და ურეკავდნენ ოჯახის წევრები, მაღალი ტონით მოსთხოვეს გამოერთო ტელეფონი. მან პოლიციის თანამშრომლებს თავიდანვე უთხრა, რომ იყო არასრულწლოვანი, თუმცა მისთვის არ განუმარტავთ უფლებები. ამასთან, მიუხედავად მისი სურვილისა, არ უშვებდნენ ავტომობილიდან.

სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან არასრულწლოვან გ. ს.-ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით, გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება. თუმცა, **სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების გამოკითხვის გარდა, არ ჩატარებულა არც ერთი სხვა მოქმედება, მათ შორის, ახსნა-განმარტება არ ჩამოურთმევიათ გ. ს.-თვის, პოლიციის თანამშრომლების მიერ არასრულწლოვანის წაყვანის თვითმხილველი არც ერთი პირისთვის, კლინიკის არც ერთი თანამშრომლისთვის. სრულყოფილად არ გადამოწმებულა არასრულწლოვანის დედის შეტყობინებაში დაფიქსირებული არც ერთი გარემოება, არ გადამოწმებულა გ. ს.-ს მობილური ტელეფონის მითითებულ პერიოდში გამორთვის ფაქტი, არ გადამოწმებულა გ. ს.-ს და პოლიციის შესაბამისი თანამშრომლების გადაადგილების მარშრუტი ვიდეო კამერების და სატელეფონო ანძების მეშვეობით.** არ განხორციელებულა ხსენებული დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მცდელობაც კი.[757]

- **მ. გ.-ს საქმე**

მ. გ.-ს გადმოცემითა და შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით, დაკავების და გამოკითხვის შემდეგ, გაიყვანეს საგამოძიებო ექსპერიმენტზე. ვიდრე სამმართველოს

[757] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 14 თებერვლის MIA 8 23 00422505 წერილი.

შენობიდან გავიდოდნენ, მისი გამოკითხვის დროს, შენობაში შემოვიდა პოლიციის უფროსი, რომელმაც დაკავებულს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, შეაგინა ოჯახის წევრებისა და დედის მისამართით. ამასთან, სამმართველოს შენობიდან გამოსვლის დროს, სამმართველოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მის მოსაკითხად მისულ ახლობლებს. მითითებულ საქმეზე გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება.

სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელმა პირმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან შესაძლო დისციპლინურ დარღვევაზე ინფორმაციის მიღებიდან, **მხოლოდ ერთი თვის შემდეგ სცადა მტკიცებულებების მოპოვება; არ მოიძია ყველა ის პირი, ვისაც შეეძლო საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება, ხოლო ჩამორთმეული ახსნა-განმარტებები არ იყო ამომწურავი; ასევე, არ მოიძია ნეიტრალური მტკიცებულებები** (არ მოხდა იმის დადგენა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის შენობაში (სადაც იმყოფებოდა მ. გ.) იყო თუ არა განთავსებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერები და მიმდინარეობდა თუ არა ვიდეომეთვალყურეობა), **რაც სამართალდამცავების მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენის ან უარყოფის რეალურ შესაძლებლობას მისცემდა.**

10. სისტემური გამოწვევები პენიტენციურ სისტემაში

პატიმართა უფლებების დარღვევის სხვადასხვა საკითხები და საქმეები სახალხო დამცველის აპარატმა უკვე მიმოიხილა ანგარიშის სხვადასხვა თავში, შესაბამისად, წინამდებარე თავში წარმოდგენილ იქნება პენიტენციურ სისტემაში არსებული სხვა სისტემური პრობლემები. საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა პირველად შეისწავლა და დეტალურად გააანალიზა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან/და სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის პროცესში **უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.** ამავდროულად, რა თქმა უნდა, აპარატის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად კვლავ დარჩა ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების **სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და მოსახდელი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის მექანიზმის მონიტორინგი.** საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო პატიმრების **დეესკალაციების ოთახებში** განთავსების, **მაღალი რისკის** თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მსჯავრდებულების **საკანში მარტო განთავსების პრაქტიკა** და სხვა. წინამდებარე თავში სწორედ ხსენებული საკითხები იქნება მიმოხილული.

თუმცა, ვიდრე სისტემაში არსებულ გამოწვევებს განვიხილავთ, აუცილებელია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ **2023 წლის ერთ-ერთი მთავარი დადებითი ცვლილება ახალი პენიტენციური კოდექსის მიღება იყო,** რომელიც 2024 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში და

რომელმაც **ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა არაერთი მიმართულებით არსებითად გააუმჯობესა.**

10.1. ახალი პენიტენციური კოდექსი

ახალი პენიტენციური კოდექსით ბრალდებულს მიენიჭა ხანგრძლივი პაემნის უფლება; ამასთან, ბრალდებულები და მსჯავრდებულები ყველა სახის პაემნით სარგებლობას საფასურის გადაუხდელად შეძლებენ; დასაშვები გახდა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ოჯახის წევრ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შორის მიმოწერა და სატელეფონო საუბარი; არსებული სატელეფონო საუბრების მაქსიმალური რაოდენობა და ხანგრძლივობა გარდაიქმნა მინიმალურ რაოდენობად და ხანგრძლივობად და მინისტრი უფლებამოსილი იქნება დაადგინოს მეტი სატელეფონო საუბრების რაოდენობა და ხანგრძლივობა შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და საამისოდ მნიშვნელოვანი სხვა გარემოებების გათვალისწინებით; გარდა ამისა, განსაკუთრებული გარემოების არსებობისას, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება მიენიჭოს დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლება; მნიშვნელოვანია, რომ ყველა მსჯავრდებულს ეძლევა უმაღლესი განათლების მიღების უფლება.

სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებების გაუმჯობესების მიზნით გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობს მათი რესოციალიზაციის პროცესს.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციური კოდექსის პროექტის შემუშავების პროცესში სახალხო დამცველის აპარატმა მოსაზრებები წარუდგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, გაიმართა სამუშაო შეხვედრაც, მოგვიანებით კი სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით[758] მიმართა და შესაბამისი რეკომენდაციები მიაწოდა.

მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაცია იქნა გაზიარებული, რაც ასევე აისახა ახალ პენიტენციურ კოდექსში. კერძოდ, გაზიარებული სახალხო დამცველის რეკომენდაციების შედეგად:

- პატიმრის მხრიდან დისციპლინური დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში დაწესებულების დირექტორს ეკისრება ფაქტის დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერის დაარქივებისა და შენახვის ვალდებულება, როგორც პატიმრის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულების;

[758] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 6 აპრილის N15-5/3510 წინადადება.

- განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს მიენიჭათ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება;
- პენიტენციურ სამსახურს დაეკისრა ბრალდებულთათვის არანაკლებ 4 კვ.მ.-ის მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება;
- მსჯავრდებულს, მისივე წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შეიძლება შეეცვალოს: ხანმოკლე პაემანი - სატელეფონო საუბრით ან ვიდეოპაემნით; ხანგრძლივი პაემანი - ხანმოკლე პაემნით, ვიდეოპაემნით ან სატელეფონო საუბრით; საოჯახო პაემანი - ხანმოკლე პაემნით, ვიდეოპაემნით ან სატელეფონო საუბრით.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, პენიტენციურ კოდექსში არ არის გათვალისწინებული სახალხო დამცველის პოზიცია ასევე არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად:

- არ არის განსაზღვრული პატიმრების დისციპლინური დარღვევის სახეები (ნაკლებად მძიმე დარღვევა, მძიმე დარღვევა და განსაკუთრებით მძიმე დარღვევა) და დარღვევის თითოეული სახის მიმართ შესაბამისი სახდელები (სახდელის სიმკაცრის გრადაცია);
- არ მომხდარა დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის გაუქმება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება;
- პროკურორებს/გამომძიებლებს კვლავ რჩებათ შესაძლებლობა, რომ ბრალდებულებს შეუზღუდონ სატელეფონო საუბრის უფლება, რაც მათ შორის, ადვოკატთან კომუნიკაციის შემთხვევებზეც ვრცელდება;
- არ გაზრდილა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა; არ გაზრდილა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა;
- არ შემცირებულა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა;
- მოქმედი კოდექსისგან განსხვავებით, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს ეზღუდება ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში დაწესებულების დროებით დატოვების უფლება.

სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვაზე აქტიურ ზედამხედველობას და მათი უფლებრივი მდგომაროების გაუმჯობესების მიზნით კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადებას და მათი იმპლემენტირების მიზნით ადვოკატირებას.

10.2. საშეღავათო მექანიზმები პენიტენციურ სისტემაში

10.2.1. ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები

სახალხო დამცველის აპარატი, წლების განმავლობაში ახორციელებდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის - ადგილობრივი საბჭოების (შემდეგში - ადგილობრივი საბჭოები) საქმიანობის აქტიურ მონიტორინგს. მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე, გამოავლინა ხარვეზები არაერთი მიმართულებით, რომელთა დეტალური ანალიზი აისახა სახალხო დამცველის სპეციალურ[759] და წლიურ ანგარიშებში.[760]

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა[761] ინფორმაცია 2021, 2022 და 2023 წლებში პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობისა და ამავე წლებში საშეღავათო მექანიზმით გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ.

მიღებული ინფორმაციის თანახმად,[762] 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული იყო 9 203, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 9 542, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 9 868 ბრალდებული/ მსჯავრდებული.

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, **მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა საანგარიშო პერიოდშიც გაუარესებულია.** კერძოდ, 2019 წელს პირობით ვადამდე 1279 მსჯავრდებული გათავისუფლდა, 2020 წელს -

---

759 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში." 2019 წ.;
<https://ombudsman.ge/res/docs/2019041114483621063.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა." 2014 წ.

760 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2020 წ. 107-110;
<https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2021 წ. 86-90;
<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf> - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, 25-29;
<https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 56-69;
<https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, 111-131.

761 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 იანვრის №15-3/329 წერილი.

762 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2024 წლის 18 იანვრის №15195/01 წერილი.

830, 2021 წელს - 829[763], ხოლო 2022 წელს - 635.[764] აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებელი საგრძნობლად გაუარესდა. კერძოდ, 2023 წელს პირობით ვადამდე მხოლოდ 434 პატიმარი გათავისუფლდა.[765]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **გაუარესების ტენდენცია შეინიშნება ასევე, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკაშიც.** კერძოდ, 2019 წელს სასჯელი 236 მსჯავრდებულს შეეცვალა, 2020 წელს - 545-ს, 2021 წელს კი 440.[766] 2022 წელსაც შენარჩუნდა გაუარესების ტენდენცია და აღნიშნული შეღავათით მხოლოდ 388 მსჯავრდებულმა ისარგებლა.[767] რეგრესი დაფიქსირდა 2023 წელსაც - სასჯელი მხოლოდ 274 მსჯავრდებულს შეეცვალა.[768]



[763] < https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 56.
[764] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 30 დეკემბრის №381189/01 და 2023 წლის 16 თებერვლის №43214/01 წერილები.
[765] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2024 წლის 18 იანვრის №15195/01 წერილი.
[766] < https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 56.
[767] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 30 დეკემბრის №381189/01 და 2023 წლის 16 თებერვლის №43214/01 წერილები.
[768] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2024 წლის 18 იანვრის №15195/01 წერილი.

სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში გამოითხოვა[769] ექვსივე ადგილობრივი საბჭოს მიერ 2023 წლის ოქტომბრის თვეში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი.

სახალხო დამცველის აპარატს, 2024 წლის მარტის მდგომარეობით, მიღებული აქვს ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს, არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს, აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს (ხსენებული საბჭო N8 და N18 დაწესებულებებში განთავსებული კაცი მსჯავრდებულების საქმეებს განიხილავს), აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოსა (ეს საბჭო N6,[770] N12, N16 და N17 დაწესებულებებში განთავსებული კაცი მსჯავრდებულების საქმეებს განიხილავს) და აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს (განიხილავს N10 და N15 დაწესებულებებში განთავსებული კაცი მსჯავრდებულების საქმეებს) მიერ 2023 წლის ოქტომბრის თვის სხდომებზე მიღებული სულ **134 გადაწყვეტილება**[771], რომელთა ანალიზი შემდგომ ქვეთავებში იქნება წარმოდგენილი. 134 გადაწყვეტილებიდან პირველი ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება არის 10, მეორე ადგილობრივი საბჭოს - 62, მესამე ადგილობრივი საბჭოს - 45, არასრულწლოვანთა - 1 და ქალ მსჯავრდებულთა - 16 გადაწყვეტილება. უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატისთვის არსებითად მნიშვნელოვანია ყველა ადგილობრივი საბჭოს პრაქტიკის შესწავლა და მათი ერთობლიობაში გააანალიზება. ქალ მსჯავრდებულთა და არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებში, როგორც სახალხო დამცველის აპარატის წინა წლების პრაქტიკამ აჩვენა, ხარვეზები ნაკლებად იკვეთება. ამდენად, აპარატისთვის უფრო საინტერესოა, აღმოსავლეთ საქართველოს პირველი, მეორე და მესამე ადგილობრივი საბჭოებს გადაწყვეტილებებში არსებული მიგნებების შედარებითი ანალიზი. აგრეთვე, სხვა ადგილობრივი საბჭოების პრაქტიკასთან მიმართებაში და სრული სურათის დანახვა, დაფიქსირებული დადებითი და უარყოფითი გარემოებები საერთო არის თუ არა ყველა ადგილობრივი საბჭოსთვის. თუმცა, სამწუხაროდ, როგორც უკვე აღინიშნა, სრული დოკუმენტაცია აპარატს ვერ მიეწოდა, რის გამოც, სრულყოფილი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობა არ მიეცა. კერძოდ, აპარატს არ მიუღია დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებები. ამავდროულად, როგორც უკვე აღინიშნა, გამოთხოვილი იყო მხოლოდ ერთი თვის და არა სრული წლის დოკუმენტაცია.[772]

---

[769] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 7 დეკემბრის №15-3/11913 წერილი.

[770] N6 დაწესებულებაში ძირითადად განთავსებულები არიან განსაკუთრებული რისკის პატიმრები, ხოლო მეორე ადგილობრივი საბჭოს მანდატი ვრცელდება დაწესებულებაში განთავსებულ სხვა მსჯავრდებულებზე, გარდა განსაკუთრებული რისკის მქონე მსჯავრდებულებისა.

[771] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2024 წლის 7 თებერვლის №35980/01, 2024 წლის 9 თებერვლის №38505/01, 2024 წლის 27 თებერვლის N57890/01 და 2024 წლის 13 მარტის N73443/01 წერილები.

[772]ვინაიდან პენიტენციური სამსახური სახალხო დამცველის აპარატს მასალებს აწვდის დაშტრიხული/დეპერსონალიზებული სახით, სამსახურის ადამიანური რესურსის გონივრულად დაზოგვის მიზნით.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 2023 წლის 2 ივნისს სახალხო დამცველის აპარატსა და სპეციალური პენიტენციურ სამსახურს (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით) სამუშაო შეხვედრის დროს განხილულ იქნა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობასთან დაკავშირებული ის გამოწვევები, რომლებზეც სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშებშია საუბარი. შეხვედრის დროს აპარატს მიეწოდა ინფორმაცია, რომ სამსახური აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებაზე, მიმდინარეობს საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა, მექანიზმის ეფექტიანობის მაქსიმალური გაზრდის მიზნით. აპარატმა პენიტენციურ სამსახურს მზადყოფნა დაუდასტურა, კანონქვემდებარე აქტის პროექტის მოწოდების შემთხვევაში, წარუდგინოს კონკრეტული რეკომენდაციები და სახალხო დამცველის აპარატის ხედვები. აპარატი კვლავ გამოხატავს მზადყოფნას, მისი მანდატის ფარგლებში, ჩაერთოს მოცემულ პროცესში და იმედოვნებს, რომ ერთობლივი ძალისხმევით, მსჯავრდებულებისთვის ხელშესახები პროგრესი იქნება მიღწეული.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა **პოზიტიური ცვლილებები,** კერძოდ: გადაწყვეტილებებში შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალი წარმოდგენილია განმარტებებით; ხდება როგორც უაყოფითი, ასევე დადებითი გადაწყვეტილებების ვრცელი დასაბუთება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული მასალების შეზღუდული რაოდენობა, სამწუხაროდ, არ იძლევა იმის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, აქვს თუ არა აღნიშნულ დადებით ტენდენციებს ადგილი ყველა ადგილობრივი საბჭოს პრაქტიკაში.

ნიშანდობლივია, რომ პირველი, მეორე და მესამე ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული **ყურადსაღები პრობლემები,** კერძოდ: უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთება მსჯავრდებულის მიერ სოციალურ აქტივობებსა თუ მიზნობრივ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის არ მიღებით, იმ პირობებში, როცა მსჯავრდებული გამოხატავს სოციალურ აქტივობებში ჩართვის სურვილს და გადაწყვეტილებიდან არ ჩანს რა გარემოებებმა შეუშალა ხელი, რომ სურვილის მიუხედავად, ჩართული ყოფილიყო. აგრეთვე, მიზნობრივ სოციალურ აქტივობებზე ყურადღების გამახვილების შემთხვევებში, გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება, მსჯავრდებულის ამ დაწესებულებაში ყოფნის დროს განხორციელდა თუ არა კონკრეტული აქტივობა, რომელიც მიზნობრივი იქნებოდა ამ მსჯავრდებულისთვის, მსჯავრდებულმა გამოხატა თუ არა მიზნობრივ სოციალურ აქტივობებში ჩართვის სურვილი და რა მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა; უარყოფითი გადაწყვეტილების ერთ-ერთ საფუძვლად მსჯავრდებულის ოჯახის, როგორც ძლიერი მხარდამჭერი, გვერდში მდგომი ქსელის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაზე მითითება, როცა მსჯავრდებულის დახასიათებაში საუბარია ოჯახთან მჭიდრო კავშირზე და გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, დამატებით რა გზებით სურს საბჭოს ვრცელი ინფორმაციის მიღება. აგრეთვე, ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელი ინფორმაციისა და სოციალური მუშაკის დასკვნის არ არსებობაზე ყურადღების გამახვილება, ისეთ

შემთხვევებში, როცა დასკვნის მომზადების შესაძლებლობას კანონმდებლობა მხოლოდ ერთეულ პენიტენციურ დაწესებულებებში (N5, N16 და N11) მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის ითვალისწინებს.

აღნიშნული პრობლემების შესახებ საუბარი იქნება როგორც ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებების ზოგადი ანალიზის ფონზე, ისე, აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულთა მომართვის საფუძველზე შესწავლილი ინდივიდუალური საქმეების ანალიზის ჭრილშიც.

გარდა ამისა, წინამდებარე თავში, გააანალიზებული იქნება საანგარიშო პერიოდში რამდენიმე ინდივიდუალური საქმის შესწავლის ფარგლებში განხორციელებული რეაგირების შედეგები და ასევე, **უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებრივი მდგომარეობა** სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და მოსახდელი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში.

გადაწყვეტილებების დასაბუთება

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში, წლების მანძილზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო უარყოფითი გადაწყვეტილებების დასაბუთების შაბლონურობა. კერძოდ, საბჭოები ფორმალურად მიუთითებდნენ იმ კრიტერიუმებზე, რომელთა მხედველობაში მიღებითაც იღებდნენ უარყოფით გადაწყვეტილებას. ხშირად, უთითებდნენ მხოლოდ დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე და შემოთავაზებული არ იყო მსჯელობა, თუ რატომ მიენიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა აღნიშნულ კრიტერიუმს.

ამჟამად, გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა, რომ წინა წლების პრაქტიკისგან განსხვავებით, საგრძნობლად **მრავალფეროვანი დასაბუთება** გვხვდება. საბჭო გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების ნაწილს იწყებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით - „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი" - დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალითა და იმის მითითებით, თუ რა მოიაზრება თითოეული კრიტერიუმის მიღმა. დასაბუთების შემდეგ ნაწილში კი საბჭო ყველა კრიტერიმის ჭრილში მიმოიხილავს კონკრეტული მსჯავრდებულის პიროვნებასა და მასთან დაკავშირებულ ყველა ფაქტობრივ გარემოებას. ასევე, ხშირად გვთავაზობს მსჯელობას და განმარტებას იმ უარყოფით კრიტერიუმებზე, რომლებიც, მათი პოზიციით, მოცემულ მომენტში გადამწყვეტია და უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

მუხედავად აღნიშნულისა, მეორე ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებებში სახალხო დამცველის აპარატმა დააიდენტიფიცირა ერთი საქმე, სადაც მსჯავრდებულის მხარეს არის

რამდენიმე დადებითი კრიტერიუმი, საბჭო კი უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთების ერთ-ერთ ფაქტორად, დანაშაულის ხასიათთან ერთად, მიუთითებს **სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის არ მიღებაზე, მაშინ, როდესაც მსჯავრდებული ამ კუთხით აქტიურია. ასევე, საბჭო აპელირებს დისციპლინური წესით დასჯაზე და ყურადღების მიღმა ტოვებს მსჯავრდებულის მიერ დასჯის შემდგომ გამოვლენილი ქცევის პოზიტიურ დინამიკას.**

> **საქმე:** საბჭოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ *მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 19-180-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით. მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. წარსულში ნასამართლობის არ მქონეა.* ***დაწესებულებაში ყოფინსას ერთხელ არის დასჯილი 2018 წელს, ხოლო 2019 წლის შემდეგ 5-ჯერ წახალისდა.*** *მსჯავრდებული იცავს დაწესებულების სარეჟიმო მოთხოვნებს. დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში დაასრულა ბაკალავრიატის საფეხური ერთ-ერთ უნივერსიტეტში, 2020 წელს სრული დაფინანსებით (100%) ჩაირიცხა ერთ-ერთი უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე, ასევე მიიღო უნივერსიტეტის შიდა 20% დაფინანსება. მსჯავრდებული ეუფლება Cisco-ს ქსელურ ენას და აქვს საბაზისო სერთიფიკატის შესაბამისი ცოდნა. მიიღო სერთიფიკატი მოკლევადიან პროგრამაში „ინფორმაციული ტექნოლოგიები". ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მსჯავრდებულს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ სოციალურ აქტივობებში:* ***ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები, ინტელექტუალური ვიქტორინა, პენიტენციური სტრესის მართვა, ინფორმაციული ტექნოლოგიების შემსწავლელი კურსი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, სოციალური საწარმო, საზოგადოებასთან ურთიერთობის მხარდამჭერი ღონისძიება, ართ თერაპია, ინდივიდუალური საქმიანობა/ხელნაკეთი ნივთები (2021 და 2022 წელს, ორჯერ), ლოკალური ტრენინგები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი შეხვედრები, საინფორმაციო ტრენინგი, კონკურსები, სინემა თერაპია, „ფაბლაბის" ვორქშოპი, „თავისუფლების დღე" 26 მაისის ღონისძიება, „რა? სად? როდის?". იგი დაწესებულებაში თვითდასაქმებულია, დაწესებულების ხელშეწყობით შექმნა მაღალტექნოლოგიური საწარმო. საწარმოს მფლობელობაშია 3D პრინტერები და ლაზერის აპარატები. ის ადგილზე ემსახურება როგორც მსჯავრდებულებს, ასევე, ახერხებს სერვისის მიწოდებას დაწესებულების გარეთ მოქალაქეებისთვისაც. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა დასუფთავებისა და სარემონტო სამუშაოებში. მან მოხატა დაწესებულებაში არსებული არაერთი სივრცე.***

> *საბჭოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულს უარი ეთქვა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (შინაპატიმრობით) შეცვლაზე.*[773]

[773] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილებაში საბჭო ყურადღებას ამახვილებს და უარყოფითად აფასებს ჩადენილი დანაშაულის ხასიათს. ამასთან, მსჯავრდებულის საუარესოდ განმარტავს, იმ ფაქტს, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას, მისი ბრალდების ერთ-ერთ ნაწილში, თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა. უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭო აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია დადგინდეს და განისაზღვროს, რა სახის ქცევის თავისებურებებით გამოირჩევა მსჯავრდებული და არის თუ არა ქცევის თავისებურებების პოზიტიური ცვლილებები სახეზე. აქვე, მიუთითებს, რომ ***„...მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებულია არაერთხელ, რაც დადებითად ფასდება, თუმცა მისმა ქცევამ სასჯელის მოხდის პერიოდში გამოიწვია დისციპლინური ღონისძიების გამოყენება.*** *მიუხედავად იმისა, რომ ეს დისციპლინური სახდელი არ არის მოქმედი, ეს წარმოადგენს მსჯავრდებულის პიროვნების ზოგად მახასიათებელს და ამით ფასდება თუ რა დამოკიდებულება აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილ ქცევის წესებთან." სასჯელის მიზნის მიღწევადობასა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საკითხის შეფასებისას კი საბჭო აღნიშნავს, რომ გათავისუფლების უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობა წარმოადგენს. პენიტენციურ დაწესებულებში არაერთი პროგრამა ხორციელდება. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისთვის აუცილებლია მათი ჩართულობა სოციალურ აქტივობებში იმ მიმართულებით, უშუალოდ რა პრობლემაც იკვეთება კონკრეტული მსჯავრდებულის შემთხვევაში. ხოლო,* ***„წარმოდგენილი ინფორმაციით, მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. აქედან გამომდინარე, რთულია ვიმსჯელოთ მსჯავრდებულის ქცევის პოზიტიურ ცვლილებაზე ანდა გათავისუფლების შემდგომ მის ეფექტიან რესოციალიზაციაზე."***

შეფასება: *როგორც ვხედავთ, მოცემულ საქმეში, მსჯავრდებული პირი დადებითად ხასიათდება, მის მხარეს არის დადებითი მნიშვნელობის მქონე კრიტერიუმები. თუმცა, საბჭო უარყოფით გადაწყვეტილებას დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათზე აპელირებით ასაბუთებს. ამასთან, სასამართლოში მის ბრალეულობასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ პოზიციას, მსჯავრდებულს უარყოფითად უთვლის. გაუგებარია ის გარემოებაც, რომ* ***2018 წელს მიღებული დისციპლინური სახდელი, იმ პირობებში, რომ 2019 წლიდან მსჯავრდებული ხუთჯერ წახალისდა, რატომ ვერ აჩვენებს მისი ქცევის დადებითი ცვილებებისკენ შეცვლის დინამიკას.*** *მსჯავრდებულის საქმიდან ირკვევა, რომ მან განათლება მიიღო პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პირობებში, ჩააბარა სამაგისტრო პროგრამაზეც, მიიღო სერთიფიკატები, მონაწილეობდა არაერთ აქტივობაში. დაწესებულების პირობებში აქვს საწარმო.* ***მიუხედავად ამისა, საბჭო მის სოციალურ აქტივობებში არ ჩართვაზე აპელირებს****. უთითებს, რომ საჭიროა მიზნობრივ აქტივობებში ჩართვა, თუმცა უფრო ვრცელ განმარტებას არ იძლევა, თუ რა მიზნობრივი აქტივობა იგულისხმება ამ კონკრეტულ მსჯავრდებულთან დაკავშირებით.* ***შესაბამისად,***

მსჯავრდებულისთვის არ არის განჭვრეტადი, თუ რა მოლოდინი აქვს საბჭოს, რას ელის მისგან დამატებით, იმისთვის, რომ მან დაიმსახუროს კანონით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობა.

სოციალურ აქტივობებში ჩართულობის გავლენა გადაწყვეტილების მიღებისას

ადგილობრივი საბჭოების მიერ უარყოფით გადაწყვეტილებებში სოციალურ აქტივობებში ჩართულობაზე მითითებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი წინა წლის ანაგრიშშიც უთითებდა. საბჭოები უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას შაბლონურ ჩანაწერს იყენებდნენ, რომ „რესოციალიზაცია თავისთავად კავშირშია ახალი დანაშაულის პრევენციის მიზანთან, თუ მიღწეული იქნება რესოციალიზაციის მიზანი, თავისთავად შემცირდება განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკიც, ამისთვის კი ერთ-ერთი მთავარი პირობაა სოციალურ აქტივობებში აქტიური ჩართვა, რაც კონკრეტული მსჯავრდებულის შემთხვევაში არ იკვეთება". სახალხო დამცველის აპარატი აღნიშნული ჩანაწერის გაკეთებას, განსაკუთრებულად პრობლემურად მიიჩნევდა წლების განმავლობაში პენიტენციურ სისტემაში პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით არსებული გამოწვევებისა და COVID-19-ის პანდემიის დროს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო აქტივობების შეჩერების ფონზე.[774]

ამჟამად, შესწავლილი გადაწყვეტილებებიდან იკვეთება, რომ საბჭოები გადაწყვეტილებების დასაბუთებისას კვლავ აქტიურად იყენებენ მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის მიღებას. გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ **რიგ შემთხვევებში დახასიათებებიდან ჩანს მსჯავრდებულის სურვილი, შეთავაზების შემთხვევაში, ჩაერთოს სოციალურ აქტივობებში. ამასთან, მითითებულია, რომ მსჯავრდებულს მონაწილეობა არ აქვს მიღებული სოციალურ აქტივობებში და აღნიშნულს საბჭო იყენებს მსჯავრდებულის საუარესოდ.** აგრეთვე, **ისეთი უარყოფითი გადაწყვეტილებების დასაბუთებისას, სადაც მსჯავრდებულს არაერთ აქტივობაში აქვს მონაწილეობა მიღებული, საბჭო აქცენტს მიზნობრივ აქტივობებში ჩართვის საჭიროებაზე აკეთებს და მსჯავრდებულს დადებითად არ უთვლის მის მიერ გავლილ სხვა აქტივობებს.** მაგალითად, საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე საქმეს.

საქმე N1. - დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 2021 წლის 29 აპრილიდან, ხოლო სასჯელის დასასრულად მითითებულია 2024 წლის 28 ოქტომბერი. აქვე მითითებულია, რომ ჰყავს ოჯახი, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. სარგებლობს მათთან კომუნიკაციის კანონით ნებადართული საშუალებებით. სასჯელის მოხდის პირობებში დასჯილია ერთხელ, ხოლო ორჯერ წახალისდა. წარსულში გასამართლებულია, ამჟამად, ითვლება ნასამართლობის არ მქონედ.

[774] < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf > - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 124-125.

მსჯავრდებული ესწრება დაწესებულებაში გამართულ კულტურულ ღონისძიებებს. მონაწილეობა მიიღო ჭადრაკის შეჯიბრსა და „რა? სად? როდის?" ინტელექტუალურ თამაშში. მსჯავრდებულმა გაიარა ფსიქო-სოციალური ტრენინგები, კერძოდ: პოზიტიური აზროვნების უნარების განვითარება (ორჯერ), ბიბლიოთერაპია, ნაბიჯი ცვილებებისკენ. გაიარა სასტუმროს საქმის მწარმოებლის შემსწავლელი კურსი. ვარჯიშობს დაწესებულებაში არსებულ ტრენაჟორებზე, სარგებლობს ბიბლიოთეკით, დადის დაწესებულებაში არსებულ ტაძარში. დაესწრო კულტურულ ღონისძიებას. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის შუამდგომლობა მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით) შეცვლაზე არ დაკმაყოფილდა. საბჭო უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის ერთ-ერთ ფაქტორად უთითებს მსჯავრდებულის მიერ მიზნობრივ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის არ მიღებაზე. ამასთან, საბჭო აღნიშნავს, რომ „მსჯავრდებული ჩართულია სხვადასხვა აქტივობაში, რაც დადებითად ფასდება, თუმცა არცერთ მიზნობრივ აქტივობაში ჩართული არაა, მაგალითად, როგორიცაა: თვითდახმარების ჯგუფი წამალდამოკიდებული პირებისთვის, ცხოვრების ჯანსაღი წესი და სხვა."[775]

საქმე N2. - *დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, სსკ-ის 19-260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, სსკ-ის 19-260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და სსკ-ის 19-260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის. სასჯელის დასაწყისია 2019 წლის 4 ოქტომბერი, ხოლო დასასრული - 2024 წლის 20 იანვარი. მითითებულია, რომ ოჯახის წევრებთან აქვს კეთილგანწყობილი ურთიერთობა. წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. დაწესებულებაში ყოფნისას მის მიმართ დისციპლინური სახდელი არ გამოყენებულა, ერთხელ წახალისდა. მსჯავრდებულის განმარტებიდან გამომდინარე, დაწესებულებაში ყოფნის პირობებში შეისწავლა ფრანგული და ინგისური ენები. დაწესებულებაში ყოფნის პირობებში მან მონაწილეობა მიიღო შემდეგ სოციალურ აქტივობებში: კომპიტინგი ინფორმაციული წიგნიერება, საინფორმაციო შეხვედრა დაბალ რისკთან დაკავშირებით, ჭადრაკის ტურნირი, ჭადრაკის შემსწავლელი ჯგუფი, სპორტული ფესტივალი - ჭადრაკი, შერეული ორთაბრძოლები, გათავისუფლებისათვის მომზადება, კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიება, დოკუმენტური ფილმის ჩვენება და განხილვა, „საჯარო გამოსვლები და ეფექტიანი კომუნიკაცია", ზიანის შემცირების მიდგომების ინტეგრაციის ხელშეწყობა, „თავისუფლების დღე" – 26 მაისის ღონისძიება, ინგლისური ენის კურსი, შემეცნებითი-საგანმანათლებლო პროექტი „რადიოკინო". უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭო ყურადღებას ამახვილებს ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე, აგრეთვე, უთითებს, რომ საჭიროა ისეთ*

[775] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სოციალურ აქტივობებში ჩართვა, უშუალოდ რა პრობლემაც იკვეთება კონკრეტული მსჯავრდებულის შემთხვევაში.[776]

საქმე N3. *- დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით, 2020 წლის 4 მარტიდან, ხოლო სასჯელის დასასრულად მითითებულია 2023 წლის 20 დეკემბერი. აქვე მითითებულია, რომ ჰყავს ოჯახი, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებთანაც აქვს თბილი ურთიერთობა და ხშირი კომუნიკაცია კანონით ნებადართული საშუალებებით. მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პირობებში დასჯილი არ ყოფილა, ხოლო ოთხჯერ წახალისდა. ნასამართლობის მქონეა. მსჯავრდებული ირიცხება დაწესებულების სამეურნეო მომსახურებაში, სადაც მასზე დაკისრებულ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს. მსჯავრდებული აცხადებს, რომ შეთავაზების შემთხვევაში, მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში.*

უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭო ყურადღებას ამახვილებს ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე და ნასამართლობაზე, აგრეთვე, უთითებს, რომ ამ კონკრეტული მსჯავრდებულის შემთხვევაში არ იკვეთება სოციალურ აქტივობებში ჩართვა.[777]

საქმე N4. **-** დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 177- ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტებით, 2020 წლის 9 ოქტომბრიდან, ხოლო სასჯელის დასასრულად მითითებულია 2024 წლის 26 ივლისი. ნასამართლევია. მსჯავრდებულს ოჯახის წვერებთან კარგი ურთიერთობა აქვს. სასჯელის მოხდის პირობებში ერთხელ დაისაჯა, წახალისებული არ ყოფილა. მსჯავრდებული არ არის აგრესიული და კონფლიქტური. მსჯავრდებულს დაწესებულებაში ყოფნის პირობებში სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ გამოთქვამს მზაობას, შეთავაზების შემთხვევაში, ჩაერთოს სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში. უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭო მიუთითებს ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე, სიმძიმეზე და წარსულ ნასამართლობაზე, აგრეთვე, უთითებს, რომ „მსჯავრდებულს მონაწილეობა არ მიუღია სოციალურ აქტივობებში, შესაბამისად, რთულია, ვიმსჯელოთ მსჯავრდებულის ქცევის პოზიტიურ ცვლილებაზე ანდა გათავისუფლების შემდეგ მის ეფექტურ რესოციალიზაციაზე".[778]

---

[776] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

[777] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

[778] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

შეფასება: *გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ რიგ შემთხვევებში დახასიათებებიდან ჩანს მსჯავრდებულის სურვილი, შეთავაზების შემთხვევაში, ჩაერთოს სოციალურ აქტივობებში. ამასთან, მითითებულია, რომ მსჯავრდებულს მონაწილეობა არ აქვს მიღებული სოციალურ აქტივობებში და აღნიშნულს საბჭო იყენებს მსჯავრდებულის საუარესოდ, პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ხოლო, ისეთ შემთხვევებში, როცა მსჯავრდებულებს არაერთ სოციალურ აქტივობასა და ღონისძიებაში აქვთ მონაწილეობა მიღებული, მითითებულია, რომ მსჯავრდებულს მონაწილეობა არ აქვს მიღებული მიზნობრივ აქტივობებში, რაც უშუალოდ დაკავშირებული იქნებოდა კონკრეტული მსჯავრდებულის საჭიროებებთან. სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ სოციალურ აქტივობებში, მათ შორის, მიზნობრივ აქტივობებში მონაწილეობის მიღება მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანია. თუმცა, საბჭოს გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რა გარემოებებმა დააბრკოლა მსჯავრდებული, რომ სურვილის მიუხედევად, არ ყოფილა ჩართული სოციალურ აქტივობებში. აგრეთვე, მსჯავრდებულს, რომელსაც ძალიან ბევრ აქტივობებში აქვს მიღებული მონაწილეობა, რამ შეუშალა ხელი, ჩართულიყო ისეთ სოციალურ აქტივობებში, რაც მისი საჭიროებებიდან გამომდინარეობდა. გადაწყვეტილებებიდან არ იკვეთება, კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის ყოფნის დროს განხორციელდა თუ არა იმ სახის აქტივობა, რასაც საბჭო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ან მსჯავრდებულისთვის საჭიროდ თვლის. ხოლო, თუ მსჯავრდებულმა გამოხატა სოციალურ აქტივობებში, მათ შორის, მიზნობრივ სოციალურ აქტივობებში ჩართულობის სურვილიც და მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მისი ჩართვა ვერ განხორციელდა, რის შესახებაც გადაწყვეტილებებში არ არის მოცემული ფართო მსჯელობა, მსჯავრდებულის საუარესოდ აღნიშნულის გამოყენება უარყოფითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან, გადაწყვეტილების დასაბუთება არ უნდა აღიქმებოდეს იმგვარად, თითქოს მსჯავრდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, თუმცა იგი არ ჩაერთო მიზნობრივ აქტივობაში. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აპარატი კვლავ შენიშნავს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულისთვის აღქმადი უნდა იყოს და არ უნდა უტოვებდეს უსამართლობის განცდას. ბუნებრივია, საბჭოს მოლოდინი, რომ შესაძლო დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის, მსჯავრდებული მასზე მორგებულ აქტივობაში უნდა იყოს ჩართული, სრულიად ლეგიტიმურია. თუმცა, გადაწყვეტილებაში საკითხის ასახვა და შესაბამისი დასაბუთება, თუ რა მიზეზით არ არის მსჯავრდებული ამგვარ აქტივობაში ჩართული, მნიშვნელოვანია თავად მსჯავრდებულისთვის, რათა საბჭოს პოზიცია მისთვის გასაგები იყოს. წინაალმდეგ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებული ჩართულია სხვადასხვა აქტივობაში და ამდენად, რესოციალიზაციისკენ სწრაფვას გამოხატავს, შესაძლოა, დაკარგოს ამ მიმართულებით შემდგომი აქტიურობის მოტივაცია.*

მსჯავრდებულთა პროფილის ანალიზი

ადგილობრივი საბჭოების მიერ გადაწყვეტილებებში მსჯავრდებულთა დახასიათების შესახებ ასახული ინფორმაცია, წინა წლებშიც, ძირითადად, დამაკმაყოფილებელი იყო.[779] სახალხო დამცველის აპარატი დადებითად აფასებდა ქალ მსჯავრდებულთა და არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოების გადაწვეტილებებს, სხვა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებთან შედარებით, ვინაიდან ხსენებული საბჭოების გადაწყვეტილებებში ასახული იყო სოციალური მუშაკის დასკვნა მსჯავრდებულთა ოჯახისა და იმ გარემო-პირობების შესახებ, სადაც მსჯავრდებული უნდა დაბრუნდეს შესაძლო გათავისუფლების შემთხვევაში. ამასთან, აპარატი მიუთითებდა, რომ მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადგილობრივ საბჭოს ჰქონდეს ხელთ ასეთი მოცულობითი ინფორმაცია თითოეული მსჯავრდებულის (მათ შორის, კაცი მსჯავრდებულების შემთხვევაში) შესახებ, რაც მათ დაეხმარებათ თითოეულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[780]

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი გადაწყვეტილებებიდან გამოიკვეთა, რომ **აღმოსავლეთ საქართველოს პირველი და მესამე ადგილობრივი საბჭოები არაერთი უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას, ერთ-ერთ არგუმენტად იყენებენ მსჯავრდებულის ოჯახის, როგორც მხარდამჭერი, გვერდში მდგომი ქსელის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას და ამ საფუძვლით, *აღნიშნულ კრიტერიუმს მსჯავრდებულისთვის საუარესოდ აფასებენ.*** მაგალითისთვის, წარმოვადგენთ ორ საქმეს.

> ***საქმე N1.*** *- დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული, 2019 წლის 24 ივნისიდან, სასჯელს იხდის სსკ-ის 276-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. სასჯელის დასასრულად მითითებულია 2025 წლის 10 ოქტომბერი. ნასამართლობის არ მქონეა. კრიმინალური აზროვნების ჩარჩოებისგან თავისუფალია. მსჯავრდებული დასაქმებულია დაწესებულების სასადილოში. მონაწილეობა მიიღო დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ეკლესიის მშენებლობაში.* ***მსჯავრდებულს ჰყავს მეუღლე და 3 შვილი, ოჯახთან კარგი ურთიერთობა აქვს, მათ მიმართ ემოციურ და მხრუნველ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. გათავისუფლების შემდეგ გეგმავს ოჯახზე ზრუნვას, სამსახურში დაბრუნებასა და სოფლის მუერნეობაში ჩართვას.*** *მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარყოფითი გადაწყვეტილება დასაბუთებულია დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე მითითებით, ამასთან,* ***საბჭო აღნიშნავს, რომ მისთვის ბუნდოვანია, ჰყავს თუ არა მსჯავრდებულს ისეთი ოჯახი, რომელიც აქტიურად დაუჭერს მხარს და მომავალშიც მზად იქნება გვერდში დაუდგეს მსჯავრდებულს.***[781]

---

[779] < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf > - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 126.

[780] იქვე.

[781] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

საქმე N2. - დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. სასჯელის დასაწყისია 2022 წლის 22 თებერვალი, ხოლო დასასრული - 2024 წლის 22 თებერვალი. წარსულში გასამართლებულია. ***დაწესებულებაში ყოფნისას მის მიმართ დისციპლინური სახდელი არ გამოყენებულია, ხოლო ორჯერ წახალისდა და მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. მითითებულია, რომ ჰყავს ოჯახი, მეუღლე და 5 შვილი. მათთან აქვს კეთილგანწყობილი ურთიერთობა. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა საშუალოა. გათავისუფლების შემდეგ გეგმავს ბიზნეს საქმიანობასა და ოჯახზე ზრუნვას.*** *უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭო მიუთითებს დანაშაულის ხასიათზე და წინა ნასამართლობაზე. გარდა ამისა,* ***საბჭო აღნიშნავს, რომ „ოჯახური პირობების შეფასებისას მნიშვნელოვანია იკვეთებოდეს, რომ ოჯახი დამცავი ფაქტორის როლს შეასრულებს მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ რესოციალიზაციის კუთხით". მსჯავრდებულის მიმღები სოციუმი უნდა აკმაყოფილებდეს ცხოვრების ნორმალურ პირობებს. აღნიშნულ შემთხვევაში კი საბჭოსთვის არ არის ნათელი ჰყავს თუ არა ძლიერი მხარდამჭერი ქსელი ოჯახის წევრების სახით, რომლებიც აქტიურად დაუდგებიან მხარში და მზად იქნებიან მომავალში თანადგომა გაუწიონ მას. შესაბამისად, საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დადებითი შეფასება მისცეს აღნიშნულ კრიტერიუმს.*[782]

შეფასება: წინამდებარე საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ორივე შემთხვევაში მსჯავრდებულის პროფილის ანალიზის ნაწილში მითითებულია ინფორმაცია მსჯავრდებულის ოჯახისა და მისი ოჯახთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის შესახებ. ამასთან, მსჯავრდებული ამჟღავნებს ოჯახის წვერებზე ზრუნვის სურვილს. თუმცა, საბჭოები უარყოფით გადაწყვეტილებაში მიუთითებენ, რომ საბჭოს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, მისთვის ბუნდოვანია, იქნება თუ არა ამ კონკრეტული მსჯავრდებულისთვის მისი ოჯახი მხარდამჭერი. უარყოფით გადაწყვეტილებას თან არ ახლავს დასაბუთება, სხვა რა გზებითა და საშუალებით ან/და დამატებით რა სახის ინფორმაცია უნდა მიიღოს საბჭომ, რომ აღნიშნული კრიტერიუმი დადებითად ჩაუთვალოს მსჯავრდებულს, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. ვინაიდან, გადაწყვეტილებიდან მსჯავრდებულისთვის ცხადი უნდა იყოს, რას მოელის საბჭო მისგან, დამატებით რა ინფორმაცია უნდა წარადგინოს ან/და რა უნდა შეცვალოს უკეთესობისკენ, რომ მომავალში მაინც დაიმსახუროს კანონით გათვალისწინებული შეღავათი.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი გადაწყვეტილებებიდან იკვეთება, რომ **ქალ მსჯავრდებულთა და არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ ადგილობრივ საბჭოებს კვლავ მიუწვდებათ ხელი მსჯავრდებულთა ოჯახის შესახებ სოციალური მუშაკის**

[782] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

დასკვნაზე, რასაც ასევე, იყენებენ უარყოფითი თუ დადებითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას. **ერთეულ შემთხვევებში სოციალური მუშაკის დასკვნა წარდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოსთვისაც. თუმცა, მეორე ადგილობრივი საბჭო არაერთ გადაწყვეტილებაში, უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას, იყენებს სოციალური მუშაკის დასკვნის არ არსებობას და აღნიშნავს, რომ** ***„საბჭოსთვის ბუნდოვანია, ჰყავს თუ არა მსჯავრდებულს მხარდამჭერი ოჯახის სახით, ვინც მზად იქნება გათავისუფლების შემთხვევაში მას გვერდში დაუდგეს."*** მაგალითად, წარმოვადგენთ ორ საქმეს.

> ***საქმე N1. -*** *დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული, 2014 წლის 24 ივნისიდან, სასჯელს იხდის სსკ-ის 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის. სასჯელის დასასრულად მითითებულია 2026 წლის 10 აპრილი. მსჯავრდებული ჩართულია სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში. მოტივირებულია ცვლილებებისკენ. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი არ ყოფილა, წახალისებულია ორჯერ. დაწესებულების ადმინისტრაციისა და სხვა მსჯავრდებულების მიმართ თავაზიანია. არ არის კონფლიქტური და აგრესიული. მსჯავრდებული ნასამართლობის არ მქონეა. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით) შეცვლაზე საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილება დასაბუთებულია დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე მითითებით, ამასთან,* პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დახასიათებაში, სოციალური გარემოსა და მსჯავრდებულის ოჯახში დაბრუნებასთან მიმართებაში მზაობის თაობაზე ინფორმაციის არასაკმარისობაზე და სოციალური მუშაკის დასკვნის არ არსებობაზე.[783]

> ***საქმე N2. -*** *დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. სასჯელის დასაწყისია 2017 წლის 20 ოქტომბერი, ხოლო დასასრული - 2024 წლის 6 აგვისტო. მითითებულია, რომ ჰყავს ოჯახი, მეუღლე, შვილები და დედა, მათთან აქვს კეთილგანწყობილი ურთიერთობა. დაწესებულებაში ყოფნისას მის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული იქნა ორჯერ (2019 წელსა და 2020 წელს), ხოლო ერთხელ წახალისდა (2021 წელს). მსჯავრდებულმა დაწესებულებაში ყოფნის პირობებში მონაწილეობა მიიღო შემდეგ აქტივობებში: პროფესიული განათლება - ბუღალტრული აღრიცხვა, ფოტო-ვიდეო მონტაჟის სასწავლო კურსი, დემოკრატიის ძირითადი პრინციპები (ლექცია/სემინარი), ხელისუფლების დანაწილების პრინციპები (ტრენინგი), სოციალური სამართლიანობისა და კანონმდებლობის ტრენინგი, დემოკრატია და ადამიანის ძირთადი უფლებების ტრენინგი, საარჩევნო სისტემა (ლექცია/სემინარი), „სახელმწიფო" (ლექცია/სემინარი), გათავისუფლებისათვის მომზადების ლოკალური ტრენინგი,*

[783] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სინემა თერაპია: დოკუმენტური ფილმის ჩვენება და განხილვა, საინფორმაციო შეხვედრა დაბალ რისკთან დაკავშირებით, ლექცია თემაზე „აჭარის კულტურული მემკვიდრეობა". მსჯავრდებული იცავს სარეჟიმო მოთხოვნებს. ნასამართლობის არ მქონეა. უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭო მიუთითებს დანაშაულის ხასიათზე, მსჯავრდებულის დაწესებულებაში, წინა წლებში (2019-2020), ორჯერ დასჯაზე. გარდა ამისა, საბჭო მიუთითებს, რომ „დაწესებულების მიერ მიწოდებულ დახასიათებას თან არ ერთვის სოციალური მუშაკის მიერ ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასება". რის გამოც, საბჭოსთვის ბუნდოვანია გათავისუფლების შემთხვევაში ვინ იქნება მსჯავრდებულის მხარდამჭერი.[784]

შეფასება: *მეორე ადგილობრივი საბჭოს მითითებული გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ* უარყოფითი გადაწყვეტილების ერთ-ერთ საფუძვლად გამოყენებულია ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულის დახასიათებას არ ახლავს მისი ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელი ინფორმაცია, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სოციალური მუშაკის დასკვნა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აპარატი შენიშნავს, რომ კანონმდებლობის თანახმად, მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, კოორდინირებული საქმიანობის ფარგლებში, უზრუნველყოფს პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოსთვის მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების შესახებ დასკვნის მომზადებას, **რაც ვრცელდება N5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და N16 დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაზე.**[785] **ასეთი დასკვნა მზადდება ასევე არასრულწლოვანი მსჯავრდებულების შემთხვევაშიც.**[786]

აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო ქალაქ რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პენიტენციური დაწესებულებების მიერ წარდგენილ შუამდგომლობებს განიხილავს მსჯავრდებულების (გარდა არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ქალი მსჯავრდებულებისა) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე

[784] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

[785] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის N68 ბრძანება „მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ", მუხ. 3.

[786] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №179 ბრძანება „არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ."

გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით.[787] შესაბამისად, მეორე ადგილობრივი საბჭოს იურისდიქცია ვრცელდება როგორც N6[788] პენიტენციურ დაწესებულებაზე, ასევე, N12, N16 და N17 დაწესებულებებზე.

სახალხო დამცველის აპარატში საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წარმოდგენილია დეპერსონიფიცირებული (დაშტრიხული) სახით. ასევე, აპარატისთვის არ არის ხილული, თუ რომელ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთან დაკავშირებით მსჯელობს საბჭო კონკრეტულ გადაწყვეტილებაში. თუმცა, ვინაიდან მეორე ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული არაერთი უარყოფითი გადაწყვეტილება, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, მათ შორის, მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელი ინფორმაციისა და სოციალური მუშაკის დასკვნის არ არსებობით არის დასაბუთებული, შესაძლოა, ყველა გადაწყვეტილება არ იყოს მხოლოდ N16 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულების მიმართ გამოტანილი. აღნიშნული ვარაუდის დაშვების საფუძველს დამატებით იძლევა ინდივიდუალური საქმისწარმოების ფარგლებში შესწავლილი კონკრეტული საქმეც, რომელშიც N12 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის შუამდგომლობაზე უარყოფით გადაწვეტილებაში საბჭო სწორედ ამგვარი დასკვნის არარსებობაზე აპელირებდა. მოცემული საქმის შესახებ დეტალური ანალიზი ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.[789]

ამდენად, სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ მეორე ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებებში, მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელი ინფორმაციასა და სოციალური მუშაკის დასკვნის არ არსებობის თაობაზე მითითება, როგორც დადებითი შედეგის დამაბრკოლებელ ერთ-ერთ გარემოებაზე, N16 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების გარდა, არ გამომდინარეობს კანონისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებიდან. შესაბამისად, ვიდრე კანონმდებლობით მსგავსი მექანიზმი (სოციალური მუშაკის ინდივიდუალური დასკვნის მომზადება) არ შეეხება ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, საბჭოს მხრიდან ისეთ გარემოებაზე მითითება, რაც კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს და მისი გამოყენება მსჯავრდებულის საუარესო გადაწყვეტილების მისაღებად, უარყოფითად უნდა ჩაითვალოს.

---

[787] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხ. 3. ქვეოუნქტ. „ბ“.

[788] N6 დაწესებულებაში ძირითადად განთავსებულები არიან განსაკუთრებული რისკის პატიმრები, ხოლო მეორე ადგილობრივი საბჭოს მანდატი ვრცელდება დაწესებულებაში განთავსებულ სხვა მსჯავრდებულებზე, გარდა განსაკუთრებული რისკის მქონე მსჯავრდებულებისა.

[789] მსჯავრდებულ გ. ა.-ს საქმე.

სახალხო დამცველის აპარატი კვლავ იმეორებს, რომ სასურველია, მსჯავრდებულთა ოჯახისა და სოციალური გარემოს შესახებ ვრცელი ინფორმაცია ყველა ადგილობრივი საბჭოსთვის იყოს ხელმისაწვდომი, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ასეთი დასკვნის მომზადების საკანონმდებლო რეგულაცია და მისი პრაქტიკული აღსრულების მექანიზმი არ არსებობს, მის არარსებობაზე მითითება კანონმდებლობით გათვალისწინებული დაწესებულებების გარდა, სხვა დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულებთან მიმართებაში და უარყოფითად შეფასება, ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების სათანადო შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების პრინციპსაც.

სახალხო დამცველის აპარატი, ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ყველა მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასება და დასკვნის მომზადება, პრაქტიკაში დიდ ადამიანურ და შრომით რესურსებთან იქნება დაკავშირებული და ამდენად, აუცილებელია იუსტიციის სამინისტრომ/სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა იმსჯელოს ამ პრობლემიდან გამოსავლის გზებზე, არსებული რესურსების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ამ ეტაპზე გაუგებარი რჩება მეორე ადგილობრივი საბჭოს მიდგომა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. სხვა საბჭოების გადაწყვეტილებების არქონის გამო კი, აპარატისთვის უცნობია, როგორი მიდგომა აქვთ მათ ამავე საკითხთან მიმართებაში.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი კონკრეტული საქმეები და გამოვლენილი ხარვეზები

გარდა ადგილობრივი საბჭოების 2023 წლის პრაქტიკის სისტემური შესწავლისა, საანგარიშო პერიოდში, როგორც აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა კონკრეტულ მსჯავრდებულთა საქმეები, რომელთა დეტალურ ანალიზსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

- **მსჯავრდებულ გ. მ.-ს საქმე**

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ადგილობრივი საბჭოს მიერ მსჯავრდებულ გ. მ.-ს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლითაც გ. მ.-ს სასჯელის მოხდისაგან შინაპატიმრობით გათავისუფლებაზე უარი ეთქვა. შესწავლის შედეგებად გამოიკვეთა, რომ საბჭოს მიერ სათანადოდ არ იყო შეფასებული მსჯავრდებულის მხარეს არსებული დადებითი კრიტერიუმები და საქმესთან დაკავშირებული ყველა რელევანტური გარემოება. უპირატესობა კი ენიჭებოდა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს.

შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია,[790] მსჯავრდებულ გ. მ.-ს თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით (შინაპატიმრობით) შეცვლის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას, სრულყოფილად და ჯეროვნად ყოფილიყო შესწავლილი ყველა გარემოებათა (ნასამართლობის არქონა, ქცევა, პიროვნება და ოჯახური მდგომარეობა, უფლებების დარღვევის ხასიათი და ჯანმრთელობის მდგომარეობა) ერთობლიობა და უპირატესობა არ მინიჭებოდა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს და ხასიათს.

საგულისხმოა, რომ საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი, თუმცა მიზანშეწონილად მიიჩნია საქმისწარმოების ვადის არაუმეტეს 3 თვით გაგრძელება.[791]

მისასალმებელია, რომ 2024 წლის 14 თებერვალს, ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით,[792] მსჯავრდებული გ. მ. გათავისუფლდა პირობით ვადამდე 1 წლის, 9 თვისა და 11 დღით ადრე. საბჭომ, გადაწყვეტილებაში დადებითად შეაფასა მსჯავრდებულის ქცევა, ოჯახური პირობები; ასევე, აღინიშნა, რომ დაზარალებულს არ გააჩნდა პრეტენზია. გარდა ამისა, საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომაროების შესახებ ინფორმაცია. ამდენად, საბჭომ, პრაქტიკულად გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

თუმცა, ადგილობრივი საბჭოს მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილებები პრობლემური იყო იმ კუთხით, რომ სათანადოდ არ იყო შეფასებული ყველა გარემოება. კერძოდ, მსჯავრდებულ გ. მ.-ს სასჯელის შინაპატიმრობით გათავისუფლებაზე ზეპირი მოსმენის გარეშე 2-ჯერ უარი ეთქვა. თავდაპირველ გადაწყვეტილებაში საბჭო უარის მიზეზად ასახელებდა დანაშაულის ხასიათს, სიმძიმეს, დანაშაულთა ერთობლიობას; დამატებით, წახალისების არქონის ფაქტებზეც მიუთითებდა, ხოლო ხელახალ გადაწყვეტილებაში დადებითად აფასებდა მხოლოდ წარსულში ნასამართლობის არქონის ფაქტს და იმ პირობებში, როცა მსჯავრდებულის მხრიდან არ ფიქსირდებოდა ქცევის/ვითარების უარყოფითი ცვლილებები, დადებითად არ შეფასდა მსჯავრდებულის ქცევა (წახალისების არარსებობის მოტივით) და ოჯახური პირობები. მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი კვლავ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი იყო და ამ თვალსაზრისით შეფასდა მსჯავრდებულის პიროვნება.

საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ გ. მ. ნასამართლობის არმქონე პირი იყო, პირველად იყო მსჯავრდებული დანაშაულისთვის (რისთვისაც სასჯელს იხდიდა), ჰქონდა უმაღლესი განათლება და პროფესია, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს მეუღლე და 3

[790] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 30 ოქტომბრის N15-5/10649 რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრისადმი.
[791] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 16 ნოემბრის N320301/01 წერილი.
[792] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 26 თებერვლის N56359/01 წერილი და დანართი - სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება.

მცირეწლოვანი შვილი, ოჯახთან ჰქონდა კარგი ურთიერთობა, არ იყო აგრესიული და კონფლიქტური, იცავდა დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არასდროს დაკისრებია დისციპლინური სახდელი და მონაწილეობდა სოციალურ აქტივობებში, ვიდრე ჯანმრთელობის მდგომაროება ამის საშუალებას აძლევდა. მსჯავრდებულს წარდგენილი ჰქონდა დაზარალებულის თანხმობაც, თუმცა საბჭომ ჩათვალა, რომ ეს ვერ გააბათილებდა სამომავლო ჩადენის მომეტებულ საშიშროებას.

სამართლიანობის აღდგენასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ გ. მ. მსჯავრდებული იყო დაუმთავრებელი დანაშაულისთვის (მკვლელობის მომზადება) და მისი ქმედების შედეგად არ მომხდარა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა. გასათვალისწინებელი იყო, დაზარალებულის თანხმობა და უკვე მოხდილი სასჯელის ვადა (3/4). რაც შეეხება **ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ლეგიტიმურ მიზანს,** განსაკუთრებით საყურადღებო იყო მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ საზოგადოების უსაფრთხოების საკითხის შეფასება. პიროვნული მახასიათებლების გარდა, აღსანიშნავია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს და შინაპატიმრობის აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანო, რაც მსჯავრდებულის კონკრეტულ დროს საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებით და ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებებით ხდება და მინიმუმამდე ამცირებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს. ამასთან, დამატებით შემაკავებელ ფაქტორად გვევლინება პირობების დარღვევის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მექანიზმის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში დამატებით არსებითი მნიშვნელობისა იყო პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაც. 2019 წლის თებერვლიდან გათავისუფლებამდე პატიმარი იმყოფებოდა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო N18 პენიტენციურ დაწესებულებაში, ვერ გადაადგილდებოდა დამოუკიდებლად და მისი ჯანმრთელობის მდგომაროება არ უმჯობესდებოდა, დიაგნოზი იგივე რჩებოდა, სამედიცინო მომსახურება ძირითადი დიაგნოზის სამკურნალოდ არ იყო სისტემური და სრულფასოვანი. უშედეგოდ მიმდინარეობს გამოძიება[793] გ. მ.-ს მიმართ სავარაუდო არასათანადო სამედიცინო მომსახურების და შესაბამისად, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. საბჭოს ზეპირი მოსმენის შემთხვევაში მსჯავრდებულის უშუალოდ ან დისტანციური ჩართვის გზით ნახვის, მასთან უშუალოდ გასაუბრებისა და მდგომარეობის ჯეროვნად შეფასების შესაძლებლობა ექნებოდა.

დამნაშავის რესოციალიზაციის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევდა პატიმრის მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში (ჯანმრთელობის მდგომაროების გაუარესებამდე), კანონშესაბამისი ქცევა და მოტივაცია მომავლისკენ (ჯანმრთელობის მდგომაროების გაუმჯობესებაზე ზრუნვის და მკურნალობის მიზანი, ოჯახთან ურთიერთობების დროის

[793] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 3 თებერვლის N13/5561, 2021 წლის 31 მაისის N13/31439, 2021 წლის 5 ოქტომბრის N13/60487 და 2023 წლის 23 იანვრის N13/3716 წერილების თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს მსჯავრდებულ გ. მ.-ს მიმართ ჩადენილი სავარაუდო გულგრილობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით.

კომპენსაცია, აკადემიური განათლების გაგრძელების და პროფესიული საქმიანობის მიზნები). შესაბამისად, მკაფიო და ნათელი იყო მსჯავრდებულის სამომავლო გეგმები. საბჭომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ **ბუნდოვანი იყო, ჰყავდა თუ არა ძლიერი მხარდამჭერი ქსელი ოჯახის წევრების სახით, რომლებიც აქტიურად დაუდგებოდნენ მხარში და მზად იქნებოდნენ, მომავალშიც თანადგომა გაეწიათ მისთვის. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, თავად საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული იყო მსჯავრდებულის ოჯახთან კარგი ურთიერთობის თაობაზე და ასევე, პენიტენციური სამსახურისთვის ცნობილი იყო მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის (ხანმოკლე პაემნის, სატელეფონო საუბრის, ამანათის სახით) შესახებ, რაც სწორედ მათი მხრიდან პატიმრის მხარდაჭერასა და თანადგომაზე მიუთითებდა და რისი დამადასტურებელი დოკუმენტებიც პატიმარმა წარადგინა.**

- **მსჯავრდებულ მ.გ.-ის საქმე**

სახალხო დამცველის წარმომადგენელი დაესწრო მ.გ.-ის მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე გამართულ ზეპირ სხდომას, რომელიც დისტანციური წესით ჩატარდა.[794] სხდომის მიმდინარეობაზე დაკვირვებითა და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ანალიზით, შესაძლებელია გამოიყოს ის რამდენიმე მიმართულება, რომელიც პრობლემურია მ.გ.-ის საქმეში:[795]

- კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთების საკითხი კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. მსგავსი მიდგომა გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის პრობლემას უფრო მწვავედ წარმოაჩენს ისეთ საქმეებში, სადაც პირი მსჯავრდებულია ნაკლებად მძიმე, არაძალადობრივი ხასიათის დანაშაულისთვის, ასევე, სასჯელის მოხდის განმავლობაში იგი ხასიათდება დადებითად. აღსანიშნავია, რომ მ.გ. მსჯავრდებულია სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც გამოიხატა ყალბი სასაქონლო ზედნადებების დამზადება-გამოყენებაში. ამის მიუხედავად, საბჭო საკმაოდ მძიმედ აფასებს დანაშაულის ხასიათს და ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად გამოყოფს უარყოფითი გადაწყვეტილების მისაღებად;[796]
- ადგილობრივი საბჭოები, ხშირად განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იღებენ იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში, რითაც არათანმიმდევრულ მიდგომას ავლენენ. ამ მხრივ, აღსანიშნია, რომ მ.გ.-ის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი საბჭომ განიხილა 2023 წლის 27 დეკემბერს, ხოლო სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე საკითხი საბჭომ 2024 წლის 12

[794] სხდომა ჩატარდა 2024 წლის 12 თებერვლს.
[795] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება.
[796] იქვე.

თებერვალს განიხილა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე შეეხება ერთი და იმავე მსჯავრდებულს, ორივე საკითხი დროის მჭიდრო პერიოდშია განხილული და რაიმე არსებითი გარემოება ამ ორი თვის განმავლობაში არ შეცვლილა, საბჭოს მოტივაცია და არგუმენტები უარყოფითი გადაწყვეტილების მისაღებად, განსხვავებულია.[797]

მაგალითად, დეკემბრის გადაწყვეტილებაში საბჭო მხოლოდ აღწერს მ.გ.-ის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას, შეფასების გარეშე, მაშინ როდესაც თებერვლის გადაწყვეტილებაში, მას ერთ-ერთ დასაყრდნობ არგუმენტად იყენებს. ამასთან, დეკემბრის გადაწყვეტილებაში საბჭო საკმაოდ ვრცელ მსჯელობას ავითარებს ოჯახურ პირობებთან დაკავშირებით, ჩამოთვლის არაერთ კრიტერიუმს, რომელთან დაკავშირებითაც მიუთითებს, რომ პასუხები ვერ მიიღო და ამიტომ, აფასებს უარყოფითად. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ თებერვალში გამართულ სხდომაზე ოჯახურ პირობებთან დაკავშირებით საბჭო მხოლოდ იმ ინფორმაციის მოპოვებას დასჯერდა, რომ მსჯავრდებულს ჩამოეთვალა ოჯახის წევრები, საკითხით ის სიღრმისეულად არ დაინტერესებულა, შედეგად, არც უარყოფითი გადაწყვეტილების არგუმენტებში არ აისახა მეორე ჯერზე ოჯახური პირობები.

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია უკავშირდება მსჯავრდებულის ინდივიდუალური დაგეგეგმვის პროცესში ჩართულობას, რაც მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ხდება. ამ დროს სპეციალისტების მიერ ფასდება მისი რისკები და საჭიროებები და შეფასებაზე დაყრდნობით ხორციელდება მისთვის სოციალური აქტივობების შეთავაზება, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება პიროვნული და ტექნიკური უნარების გაძლიერებაზე. საბოლოოდ კი, მას გავლენა აქვს რისკ-ფაქტორების განეიტრალებისა და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის პროცესის წარმატებით მიმდინარეობაზე. მ.გ.-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში საბჭო საკმაოდ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მის სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის საკითხს.

  საბჭოს მიერ შემოთავაზებული მსჯელობით, ფორმირება იმგვარად ხდება, რომ მსჯავრდებული თავად უნდა იყოს მოწოდებული, პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული სოციალური აქტივობების შესახებ მოიძიოს ინფორმაცია, შემდგომ ეტაპზე კი მოითხოვოს მასში ჩართვა. ამდენად, პასუხისმგებლობა პასიურობასთან მიმართებით მთლიანად გადატანილია მსჯავრდებულზე. თუმცა, საბჭოს არ ჰქონია მცდელობა, ან პენიტენციური დაწესებულებიდან, ან თავად მსჯავრდებულისგან მოეპოვებინა ინფორმაცია იმის შესახებ, თავად დაწესებულების მხრიდან თუ იყო რომელიმე სოციალურ აქტივობაში ჩართვასთან დაკავშირებით შეთავაზება გაკეთებული.

[797] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სახალხო დამცველი აპარატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან მ.გ.-ის დანაშაულის ხასიათი არ არის ძალადობრივი, ასევე არ არის მაღალი მნიშვნელობის ზიანის მატარებელი, მისთვის არ მოხდა შემთხვევის მართვის შეთავაზება.[798] აპარატმა სცადა პენიტენციური სამსახურისგან გამოეთხოვა ინფორმაცია ზოგადი პრაქტიკის შესახებ,თუ როგორ ხდება მსგავსი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების პროგრამებში ჩართვა,[799] თუმცა, სამწუხაროდ, უწყებამ კონკრეტული პასუხი აპარატს დასახელებულ საკითხზე ვერ გასცა.[800]

ამდენად, საბჭო არასრულად სწავლობს დასახელებულ კომპონენტს, ინტერესდება მხოლოდ მსჯავრდებულის აქტიურ როლზე, თუმცა უგულებელყოფს თავად პენიტენციური დაწესებულების მოვალეობას, ინფორმირებული ჰყავდეს მსჯავრდებულები დაგეგმილ/მიმდინარე სოციალურ აქტივობებთან დაკავშირებით.

- **მსჯავრდებულ გ. ა.-ს საქმე**

სახალხო დამცველის აპარატს მიმართა N12 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა, გ. ა.-მა, რომელიც მიუთითებდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დაუსაბუთებლად ეთქვა უარი დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლაზე. მომართვის დროისთვის, მსჯავრდებულს გადაწყვეტილება სასამართლოში ჰქონდა გასაჩივრებული.

ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 30 დეკემბრის განაჩენით, გ ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 03 წლის ვადით. სასჯელის მოხდის თარიღია 2025 წლის 3 აპრილი;
- მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრა საშიშროების საშუალო რისკი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2023 წლის 10 თებერვლის №2438 ბრძანებით, სასჯელის მოსახდელად განესაზღვრა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- მსჯავრდებული გ. ა. №12 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ დისციპლინური წესით დასჯილი არ ყოფილა; №12 პენიტენციური დაწესებულების

[798] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2024 წლის 27 თებერვლის N 57012/01 წერილი.
[799] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 6 მარტის N15-10/2360 წერილი.
[800] სპეციალური პენიტენციური სამსახურის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2024 წლის 18 მარტის N78886/01 წერილი.

დირექტორის 2023 წლის 26 ივნისის №338 ბრძანებით მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემანი; ასევე, №12 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს №459 ბრძანებით მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

- მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა;
- გათავისუფლების შემდეგ, იცხოვრებს მითითებულ მისამართზე; განათლება - საშუალო; ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი; მსჯავრდებული სარგებლობს პაემნის უფლებით და აქვს სატელეფონო კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან; ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არის საშუალო; აქვს გამოცდილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და შსს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმში. მსჯავრდებული გათავისუფლების შემდეგ აპირებს დასაქმებას. პირველ ეტაპზე, მოიაზრებს ტაქსიზე მუშაობას, აქვს ლიცენზია.
- მსჯავრდებული სარგებლობს ბიბლიოთეკით და დადის ეკლესიაში; გაიარა ტრენინგი: „პენიტენციური სტრესი"; ორჯერ მიიღო მონაწილეობა სპორტულ მარათონში, შაშის და მაგიდის ჩოგბურთის თამაშში; დარეგისტრირებულია მაღაზია „რემარკეტში", სადაც განათავსა საკუთარი ხელნაკეთი ნამუშევრები; დაესწრო კულტურულ ღონისძიებას და სისტემატიურად დაკავებულია სპორტული აქტივობით და ჩართულია მაგიდის ტენისის კურსში;
- ფსიქოლოგის შეფასებით, მსჯავრდებულს არ უჭირს ემოციების მართვა; საუბრობს სამომავლო გეგმებზე; დაწესებულებაში ცდილობს დროის რაციონალურად გამოყენებას; ავლენს ჯანსაღი ინტერპერსონალური ურთიერთობის უნარს; ინტერვიურების პროცესში განსაკუთრებული რისკ-ფაქტორის გარეშეა;
- მსჯავრდებული აღიარებს ბრალს და ინანიებს დანაშაულს.

ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, საბჭომ, უარყოფითად შეაფასა მსჯავრდებულ გ. ა.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და მისი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ; აღნიშნა, რომ არ იკვეთება ოჯახის სოციალური გარემოს მზაობა მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ; უარყოფითად შეაფასა ასევე ის გარემოება, რომ გ. ა. ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობას არ იღებს.

გადაწყვეტილების შესწავლისა და ანალიზის შედეგად კი გამოიკვეთა, რომ საბჭომ, საკითხის განხილვისას, **საბჭომ არასწორად შეაფასა ბრალის არ აღიარების საკითხი, არასწორად მიუთითა პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დახასიათებაში, სოციალური გარემოსა და მსჯავრდებულის ოჯახში დაბრუნებასთან მიმართებაში მზაობის თაობაზე ინფორმაციის არასაკმარისობაზე და სოციალური მუშაკის დასკვნის არ არსებობაზე.** ასევე, რესოციალიზაციის კომპონენტზე მსჯელობისას, **საბჭომ სრულყოფილად არ გამოიკვლია მსჯავრდებულის საქმე, რა შემთხვევაშიც აღქმადი იქნებოდა მსჯავრდებულის აშკარა სურვილი და სწრაფვა რესოციალიზაციისკენ. გადაწყვეტილებაში მითითებულია არასრულფასოვანი ინფორმაცია მსჯავრდებულის მიერ ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის მზაობის თაობაზე.** ქვემოთ მიმოვიხილავთ და გავაანალიზებთ საბჭოს მიერ უარყოფითად შეფასებულ თითოეულ კრიტერიუმს:

ბრალის აღიარების საკითხი

თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2022 წლის 30 დეკემბრის, განაჩენის თანახმად, ბრალდებულთა საბოლოო სიტყვაში გ. ა.-მა უარყო ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა, თუმცა, №12 პენიტენციური დაწესებულების მიერ გაცემულ, 2023 წლის 4 ოქტომბრის დახასიათებაში, მითითებულია, რომ მსჯავრდებული აღიარებს ბრალს და ინანიებს მომხდარს.

ბრალის არ აღიარების საკითხზე მსჯელობის დროს კი, საბჭომ მხედველობაში მიიღო მხოლოდ სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვის დროს გ. ა.-ს მიერ დაფიქსირებული პოზიცია და არ გაითვალისწინა №12 პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დახასიათება, რომლის თანახმად, მსჯავრდებულის შემდგომი პოზიცია დანაშაულთან დამოკიდებულებასთან მიმართებაში, განსხვავდება მისი თავდაპირველი პოზიციისგან. უფრო მეტიც, დახასიათების მიხედვით, გ. ა., გარდა იმისა, რომ აღიარებს ბრალს, ინანიებს დანაშაულს. ამდენად, საბჭოს უნდა ემსჯელა ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით მსჯავრდებულის პოზიციის ცვლილებასთან დაკავშირებით და ჯეროვნად შეეფასებინა აღნიშნული საკითხი, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საბჭომ, უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის მხოლოდ მისი თავდაპირველი პოზიცია გაითვალისწინა. შესაბამისად, საბჭომ, ხსენებული კრიტერიუმი სათანადო გამოკვლევის გარეშე შეაფასა.

ინფორმაცია ოჯახისა და სოციალური გარემოს შესახებ, სოციალური მუშაკის დასკვნა

საბჭო გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ წარმოდგენილი დახასიათების[801] მიხედვით, (1) მსჯავრდებულის გადმოცემიდან გამომდინარე, **არ იკვეთება ოჯახის სოციალური მზაობა მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ** და (2) **გ. ა.-ს დახასიათებას არ ახლავს მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელი ინფორმაცია, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სოციალური მუშაკის დასკვნა.**

თუმცა, ამავე დახასიათების მიხედვით,[802] საპირისპირო იკვეთება, კერძოდ: გ. ა. კანონით მინიჭებულ პაემნის და სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობის მეშვეობით ურთიერთობს ოჯახის წევრებთან. ასევე, ორჯერ, წახალისებით მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემანი,[803] რაც მიუთითებს მსჯავრდებულისა და ოჯახის წევრების მხრიდან მჭიდრო კავშირის შემხვედრ სურვილზე.

ამდენად, გაუგებარია, თუ რამ გამოიწვია კითხვები მსჯავრდებულის მიმართ ოჯახის მხრიდან ემოციურ კავშირსა და მისი ოჯახში დაბრუნების მზაობასთან მიმართებაში.

რაც შეეხება მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელ ინფორმაციას და სოციალური მუშაკის დასკვნას,

[801] N12 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული 2023 წლის 4 ოქტომბრის დახასიათება.
[802] იქვე
[803] №12 პენიტენციური დაწესებულების მიერ გაცემული, 2023 წლის 4 ოქტომბრის დახასიათება.

გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ **„წარმოდგენილ დახასიათებას თან არ ერთვის მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელი ინფორმაცია, რომელსაც უნდა ერთვოდეს სოციალური მუშაკის შესაბამისი დასკვნა."** ამდენად, ციტირებული წინადადება ფორმულირებულია იმგვარად, რომ თითქოს, კონკრეტულ უწყებას ევალებოდა საბჭოსთვის მითითებული დასკვნის მიწოდება, რაც არ შესრულდა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, აპარატი იზიარებს საბჭოს სურვილს, რომ საკითხის განხილვის დროს ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია მსჯავრდებულის გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა, ამ შემთხვევაში, ბუნდოვანია ხსენებული ინფორმაციის არ არსებობის, როგორც საკითხის დადებითად გადაწყვეტის დამაბრკოლებელ გარემოებაზე მითითება, იმის გათვალისწინებით, რომ არსებული სამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში, ხსენებული ინფორმაციისა და სოციალური მუშაკის დასკვნის წარდგენის ვალდებულება არ არსებობს. შესაბამისად, ხსენებული გარემოების მსჯავრდებულის მოთხოვნაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად გამოყენება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა სოციალური მუშაკის ვრცელი დასკვნა მსჯავრდებულის ოჯახის სოციალური გარემოს შესახებ მზადდება მხოლოდ N5, N16 და N11 დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის.

შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებაში, მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელ ინფორმაციასა და სოციალური მუშაკის დასკვნის არ არსებობის თაობაზე მითითება, როგორც დადებითი შედეგის დამაბრკოლებელ ერთ-ერთ გარემოებაზე, არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან, **ვინაიდან, ხსენებული წესი არ ვრცელდება №12 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებზე, სადაც ამჟამად იხდის სასჯელს გ. ა.**

ამდენად, მართებული იქნებოდა, რომ საბჭოს სწორედ აღნიშნულზე გაემახვილებინა ყურადღება და სათანადოდ შეეფასებინა საკითხი. ამგვარი მსჯელობის გარეშე საკითხის უარყოფით კონტექსტში დასაბუთება კი, მსჯავრდებულისთვის, რომლისგან დამოუკიდებელი მიზეზითაც არ ფლობს საბჭო სოციალური მუშაკის დასკვნას მისი ოჯახის სოციალური გარემოს მზაობის შესახებ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს გაუგებარს და ბუნდოვანს ხდის.

ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამის საკითხი

საბჭო თავისი გადაწყვეტილების მართებულობას, ასევე ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ **მსჯავრდებული მონაწილეობას არ იღებს ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამაში**.[804]

[804] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 09 ნოემბრის N02/23/შ/3-0649 გადაწყვეტილება.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად:[805] პენიტენციურ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო მომსახურებების/აქტივობების მსჯავრდებულებისთვის მიწოდება ორი ძირითადი მიდგომით ხდება[806]:

- რისკსა და საჭიროებაზე ორიენტირებული მოდელი: მსჯავრდებული ფასდება ბიო-ფსიქოსოციალური მოდელით (სპეციალიზირებული კითხვარი). გამოკვეთილი რისკისა და საჭიროებების მიხედვით ხდება ინდივიდუალური გეგმის გაწერა და მსჯავრდებულის სხვადასხვა სერვისებში მიზნობრივი ჩართულობა;
- მოთხოვნასა და საჭიროებაზე ორიენტირებული მოდელი: მსჯავრდებულები ინფორმირებულები არიან დაგეგმილი აქტივობების შესახებ. მათი ინფორმირება ხდება სეგმენტურად დაწესებულების რეჟიმის, ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით. მოთხოვნის შემთხვევაში ხდება მსჯავრდებულების ჩართვა სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებსა და აქტივობებში.

პენიტენციურ სისტემაში არსებობს შემდეგი სარეაბილიტაციო მიმართულებები[807]:

- ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამები;
- შრომა/დასაქმების პროგრამები;
- დამხმარე პროგრამები, პრო-სოციალური აქტივობა.

მსჯავრდებულმა გ. ა.-მა, სასჯელის მოხდის პერიოდში, სპეციალისტების რეკომენდაციით გაიარა:[808]

- ფსიქო-სარეაბილიტაციო ტრენინგი „პენიტენციური სტრესი".
- ორჯერ მიიღო მონაწილეობა სპორტულ მარათონში შაშის და მაგიდის ჩოგბურთის თამაშში;
- დარეგისტრირებულია მაღაზია „რემარკეტში", სადაც განათავსა საკუთარი ხელნაკეთი ნამუშევრები;
- დაესწრო კულტურულ ღონისძიებას, სისტემატიურად დაკავებულია სპორტული აქტივობით და ჩართულია მაგიდის ტენისის კურსში. სარგებლობს საბიბლიოთეკო მომსახურებით და დადის ტაძარში.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, **მსჯავრდებულ გ. ა.-ს, ფსიქოლოგის რეკომენდაციით, შეეთავაზა ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამებიდან ჩართვა ფსიქო-სარეაბილიტაციო**

[805] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2023 წლის 28 დეკემბრის №363898/01 წერილი.
[806] იქვე.
[807] იქვე.
[808] სპეციალურ პენიტენციური სამსახურის,მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2023 წლის 28 დეკემბრის №363898/01 წერილი.

პროგრამაში - „ნაბიჯი ცვლილებებისკენ", რაზეც მსჯავრდებულს უარი არ განუცხადებია და გამოხატა პროგრამის გავლის მზაობა.[809]

N12 პენიტენციურ დაწესებულებაში შემთხვევის მართვის პროცესი ხორციელდება 2023 წლის აპრილის თვიდან, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ხდება მსჯავრდებულის შეფასება და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, გამოვლენილ საჭიროებებზე მორგებული ექვსთვიანი სამოქმედო გეგმის გაწერა. მსჯავრდებულთა ჩართვა ამ პროცეში მიმდინარეობს ეტაპობრივად.[810]

შესაბამისად, **საბჭომ სათანადოდ არ გამოიკვლია მსჯავრდებულის სარეაბილიტაციო პროგრამების, მათ შორის, ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამის გავლის საკითხი და გადაწყვეტილებაში ინფორმაცია წარმოადგინა იმგვარად, თითქოს მსჯავრდებულს არ გააჩნია ხსენებულ პროგრამაში მონაწილეობის მზაობა, მაშინ, როდესაც, საკითხის შესწავლის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ადასტურებს, როგორც საკუთარი ინიციატივით მსჯავრდებულის სხვადასხვა პროგრამის გავლას, ასევე, მზაობას ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამის გავლასთან დაკავშირებით.**

აქვე აპარატი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საბჭოსთვის მნიშვნელოვანი გარემოებაა, აქვს თუ არა მსჯავრდებულს გავლილი ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამები და უარყოფით შემთხვევაში, ლოგიკურია, რომ საბჭო მოცემულ კრიტერიუმს შესრულებულად ვერ გამოყოფს მანამ, სანამ აღნიშნული პროცესი არ დასრულდება და მსჯავრდებული ფაქტობრივად არ გაივლის პროგრამებს. თუმცა, ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს ჯერ არ გაუვლია ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით და პირიქით, იგი საამისო მზაობას გამოხატავს, საკითხის შეფასების პროცესში, წარმოჩენილი არ უნდა იყოს იმგვარად, რომ თითქოს, მსჯავრდებულს პროგრამაში ჩართვისა და შესაბამისად, რესოციალიზაციისკენ სწრაფვის სურვილი არ გააჩნია.[811]

ამდენად, საბჭოს მიერ აღნიშნული კრიტერიუმის შეფასება და გაკეთებული დასკვნა ეწინააღმდეგება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. გადაწყვეტილებაში ამგვარმა ჩანაწერმა შეიძლება მსჯავრდებულის დემოტივაცია და უსამართლობის განცდა გამოიწვიოს.

---

[809] იქვე.

[810] იქვე.

[811] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, მსჯავრდებულთა სოციალურ აქტივობებში ჩართულობის მზაობის საკითხთან მიმართებით, ადგილობრივ საბჭოებს, ხშირად ზედაპირული და შაბლონური მიდგომა აქვთ და არ ხდება ამ კრიტერიუმის შეფასების პროცესში საკითხის სიღრმისეული კვლევა და დადგენა იმისა, ჰქონდათ თუ არა მსჯავრდებულებს კონკრეტულ დაწესებულებაში და დროის კონკრეტულ პერიოდში ჩართული ყოფილიყვნენ ამგვარ აქტივობებში მაშინ, როდესაც, პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქო-სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და კულტურულ-სპორტული ღონისძიებები მწირი რაოდენობით ტარდება და ფრაგმენტული ხასიათი აქვს, ასევე აქტივობები არ არის მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული. მაგ.: იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, გვ. 64-66. ხელმისაწვდომია: < https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >, [ბოლოს ნანახია: 20.02.2024].

იმისთვის, რომ ჩაითვალოს, რომ საბჭომ საკითხი სრულფასოვნად გამოიკვლია, მნიშვნელოვანია, ამ გარემოების ირგვლივ გადაწყვეტილებაში ყოველმხრივი ინფორმაცია წარმოადგინოს, რათა მსჯავრდებულსაც დარჩეს შეგრძნება, რომ საბჭო ითვალისწინებს და დადებითად აფასებს პატიმრის მზაობას პროგრამების გავლის მიმართულებით.

ვინაიდან, გ. ა.-ს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში აქვს გასაჩივრებული, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა სასამართლოს.[812] აპარატი თვალს მიადევნებს, თუ რა სამართლებრივ შეფასებას გააკეთებს სასამართლო დოკუმენტში მითითებულ თითოეულ საკითხზე.

10.2.2. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების პირობით ვადამდე გათავისუფლების ან/და სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის საკითხის განხილვის პროცედურებში. 2021 წლის 9 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცდა „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა", რომლის ხანგრძლივობა არის 2 წელი და სავალდებულოა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისთვის, რომელსაც სურს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ან დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა.

ვინაიდან პროგრამა 2 წლიანია და დამტკიცებულ იქნა 2021 წლის 9 თებერვალს, მხოლოდ 2023 წელს დაასრულებდა პროგრამას ამოქმედების შემდეგ მასში ჩართული მსჯავრდებული. შესაბამისად, საერთო სასამართლოები მხოლოდ 2023 წლიდან იყვნენ უფლებამოსილი, განეხილათ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობები.[813]

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას სასამართლოს მიერ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და წარმატებით გაიარა იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების

[812] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის 2024 წლის 1 მარტის N15/2186 მოსაზრება.
[813] 2021 წლის 11 იანვრის საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" (N90-IIრს-Xმპ), რომლითაც უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად სავალდებულო გახდა „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლების მომზადების პროგრამის" წარმატებით გავლა, ძალაში შევიდა 2021 წლის 11 იანვარს.

პროგრამა.[814] პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში სასამართლო გამოსაცდელ ვადას ადგენს არანაკლებ ორი და არაუმეტეს შვიდი წლისა.[815]

იმ შემთხვევაში, თუ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა პირმა ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 15 წელი და წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა, სასამართლო უფლებამოსილია უვადო თავისუფლების აღკვეთით დანიშნული სასჯელი შეუცვალოს შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს ათი წლის ვადით.[816]

გადაწყვეტილების მიღებისას, გარდა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებისა (დადგენილი ვადის თავისუფლების აღკვეთის ფაქტობრივად მოხდა და უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის წარმატებით გავლა) სასამართლომ ასევე უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კიდევ რამდენიმე გარემოების, მათ შორის, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის, დანაშაულის ხასიათის, სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.[817]

პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება შესაძლებელია მხარეების მიერ 10 დღის ვადაში გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.[818]

„უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“ დამტკიცებულ იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2021 წლის 9 თებერვლის N682 ბრძანებით.

პროგრამის მიზანია უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლების, აგრეთვე უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლისთვის, შემთხვევის მართვის ფარგლებში, მსჯავრდებულთა ჩართულობა ისეთ ღონისძიებებში (ინტერვენციებში), რომლებიც ხელს შეუწყობს მათ რეაბილიტაციას და

[814] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72[1], ნაწ. 1; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285[1], ნაწ. 3
[815] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 64, ნაწ. 2; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285[1], ნაწ. 4.
[816] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 73, ნაწ. 7; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285[1], ნაწ. 1, 2.
[817] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285[1,] ნაწ. 5.
[818] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 291, ნაწ. 1.

რესოციალიზაცია-რეინტეგრაციისთვის მზადებას.[819] პროგრამას ახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახური, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან კოორდინაციით.[820] პროგრამაში ჩართვა შეუძლია უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა 12 წელი.[821] პროგრამა ხორციელდება სახელმწიფო (ქართულ) ენაზე, თუმცა ის მსჯავრდებულები, რომლებმაც არ იციან სახელმწიფო ენა (ქართული), პროგრამაში დაწყებისთანავე ერთვებიან ქართული ენის შემსწავლელ კურსებში.[822]

პროგრამა არის 2 წლიანი და შედგება 8 ეტაპისგან. საჭიროების შემთხვევაში პროგრამა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 წლის ვადით. პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მსჯავრდებულს, თუ ვერ გაივლის რომელიმე ეტაპს, გაიაროს ხელმეორედ შესაბამისი ეტაპი.[823]

პროგრამის ყველა ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, დგება გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიში, რაც ინახება მსჯავრდებულის პირად საქმეში და, სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში ეგზავნება სასამართლოს.[824] სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გუნდის მიერ ხდება მსჯავრდებულის გადაფასება და მის საჭიროებებზე მორგებული განახლებული 6 თვიანი ინდივიდუალური პროგრამის შედგენა.[825]

პროგრამა, რომელიც წარმოადგენს სავალდებულო ეტაპს, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა პირებმა დაასრულეს საანგარიშო პერიოდში, 2023 წელს. პროგრამის გავლის შემდეგ კი, საანგარიშო პერიოდში, საერთო სასამართლოები უფლებამოსილი იყვნენ განეხილათ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების პირობით ვადამდე გათავისუფლების ან/და სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობები.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციით, 2023 წლის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 81 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირი (2 ქალი და 79 მამაკაცი. აქედან, სამ მამაკაცს განსაზღვრული აქვს გათავისუფლების თარიღი). იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა გავლილი აქვს 33 მსჯავრდებულს, ხოლო პროგრამაში ჩართული იყო 50

[819] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის N682 ბრძანებით დამტკიცებული „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“, მუხ. 2.
[820] იქვე. მუხ. 6, პუნქტ. 1.
[821] იქვე, მუხ.4.
[822] იქვე, მუხ. 5.
[823] იქვე, მუხ. 7.
[824] იქვე, მუხ. 7, პუნქტ. 6.
[825] იქვე, მუხ. 7, პუნქტ. 7.

მსჯავრდებული. ამასთან, პროგრამაში ჩართვისთვის სავალდებულო 12 წელი მოხდილი აქვს სულ 52 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირს.[826] პროგრამაგავლილი 33 მსჯავრდებულიდან კანონმდებლობით სასჯელის შეცვლის/გათავისუფლებისთვის სავალდებულოდ დადგენილი თავისუფლების აღკვეთის 15 წელი ფაქტობრივად მოხდილი აქვს 25 მსჯავრდებულს, ხოლო 20 წელი - 8 მსჯავრდებულს.[827]

პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა მხოლოდ **19 მსჯავრდებულმა. სასამართლოს მიერ არც ერთი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.**[828] აქედან, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმის მასალების თანახმად, 11 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული ითხოვდა სასჯელის შეცვლას, 6 - პირობით ვადამდე გათავისუფლებას, 2 მსჯავრდებულს მოთხოვნა დაყენებული ჰქონდა ალტერნატიულად (სასჯელისგან მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის შინაპატიმრობით/საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლა).



სახალხო დამცველის აპარატმა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და ბათუმის საქალაქო სასამართლოებიდან გამოითხოვა 2023 წლის განმავლობაში მათ მიერ განხილული შესაბამისი შუამდგომლობების სტატისტიკური მონაცემები.

[826] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 3 იანვრის N1213/01 და 2024 წლის 18 იანვრის N15180/01 წერილები (ამასთან, პროგრამადასრულებულ მსჯავრდებულთა რიცხობრივ მონაცემებში სპეციალური პენიტენციური სამსახურის ზემოაღნიშნულ წერილებში არის ცდომილება 1 ერთეულით).
[827] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 3 იანვრის N1213/01 წერილი.
[828] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 3 იანვრის N1213/01 წერილი.

საერთო სასამართლოების მიერ აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შევიდა 21[829] ასეთი შუამდგომლობა, რომელთაგან 17 შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ, 3 დარჩა განუხილველი, ხოლო ერთი გაიხმო მხარემ.[830]

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართა 1-მა მსჯავრდებულმა პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით, თუმცა შუამდგომლობა გაიხმო მსჯავრდებულის ადვოკატმა, რის გამოც დარჩა განუხილველი.[831]

რუსთავის საქალაქო სასამართლოში შევიდა სასჯელის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოხდისგან გათავისუფლების შესახებ 2 შუამდგომლობა, რომელთაგან არც ერთი არ დაკმაყოფილდა.[832] რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარმოდგენილი განჩინებების თანახმად, ერთ-ერთი შუამდგომლობის წარმდგენ მსჯავრდებულს არ ჰქონდა გავლილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლების მომზადების პროგრამა" და შესაბამისად, ვინაიდან არ ჰქონდა დაკმაყოფილებული კანონით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნები (სასამართლომ ასევე იმსჯელა სხვა გარემოებებზეც), უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე განხილული შუამდგომლობების შესახებ სასამართლო არ აწარმოებს შესაბამის სტატისტიკას. ამასთან, საანგარიშო პერიოდში ასეთი შუამდგომლობის განხილვის შესახებ ინფორმაცია სასამართლოს მიერ მოძიებულ ვერ იქნა და შესაბამისად, ვერ მიეწოდა სახალხო დამცველის აპარატს.[833]

თბილისის საქალაქო სასამართლოსა[834] და რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებების თანახმად, სასამართლო შუამდგომლობის განხილვის დროს მხედველობაში იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა გარემოებებს, კერძოდ, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშს, მომავალში დანაშაულის შესაძლო ჩადენის რისკის შეფასებას, დანაშაულის ხასიათს, მოტივს, ჩადენის ხერხს, გარემოებებსა და დაზარალებულის პიროვნებას, ჩადენილ დანაშაულთან მსჯავრდებულის დამოკიდებულებას, სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ნასამართლობას, ოჯახურ პირობებს, მსჯავრდებულის პიროვნებას და

[829] თბილისის საქალაქო სასამართლოს ორმა მსჯავრდებულმა ორ-ორჯერ მიმართა.
[830] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 11 იანვრის N51685 წერილი.
[831] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 12 იანვრის N1951 წერილი.
[832] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 29 დეკემბრის N2020/გ წერილი.
[833] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 9 იანვრის N22გ/კ წერილი.
[834] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი თბილისის საქალაქო სასამართლოში გაეცნო წარმოდგენილ 18 საქმის მასალას.

ოჯახის დამოკიდებულებას მსჯავრდებულთან, დაზარალებულის პოზიციას მსჯავრდებულის მიმართ შესაბამისი საშეღავათო ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის მიერ კონკრეტული მსჯავრდებულის შეწყალებისა და გათავისუფლების ვადის დადგენას, მსჯავრდებულის მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდს.[835]

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოები, როგორც წესი, ცდილობენ დაასაბუთონ გადაწყვეტილებები და ავრცობენ მათ მსჯელობას სხვადასხვა გარემოებებსა და კრიტერიუმებზე მითითებით. ცხადია, აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაც კია. თუმცა, სამწუხაროდ, გადაწყვეტილებები არ შეიცვას საკმარის დასაბუთებას და მკაფიობას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხედავენ სასამართლოები მსჯავრდებულის გათავისუფლების რეალურ პერსპექტივას. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებებში ყურადღება არ ეთმობა დისციპლინური გადაცდომები თუ სასჯელის მოხდისას ჩადენილი ახალი დანაშაული რა ხანდაზმულობისაა და კონკრეტული კანონდარღვევის შემდეგ რამდენმა წელმა გაიარა, შეიცვალა თუ არა მსჯავრდებულის ქცევა რადიკალურად დადებითისკენ და როგორია დინამიკა. ამავდროულად, გადაწყვეტილებებში არ არის საკმარისი აქცენტები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩადენილი დანაშაული, რისთვისაც განსაზღვრულია უვადო თავისუფლების აღკვეთა, არ გამორიცხავს, მისი ჩადენის ხერხის ხასიათის მიუხედავად, პირის გათავისუფლების რეალურ პერსპექტივებს. **სასამართლო გადაწყვეტილება პირს უნდა უტოვებდეს იმის განცდას, რომ მის მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მიუხედავად, მისმა დადებითმა ქცევამ (მათ შორის, მოსამზადებელი პროგრამის წარმატებით გავლამ) შესაძლოა შეცვალოს მისთვის განსაზღვრული უვადო თავისუფლების აღკვეთა. ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე, ბუნებრივია ყოველთვის იარსებებს, თუმცა, მექანიზმის არსებობა თავის თავში გულისხმობს იმას, რომ მიუხედავად ყველაფრისა, პატიმარს უნდა ჰქონდეს რესოციალიზაციის მოტივაცია, სწრაფვა და აქტიური მცდელობა, რამაც საბოლოოდ უნდა გამოიღოს მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შეცვლის შედეგი.**

ამავდროულად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია სასამართლოსთვის ობიექტურად არ იყოს საკმარისი სასჯელის მოხდილი წლები და პროგრამის წარმატებით დასრულებისთანავე ვერ მიიღოს პატიმრის გათავისუფლების გადაწყვეტილება, რადგან შესაძლოა აუცილებლად მიაჩნდეს პატიმრის ქცევაზე სამომავლო დაკვირვებაც (ხომ არ შეიცვლება ქცევა პროგრამის დასრულების შემდეგ და რამდენად მდგრადი იქნება შედეგები), თუმცა, მიზანშეწონილია სასამართლო გადაწყვეტილებაში ამაზეც მკაფიო ჩანაწერები არსებობდეს, რომელიც მსჯავრდებულს დაანახებს სასამართლოს რეალურ არგუმენტაციას და გათავისუფლების სამომავლო რეალურ პერსპექტივებს.

საქმეების შესწავლის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ **საერთო სასამართლოებს არ აქვთ ერთიანი პრაქტიკა, განაჩენთა ერთობლიობის დროს, უვადო თავისუფლების აღკვეთით**

[835] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285[1], ნაწ. 1, 5.

მსჯავრდებულ პირს, საშეღავათო მექანიზმის გამოყენების მიზნებისთვის, რომელი თარიღიდან უნდა დაეწყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულოდ მოსახდელი სასჯელის ვადის ათვლა. რამდენიმე შემთხვევაში პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელის სავალდებულო პერიოდის ათვლის დასაწყისად მიჩნეულ იქნა ბოლო განაჩენის გამოტანის თარიღი. სასამართლოების განმარტებით, განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაში, მსჯავრდებულის მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობის განხილვისთვის მსჯავრდებულს კანონით დადგენილი **სავალდებულო პერიოდის მოხდის ათვლა უნდა დაეწყოს ბოლო განაჩენით დადგენილი თარიღიდან და მხედველობაში არ მიიღო მის მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის ფაქტობრივად მოხდის მთლიანი პერიოდი.** ხოლო სხვა შემთხვევებში მიჩნეულ იქნა, რომ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების საკითხის განხილვისთვის მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა ჰქონდეს მოხდილი დადგენილი სავალდებულო პერიოდი და **სავალდებულო პერიოდის მოხდის ათვლის საწყის თარიღად მიიჩნია მსჯავრდებულის დაკავების თარიღი და პენიტენციურ დაწესებულებაში ერთობლიობაში სასჯელის მოხდის პერიოდი და არა ბოლო განაჩენის გამოტანის დღე,** როდესაც მსჯავრდებულს განაჩენთა ერთობლიობით დაენიშნა საბოლოო სასჯელი - უვადო თავისუფლების აღკვეთა და დაეწყო სასჯელის მოხდის ვადის ათვლა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოების მიერ საკითხის განსხვავებული შეფასების შესაძლებლობას იძლევა მოქმედი კანონმდებლობა. ერთი მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის ათვლის დასაწყისად მიიჩნევს საბოლოო სასჯელის დამდგენ - ბოლო განაჩენის გამოტანის დღეს,[836] ხოლო, მეორე მხრივ, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის საკითხის განხილვისთვის სავალდებულოდ მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში ფაქტობრივად მოხდილი ჰქონდეს შესაბამისი პერიოდი (20 ან 15 წელი) და არ ადგენს სასჯელის მოხდის ათვლის დასაწყის თარიღს.[837] ამავდროულად, კანონმდებლობა სპეციფიკურად არაფერს ამბობს ისეთი უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულების სასჯელის მოხდის ათვლის წერტილთან დაკავშირებით, რომელთაც ახალი განაჩენით დამატებითი თავისუფლების აღკვეთა აქვთ განსაზღვრული და არც იმაზე, განსხვავდება თუ არა მიდგომა იმ მსჯავრდებულებთან მიმართებით, რომელთა მიმართ დანიშნულმა უვადო თავისუფლების აღკვეთამ სრულად შთანთქა ახალი სასჯელი იმ მსჯავრდებულებისგან, რომელთა მიმართ განსაზღვრულმა უვადო თავისუფლების აღკვეთამ არ შთანთქა ახალი სასჯელი.[838]

---

[836] იქვე, მუხ. 59, ნაწ. 6.
[837] იქვე, მუხ. 72[1], ნაწ. 1.
[838] იქვე, მუხ. 59, ნაწ. 5.

სწორედ ამ ყველაფრის მხედველობაში მიღებით, სასამართლოებს განსხვავებული განმარტება და რადიკალურად განსხვავებული პრაქტიკა აქვთ.

განჩინებების შესწავლის შედეგად ასევე **გამოიკვეთა განსხვავებული მიდგომა იმ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა საკითხის შეფასებისას, რომელთაც პრეზიდენტის შეწყალების აქტით დადგენილი აქვთ გათავისუფლების თარიღი.** ერთ შემთხვევაში, მსჯავრდებულს სასამართლოს მიერ უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ მას პრეზიდენტის შეწყალების აქტით დადგენილი აქვს გათავისუფლების თარიღი და მის მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი უნდა განიხილოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისმა ადგილობრივმა საბჭომ, როგორც ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების შემთხვევაში ხდება.[839] სხვა შემთხვევაში, სასამართლომ მსგავსი მსჯავრდებული მაინც უვადო თავისუფლებააღკვეთილად განიხილა და ძირითადად იხელმძღვანელა მსჯავრდებულის მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის დაუსრულებლობასა და სხვა გარემოებებზე, ხოლო პრეზიდენტის შეწყალების აქტით მსჯავრდებულისთვის გათავისუფლების თარიღის დადგენა მხოლოდ დამატებით გარემოებად განიხილა.[840] ამრიგად, **ზოგ შემთხვევაში სასამართლო მსჯავრდებულს ისევ განიხილავს, როგორც სამართლებრივად უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირს და ფაქტობრივი მოცემულობის გამო (უვადო სასჯელი რომ თავისუფლების აღკვეთის კონკრეტული ვადით აქვს შეცვლილი), არ უცვლის საშეღავათო მექანიზმის გამოყენების პროცედურებს, სხვა შემთხვევაში კი სამართლებრივ სტატუსს სასამართლო არ აქცევს ყურადღებას, ფოკუსირდება შეცვლილ სასჯელზე (განსაზღვრულ ვადიან თავისუფლების აღკვეთაზე), გაყავს მსჯავრდებული სასამართლო მექანიზმის გავრცელების ფარგლებიდან და ამისამართებს პენიტენციური სამსახურის პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოსთან.**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირისთვის გათავისუფლების კონკრეტული თარიღის დადგენის უფლებამოსილებას ანიჭებს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების გამოყენების შემთხვევაში.[841] ამასთან, საერთო სასამართლოებს, რომლებსაც უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების საკითხის განსახილველად დამატებითი კრიტერიუმების შეფასება ევალებათ, კანონმდებლობა არ ანიჭებს ასეთი საშეღავათო მექანიზმის გამოყენების უფლებამოსილებას. გარდა ამისა, საერთო სასამართლოების მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში,

[839] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 ივლისის N567/26280 განჩინება.
[840] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N517-23 განჩინება.
[841] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 52, პუნქტ. 1, ქვეპუნქტ. „ვ“, საქარტველს პრეზიდენტის 2019 წლის N556 ბრძანებულებით დამტკიცებული „შეწყალების წესი“, მუხ.6, პუნქტ.2, ქვეპუნქტ. „ა“, „ბ“.

სახელმწიფოს მხრიდან კვლავ გრძელდება მსჯავრდებულის ქცევის მონიტორინგი და არასათანადო ქცევისა და პენიტენციური დაწესებულების დატოვების პირობების დარღვევის შემთხვევაში, რჩება შესაძლებლობა, გაუქმდეს მის მიმართ გამოყენებული საშელავათო მექანიზმი და აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი.[842]

ვინაიდან უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა მიმართ საშელავათო მექანიზმის გამოყენების საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ საერთო სასამართლოები მხედველობაში იღებენ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და ჩადენის გარემოებებს და მათ მიერ მოხდილი პერიოდი არ მიაჩნიათ საკმარისად მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დასატოვებლად სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, ამასთან უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ გათავისუფლების კონკრეტული ვადის დადგენის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს, **სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია პარლამენტმა განიხილოს მსჯავრდებულისთვის გათავისუფლების კონკრეტული ვადის დადგენის უფლებამოსილების საერთო სასამართლოებისთვის მინიჭების შესაძლებლობაც.** ამავდროულად, შესაძლებელია განხილულ იქნეს **ე. წ. დამზღვევი მექანიზმი,** რაც იგულისხმებს იმას, რომ თუ სასამართლო უვადო თავისუფლების აღკვეთას მსჯავრდებულს შეუცვლის ვადიანი თავისუფლების აღკვეთით, და მსჯავრდებული მოსახდელ ვადაში მკვეთრად გააუარესებს ქცევას, პენიტენციურ სამსახურს ჰქონდეს სასამართლოსთვის დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილება, საშელავათო მექანიზმის გაუქმებასთან დაკავშირებით. ამავდროულად, მიზანშეწონილია, კანონმდებელმა განსაზღვროს **მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი,** რომლის ფარგლებშიც იქნება სასამართლო უფლებამოსილი, მოაქციოს თავისუფლების აღკვეთის ვადა. აუცილებელია მინიმალური და მაქსიმალური ზღვრის ფარგლები იყოს გონივრული და არ იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ შეცვლილი სასჯელი პრაქტიკულად გაუთანაბრდეს უვადო თავისუფლების აღკვეთას. სამართლებრივი ლოგიკის შესაბამისი იქნებოდა ის, რომ კანონმდებელმა მაქსიმალური ზღვარი არ განსაზღვროს განაჩენთა ერთობლიობისთვის კანონმდებლობით დადგენილ ლიმიტზე (35 წელი) მეტი.

აქვე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი N8 პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვდა 16 უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს, რომელთაც გავლილი აქვთ 2 წლიანი მოსამზადებელი პროგრამა.[843] მსჯავრდებულები, გარდა ამ ქვეთავში წარმოდგენილი სხვა პრობლემური საკითხებისა, აპელირებდნენ იმაზეც, რომ სასამართლო განხილვებისას სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლები, როგორც წესი, არ აფიქსირებენ პოზიციას მათი პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხზე, მიუხედავად მოსამზადებელი პროგრამის წარმატებით გავლისა და პენიტენციური დაწესებულებისგან დადებითი დახასიათების ქონისა.

[842] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72[1], ნაწ. 2; მუხ. 72., ნაწ. 2; მუხ. 65.
[843] შეხვედრები გაიმართა 2024 წლის 7 და 14 მარტს N8 დაწესებულებაში.

პატიმრები წუხილს გამოხატავდნენ, რომ არც კანონმდებლობა განსაზღვარავს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლების ამ უფლებამოსილებას ან ვალდებულებას მკაფიოდ.[844]

სახალხო დამცველი მიესალმება უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირებისთვის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ამოქმედებას და მსჯავრდებულთა დაინტერესებას (52 მსჯავრდებულიდან, რომლებსაც მოხდილი აქვთ 12 წელი და შეეძლოთ ჩართულიყვნენ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლების პროგრამაში, ჩართული იყო 50 მსჯავრდებული). ამასთან, აღნიშნული პროგრამა სისტემურად უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის დაგეგმვას, მიღწეული შედეგის შეფასებასა და სასჯელის მიზნების მიღწევის კონტროლს, რაც ერთის მხრივ, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირს შესაძლებლობას აძლევს გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან და სასჯელის მოხდა გარკვეული ვადით გააგრძელოს გათავისუფლებულმა სათანადო ორგანოების ზედამხედველობით, მეორე მხრივ კი, ზრდის მსჯავრდებულის გათავისუფლებისა და მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკების შეფასების შესაძლებლობას. ბუნებრივია, სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს ამ პროგრამის მუშაობის ეფექტიანობის მონიტორინგს.

ამასთან, სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ საერთო სასამართლოების მიერ დამკვიდრებული იქნება ერთიანი პრაქტიკა განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაში მსჯავრდებულის მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის კანონით დადგენილი პერიოდის მოხდის დაწყების ათვლის თარიღთან დაკავშირებით იმგვარად, რომ არ გაუარესდეს უვადო მსჯავრდებულ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა; ასევე საშეღავათო მექანიზნების გამოყენების შესაძლებლობის თარიღის გამოთვლისა და წესის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით იმ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულების მიმართ, რომელთაც საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების განკარგულებით დაუდგინდათ გათავისუფლების თარიღი.

სახალხო დამცველი ასევე იმედოვნებს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ (1) განხორციელდება სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ცალსახად განსაზღვრავს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა მიერ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების საკითხის განსახილველად, მოსახდელი სავალდებულო პერიოდის ათვლის დაწყების თარიღს, განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაში; (2) საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების შესახებ განკარგულებით უვადო თავისუფლების აღკვეთით მსაჯავრდებული პირის გათავისუფლების თარიღის დადგენის შემთხვევაში, მის მიმართ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების და განხილვის ისეთ წესს, რომლითაც არ მოხდება მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესება; (3) სასამართლოს მიეცემა შესაძლებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირს დაუდგინოს გათავისუფლების

[844] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 285[1], ნაწ. 7.

კონკრეტული თარიღი, კანონით განსაზღვრულ ფარგლებსა და პირობების შესრულების შემთხვევაში.

10.3. დეესკალაციის ოთახში განთავსების პრაქტიკა

სახალხო დამცველის აპარატი, წლებია, საუბრობს პენიტენციურ დაწესებულებებში **პატიმართა დეესკალაციის ოთახებში ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსების პრაქტიკაზე.**[845]

სახალხო დამცველმა ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების მომწესრიგებელი კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.[846]

სახალხო დამცველი ასაჩივრებდა სამ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხს. კერძოდ, სახალხო დამცველს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან - ადამიანის ღირსების ხელშეუვალობასთან - მიმართებით, არაკონსტიტუციურად მიაჩნდა პენიტენციური დაწესებულებების დებულებათა გასაჩივრებული ნორმების: 1) ის ნორმატიული შინაარსი, რომლითაც პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსება შესაძლებელი იყო მხოლოდ დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით; 2) ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმად, პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსება შესაძლებელი იყო 72 საათის განმავლობაში; და ბოლოს, 3) ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმად, დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება შესაძლებელი იყო შეუზღუდავი რაოდენობით.

გასაჩივრებული ნორმების კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტამდე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დეესკალაციის ოთახში განთავსებისას მათი მდგომარეობის მართვაში პრაქტიკული ცვლილებების განხორციელების შესახებ.[847]

კერძოდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციის თანახმად, 1) დეესკალაციის ოთახში ყოფნის დროს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ უნდა ჩატარებულიყო

---

[845] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წ., გვ. 56; <https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>, [ბოლოს ნანახია: 19.01.2024]; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წ., გვ. 41-42, <https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>, [ბოლოს ნანახია: 19.01.2024]; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, გვ. 13. <https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf>, [ბოლოს ნანახია: 19.01.2024].

[846] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ივლისის N1637 კონსტიტუციური სარჩელი.

[847] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 7 აპრილის N 15-3/3549 რეკომენდაცია.

ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად; 2) იმ შემთხვევაში, თუ დეესკალაციის ოთახში ყოფნის განმავლობაში არ აღმოიფხვრებოდა პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების საფუძველი, პატიმარი დაუყოვნებლივ უნდა გადაყვანილიყო №18 სამკურნალო დაწესებულებაში ან სხვა სამოქალაქო დაწესებულებაში, ადეკვატური სამედიცინო (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრიული) დახმარების მისაღებად.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პარალელურად პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც დაზუსტდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსებასთან დაკავშირებული რეგულაციები.[848] კერძოდ, მანამდე მოქმედი რეგულაციებისგან განსხვავებით:

1) ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსება უნდა მოხდეს ყველა შემთხვევაში სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციისა და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით; 2) დეესკალაციის ოთახში გადაყვანილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობა გადაყვანიდან არაუგვიანეს 24 საათის ვადაში ფასდება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპეციალური პროგრამის ფარგლებში გადამზადებული სამედიცინო პერსონალი, აგრეთვე, დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების მოსამსახურეები. მულტიდისციპლინურ ჯგუფში შემავალი სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის საფუძველზე ამავე ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, არაუგვიანეს მომდევნო 24 საათის ვადაში, ბრალდებული/მსჯავრდებული, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით შეიძლება შეფასდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ. დაწესებულების დირექტორი მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტის რეკომენდაციის საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ დოკუმენტაციის მისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს მომდევნო 24 საათის განმავლობაში წყვეტს ბრალდებულის/მსჯავრდებულის შიდა კლასიფიკაციის საკანში/საკანში დაბრუნების საკითხს, ხოლო თუ დასკვნა/რეკომენდაცია ითვალისწინებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანას, შესაბამის გადაწყვეტილებას, დაწესებულების დირექტორის მიმართვის საფუძველზე, ამავე ვადაში იღებს სპეციალური პენიტენციური

[848] პენიტენციურ დაწესებულებებში ცვლილებები განხორციელდა 2023 წლის 27 აპრილს, რომლებიც ამოქმედდა 2023 წლის 1 სექტემბერს. 2023 წლის 1 სექტემბრამდე სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ დეესკალაციის ოთახში გადაყვანილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობის შესაფასებლად სამედიცინო პერსონალის, აგრეთვე დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების მოსამსახურეების სპეციალური პროგრამის ფარგლებში გადამზადება.

სამსახურის გენერალური დირექტორი; 3) თუ მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნა ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტის/სპეციალისტების რეკომენდაცია ითვალისწინებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ფსიქიატრიული კომისიისთვის მიმართვას, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული იმ მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობის შესასწავლად, რომლის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, დაწესებულების დირექტორი მიმართავს კომისიას. მსჯავრდებულისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით; 4) საფრთხის აღმოფხვრისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დეესკალაციის ოთახის დატოვება ხდება დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, მათ შორის, მულტიდისციპლინური ჯგუფისა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობის შეფასების პროცესში; 5) ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 30 კალენდარულ დღეს (გამონაკლისია N3 და N6 განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები, სადაც, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების რაოდენობა კვლავ არ არის შეზღუდული).

სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელებულ პოზიტიურ ცვლილებებს, რომლის შედეგად, დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსებისას სამედიცინო პერსონალის რეკომენდაცია სავალდებულო გახდა. ხოლო, შემდგომში, მისი მდგომარეობის მართვისა და შეფასების პროცესში აქტიურ როლს შეასრულებს მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც, მათ შორის, იქნებიან სპეციალური პროგრამით გადამზადებული სამედიცინო პერსონალი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროცესში ერთვება შესაბამისი დარგის სპეციალისტი და შეფასების შედეგების საფუძველზე, შესაძლებელი ხდება პირის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა.

თუმცა, სახალხო დამცველის შეფასებით, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შესული ცვლილებების მიუხედავად, არსებული **კანონმდებლობა კვლავაც იძლევა დეესკალაციის ოთახში მოთავსებული პირის, ერთი მხრივ, 72 საათით და მეორე მხრივ, მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსების შეუზღუდავი რაოდენობით გამოყენების შესაძლებლობას.** სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოება ხსენებულ ორ საკითხთან დაკავშირებით კვლავაც უნდა გაგრძელდეს, რის თაობაზეც, აპარატმა საკუთარი მოსაზრებები საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე წარუდგინა.[849]

[849] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 7 თებერვლის შუამდგომლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შესული ცვლილებებით, დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსებისთვის სამედიცინო პერსონალის რეკომენდაცია სავალდებულო გახდა, სახალხო დამცველმა სასარჩელო მოთხოვნა შეამცირა იმ ნაწილში, რომლითაც სადავოდ ხდიდა გასაჩივრებული ნორმების იმ ნორმატიულ შინაარსს, რომლითაც პატიმრის

მოცემულ ცვლილებებამდე არსებული პრაქტიკა, სამწუხაროდ, კვლავაც იმ ტიპის დარღვევებით ხასიათდებოდა, რომლებზეც, სახალხო დამცველი საუბრობს. ამ მიმართულებით წარმოგიდგენთ ორ საქმეს, სადაც კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას ჰქონდა ადგილი:

- **გ. ს.-ს საქმე**

კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში შეიძლება განთავსდეს იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რამაც მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსება განაპირობა, მაგრამ არაუმეტეს 72 საათისა.[850] ამდენად, დეესკალაციის ოთახში განთავსების მაქსიმალური ვადა მკაცრად დადგენილია. თუმცა, მოცემულ საქმეში მსჯავრდებული გ. ს., რომელიც სასჯელს N6 პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდა, დეესკალაციის ოთახში განთავსებული იყო 72 საათზე ბევრად მეტი ხნით - 2023 წლის 9 აგვისტოდან 18 აგვისტომდე პერიოდში, ისე, რომ იგი, ფორმალურად მცირე ხნითაც არ ყოფილა გაყვანილი 72 საათიანი ვადის დასრულების შემდეგ, რასაც, პრაქტიკაში, ხშირ შემთხვევაში აქვს ხოლმე ადგილი.[851]

საქმის შესწავლის ფარგლებში აპარატის მოთხოვნის საფუძველზე დაარქივდა დეესკალაციის ოთახსა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოჩანაწერები, რომლებითაც დადასტურდა, რომ **მსჯავრდებული, 72 საათის გასვლის მიუხედავად, არ გამოუყვანიათ დეესკალაციის ოთახიდან. აღნიშნული განმეორდა მომდევნო 72 საათის ამოწურვის შემდგომაც.** 2023 წლის 15 აგვისტოსთვის, როდესაც მსჯავრდებულის მოსანახულებლად მისული იყო სახალხო დამცველის წარმომადგენელი, გ. ს.-ს, იმ მომენტისთვის, **160 საათი ჰქონდა გატარებული დეესკალაციის ოთახში, რაც ორჯერ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ვადას.**

ამ მხრივ ყურადსაღებია, რომ მოცემულ საქმეზე, მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში დატოვების საფუძველი - პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გამოცემული ბრძანებები (ჯამში 4 ბრძანება) იდენტურია და სინქრონულად იმეორებს არამხოლოდ ბრძანების შინაარსს, არამედ მის საფუძვლებს - ციხის თანამშრომელთა პატაკებსა და მოხსენებით ბარათებს.

ხსენებულ დოკუმენტებში მსჯავრდებულის ემოციურ მდგომარეობაზე კეთდება აქცენტი, რომ ის განაგრძობს თვითდაზიანების მუქარას და მოწოდების მიუხედავად, არ

დეესკალაციის ოთახში მოთავსება შესაძლებელი იყო მხოლოდ დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

[850] მაგ.: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულება", მუხ. 27, პუნქტ. 4.

[851] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, 94. <https://ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf>, [ბოლოს ნანახია: 17.01.2024].

მშვიდდება. დათვალიერებული **ვიდეოჩანაწერების თანახმად,** 2023 წლის 12 აგვისტოს, 72 საათის გასვლის შემდგომ, გ. ს. არც თანამშრომლების მისვლამდე, არც მათი ყოფნის დროს არ ყოფილა აღელვებული. მეტიც, ციხის თანამშრომლების გასვლიდან რამდენიმე წუთში გ. ს.-ს აწვდიან საკვებს, რომელსაც ის იღებს და იწყებს ჭამას. **მსჯავრდებულის ქმედებათა ერთობლიობა გამორიცხავს იმის ალბათობას, რომ ის აღელვებული იყო და აპროტესტებდა რაიმეს.**

იმავე დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი 2023 წლის 15 აგვისტოს ეპიზოდზეც. კერძოდ, 72 საათის გასვლის შემდგომ დეესკალაციის ოთახში შედიან თანამშრომლები, რა დროსაც გ. ს. მწოლიარე მდგომარეობიდან წამოჯდა. მსჯავრდებული ძირითადად მსმენელის როლშია, როდესაც მასთან შედიოდნენ ციხის თანამშრომლები, ხოლო მცირე მონაკვეთებში, როდესაც ის საუბარში ერთვებოდა, არ გამოხატავდა რაიმე აღელვებას.

ამდენად, დათვალიერებული ვიდეოჩანაწერები არსებითად წინააღმდეგობაში მოდის დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებასა და პატაკების შინაარსთან მიმართებით.

განსაკუთრებით მიუღებელია ის ფაქტი, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვის ჟურნალი ყალბ მონაცემებს შეიცავდა. კერძოდ, ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერების თანახმად, თითქოს 72 საათის ამოწურვის როგორც პირველ, ისე მეორე ჯერზე განხორციელდა მსჯავრდებულ გ. ს-ს გამოყვანა ოთახიდან და რამდენიმე წუთის გასვლის შემდგომ უკან შეაბრუნეს. დათვალიერებული ვიდეოჩანაწერები ცხადყოფს, რომ მსგავსი ფაქტები არ მომხდარა და მსჯავრდებული მთლიანი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად იმყოფებოდა განთავსების ადგილას, რითიც ცალსახად უხეშად დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები.

სახალხო დამცველმა მსჯავრდებულ გ.ს.-ს უფლებების დარღვევის თაობაზე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა იუსტიციის მინისტრს.[852]

- ს. ტ.-ს საქმე

კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის მიუხედავად, დეესკალაციის ოთახში უწყვეტად განთავსების კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა მსჯავრდებულ ს. ტ.-ს საქმეში, სადაც, ცალსახად ადგილი ჰქონდა კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეშ დარღვევას.

მსჯავრდებული ს. ტ., N6 პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას, 2022 წლის 10 აგვისტოს დეესკალაციის ოთახში განათავსეს, რის შემდეგაც, მიუხედავად 72 საათიანი ვადის ამოწურვისა, შესაბამისი საფუძვლის არსებობის გარეშე, ისე, რომ საერთო ტიპის საკანში არ გადაუყვანიათ, კვლავ დეესკალაციის ოთახში დატოვეს.

[852] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 21 ნოემბრის N 15-10/11342 წინადადება.

მოცემულ საქმეზე გამოთხოვილი დოკუმენტაციის თანახმად, 2022 წლის 13 აგვისტოს, ს. ტ. კვლავ იმუქრებოდა საკანში აყვანის შემდეგ ინვენტარის დამტვრევითა და თვითდაზიანების მიყენებით. მიუხედავად ამისა, 72 საათიანი ვადის გასვლის გამო, საჭირო იყო მისი საერთო ტიპის საკანში გადაყვანა.[853] შედეგად, გამოიცა ბრძანება ს. ტ.-ს საერთო ტიპის საკანში განთავსების შესახებ.[854] თუმცა, იმავე დღეს დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ შედგა მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმად, 13 აგვისტოს, დაახლოებით 20:54 საათზე, მსჯავრდებული ს. ტ. №13 დეესკალაციის ოთახიდან უნდა გადაეყვანათ მის საცხოვრებელ საკანში. დეესკალაციის ოთახიდან გამოსვლის დროს, ფლიგელში გადაადგილებისას, მსჯავრდებული გახდა აგრესიული, დაიწყო მუქარები, რომ საკანში შესვლისთანავე დაამტვრევდა საკანში არსებულ ინვენტარს და მიიყენებდა თვითდაზიანებებს. მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, რომ მსჯავრდებული დამშვიდებულიყო და ასულიყო საკანში, იგი არ დამშვიდდა და კვლავ განაგრძო მუქარა.[855] შესაბამისად, ს. ტ. კვლავ დეესკალაციის ოთახში განთავსდა.[856]

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა დეესკალაციის ოთახში მსჯავრდებულ ს. ტ.-ს განთავსებასთან დაკავშირებით დაარქივებული ვიდეოჩანაწერები.[857] შედეგად, **უტყუარად დადასტურდა, რომ 2022 წლის 13 აგვისტოს, მსჯავრდებული ს. ტ., დეესკალაციის ოთახში იმყოფებოდა მშვიდად, მისი მხრიდან არ შეინიშნებოდა რაიმე სახის მოქმედება, საუბარი, აღელვება ან სხვაგვარი იმ ტიპის ქცევა, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის მხრიდან აგრესიის, აღელვებისა თუ რაიმე ტიპის მუქარის გამოვლენაზე ან ამგვარი რისკის არსებობაზე.** მსჯავრდებული 20:56 საათზე №13 დეესკალაციის ოთახიდან №9 დეესკალაციის ოთახში შეუჩერებლად გადაიყვანეს.

დაწესებულების უფლებამოსილი თანამშრომლები დოკუმენტურად მიუთითებდნენ, რომ 2022 წლის 13 აგვისტოს, ს. ტ., N13 დეესკალაციის ოთახიდან გაყვანის დროს ფლიგელში გადაადგილებისას გახდა აგრესიული, დაიწყო მუქარები, რომ საკანში შესვლისთანავე დაამტვრევს საკანში არსებულ ინვენტარს და შეეცდება სხეულის თვითდაზიანებების მიყენებას, მოწოდების მიუხედავად კი, არ მშვიდდებოდა.

ვიდეოჩანაწერების გაცნობის შედეგად არ დადასტურდა ხსენებულ დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია **მსჯავრდებულის მხრიდან აგრესიულობის და დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ დამშვიდებისკენ არაერთ მოწოდებასთან დაკავშირებით.** დაწესებულების თანამშრომლები და მსჯავრდებული, №13 დეესკალაციის ოთახიდან გამოსვლის შემდგომ შეუჩერებლად გადაადგილდებოდნენ №9 დეესკალაციის ოთახისკენ, რომელიც მდებარეობს №13 დეესკალაციის ოთახის

[853] N6 პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის 2022 წლის 13 აგვისტოს მოხსენებითი ბარათი.
[854] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მოადგილის 2022 წლის 13 აგვისტოს N1112 ბრძანება.
[855] N6 პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის 2022 წლის 13 აგვისტოს №239646/23 მოხსენებითი ბარათი.
[856] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მოადგილის 2022 წლის 13 აგვისტოს №1113 ბრძანება.
[857] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 2 სექტემბრის №258849/01 და №259089/01 წერილები.

მოპირდაპირე მხარეს და ფლიგელში გადაადგილება გრძელდებოდა 4-5 წამის განმავლობაში. შესაბამისად, **ვიდეოჩანაწერის თანახმად, არ გამოიკვეთა მსჯავრდებულის აგრესიული ქცევა ან სხვა სახის წინააღმდეგობა დაწესებულების თანამშრომლების მიმართ, ასევე, მოცემული დროის განმავლობაში, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებსა და მსჯავრდებულს შორის შემდგარიყო იმ სახის ვერბალური კომუნიკაცია, რაც აღწერილია თანამშრომლების მიერ შედგენილ დოკუმენტებში.**

ამდენად, **დაწესებულების თანამშრომლებმა დოკუმენტებში არასწორი ინფორმაციის შეტანის გზით შექმნეს მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში დამატებით 37 საათით განთავსების საფუძველი.** პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს, 2022 წლის 13 აგვისტოს, ფორმალურადაც კი არ უცდიათ მსჯავრდებულის საერთო ტიპის საკანში გადაყვანა და №13 დეესკალაციის ოთახიდან, შეუჩერებლად გადაიყვანეს №9 დეესკალაციის ოთახში.

მოცემულ საქმეზე სახალხო დამცველის წინადადების[858] საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, N6 პენიტენციური დაწესებულების ორ თანამშრომელს დისციპლინური სახდელი დაეკისრა.[859]

სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს ნორმატიულ აქტებში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების პირობებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დეესკალაციის ოთახში განთავსების პრაქტიკის აქტიურ მონიტორინგს და შეაფასებს, მომავალში რამდენად დადებითად შეიცვლება არსებული მანკიერი პრაქტიკა.

10.4. მსჯავრდებულთა ხანგრძლივი დროით იზოლირების პრაქტიკა

სახალხო დამცველი წლებია საუბრობს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრების ხანგრძლივი დროით იზოლირების განსაკუთრებულად პრობლემურ პრაქტიკაზე.[860] სახალხო დამცველის აპარატი

[858] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 20 ივლისის N 15-6/7130 წინადადება მსჯავრდებულ ს. ტ.-ს დეესკალაციის ოთახში კანონით დადგენილ ვადაზე ხანგრძლივი დროით მოთავსების ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმების დაწყების შესახებ.

[859] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2023 წლის 30 იანვრის № 27151/01 წერილი.

[860] იხ. სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, გვ. 42-43, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf>, [ბოლოს ნანახია: 17.01.2024]; სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, გვ. 44-46, <https://ombudsman.ge/res/docs/2023050116570249908.pdf>, [ბოლოს ნანახია: 17.01.2024]

მიუღებლად მიიჩნევს პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულების თვეებისა და წლების განმავლობაში იზოლირებას.

სამწუხაროდ, მიუხედავად მოცემულ საკითხზე წარმოებული კონსტიტუციური სამართალწარმოებისა და განხორციელებული პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებებისა, პრობლემად იკვეთება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრის განცალკევებით განთავსების თაობაზე გამოცემული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა და შაბლონური ხასიათი.

2021 წლის 27 ივლისს, სახალხო დამცველმა N1676 სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა N3 და N6 პენიტენციური დაწესებულებების დებულებების იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლითაც შესაძლებელი იყო პირის მოთავსება სამარტოო საკანში განუსაზღვრელი ვადით ჯეროვანი დასაბუთების გარეშე. 2022 წლის 21 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო გასაჩივრებული ნორმები.[861]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით - ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის უფლება, **არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი** დებულებების[862] **ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულის ერთადგილიან საკანში განუსაზღვრელი ვადით განთავსების შესახებ და უშვებს ამ საკანში მის ხანგრძლივად და განუსაზღვრელი ვადით დატოვებას პენიტენციური დაწესებულების დირექტორის - ზეპირი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც სავალდებულო წესით არ ეფუძნება ინდივიდუალური შეფასებისა და გამოკვლევის შედეგებს; არ ითვალისწინებს პენიტენციური დაწესებულების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების პერიოდული შეფასების ვალდებულებას და არ უზრუნველყოფს მსჯავრდებულს ქმედითი და ეფექტიანი გასაჩივრების უფლებით.[863]**

ხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, N3 და N6 პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელდა ცვლილებები,[864] რომელთა თანახმად,

---

[861] იქვე.

[862] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №109 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის პირველი პუნქტი და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

[863] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 დეკემბრის N1/10/1676 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ".

[864] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 27 აპრილის N901 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და 2023 წლის 27 აპრილის N900 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №3 პენიტენციური დაწესებულების

მსჯავრდებულის ერთადგილიან ან ორადგილიან საკანში განცალკევებით მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას დაწესებულების დირექტორი იღებს წერილობითი ფორმით, სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილებების უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ მსჯავრდებულთა თავსებადობის საკითხის შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით შედგენილი პატაკის საფუძველზე, რა დროსაც, დამატებით, მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულთან ერთად განთავსებით მათი სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისთვის, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმისთვის და უსაფრთხოებისთვის შესაძლო საფრთხის შექმნა. მსჯავრდებული ერთადგილიან ან ორადგილიან საკანში განცალკევებით თავსდება დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებაში მითითებული საფუძვლის/საფრთხის აღმოფხვრამდე.

მიუხედავად აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში, **სამწუხაროდ, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმართა ხანგრძლივად და დაუსაბუთებლად მოთავსების თაობაზე მომართვიანობა აპარატში კვლავაც ფიქსირდება.**

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულებაში განთავსებულ პატიმართა კოლექტიური განცხადება, რომლის თანახმად, მსჯავრდებულები მიუთითებდნენ, რომ წლობით ამყოფებენ მარტო საკანში.[865] იმავე საკითხთან დაკავშირებით, მსჯავრდებულმა რ.უ.-მ დამოუკიდებლადაც მიმართა სახალხო დამცველის აპარატს და მიუთითა, რომ 2020 წლის 12 მაისიდან საკანში იმყოფება მარტო.

სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა მითითებულ დაწესებულებაში განთავსებულ არაერთ პატიმარს, მათ შორის ხსენებული კოლექტიური განცხადების თანაავტორებს, რომლებმაც განმარტეს, რომ არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულება არ იღებს მათი სხვა პატიმართან ერთად განთავსების გადაწყვეტილებას და ხანგრძლივი ვადით უწევთ საკანში მარტო ყოფნა.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ამავე დაწესებულების მსჯავრდებულების, რ. უ-ს, დ. გ-ს, ჯ. გ-ს, მ. ც-ს, ვ. ა.-ს, ი. კ-ს საკანში განცალკევებით განთავსების შესახებ დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ თითოეული პატიმრის მიმართ, N3 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლების პატაკები არის იდენტური შინაარსის, სადაც მითითებულია, რომ შესწავლილ იქნა კონკრეტული პატიმრის თავსებადობის საკითხი სხვა პატიმართან ერთად ერთ საკანში განთავსების შესახებ. შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით, მათი სხვა პატიმართან ერთად განთავსება არის საფრთხის შემცველი.

N3 პენიტენციური დაწესებულების მიერ, მსჯავრდებულ დ. გ.-ს საქმეზე, დამატებით წარმოდგენილი დასაბუთების შესაბამისად, მსჯავრდებულ დ. გ.-ს ერთადგილიან საკანში მოთავსების საფუძველი გახდა სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების

დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №109 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[865] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთა 2023 წლის 3 აგვისტოს N01/270983 განცხადება.

განყოფილებების უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ მსჯავრდებულთა თავსებადობის საკითხის შესწავლის შედეგები, რა დროსაც მხედველობაში იქნა მიღებული მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი.[866]

აღსანიშნავია, რომ N3 პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და დასაბუთებით, ბუნდოვანია, მსჯავრდებულის კონკრეტულად რა პიროვნული თვისება და მის მიერ გამოვლენილი რა ქმედება მიანიშნებს მისგან მომდინარე საფრთხეზე, კონკრეტულად რომელი ფაქტი მიანიშნებს, რომ მისი სხვა პატიმართან ერთად განთავსება გახდება მისი მხრიდან დანაშაულის/კანონდარღვევის განმეორებით ჩადენის განმაპირობებელი ფაქტორი. ამასთანავე, გაურკვეველია, მსჯავრდებულ დ. გ.-ს მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი და დამდგარი შედეგი დღეს რა სახის გავლენას შეიძლება ახდენდეს მის მიერ სასჯელის მოხდაზე და ამ კუთხით რა საფრთხე შეიძლება გამოიკვეთოს, მისი სხვა პატიმართან ერთად განთავსების შემთხვევაში.

სახალხო დამცველის აპარატი ცალსახად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აპარატი არ შედის ხსენებული ან სხვა პატიმრების საქმეების იმგვარ შინაარსობრივ შეფასებაში, თუ რამდენად არსებობს მათთან დაკავშირებული უსაფრთხოების გამოწვევები და იზოლირების აუცილებლობის წინაპირობები. აპარატი ვერ შეაფასებს მათ სხვა პატიმრებთან თავსებადობასა და თანამესაკნესთან განთავსების მიზანშეწონილობის ხარისხს; თუმცა, უფლების პროცედურული ასპექტის დაცვის მიზნით აუცილებელია, პატიმართა განცალკევებით განთავსების შესახებ პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული და არ ატარებდეს შაბლონურ ხასიათს.

10.5. პატიმრების უმაღლესი განათლების დაფინანსების პრობლემა

ახალი პენიტენციური კოდექსით **აკადემიური უმაღლესი განათლების მიღების უფლება ყველა კატეგორიის პატიმარს მიენიჭა.** თუმცა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის კუთხით **პრობლემურია სწავლის საფასურის დაფინანსების საკითხი, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ სწავლების რა ფორმით იღებს განათლებას პატიმარი.**

N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, მ. ვ.-ს განმარტებით, იღებს უმაღლეს განათლებას კორესპონდენციული სწავლების მეთოდით და თვითონ იხდის სწავლის საფასურს, განსხვავებით N16 პენიტენციურ დაწესებულებაში

[866] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების 2023 წლის 5 სექტემბრის N245458/21 წერილი.

განთავსებული მსჯავრდებულებისა, რომლებიც უმაღლეს განათლებას ციფრული მეთოდით იღებენ და უმაღლესი განათლების საფასური უფინანსდებათ.

იუსტიციის სამინისტრო, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტზე[867] მითითებით, განმარტავს, რომ **დაფინანსების ვალდებულება დადგენილია სტუდენტი მსჯავრდებულისთვის, რომელიც აკადემიურ უმაღლეს განათლებას იღებს ციფრული სწავლების ფორმით. სახელმწიფო მსგავს ვალდებულებას არ იღებს სტუდენტი მსჯავრდებულის კორესპონდენციულ სწავლებასთან მიმართებით.** განსხვავებული მიდგომის ლეგიტიმურ საჯარო მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების გონივრული ხარჯვის პირობებში მსჯავრდებული სტუდენტისთვის განათლების მიღების მაქსიმალურად სრულყოფილი შესაძლებლობის შექმნა. 40 მსჯავრდებული სარგებლობს უმაღლესი აკადემიური განათლების მიღების უფლებით, რომელთაგან კორესპონდენციული სწავლების ფორმით განათლებას იღებს 30 სტუდენტი მსჯავრდებული, ხოლო ციფრული სწავლების ფორმით – N16 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული 7 სტუდენტი მსჯავრდებული ფინანსდება (3 მსჯავრდებულთან დაკავშირებით პენიტენციური სამსახური ინფორმაციას არ აზუსტებს). სტუდენტმა მსჯავრდებულმა რომ ისარგებლოს ციფრული სწავლების ფორმით (შესაბამისად, მიიღოს დაფინანსება), გარდა გათვალისწინებული წინაპირობებისა, აუცილებელია, მას განესაზღვროს საშიშროების დაბალი რისკი და სასჯელს იხდიდეს შესაბამის დაწესებულებაში. უნდა აღინიშნოს, რომ, მოცემულ ეტაპზე ციფრული სწავლება მიმდინარეობს N16 პენიტენციურ დაწესებულებაში და იგეგმება სხვა პენიტენციურ დაწესებულებებშიც.[868]

ციფრული სწავლების ფორმის დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოების დასრულება N1, N2, N5 და N10 პენიტენციურ დაწესებულებებში 2024 წლის ბოლომდე იგეგმება, რის შემდეგაც ამ დაწესებულებებში ციფრული სწავლების ფორმა ეტაპობრივად ამოქმედდება. პენიტენციური კოდექსის ამოქმედება, სადაც საუბარია მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე განათლების მიღების ძირითად ფორმებზე (ციფრული სწავლება, კორესპონდენციული სწავლება), გავლენას არ ახდენს განათლების სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების საკითხის გადაწყვეტაზე.[869]

ცალსახად მისასალმებელია ახალი პენიტენციური კოდექსით უმაღლესი განათლების მიღების უფლების ყველა კატეგორიის მსჯავრდებულისთვის მინიჭება, თუმცა მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობისა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, განათლების დაფინანსებაც ყველა მათგანს შეეხოს.

---

[867] „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 სექტემბრის N864-N100/ნ ერთობლივი ბრძანება.

[868] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 9 ოქტომბრის N11389 წერილი.

[869] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 21 დეკემბრის N14400 წერილი.

10.6. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ფრაგმენტული ხასიათი

პენიტენციური კოდექსის თანახმად, ერთ-ერთ ძირეულ მიზნად განსაზღვრულია მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდგომ საზოგადოებას უნდა დაუბრუნდეს და ამისათვის, მას მზაობა სჭირდება. სწორედ მომზადების ფუნქციას ასრულებს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამები, რათა მსჯავრდებულს სოციალიზაციის უნარ-ჩვევები შეუნარჩუნდეს, გონებრივი და ფიზიკური აქტივობებით დაიტვირთოს, გაუჩნდეს ინტერესები, რომლებიც დაწესებულების დატოვების შემდგომაც მისთვის სასურველი იქნება.

ამდენად, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების მრავალფეროვნება და მათი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მსჯავრდებულის ქცევის პოზიტიურ ცვლილებაზე.

სახალხო დამცველი, წლებია, ყურადღებას ამახვილებს უცხოელ და უცხოენოვან პატიმართა უფლებრივ მდგომარეობაზე პენიტენციურ დაწესებულებებში.[870] პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის თანახმად, 2022 წელს მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა ენობრივი ბარიერის არსებობა, რომელიც უცხოელ პატიმრებს ხელს უშლიდა პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სერვისების სრულყოფილად მიღებაში.[871] ხაზგასმულია იმ გარემოებაზეც, რომ ქართული ენის შემსწავლელი კურსები რიგ დაწესებულებებში საერთოდ არ იყო შეთავაზებული. ენის ბარიერიდან გამომდინარე, ისინი არ იყვნენ ჩართული იმ მწირ სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც დაწესებულებებში ხორციელდება.[872]

სამწუხაროდ, ენობრივი ბარიერით წარმოქმნილი პრობლემები უცხოელ პატიმრებს საანგარიშო პერიოდშიც არ აქვთ გადაჭრილი.

N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული ა. ფ. სახალხო დამცველის წარმომადგენელთან შეხვედრისას მიუთითებდა, რომ სურდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართვა, რისი საშუალებაც არ ეძლეოდა. გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, სარეაბილიტაციო პროგრამები მსჯავრდებულებს მიეწოდებათ მხოლოდ ქართულ ენაზე.[873]

ამდენად, უცხოელ პატიმრებს კვლავ არ აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ სარეაბილიტაციო პროგრამებში. ამის უფლება მათ მხოლოდ მას შემდგომ ეძლევათ, რაც ისინი ქართულ ენას

---

[870] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, 105-109.
[871] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, 106.
[872] იქვე.
[873] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2023 წლის 24 ივლისის N 203822/01 წერილი.

შეისწავლიან. **პენიტენციურ სისტემაში არ არის გათვალისწინებული ისეთი პროგრამა, რომელიც საერთაშორისო ენებიდან რამდენიმეზე ან რომელიმე ერთზე მაინც იქნება ხელმისაწვდომი პატიმრებისთვის.**[874]

მნიშვნელოვანია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არსებობდეს ისეთი სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებიც უცხოელი პატიმრებისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი, რაც თავის მხრივ, მათ ქართულენოვან პატიმრებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში ყოფნის პრობლემას აღმოფხვრის.

- **რ. ვ.-ს საქმე**

N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული რ. ვ. განმარტავდა, რომ სურდა ჩართული ყოფილიყო სოციალურ აქტივობებში და სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობდა მის რესოციალიზაციასა და შესაბამისად, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას. აღნიშნულის თაობაზე, 2022-2023 წლებში მიმართა, როგორც N10 პენიტენციურ დაწესებულებას, ისე სპეციალური პენიტენციური სამსახურის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტს, თუმცა, არ ხდებოდა მისი ჩართვა რაიმე სახის აქტივობაში.

გამოთხოვილი ინფორმაციით, აპარატს ეცნობა, რომ N10 დაწესებულებაში 2022 წლის მანძილზე განხორციელდა შემდეგი სახის სოციალური და სარეაბილიტაციო პროგრამები/შეხვედრები: პენიტენციური სტრესის მართვა; კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება; ბრაზის მართვა; ბიბლიოთერაპია; სინემათერაპია; რა, სად, როდის; შეხვედრა ტარიელ ხარხელაურთან. თითოეული მათგანი იყო მიზნობრივი, შესაბამისად მონაწილეობას იღებდნენ ის მსჯავრდებულები, რომელთა საჭიროებებსაც შეესაბამებოდა აქტივობა. მსჯავრდებულ რ. ვ.-ს არ შესთავაზებია ჩამოთვლილ პროგრამებში/შეხვედრებში ჩართვა.[875]

2023 წლის 24 აპრილს, მსჯავრდებულ რ. ვ.-ს ჩართულობით, შედგა ახალი სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა, რომელიც მოიაზრებს მსჯავრდებულის ჩართვას ჯგუფურ სინემათერაპიაში, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკის მომსახურებას. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, თუ დაგეგმილი აქტივობა იქნება ბენეფიციარის საჭიროების შესაბამისი და მიზნობრივი, მოხდება მისი ინფორმირება და ჩართვა.

---

[874] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2023 წლის 24 ივლისის N 203822/01 წერილი.
[875] N10 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 27 აპრილის № 113869/01 წერილი.

10.7. სავარჯიშო ინვენტარი

2022 წელს, N3 და N6 პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულმა მსჯავრდებულებმა დააფიქსირეს პრეტენზია ამავე დაწესებულებებში განთავსებული სავარჯიშო ინვენტარის სიმცირესა და ხანგრძლივი გამოყენების შედეგად, მწყობრიდან გამოსვლასთან დაკავშირებით.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ აპარატში 2022 წელს წარმოდგენილი ინფორმაციით, ხორციელდებოდა 2023 წლისათვის სახელმწიფო პენიტენციური დაწესებულებებისათვის სხვადასხვა დასახელების სპორტული ტრენაჟორების შეძენის პროცედურები.[876]

სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, კვლავ მიმართა პენიტენციურ სამსახურს, N3 და N6 პენიტენციური დაწესებულებების სავარჯიშო ინვენტარით მომარაგებასთან დაკავშირებით.[877] წარმოდგენილი ინფორმაციით, 2023 წლის განმავლობაში, N3 პენიტენციურ დაწესებულებას მიეწოდა შემდეგი სახეობის ტრენაჟორები: სარბენი ბილიკი, მრავალფუნქციური ტრენაჟორი და ველოტრენაჟორი. ხოლო N6 დაწესებულებას 2021 წელს მიეწოდა ტრენაჟორი თხილამური, ტრენაჟორი სმიტის მანქანა და ველოტრენაჟორი.

უწყების განმარტებით, 2023 წელს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი სხვადასხვა სახის ტრენაჟორების შეძენის შესახებ შეწყდა ტექნიკური დოკუმენტაციის სრულყოფის მიზნით. 2024 წელს ტენდერის ჩატარებისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დამატებითი ტრენაჟორების მიწოდება, სხვა პენიტენციურ დაწესებულებებთან ერთად, გათვალისწინებულია N6 და N3 პენიტენციურ დაწესებულებებისათვის.[878]

სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება პენიტენციური დაწესებულებების სავარჯიშო ინვენტარით მომარაგება-აღჭურვას და იმედოვნებს, რომ ეს პროცესი მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება, რაც უდავოდ, ხელს შეუწყობს პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და მათ ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობას.

10.8. ცხელი ხაზის ხარვეზები

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა **აპარატის ცხელ ხაზზე, საანგარიშო წლის დასაწყისში N2, N3, N5, N6, N10, N15, N17, N18 პენიტენციური დაწესებულებებიდან**

[876] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2022 წლის 18 ნოემბრის №339235/01 წერილი.

[877] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 15 დეკემბრის N15-15/12101 წერილი.

[878] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2023 წლის 21 დეკემბრის N355917/01 წერილი.

შემოსული სატელეფონო ზარების დროს დაფიქსირებული ხმის ხარვეზის (წყვეტები, ხმის დაგვიანებულად მოსვლა, ხმაური და სხვა) შესახებ, რის გამოც, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მოსაუბრის სიტყვების გარჩევა, მისი ნათქვამის აღქმა და შინაარსის სრულფასოვანი გაგება. აღნიშნული პრობლემა ყველაზე ხშირად და განსაკუთრებით მწვავედ შეიმჩნეოდა N3 პენიტენციური დაწესებულებიდან განხორციელებული ზარების დროს.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის განმარტებით, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ხსენებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით მიმართა სატელეფონო მომსახურების გამწევ კომპანიას. ტექნიკური ჯგუფის მიერ მოხდა სატელეფონო ქსელის შემოწმება, რომლის დროსაც განხორციელდა სატესტო სატელეფონო ზარი სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე. სატესტო ზარების განხორციელების შედეგად გაირკვა, რომ ქსელში ხარვეზი არ ფიქსირდება.[879]

2022 წლის 6 ოქტომბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას, მსჯავრდებულმა რ. კ-მ განმარტა, რომ სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის ოპერატორთან გასაუბრებისას ხმა ესმის ძალიან ცუდად. მისივე თხოვნით, სახალხო დამცველის რწმუნებულმა, იმავე დღეს, გადაამოწმა სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე სატელეფონო კავშირი, რა დროსაც მართლაც დაფიქსირდა ხმის ხარვეზი.[880]

სახალხო დამცველის რწმუნებულმა, N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ სამ მსჯავრდებულთან შეთანხმებით, მათი სატელეფონო იდენტიფიკატორის კოდის გამოყენებით, 2022 წლის ნოემბრის თვეში, ჯამში 16 საცდელი სატელეფონო ზარი განახორციელა სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე. კერძოდ:

- 2022 წლის 2 ნოემბერს, რწმუნებულმა სამჯერ დარეკა სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე, რომელთაგან ერთი ზარის დროს პერიოდულად ისმოდა შიშინი;
- 2022 წლის 3 ნოემბერს, რწმუნებულმა ორჯერ დარეკა სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე და ორივე შემთხვევაში ხმის ხარვეზი დაფიქსირდა (შიშინი, წყვეტა, ხმის დაგვიანება);
- 2022 წლის 4 ნოემბერს რწმუნებულმა ორჯერ დარეკა სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე. ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა ხმის ხარვეზი, ხოლო მეორე შემთხვევაში საუბარი გასაგები იყო, თუმცა პერიოდულად ისმოდა შიშინი;
- 2022 წლის 17 ნოემბერს, რწმუნებულმა სამჯერ დარეკა სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე, ორ შემთხვევაში ხმა იმდენად ხარვეზიანი იყო, რომ მოსაუბრეებს უჭირდათ ერთმანეთის გაგება. ხოლო ერთ შემთხვევაში, საუბარი გასაგები იყო, თუმცა ხმა დაგვიანებით მიდიოდა;

[879] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2022 წლის 17 ივნისის N178810/01 საპასუხო წერილი.
[880] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის 2022 წლის 6 ოქტომბრის ოქმი.

- 2022 წლის 18 ნოემბერს რწმუნებულმა სამჯერ დარეკა სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე, ორ შემთხვევაში დაფიქსირდა ხმის წყვეტა, თუმცა საუბარი გასაგები იყო. ოპერატორმა საუბრისას აღნიშნა, რომ რწმუნებულის ხმა უკეთესად ისმოდა, ვიდრე პატიმრების, რომლებიც იმავე დაწესებულებიდან რეკავენ;
- 2022 წლის 24 ნოემბერს რწმუნებულმა სამჯერ დარეკა სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე და სამივე შემთხვევაში დაფიქსირდა ხარვეზი.

გარდა ამისა, 2022 წლის ნოემბრის თვეში, N3 დაწესებულებიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსული ოცდასამი სატელეფონო ზარიდან სამ შემთხვევაში დაფიქსირდა ხმის ხარვეზი, ხოლო დეკემბრის თვეში შემოსული ხუთი სატელეფონო ზარიდან ორ შემთხვევაში დაფიქსირდა ხარვეზი. ასევე, 2022 წლის ნოემბრის თვეში, ხმის ხარვეზი დაფიქსირდა N6 და N2 პენიტენციური დაწესებულებებიდანაც. ხოლო, დეკემბრის თვეში N10 და N15 დაწესებულებებიდან განხორციელებული ზარების დროს, მოსაუბრის ხმა თითქმის არ ისმოდა, პატიმრებმა განმეორებით დარეკეს ოპერატორთან სასაუბროდ, რის შემდეგაც მდგომარეობა გაუმჯობესდა, საუბრის შინაარსი გასაგები იყო, თუმცა ხარვეზი მაინც ფიქსირდებოდა. სახალხო დამცველის აპარატის დაკვირვებით, ხშირ შემთხვევაში, ანალოგიური ხმის ხარვეზი ფიქსირდებოდა ასევე N17 და N18 პენიტენციური დაწესებულებებიდან აპარატის ცხელ ხაზზე შემოსული ზარების დროს.

სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელის მიმართვის საფუძველზე[881], **2023 წლის 17, 20 და 21 თებერვალს, შპს „ო ენდ ემ ჯგუფის“ წარმომადგენელმა, სახალხო დამცველის რწმუნებულის მონაწილეობით, N3 პენიტენციურ დაწესებულებაში შეამოწმა სატელეფონო აპარატები. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შესაკეთებელი იყო ცხელ ხაზზე დარეკვის მიზნით გამოყოფილი სატელეფონო აპარატი, რომელიც შეკეთდა ტექნიკური მუშაკის მიერ.**

სახალხო დამცველის აპარატი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პატიმართა მხრიდან სახალხო დამცველის აპარატთან კომუნიკაციის შეუფერხებლად წვდომის მნიშვნელობაზე მათ მიმართ არასათანადო მოპყრობისა ან/და უფლებების სხვაგვარი დარღვევის პრევენციის კონტექსტში და იმედოვნებს, რომ მომავალში, მსგავს ხარვეზებს ადგილი აღარ ექნება.

11. საკუთრების უფლება სისხლის სამართალში

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა, რომ **კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამო**, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიერ მოპოვებული/ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების - **სატრანსპორტო საშუალების ავტოსადგომზე შენახვის ხარჯების გადახდა ეკისრებათ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს, მიუხედავად საქმეში მათი სტატუსისა.** შესაბამისად,

[881] საქართველოს სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 9 თებერვლის N15-15/1400 წერილი.

ხარჯების გადახდა ეკისრებათ როგორც მსჯავრდებულს, ბრალდებულს, ისე გამართლებულს, დაზარალებულსა თუ მოწმეს.

სახალხო დამცველის აპარატს ამ პრობლემასთან დაკავშირებით მომართა ორმა მოქალაქემ. შესწავლილი საქმეებიდან, ერთ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე/მფლობელი, იყო სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებული პირი (მისი წარმომადგენელი), რომლის კუთვნილი ცხენის ორთვალა გამოძიების მიერ იქნა ამოღებული როგორც ნივთიერი მტკიცებულება 2021 წელს.[882] მეორე შემთხვევაში კი სატრანსპორტო საშუალების - ნივთიერი მტკიცებულების სახით გამოძიების მიერ 2019 წელს ამოღებული ავტომანქანის კანონიერი მფლობელი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებული პირი, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს 2022 წლის ნოემბრამდე. ამასთან, მას 2021 წელს ბრალდების მხარის მიერ უარი ეთქვა სისხლის სამართლის პროცესის დასრულებამდე ავტომანქანის დაბრუნებაზე.[883]

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ განაჩენით[884] დადგენილ იქნა, რომ სატრანსპორტო საშუალებები უნდა დაბრუნებოდათ მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს, თუმცა, განმცხადებლების მტკიცებით, დაცული ავტოსადგომის ადმინისტრაცია სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯების ანაზღაურებას სთხოვდა მათ და აღნიშნული ხარჯის გადაუხდელობის მიზეზით მათ არ დაუბრუნდათ სატრანსპორტო საშუალება.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ **„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ მონაწილეს (მსჯავრდებულს, ბრალდებულს, გამართლებულს, დაზარალებულსა და მოწმეს), თუ პროცესის მონაწილე მესაკუთრე ან/და კანონიერი მფლობელია,** სატრანსპორტო საშუალების დანაშაულთან კავშირისა და დაცულ სადგომზე მისი შენახვის პერიოდის მიუხედავად და არ ახდენს განსხვავებას სატრანსპორტო საშუალება, როგორც ნივთიერი მტკიცებულება მოპოვებული ბრალდების მხარის მიერ გამოძიებისა და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, თუ დაცვის მხარის მიერ არის წარდგენილი,[885] როგორც ამას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიჯნავს.

მესაკუთრისთვის/კანონიერი მფლობელისთვის ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების შენახვის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, მათ შორის, ამავე კოდექსის

---

[882] აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და განმცხადებელს არ წარმოუდგენია დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯების კონკრეტული განმცხადებლისთვის მოთხოვნის ფაქტი.

[883] მარნეულის რაიონული პროკურატურის 2021 წლის 27 სექტემბრის N13/4-5840 წერილი.

[884] სისხლის სამართლის N03103119001 საქმე; სისხლის სამართლის N030200921001 საქმე.

[885] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ.7[1], პუნქტ. 3.

დანაწესს, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს, ნივთიერ მტკიცებულებებთან მიმართებით, ეკისრება მხოლოდ მისი ან მისი ადვოკატის მიერ წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯების ანაზღაურება.[886] ხოლო დაზარალებულსა და მოწმეს კანონმდებლობა საერთოდ არ ავალდებულებს, აანაზღაუროს საპროცესო ხარჯები.

ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობა მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს ეზღუდება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მისთვის დაცულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯების დამატებით დაკისრება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, რომლის თანახმად, საპროცესო ხარჯების ანაზღაურება, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლით რეგულირებული ხარჯებისა და წესისა, **ეკისრება სახელმწიფოს, როგორც გამოძიებასა და მართლმსაჯულების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სუბიექტს.**

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება და სასამართლო განხილვა შესაძლებელია გრძელდებოდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თვეებისა და წლების მანძილზე, შესაბამისი დანაშაულისთვის დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.[887] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ გამოცხადებულია ძებნა, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერებულია მის დაკავებამდე ან სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებამდე,[888] რაც ასევე, შესაძლოა, გაგრძელდეს განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში.

შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიერ მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულება, მათ შორის სატრანსპორტო საშუალება, შესაძლებელია ინახებოდეს სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე.[889] სისხლის სამართლის პროცესი კი, სხვადასხვა ობიექტური მიზეზით, შესაძლებელია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე შენახვის ხარჯები შესაძლოა მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს აყენებდეს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს და არღვევდეს პირის საკუთრების უფლებას.[890]

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მსჯავრდებული პირისთვის ყველა შემთხვევაში ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების სავალდებულობას. გასათვალისწინებელია, რომ ნივთიერი მტკიცებულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია დაუბრუნდეს მსჯავრდებულ პირსაც.

---

[886] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 91, ნაწ. 2.
[887] იქვე, მუხ. 103.
[888] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 3.
[889] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 81 (იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილეს პროცესის დასრულებამდე უარი ეთქვა ნივთიერი მტკიცებულების დაბრუნებაზე).
[890] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19, პუნქტ. 2.

კანონმდებლობა მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებით გვთავაზობს ამგვარ მიდგომას: (1) თუ სატრანსპორტო საშუალება გამოძიების მიერ ამოღებულია როგორც ნივთიერი მტკიცებულება და წარმოადგენს დანაშაულის საგანს ან/და იარაღს, დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ საგანს ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ სატრანსპორტო საშუალებას, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება სასამართლოს მიერ უნდა ჩამოერთვას მსჯავრდებულს;[891] (2) თუ სატრანსპორტო საშუალება არ არის დანაშაულის საგანი ან იარაღი, მსჯავრდებულს, უბრუნდება ამოღებული სატრანსპორტო საშუალება.

სწორედ, ამ მეორე შემთხვევაში, ხარჯები „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ეკისრება მსჯავრდებულს, რაც არ არის საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

გარდა ამისა, ყურადსაღებია, რომ მსჯავრდებულის შემთხვევაში, ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულება, შესაძლოა, ინახებოდეს მსჯავრდებული პირის მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდამდე[892] და ამ პერიოდის განმავლობაშიც ერიცხებოდეს სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯები.

ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს დანაშაულის შედეგად მოპოვებულ საგანს, რომელიც მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან და სისხლის სამართლის პროცესის დასრულებამდე, ბრალდების მხარის გადაწყვეტილებით, არ დაუბრუნდა მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს[893], ასევე სისხლის სამართლის პროცესის დასრულებამდე შეიძლება ინახებოდეს დაცულ ავტოსადგომზე და ერიცხებოდეს სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე/კანონიერი მფლობელი, ობიექტური საფუძვლით, ისედაც ვერ სარგებლობს მისი საკუთრებით (დაცულ სადგომზე გაჩერებული სატრანსპორტო საშუალებით) გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე (სატრანსპორტო საშუალება ბრალდების მხარის მიერ არის მოპოვებული, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ). ამასთან, სატრანსპორტო საშუალების ხანგრძლივი პერიოდით დაცულ ავტოსადგომზე გაჩერების შემთხვევაში, ასევე, მცირდება სატრანსპორტო საშუალების თვითღირებულება და შესაძლებელია, დაცულ სადგომზე მისი მომსახურების ხარჯი, სატრანსპორტო საშუალების დაბრუნების დროისათვის, საერთოდ აღემატებოდეს მის ღირებულებას.

შესაბამისად, **ამოღებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს ობიექტურად, ისედაც ეზღუდება საკუთრების უფლება გამოძიების ლეგიტიმური ინტერესიდან გამომდინარე, თუმცა, დამატებით, დაცულ სადგომზე მისი შენახვის ხარჯების მესაკუთრისათვის/კანონიერი მფლობელისათვის დაკისრება, მაშინ, როდესაც ამ სატრანსპორტო საშუალების ამოღება და შესაბამისი ვადით დაცულ სადგომზე**

[891] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ.52.
[892] თუ სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ვერ აძლევს მინდობილობას სხვა პირს სხვადასხვა გარემოების გამო.
[893] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 80.

დაყოვნება მთლიანად გამოძიების ინტერესს წარმოადგენს, გაუმართლებელ მატერიალურ ზარალს აყენებს მას და ეწინააღმდეგება საპროცესო ხარჯების განაწილების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ წესს.

საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის, საქართველოს კანონის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის შესახებ" საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანისა და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფისათვის, საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით საქართველოს პარლამენტს მიმართა.[894]

[894] სახალხო დამცველის 2024 წლის 11 მარტის N15-2/2465 წინადადება.